

ს.ს.ნ. განათლების სახავეო კომისარიატის
ყოველთვიური პალიტიკური უნივერსიტეტი

წერ. VI

14287/29

ახალ სკოლას

№ 1-2
ოქტომბერ-ნოემბერი
1928.



ს.ს.ს.ნ. განათლების სახავეო კომისარიატის
უოკერთვიური პარაბოლიური უზნავი

ნო. VI

ახალ სამართლად

4873

№ 1-2
ოქტომბერ-ნოემბერი
1928.



0303060

ტფილისი, ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეზანცვის პრ. № 91.

შეკვ. № 240

მთავარლიტი № 1970

ტირაჟი 4000.



ა. პოპროცესი, როგორც საბჭოთა განათლების
მოღვაწე და ხელმძღვანელი.

მოხსენება 60 წლის საიუბილეო სტლომაზე.

მიხეილ ნიკოლოზის ძის შესახებ, როგორც რევოლუციონერი ბოლშევიკის, როგორც მარქსისტი ისტორიკოსის და რევოლუციონური მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლის შესახებ, — უკვე

სოქვეს სხვებმა და ამიტომ საჭირო ან არის მეც ვილაპარაკო აშაზე-ჩემი ამოცანაა ამ პატარა მოხსენებაში გავაშუქო მისი დიდი და მრა-ვალფეროვანი მოღვაწეობის ერთ-ერთი მხარე—მისი როლი, როგორც პროლეტარიატის დიკტატურის ეპოქის სახალხო გა-ნათლების სისტემის შემქმნელის და ხელმძღვანელის, როგორც ძალა-უფლების ხელში ჩამგდები პროლეტა-რიატის ნებისყოფის საუკეთესო შემსრულებლის და ახალი სოციალისტური კულტურის საძირკვლის ჩა-მყრელის.

პოკროვსკიმ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ შესძლო ამ როლის ასე მშვენივრად შესრულება, რომ ის ერთსადაიმავე დროს იყო კო-მუნისტი, მებრძოლი და რევოლუციონერი მეცნი-ერჩ.

მას, ოქტომბრის დღეებში მოსკოვის მუშათა და წითელარმი-ელთა საბჭოს პირველ თავმჯდომარეს, რასაკვირველია, არ შეეძლო სავსებით, სწორედ, მთელი სიგრძე-სიგანით არ და-ეყენებია სოციალისტური საკითხები საქართოდ და კერძოდ კი სახალხო განათლების სისტემის საკითხე-ბი.

ძველი ბურჟუაზიული კულტურა ორგანიულად იყო დაკავშირდა-ბული მთელ ძველ წესწყობილებასთან და მის ყოფა-ცხოვრებასთან. ის ამ წესწყობილებამ წარმოშვა და აღზარდა, და-ბურჟუაზიული კულტურა მრავალსაუკუნოვანი ისტორიით მჭიდროდ გადაეჯავა ძველ წესწყობილებას, გაიდგა თესვი მის ყოველ სვრეტში, ამ წესწყობილების განმტკიცებას უწყობდა ხელს მთელი თავისი-აპარატით, მას ჰქონიდა სათაყვანებლად მთელი ტრადიციითა და ავტო-რიტეტით. ამ კულტურის მატერიალური და იდეური ლიტებულე-ბანი არაჩვეულებრივი და მძლავრიანობის წრომიდგენ-დენ გაბატონებული ბურჟუაზიის ხელში და, ბოლოს და ბოლოს, მათი დანიშნულება იყო სამარადისოდ განემტკიცებით ეს ბატონობა, რომელსაც მშრომელი მასების უფლებობა ედვა სა-ფუძვლად.

ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც წამოაყენა ძირითადი ამო-ცანა—საზოგადოების ძირიან ფესვიანად გარდაქმნა და სოციალიზმისა და კომუნიზმის დამყარება, პროლეტარიატის, რომელიც მო-ექცა ხელისუფლების სათავეში, მეტის-მეტად დიდი ამოცა-ნა დაუსახა: მას უნდა აელო ძველი კულტურის აუარებე-ლი. მაგარი პოზიცია და დაპატრიონებოდა მთელ მის

იარაღს, რომ გარდაექმნა მთელი საზოგადოება ახალ, სოციალი-სტურ საფუძვლებზე, რომ ახალი კულტურის ყველა მიზანი და ამო-ცანა მტკიცედ და ურყევად დაექვემდებარებია პროლეტარიატის ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის.

სანგრძლივი სასტიკი ბრძოლა იყო საჭირო ამისათვის. ამიტომ მუშათა კლასის ხელმძღვანელმა ორგანოებმა მოახდინეს კუ-ლტურისა და განათლების მთელი საქმის ცენტრალიზაცია (ნაციონა-ლიზაცია), თვითონ აიღეს ეს საქმე ხელში და ამ ფრონტზე ერთ-ერთ პირველ და მთავარ მებრძოლად მოიშვივს რევოლუციის ყველა ფრონტზე არა ერთხელ ნაცალი მეგობარი და თანამო-საზრე—ამ. პოკროვსკი. დღეს, ამ. პოკროვსკის ღვაწლის აღნი-შვნის დღეს, უნდა ითქვას, რომ პროლეტარიატი არ შე-მცდარა, ის მართალი იყო, როდესაც დაენდო ამ. პოკროვსკის და ჩაბარა მუშათა კლასისთვის ესოდენ საჭირო, დიდი და ძნელი საქმე.

ამ. პოკროვსკი არის სახალხო განათლების ახალი, საბჭოთა, სისტემის შემქმნელი, ის არის მთელი საგანმანათლებლო მუშაობის სა-უკეთესო ხელმძღვანელი, როგორც სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პოლიტიკური სექციის თავმჯდომარე,—მთელი ჩვენი სასკოლო აღმშე-ნებლობის წმინდა მარქსისტული ხასიათის დაცვის მე-თვალყურე და კონტროლი.

ვინაიდან პოკროვსკი ძალიან კარგად იკნობდა ძველ სკოლას, მის მსოფლმხედველობას და მასში გამეფებულ მე-თოდებს,—კარგად ესმოდა, რომ ამ მოვლენასთან მხოლოდ და მხო-ლოდ უარყოფითი მეთოდებით ბრძოლა არ იყო სა-კმაო და არც შეიძლებოდა.

ძველი იდეალისტური სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის ნა-ცვლად, რომელსაც საფუძვლად ედგა შიში, ნონობა და ძალ-დატანება,—მან ამოცანად დაისახა სკოლაში შეეტანა—და კიდევ დაიწყო ამის განხორციელება—„მებრძოლი კომუნიზმის—მარქსიზმის მსოფლიოს შემეცნება, რომელიც ბრძანა რწმენას და მორჩილებას კი არ ეყრდნობა, არამედ ყოველივე მის, რაც ქვეყნად არსებობს, უში-შარ ანალიზს და აღამიანის ძალ-ლონის ღრმა რწმენას“.

ასეთი გარქსისტული მიღვომით არის სავსე მთელი მისი მუშა-ობა ახალი კულტურის აღმშენებლობის დარგში, ამ კულტურის პი-რველადი უჯრედიდან, ე. ი. ჩვენი ოთხწლედიდან, დაწყებული.

ოქტომბრის რევოლუციამ წამოაყენა ძირითადი ამოცანა—სა-ზოგადოების ძირიან-ფესვიანად გარდაქმნა და სოციალიზმისა და კო-

მუნიზმის დამყარება; ამავე დროს წამოაყენა მეორე ამოცანა — ისეთი ახალი ადამიანის აღზრდა, რომელსაც უნდა ექნეს ახალი მსოფლიშედველობა, ახალი მისწრაფებანი, ცოდნა და ჩვევანი.

მოხერხებული აღმშენებელი-კოლექტივისტი და სოციალიზმისა და შუშათა კლასის იდეოლოგისათვის თავდადებული მებრძოლი, — აი, როგორი ახალი ადამიანისა საჭირო ოქტომბრის რევოლუციის პრაქტიკული ამოცანებისათვის, და სწორედ ასეთ მოთხოვნებს უყენებს ეს რევოლუცია ახალ ადამიანს. ასეთ მოთხოვნებს, ასეთ ამოცანებს აღზრდის ისტორია წინათ არ იცნობდა. ამიტომ ოქტომბრის რევოლუცია იყო ძირითადი გარდატეხა, ის იყო რევოლუცია აგრეთვე აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის დარგშიც. ოქტომბრის რევოლუცია არის ის თარიღი, საიდანც იწყება მარქსის, ენგელსის და ლენინის რევოლუციონურ-პედაგოგიური იდეების რეალიზაცია და ეყრება საფუძველი ნამდვილ და ჟრად-ერთ მეცნიერულ პროცეტარულ პედაგოგიკას.

პროლეტარიატს, რომელიც აწარმოებდა საზოგადოების გარდაქმნას ახალ საფუძვლებზე, რომელიც ჰქმნიდა ახალ ეკონომიკას და ახალ ცხოვრებას, ამვე დროს სასწავლოდ უნდა დაეორგანიზებია დაგანემტკიცებია კულტურული ფრონტი, რომ გამოეჭედა ახალი ადამიანი, ახალი მასები, რომ მოქმედებია რევოლუციის და სოციალისტური აღმშენებლობის ახალი ძალა; კულტურული ფრონტი, როგორც რაოდენობით, ისე თვისებით უნდა შეეფერებოდეს ოქტომბრის დიად ამოცანებს, ის უნდა იყოს აღმშენებლობისა და ბრძოლის ყველა დანარჩენი ნაკვეთების იდეოლოგიური დასაყრდენი.

შუშათა კლასს, რომელიც დაადგა ახალი საზოგადოების შექმნის გზას, კულტურული ფრონტის თრგანიზაციისა და სახალხო განათლების პრაქტიკულად ჩამოყალიბების დროს რევოლუციიამდე არსებული პედაგოგიკიდან ძალიან მცირე რამით თუ შეეძლო ესარგებლნა: აღზრდის მიზნებისა და ამოცანების ძირიან ფესვიან-ფესვიანად შეცვლა აყენებდა საკითხს, რომ ასევე ძირიან-ფესვიანად უნდა შეცვლილიყო აღზრდის საშუალებანი და მეთოდები, ვინაიდან ახალი აღამიანის შექმნა, აღზრდის ახალი მიზნების მიხედვით ახალ საშუალებათა და ახალ მეთოდთა გამოყენებაზეა დმოკიდებული. ამრიგად, საჭირო იყო საძირქვლის ჩაყრა და ახალი მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის რევოლუციონური ტემპით შექმნა.

კონკრეტულად ეს შემოეგს ნიშნავს:

ა) აღზრდის მწყობრი მარქსისტული თეორია დასაბუთებულად უნდა დაყრდნობოდა მეცნიერის ურყევ დებულებებს, სოციალიზმისა და კომუნიზმის სამყარების ამოცანების შესატყვისად; მკაფიოდ უნდა მოხაზულიყო სახალხო განათლების მთელი სისტემა, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ყველა ტიპი და განსაზღვრულიყო თითოეული მათგანის მუშაობის მიმართულება, შინაარსი და მეთოდები, ახალი ადამიანის—აღმშენებლისა და მებრძოლის—აღზრდის ამოცანების შესატყვისად.

ბ) საპროგრამო მასალა უნდა ჩამოყალიბებულიყო და მოწეს-რიგებულიყო კომუნისტური აღზრდის თვალსაზრისით, აგრეთვე უნდა გამომუშავებულიყო აღზრდის მეთოდები.

გ) საჭირო იყო კომუნისტური აღზრდის ახალი მატერიალური ბაზის შექმნა და განმტკიცება (შექმნა სასწავლო და სხვა ლიტერა-ტურის და სხვ.).

დ) საჭირო იყო ძირიან-ფესვიანი გარდატეხის მოხდენა განათლების მუშაქთა ფართო მასის საერთო და პედაგოგიურ შეგნებაში და მათი გადაჭრევა კომუნისტური აღზრდის საიმედო ხელმძღვანელებად და

ე) ხელმძღვანელთა ახალი კადრების შექმნა სოციალისტური აღმშენებლობის ყველა დარგისათვის.

საბჭოთა პედაგოგიკა, რომელსაც წარმოუდგენელი სიძნელეების გადალახვა უხდებოდა, მაგრამ მუდამ გადაუხვევლად მიჰყვებოდა მარქსისა და ლენინის ანდერძს, ოქტომბრის 11 წლის თავისთვის გაიზარდა და განმტკიცდა და პროლეტარიატის ხელში ამჟამად წარმოადგენს მძლავრ მეცნიერულ იდეოლოგიურ ძალას, და ბურჯუაზიულ პედაგოგიურ ბანაკში მოკალათებული მტრებიც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მას. ბევრი ამოცანა საბჭოთა პედაგოგიკაში უკვე დაამუშავა მეცნიერულად და გადაჭრა, ბევრი ამოცანა კი ჯერ ისევ გადაჭრის პროცესში იმყოფება. მეცნიერული აზროვნების მეთოდი,—დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდი,—საბჭოთა პედა-გოგიკაში განმტკიცებული, უზრუნველყოფს ჩვენს გამარჯვებას და უდავო წარმატებას კომუნისტური აღზრდის თეორიული და პრაქ-ტიკული საკითხების გადაჭრის დროს.

მარქსისტული პედაგოგიკის უდიდეს მოღვაწეთა რიგებში ერთ-ერთი პირველი ადგილი მ. ნ. პოეროვსკის უჭირავს.

პროფესიით პედაგოგმა, გამობრძმედილმა რევოლუციონერმა, სპეციალობით მეცნიერმა ისტორიკოსმა, რომელსაც ფრიად დიდი

ერუდიცია აქვს და მშენებლობს აზროვნებისა და კვლევა-ძიების უნივერსალური მარქსისტული მეთოდით, — პოკროვსკიმ ძალიან ბევრი რამ გააკეთა სახალხო განათლების საბჭოთა სისტემის ორგანიზაციის მხრივ, როგორც ჩ. ს. ფ. ჩ. განათლების სახალხო კომისარიატის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა (გან. სახ. კომისარის მოადგილე), როგორც სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარებმ, როგორც თეორეტიკოსმა პედაგოგმა და მეთოდისტმა ისტორიკოსმა. მისი მეტად დიდი და სხვადასხვაგვარი პედაგოგიური დამსახურებიდან შემდეგი უნდა აღინიშნოს:

ა) სრულიად საკავშირო კომპარტიის (პ) ცეკას დავალებით მ. ნ. პოკროვსკიმ გარკვეულ წმინდა მარქსისტულ დებულებებში დაასაბუთა ის პრინციპები, რომლებიც დაედგა საფუძვლად სახალხო განათლების საბჭოთა სისტემას, მოგვცა სახელმძღვანელო მითითებანი კულტურული ოლმშენებლობის საქმეში, შინაარსი და მეთოდები, თანაც ძირითად პრინციპად წამოაყენა და განამტკიცა პოლიტექნიზმის იდეა;

ბ) როგორც პროლეტარიატის დიქტატურის უშუალო და აქტიურმა მონაწილემ, საქსებით ნათლად შეიგნო მუშათა კლასის როლი საბჭოების სახელმწიფოს სამეცნიერო, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელობის საქმეებში; მუშათა კლასს თავისი წრიდან უნდა მოეცა კადრები რევოლუციონური, მცოდნე სპეციალისტების, მეთაურების და სოციალისტური სახელმწიფოს სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელების; მიზნით, რომ გაეადვილებია მუშათა კლასისათვის ამ პასუხსავები ამოცანის შესრულება, პოკროვსკიმ აიღო ინიციატივა და იკისრა მუშათა განათლების იდეის წამოყენება და განხორციელება, მუშებისათვის სპეციალური ტიპის სკოლის — მუშთაკის ჩამოყალიბება, და ჩვენ ვიცით, რომ მუშთაკების მეოხებით მრავალმა ათასმა პროლეტარმა გაიკაფა გზა უმაღლესი სპეციალური სასწავლებლისკენ, ისინი მოემზადენ და შეიქნენ პროლეტარული სახელმწიფოს სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელები; ამავე დროს პოკროვსკი იავითონ უშუალოდ უწევდა ხელმძღვანელობას მუშთაკს, სანამ ის არ მომავალი და სახალხო განათლების სისტემის ერთ-ერთ სრულიად უდავო და აუცილებლად საჭირო რგოლად არ გადაიქცა.

გ) როგორც პედაგოგი და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი, პოკროვსკი უშუალო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ შრომის სკოლების ახალი პროგრამების შედგენაში, ამ პროგრამე-

ზის გამოქვეყნება კი სრულიად სამართლად ითვლება რევოლუციის მოხდენად პედაგოგიკაში: ახალ კომპლექსურ პროგრამებში პირველად ჩამოყალიბდა მკაფიოდ და გარკვევით საბჭოთა სკოლის მიზნები და მუშაობის ფორმები, მკაფიოდ ასახა კომუნისტური აღზრდის მეთოდება.

სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პროგრამები — ეს არის მარქსისა და ლენინის პედაგოგიური იდეების რეალიზაცია.

მწყობრი მარქსისტული მსოფლმხედველობის შემუშავება ბუნებისა და ცხოვრების მოვლენათა კომპლექსის ან ალიზისა და შესწავლის მიზნით, — თანაც ამ მოვლენათა შორის არსებული მიზეზობრივი, დიალექტიკური კავშირი, უნდა იქნეს შესწავლილგანნილული; თეორიასა და პრაქტიკას შორის განუყოფელი კავშირის იდეის გატარება; მოთხოვნა, რომ მიღებული ცოდნა გამოყენებული იქნეს ბუნებისა და ცხოვრების პრაქტიკულად გარდაქმნა-გადაკეთების საქმეში, რასაც საზოგადოებრივი შრომისა და ცხოვრების გაუმჯობესების ინტერესები უნდა ედგას საფუძვლად; აღზრდა სოციალიზმის ყოველმხრივად განვითარებული ცშენებლისა და მისთვის შებრძოლისა — ახალგაზრდობის მიერ მუშათა კლასის აღმშენებლობასა და ბრძოლაში დაორგანიზებული, კოლექტიური მონაწილეობის მიღების მეოხებით, — აი, კომუნისტური აღზრდის ძირითადი იდეები, რომლებიც სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ახალ პროგრამებშია განხორციელებული, დასაბუთებული და გამართლებული, ეს არის ამხ. პოკროვსკის მეტად დიდი დამსახურება.

პროკროვსკის მიერ შექმნილი კომპლექსური პროგრამები განსაკუთრებით იმით არის ძვირფასი, რომ მთელი სწავლება, ცოდნის შეძენა და ჩვეულების გამომუშავება, ამ პროგრამების მიხედვით, საჭიროა დიალექტიკური მეთოდით. პოკროვსკის ამით სურს მასწავლებელთა მასებს შეათვისებინოს, რამდენად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს დიალექტიკას.

მაგრამ საჭიროა დიალექტიკა არა აბსტრაქტული თეორიის. სახით, არა პოლიტ.-ანანის დასწავლის სახით, არამედ მით უნდა იყოს გაელენთილი სკოლის მთელი მუშაობა, — განსაკუთრებით ძვირფასი კი არის კომპლექსურ პროგრამებში დიალექტიკური დაკავშირება საზოგადოებათმეცნიერებისა და ბუნებისმეტყველებისა, რომლებსაც ასწავლიან მოწავეებს.

პოკროვსკის, როგორც პედაგოგ თეორეტიკოსს, დაწერილა აქვს შესანიშნავი ნაშრომები, — „მარქსიზმი სკოლაში“, „მარქსიზმი პირველი და მეორე საფეხურის სკოლის პროგრამებში“, რომლებშიც ის,

ახალი მარქსისტული პროგრამების ავტორი, იძლევა ამ პროგრამების ანალიზს, თანაც იშეიათი მოხერხებულობით და საკითხის ღრმა ცოდნით გვიშლის თვალშინ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პროგრამების მარქსისტულ რაობას და მნიშვნელობას. ამ ნაშრომების მეოხებით მრავალი ასიათასი განათლების მუშავი სწავლობს და შემდგომაც ისწავლის სარქსიზმს პედაგოგიკის დარგში გამოყენებით.

პედაგოგი ლენინელი და კულტურული ამლშენებელი, ამხ. პოკროვსკი არა ერთხელ შეჩერებულა და აუხსნია ლენინის შეხედულება განათლების ამოცანების შესახებ, როგორც, მაგ., თავის ნაშრომებში: „ლენინი და განათლება“, „ლენინი და უმაღლესი სკოლა“.

თავისი ბეჭდვითი და ზეპირი გამოსვლებით ის ხელს უწყობდა მშრომელი ინტელიგენციის რიგებში რეკოლუციის სასარგებლოდ პოლიტიკური გარდატეხის მოხდენას და ამით ამრავლებდა და ამაგრებდა ახალი წესწყობილებისათვის მებრძოლთა კადრებს (წერილების: „მასწავლებელთა ყრილობის გამო“ და სხვ).

ვ) როგორც საზოგადოებათმეცნიერება-მეთოდისტმა, პოკროვსკიმ განსაკუთრებული როლი ითამაშა სასკოლო საზოგადოებათმეცნიერების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში: მარქსისტული პროგრამების შედგენა საზოგადოებათმეცნიერებაში, თანადროულობაზე განწყობით, მაგრამ თანადროულობის გაშუქებით ისტორიულ პროცესში (ისტორიზმი); პროგრამებში თანადროულობის საკითხების შეხამება მეცნიერულ-ისტორიულ მასალასთან; ხელმძღვანელობის გაწევა საზოგადოებათმეცნიერების სამუშაო წიგნების შედგენის დროს, — ეს წიგნები კი მარქსისტული სილრმისა და პედაგოგიური ცოდნა-უნარის ნიმუშებს წარმოადგენენ, ხელმძღვანელობა და უშეალო მონაწილეობის მიღება სასკოლო საზოგადოებათმეცნიერების მეთოდების შემუშავებაში; ხელმძღვანელობის გაწევა საზოგადოებათმეცნიერების მეთოდების შემუშავებაში; ხელმძღვანელობის გაწევა საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელთა გადამზადებაში (როგორც გადამზადებელი, პოკროვსკი 1927 წელს ჩვენშიც იყო, კოჯორის კურსებზე); ხელმძღვანელობის გაწევა ნიჭიერ საზოგადოებათმეცნიერთა, მარქსისტ-მეთოდისტთა შთელი სკოლისათვის, — ი მრავალმხრივი მოლვაწეობა ამხ. პოკროვსკის, როგორც სასკოლო საზოგადოებათმეცნიერების შემქმნელის და მთავარი ხელმძღვანელის მთელ საბჭოთა კავშირში. ამავე დროს პოკროვსკი არის შესანიშნავი პედაგოგი და თავისი მოწაფეების დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზატორი,

პოკროვსკის იუბილე, ეს ზეიმი, — ჩვენს პედაგოგიურ ენაზე ნიშნავს მასიურ, საერთო-საგანმანათლებლო, საერთო-კულტურულ ზეიმს. მარქსისტულ საფუძვლებზე განმტკიცებული პროლეტარული პედაგოგიის, როგორც სოციალიზმისა და კომუნისტური საზოგადოების შენებელთა და ამ საქმისათვის მებრძოლთა ახალ-ახალი კადრების აღზრდის მძლავრი იარალის.

პოკროვსკი არის მარქსისტული პედაგოგიკის ერთ-ერთი უდიდესი შემქმნელი და სწორედ ამიტომ ვაფასებთ და გვიყვარს იგი.

ყოველი პატიოსანი საბჭოთა მშრომელი ინტელიგენტის გზა — ამხ. პოკროვსკის გზა უნდა იყოს, იმ პოკროვსკის, რომელიც მოვიდა პროლეტარიატთან მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი გამძაფრებულ ბრძოლას აწარმოებდა, მოვიდა მთელი თავისი ცოდნით, მთელი თავისი ენერგიით და ნებისყოფით, ომში ყოველივე ეს შეეწირა პროლეტარიატის დიდი მიზნებისა და ამოცანებისათვის. პოკროვსკის გზის არჩევა ნიშნავს ბრძოლას საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციისათვის, იმ რევოლუციისათვის, რომელიც მარქსიზმისა და ლენინიზმის მოძლეულებაზე აღმოცენდა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე.

მ. ორაზელაშვილი.

ისტორიკოსი-მარქსისტი.

მ. პოკროვსკის იუბილეს გამო.

მიშლინარე წლის 25 ოქტომბერს მთელმა საბჭოთა კავშირმა დიდის ზეიმით გადაიხადა პროფ. მ. ნ. პოკროვსკის დაბალების 60 წლის თავი. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ქართველი საზოგადოების სურვილიც, რათა გაიგოს, თუ რა დამსახურება მიუძლვის პროფ. პოკროვსკის ქვეყნის წინაშე ისეთი, რომ ისეთი არჩევულებრივი პატივი და სიყვარული ჰქვდა მას წილად. ყველამ იცის, რომ მ. ნ. პოკროვსკი დიდი პოლიტიკური მოღვაწეა, იციან, რომ ჩუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ფარგალში ის ხელმძღვანელობს სწავლა-განათლების საქმეს, იციან ისიც, რომ ის ისტორიკოსია, მაგრამ რა დამსახურება მიუძლვის მას, როგორც ისტორიკოსს, რა შესძინა მან კერძოდ ჩუსეთის და საზოგადოდ კი მსოფლიო ისტორიულ მეცნიერებას, ეს შეიძლება იცოდენ მხოლოდ მასთან პირადად დახსლოვებულმა პირებმა, ან ისტორიის სპეციალისტებმა. რუსეთის ისტორიის არ აკლდა მეცნიერები და მკვლევარები პროფესორ პოკროვსკიმდეც-

ისეთი სახელები, როგორც სოლოვიოვი, კლიუჩევსკი და სხვანი — ყოველი ერის ისტორიოგრაფიას დამშენებდენ თავის დროზე. მით უფრო ძნელი იყო მათ შემდეგ რამე ახალი შეეტანა ისტორიკოსს მეცნიერებაში. პროფ. პოკროვსკიმ კი არა თუ რამე შეიტანა, მან სრულიად გადაამუშავა და გარდაქმნა რუსეთის ისტორია და დაგვანახვა რუსეთის წარსულის ისეთი სილრმეები, რომელსაც უწინდებურად მთაზროვნე ხალხი გრძნეული ძალის გავლენას მიაწერდა. აქ კი ჩვენ საქმე გვაქვს იშვიათ ნიჭთან, ამასთანავე საუკეთესო კვლევა-ძიების იარალით აღჭურვილთან, ისეთი იარალით, რომელიც ერთსადაიმავე დროს რთული და ნაზიც არის და ბასრიც. ეს იარალი არის პროლეტარული მიდგომა მოვლენათა ახსნისადმი. მარქსისტული მეთოდი კვლევა-ძიებისა.

მ. ნ. პოკროვსკიმ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოში. პოლიტიკური ოწმენის გამო არა მარტო მთავრობის მიერ, არამედ ლიბერალური პროფესორების მიერაც დევნილს, მას არ ჰქონდა საშუალება გამხდარიყო მაშინდელ მეცნიერების კერაზე ერთ-ერთი სრულფლებოვანი წევრთაგანი. ამიტომ მას ხელთ არ ჰქონდა ყველა პირველწყარო, რომელიც მისთვის საჭირო იყო რუსეთის ისტორიის გადასამუშავებლად, მაგრამ სამაგიეროდ მას ჰქონდა მარქსისტული ალლო საზოგადოებრივი მოვლენების ანალიზისა, რომელიც მან შეიძინა თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში. მ. ნ პოკროვსკი თვითონვე ამოწმებს, რომ თანამედროვე ცხოვრების ავკარგის და ინტერესთა კვანძის ამოცნობა მას ყველაზე მეტად შველიდა ისტორიული მომენტების გამუჯებაში. ოლონდ ამ პირობებში საჭიროა, რომ მეცნიერი არ შეუშინდეს პოლიტიკას, არ შეუშინდეს იმ უფსკრულს, რომელიც მის წინაშე იხსნება მწვავე პოლიტიკურ მომენტებში, და ჩაიხედოს შიგ. იქ ის ამოიკითხავს ბევრ ისეთ რასმე, რასაც მას ვერ მისცემს თავისთავად ვერც მეცნიერება, ვერც სკოლა. წითელმა ნიაღვარმა, — ამბობს პროფესორი პოკროვსკი, — ისეთი სილრმეები გახსნა ჩვენ წინაშე, რომ მეცნიერთ თავბრუ დაესხათ და უმეტესობამ ამ საშიშ სანახაობას ვერ გაუძლო და ისევ წინანდელ ნაპირს მიაშურა, ჩამოშორდა რევოლუციის, რომელსაც წინათ თითქოს თანაუგრძნობდა და ვერც გაიგო ცხოვრების ამოცანამ.

მ. ნ. პოკროვსკი არ შეუშინდა არც წითელ ნიაღვარს, არც უფსკრულს, გაბედულად ჩაიხედა შიგ და შემდეგ ამ გამოცდილებით აღჭურვილი შეუდგა რუსეთის ისტორიის დამუშავებას.

ჯერ კიდევ ძველი რეეიმის დროს მან გამოსცა დიდი კურსი რუსეთის ისტორიისა. ეს ის დრო იყო, როდესაც კლიუჩევსკის კურ-

ი ახალი გამოცემული იყო და მისი სახელი, როგორც ისტორიკოსისა, გრგვინავდა რუსეთის საზოგადოებაში. როგორ გაბედა ჯერ საზოგადოებისათვის უცნობმა მეცნიერმა კლიუჩევსკის კურსის თით-ქმის პარალელურად თავისი კურსი გამოიცა? გაბედა იმიტომ, რომ მის კურსში სულ სხვაგვარი ახსნა იყო რუსეთის ისტორიული განვი-თარებისა. ეს პირველი კურსი იყო ისეთი, რომელიც რუსეთის ცხოვ-რების განვითარებას ხსნიდა სამეურნეო განვითარების და მის მიერ გამოწვეულ კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობის ნიადაგზე.

თუ როგორ შეხვდა ოფიციალური, საუნივერსიტეტო მეცნიე-რება პროფ. პოკროვსკის ახალ შრომებს, იქიდანა ჩანს, რომ მას-არასოდეს მტკიცედ ფეხი არ შეუდგამს უნივერსიტეტში, ვიდრე 1917 წლის რევოლუციამ არ მისცა ამის საშუალება. როდესაც მი-სი პირველი შრომა გამოვიდა რუსეთში ბატონიუმბის წარმოშო-ბის შესახებ, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ ბატონიუმბა შედე-გი იყო არა მეფეების განკარგულებებისა, არამედ სახალხო მეურ-ნეობის ნიადაგზე წარმოშობილ ურთიერთობისა, — ყველა ცნო-ბილმა მეცნიერმა განაცხადა, ეს ახსნა არამეცნიერულია, და და-ჰვერ მ. ნ. პოკროვსკი, როგორც მეცნიერების შემარცხევნელი და დამამცირებელი. ერთად ერთი სემეუსკი იყო, რომელმაც ვაბედა და თქვა, რომ თუმცა მე პოკროვსკის არასოდეს არ დავეთანხმები მის-თვალსაზრისში ბატონიუმბის წარმოშობის შესახებ, მაგრამ იმისი შრომა მაინც საინტერესოა, გრძელებულ დიდი ნიჭი ეტ-ყობაო. მეორე ამგვარი შემთხვევა მოხდა მაშინ, როდესაც მ. ნ. პოკ-როვსკიმ სკადა დეკაბრისტების აჯანყება აეხსნა ისე, როგორც ეკონომიკურ ნიადაგზე კლასობრივ ინტერესების გამოშელავნების შე-დეგი. ის ამტკიცებდა და ახლაც ამტკიცებს, რომ რუსეთის ბურ-უაზია, როვორც ექიმის ბურუუაზიასთან შედარებით ჩამორჩენილი და სუსტი, კარჩაკეტილობის და შეუზღუდავი ეკონომიკური პოლი-ტიკის მომხრე იყო, ვინაიდან უცხოეთის და განსაკუთრებათ ინგლი-სის ბურუუაზის კინკურუნციის ეშინოდა. მსხვილი მიწათმფლობე-ლები კი, რომელთაც დიდალი პური ჰქონდათ გასაყიდი, ევრო-პასთან დაახლოვების მომხრე იყვნენ, ვინაიდან პურის გაყიდვა მოე-წყობოდა მხოლოდ საერთოდ საზღვრების გახსნის და ვაჭრობის თა-ვისუფლების პირობებში. ამიტომ რუსეთის მიწათმფლობელი არის-ტოკრატია ითვისებს ბურუუაზის ფსიქოლოგიას და ებმარება ფარ-თო რეფორმებს, რომლის პროექტებიც მან წინასწარ შეიმუშავა და რომლის განსახორციელებლადაც გადატრიიალების მოხდენა განიზ-რახა. მანამდე კი ისტორიკოსები ფიქრობდენ, რომ დეკაბრისტების

გამოსვლა წმინდა იდეოლოგიური მოვლენა იყო და გამოხატავდა ევროპის გავლენას იმ არისტოკრატიულ ახალგაზრდობაზე, რომელიც ნაპოლეონის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს ევროპის კულტურას გაეცნო. როდესაც მ. ნ. პოკროვსკიმ თავისი აზრი პირველად გამოსთქვა, ისტორიული მეცნიერების ოფიციალური წარმომადგენელნი საშინლად აღაშფოთა ამნაირმა კადნიერებამ. სემევსკი ამბობდა, რომ ის არავითარ შემთხვევაში დეკაბრისტების გამოსვლის ამგვარ ახსნას არ დაეთანხმება. იმ დროს ცნობილი და სახელმოვანი მეცნიერი კიზევეტერი, კონსტიტუციონურ-დემოკრატიული პარტიის მეთაურთაგანი, მ. ნ. პოკროვსკის ამგვარ გამოსვლაში დიადი ისტორიული მომენტის დამცირებას და რევოლუციონური მოლვაწეების შეურაცყოფას ჰქონდა. თვით მარქსისტ-ისტორიკოსმა როუკოვშაც ვერ დააფასა მ. ნ. პოკროვსკის სამეცნიერო ლვაწლი. იმისი თვალსაზრისი სრულიად არ უდგებოდა ისტორიის ახსნას ფართო მასების ეკონომიური განვითარების ნიადაგზე. სხვა ისტორიკოსებთან ერთად მასაც ეს პროცესი წარმოდგენილი ჰქონდა ისე, როგორც მოწინავე წოდების და მთავრობის პოლიტიკის შედეგი.

მთელი ისტორიული აზროვნება იმ დროს იმ თეორიის გავლენის ქვეშ იყო, რომელიც საბოლოოდ ყველაზე მკაფიოდ გამოხატა მილიუკოვმა. ეს თეორია იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის მთავრობა არ იყო დაუუძნებული კლასობრივ ნიადაგზე. ჯერ სამხრეთის ველში მოხეტიალე ხალხის წინააღმდეგ თავდაცვის მოწყობა, შემდეგ დასავლეთ სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლა აიძულებდა ხალხს, რომ მას შეექმნა თავდაცვის მთავრობა. ამიტომ რუსეთის მთავრობა ზეკლასიური ხასიათისა იყო. ის ერთნაირად იმორჩილებს ყველა წოდებას, ერთნაირად ავალებს მათ ვალდებულებებს და ამაგრებს მასზე. ბიიარები-მემამულეები, ვაჭრები, გლეხები—ყველა თავის მოვალეობაზე იყო მიმაგრებული და ყველა ესენი ებრძოდენ მას თავისი წოდებრივი ინტერესების დასაცავად. აშგვარი პოლიტიკის შედეგი იყო აგრეთვე ბატონიშვილის და ამიტომ მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველას თანაბარი წილი უძევს. ამ დებულებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა მეოცე საუკუნის პოლიტიკურ მოძრაობაში.

ეს თეორია იქამდე უდაოდ და ურყევად ეჩვენა ყველას, რომ ამას მხარს უჭერდა თვით მარქსისტი პლეხანოვიც და შემდგომ ტროცკიც.

ყველა ამათ წინააღმდეგ გამოილაშქრა მ. ნ. პოკროვსკიმ და დაამტკიცა, რომ ამ თეორიას არავითარი მეცნიერული საუკუნეელი

არა აქვს. იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა კლასობრივი ხასიათისა იყო, პოკროვსკის მოუხდა თითქმის რუსეთის მთელი ისტორიის გადამუშავება, რისთვისაც საჭირო აღმოჩნდა უკეთ გამოყენებული პირველწყაროების ხელახლად გადასინჯვა და ახალი წყაროების გამოყენებაც. თავის მუშაობის ამ სტატიაში მ. ნ. პოკროვსკი აწარმოებს წყაროების დეტალურ გარჩევას, როგორც ემპირისტი-მეცნიერი, მაგრამ, წინააღმდეგ ძველი სკოლის ზოგიერთ წარმომადგენლისა, არ ავიწყდება თავისი მარქსისტ-ისტორიკოსის პოზიცია, არ ავიწყდება, რომ კლასთა ეკონომიკური წინააღმდეგობა საფუძველია ყოველი საზოგადოების არსებობისა, ხოლო დიალექტიკა არის მიმართულება ისტორიული განვითარებისა. ამიტომ ამ მუშაობის შედევი ის იყო, რომ პროფესორმა პოკროვსკიმ დაამტკიცა სავაჭრო კაპიტალის არსებობა რუსეთში ითანე მრისხანეს დროიდან დაწყებული. რუსეთის ისტორიკოსებს ეუცხოვებოდათ ასეთი დასკვნა, იმათ ფიქრადაც არ მოსდიოდათ ამ დროს სავაჭრო კაპიტალის არსებობის შესაძლებლობა, მაგრამ დიალექტიკური თვალსაზრისი სრულიად აღვილად ხსნიდა ამ მოვლენას. მთავარი აქ ის იყო, რომ ვაჭრობას რაოდენობითაც და თვისებითაც სხვადასხვა სახე აქვს კულტურის განვითარების სხვადასხვა პერიოდში. არის ისეთი ფორმა ვაჭრობისა, რომელიც არ ეწინააღმდეგება ნატურალურ, კარჩაკეტილ ვოტჩინურ მეურნეობას, არის ისეთი ვაჭრობაც, მაგალითად, კიევის რუსეთში, რომელიც სასოფლო მეურნეობის მეტისმეტად მარტივ ფორმებსაც კი შეეფერება. საჭმე აქ ისაა, თუ რას ჰყიდის ვაჭარი. ცვილი და ბეჭვეული, რომელსაც ვაჭრები ჰყიდდენ კიევის პერიოდში, ახოს აღების სამეურნეო სისტემას საესებით შეეფარდება. ითანე მრისხანეს დროის ვაჭრობაც ბევრით არ წასულა წინ შედარებით კიევის პერიოდის ვაჭრობასთან. მაგრამ ვაჭრობის ამ ფორმებსაც დიდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფოზე და ხელისუფლებაც ძლიერ ზრუნავდა მასზე. მიწათმფლობელობის მოწყობის საკითხშიც მთავრობა ხელს უწყობს ისეთ პოლიტიკას, რომელიც ავითარებს ვაჭრობის ხელსშემწყობ სასოფლო მეურნეობას. თვით ამ პერიოდის ომებიც — ლიკონიის ომი — მიზნად სწორედ სავაჭრო ინტერესებს ისახავდა.

ეს პოლიტიკა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა პეტრე პირველის დროს, რომლის მეფობის პერიოდიც პროფ. პოკროვსკიმ სრულიად სხვა სახით წამოუყენა მკითხველებს, ვიდრე მილიუკოემა თავის სპეციალურ შრომაში. აღმოჩნდა, რომ მთელი პოლიტიკა ამ კაცისა იმით კი არ აიხსნება, რომ იგი სახელმწიფოს ფინანსიურ საჭიროე-

ბას უმორჩილებს და ანაცვალებს წოდებათა ინტერესებს, არამედ იმითი, რომ სწორედ ეკონომიურად მოწინავე წოდების ინტერესები მოითხოვდა ამას. ამიტომაც მართვა-გამგეობის რეფორმების გატარებაში მას არ დავიწყებია ცენტრალურ ორგანოებს შორის სავაჭრო დაწესებულებებიც დაერჩინა, ისე რომ პეტრე პირველის მთავრი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ ხელი შეეწყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის რუსეთში და შეექმნა საშუალება-რუსეთიდან უცხოეთში საქონლის გაზიდვისა და გაყიდვისა. ამით აიხსნება მისი მერკანტილისტური პოლიტიკაც. აღბათ ამით აიხსნება-ის მერყეობა რუსეთის მთავრობის პოლიტიკისა, რომელიც იხატება-ისტორიის სხვადასხვა პერიოდში. პოლიტიკა ხან თავად-აზნაურების კონსერვატიული ინტერესებისაკენ იხრება, ხან ისევ ბურუუაზიულისა-კენ, როგორც, მაგალითად, ალექსანდრე II ის და ალექსანდრ მე III-ის პოლიტიკა. აპან თუ მისცა ისტორიკოს როვერავს საბაბი, რომ რუსეთის ისტორია დაეყო პერიოდებად ისტორიული განვითარებას მი-მართულების მიხედვით: სტატიკის და დინამიკის პერიოდებად. ამ-გვარი დაყოფა მეცნიერულად 1 რუსლიად არანაყოფიერია და არც სწორე. პროგრესიულიც და რეგრესიული პოლიტიკაც არ შეიძლება ხალხის ეკონომიური ურთიერთობით არ აიხსნებოდეს. ამ ახსნას უნდა-მოძებნა და არა მთავრობის პოლიტიკის მიმართულების მიხედვით დაყოფა ისტორიისა პერიოდებად.

როდესაც მ. ნ. პოკროვსკი შეცხრამეტე საუკუნის ისტორიის კვლევა ძიებაზე გადადის, იქაც მთელ რიგ ხალ საკითხებს აყენებს, რომელიც ნათელს ჰქონის აქამდე სრულიად ბუნდში გახვეულ მე-ცნიერულ საკითხებს. ასეთი საკითხია, მაგალითად, გლეხების „გან-თავისუფლების“ საკითხი. მ. ნ. პოკროვსკი ამ სიტყვას ფრჩხილებში ათავსებს და ხსნის ამას იმით, რომ სამხრეთ რუსეთში სავაჭრო კა-პიტალიზმა განვითარა შავმიწაზე მცხოვრები მემამულე პლანტა-ტორის ტიპი, რომელიც გლეხების განთავისუფლებას თავის ინტე-რესების თვალსაზრისით ზომავდა. ჩრდილო რუსეთში იმავე სავაჭრო კაპიტალიზმა შექმნა მეორე ტიპი მემამულისა— მემამულე-მანჩესტე-რელისა, რომელიც აგრეთვე თავისი ინტერესების თვალსაზრისით იყო. დაინტერესებული გლეხთა განთავისუფლებით. ამათ შორის ბრძოლა მშექმნა ისეთი პირობები, რომელთაც „გლეხთა განთავი-სუფლების“ საკითხი გადასწყვიტეს ისეთნაირად, რომ იგი არ ჰგავდა განთავისუფლებას.

ამგვარად სავაჭრო კაპიტალის განვითარებამ პირველში გა-მოიწვია ბატონიუმბის უმწვავესი ფორმები, გაართულა იგი ყმების,

როგორც მაღაროებში და ფაბრიკებში მომუშავეების, ექსპლოტაციით, შეჰქმნა თავისებური ექსპლოატაცია მუშებისა მარილის ვაჭრობაში და თევზის ჭერაში სამხრეთ აღმოსავლეთ რუსეთში და ყველა ამან შეჰქმნა პუგაჩოვის აჯანყებაც, რომელიც მ. ნ. პოკროვსკის გაშუქებით სრულიად ახალი სახით გვევლინება. იმავე საეგვრო კაპიტალიზმით თავისი განვითარების შემდეგ სტადიაში ზეჰქვნა ბატონიშვილის უმწვავესი ფორმების მოსპობის აუცილებლობა. ესეც სინამდვილის დიალექტური განვითარებაა. აქაც მ. ნ. პოკროვსკის ამ სინამდვილის ორცნობაში დიალექტური განვითარების თევალსაზრისი შევლის.


ამგეარად ძირიან-ფესვიანად გადამუშავებული რუსეთის ისტორია ძვირფას მასალას იძლევა მსოფლიო ისტორიისათვისაც, სადაც ამგეამად დასმულია საკითხი. აგრეთვე სავაჭრო კაპიტალის არსებობისა ფეოდალიზმის დროის ვოტჩინურ ნატურალურ მეურნეობის პირობებში, რომელშიც აგრეთვე კვლევა-ძიების საშუალებათა ფარგალში მეცნიერების კრიზისის შესახებ არის საუბარი.

მ. ნ. პოკროვსკის შრომა უჩვენებს ახალ კვლევა-ძიების გზას, რომელიც მეცნიერებას ამ კრიზისიდან გამოიყვანს, ვინაიდან რამდენადაც მეტია დაბნეულობა რა კრიზისი მსოფლიო ისტორიაში ბურუუაზიულ მეცნიეროთა შორის (იხ. დოპშის შრომები), იმდენად უფრო ძლევამოსილია მ. ნ. პოკროვსკის მეცნიერული შემუშავედება, მით უფრო ადვილად იპყრობს მ. ნ. პოკროვსკის კალმას მეოხებით მარქსისტული კვლევა-ძიების მეთოდი მეოცე საუკუნის ისტორიას, რომლის ასპარეზი აქამდის სრულიად თავისუფალი იყო. 1905 წლის მამოძრავებელი ძალები, თვითმპურობელობის შექრა ჩიხში, შემდევ ისევ მისი გამარჯვება, შემდევ ახალ სარევოლუციო ძალების ზრდა, ყველა ეს უპირველეს ყოვლისა მ. ნ. პოკროვსკის დამუშავებულია.

ამას თუ დავუმატეთ ის, რასაც ამ ბოლო დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცივენ, რომ პროფ. პოკროვსკი მეცნიერი-მხატვარია, რაც განსაკუთრებით ჩანს ისტორიულ პირთა მხატვრულ დახასიათებაში, მაგ. იოანე მრისხანე, ალექსანდრე მესამე, — მაშინ ეს მეცნიერი თვალწინ წარმოგვიდება მთელი მისი არაჩვეულებრივი პიროვნებით და ნათელი იქნება ჩვენთვის მისი მნიშვნელობა არა მხოლოდ როგორც რუსეთის ისტორიულისა, არამედ როგორც მსოფლიო ისტორიულისაც, რომელმაც ახალი კვლევა-ძიების მეთოდები განამტკიცა და რუსეთის ისტორიის მაგალითზე უჩვენა ყოველ მეცნიერს, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ისტორია.

ଓফিস, সাক্ষাৎকারভূমি মুদ্রণশিল্প

হস্তি পত্রন্যোগলোক



ଓঁ পতি নোবাহুর সে ১১ বলিষ্ঠ তাৰিখ ১৯৩০ এবং
কুলতুলুল নোবাহুর সে সংস্কৃত শব্দ।

თერთმეტიმა წელმა განვლო დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობა დღესასწაულობს პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის 11 წლის თავს.

თუ კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების პირობებში შე-
იქმნა იმაზე უფრო მეტი ნივთიერი და სულიერი კულტურა, რაც
ერთად აღემულ კაპიტალისტურ მეურნეობამდე არსებულ საზოგა-
დოებაში, ოქტომბრის რევოლუციით კაცობრიობამ ისეთი ნაბიჯი
გადასდგა, რომელიც შეუძლებელი იყო და არის კაპიტალისტური
საზოგადოების პირობებში.

თუ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ჩამდენიმე ათეული წლის ბრძოლის შემდეგ წვრილ ბურჟუაზიული დიქტატურის ნანგრევებზე, 9 ტერმინორის შემდეგ, მთელი ძალაუფლება მსხვილ ბურჟუაზიას გადასცა,—ოქტომბრის რევოლუციით შესაძლებელი გახდა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება, და საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობა თავის მიწაწყვილზე ძალაუფლების სა-თავეში მოექცა.

ყოველ წელს ჩვენ ვაფასებთ იმ მიღწევებს, რომელიც მოგვე-პოება სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში და კულტურულ ფრონ-ტზე. ამ შემოწმებას არა აქვს მარტოოდენ მშრალი შეფასების ხასია-თი, არამედ ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ჩვენი საგეგმო ორ-განოები ისახავენ ახალ ამოცანებს ძველი გამოცდილების საფუძველ-ზე და შესაფეროის ლონისძიებებს იღებენ შემჩნეული ნაკლის აღმო-საფხრულად.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში ერთმანეთს ებრძევს სოციალისტური და კერძო კაპიტალისტური სექტორი, გეგმიან მოწესრიგებას — ბაზარი. ამ ეკონომიკური ჭიდლის გამოსახვას ჩვენ ფარულობთ კერძოდ იღეოლოგურ და საერთოდ კი კულტურულ ფრინტზე. ჩვენი მუშაობის უპირველეს ამოცანას მიმდინარე პერიოდში წარმოადგენს გამარჯვება იღეოლოგიურ ფრონტზე, რომელიც თავისი ბუნებით უალრესად კონსერვატორულია. იღეოლოგიის კონსერვატორული კედლების დამსხვრევა და ახალი სამეცნიერო ურთიერთობის საფუძველზე ახალი აღამიანისა ჲლა ახალი ყოფაცხოვრების შექმნა შეტაც მნიშვნელოვანი და ძნელი ამოცანაა.

ამ მიმართებით საბჭოთა კავშირში ოქტომბრის რევოლუციიდან დღემდე ბევრი რამ არის გაყეთებული, მაგრამ როდესაც ჩვენს კულტურას ვუფარდებთ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების კულტურას, ცხადი ხდება, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ სოციალისტურ საზოგადოებას საფუძველი მოვუმზადოთ. ბრძოლა კულტურისათვის ყოველთვის კაცობრიობის სასიცოცხლო ძალების შემწეობით სწარმოებდა. ბურჟუაზიული კულტურა იმიტომ კვდება (სხვა მრავალ მიზეზთან ერთად), რომ ბურჟუაზიას, როგორც კლასს, ალარ შესწევს ძალა პროგრესიული კლასის როლი. გთამაშოს კაცობრიობაში.

იწყება ახალი ეპოქა. სრულდება კაცობრიობის ისტორის შესავალი და იწყება კაცობრიობის ნამდვილი ისტორია. ჩვენ გარდამავალი ეპოქის შვილები ვართ და ამიტომ უნდა განვიცადოთ ძველი ურთიერთობის ნგრევის და ახალის შექმნის სიმწვავენი.

სამეურნეო ზრდის საფუძველზე კულტურულადც ვიზრდებით. ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება მშრომელი მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლების საფუძველია. სახალხო მეურნეობის 5-წლიანი საპერსპექტივო გეგმა სოციალისტურ მშენებლობის ამოცანებთან დაკავშირებით ითვალისწინებს ქალაქისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას. ნაციონალური კულტურის განვითარება დაკავშირებულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხებთან. როგორც საერთო სოციალისტური მშენებლობის ვეგმის განუყრელი ნაწილი. კულტურული მშენებლობის გეგმას. საფუძვლად დაედო სახალხო განათლების ისეთი საკითხები, როგორიცაა: საყოველთაო სავალდებულო სწავლება, წერიაითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მასიური პროფექციური განათლება, კვალიფიციური მუშაქების მომზადება და სხვ. — რაც უზრუნველყოფს მშრომელთა ფართო მასების კულტურულ ზრდას.

ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გამარჯვებისათვის აუცილებელია შრომის ნაყოფიერების ზრდა, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს ხელფასის გადიდება, საქონლის ხარისხის გაუმჯობესება და თვითაღირებულების შემცირება.

შრომის ნაყოფიერების გადიდება შესაძლებელია მშრომელთა ფართო მასების სოციალისტური რაციონალიზაციის საკითხებით დაინტერესების გზით.

მეურნეობას რაციონალიზაციით დაინტერესებული არიან ევროპის სახელმწიფოები და ამერიკის შეერთებული შტატები. ბურჟუაზიული ევროპა წარმოების რაციონალიზაციის გატარებას მარტო-

ოდენ მუშათა კლასის ხარჯზე ახდენს. ამის მაჩვენებელია სამუშაო ღროს გადიდება სხვადასხვა წარმოებებში. წარმოების რაციონალიზაციას ასეთი წესით კაპიტალისტურმა სახელმწიფო აქციებმა მნიშვნელოვან მიღწევებს მიაღწიეს.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში დამზადებულ ელექტრონული ენერგიის რაოდენობა 1926 წელს, 1912 წელთან შედარებით, სამჯერ გაიზარდა და მიაღწია 65 მილიარდ კილოვატ-საათს — 500 კილოვატსაათზე უფრო მეტს ერთ კაცზე წელიწადში. მთელი ქვეყანა დაფარულია ელექტრობის ვალამცემი ქსელით, რომლის სიგრძეც 900 ათას მილს უდრის, ე. ი. კოტათი უფრო ნაკლები სიგძე აქვს, ვიდრე რკინის გზას. დამზადებულ ელექტრიულ ენერგიის საერთო რაოდენობა გერმანიაში გაიზარდა 5,1 მილიარდ კილოვატ საათილან (1913 წ.) 12 მილიარდამდე 1924 წელს. ინგლისში ელექტრონის მოხმარება 1919 წლიდან 1925 წლამდე ორჯერ გაიზარდა.“¹⁾

ეს ციფრება იმის მაჩვენებელია თუ როგორი სისწრაფით იზოდება კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ელექტროფიკაცია და მისი გამოყენების საქმე წარმოებაში.

ჩვენში ამ მხრივ ადგილი აქვს საგრძნობ მიხწევებს. მაგალითი-სათვის ავილოთ ამიერკავკასიის სინამდვილე. 1913 წელს ამიერკავკასიაში მოსახლეობის თვითეულ სულზე 3,5 კილოვატ-საათის ენერგია მოდიოდა, ხოლო 1927 წელს კი 7, ე. ი. 2-ჯერ უფრო მეტი. ხუთწლიანი საპროცესუალო გეგმის გატარების შემდეგ ჩვენ გვექნება 35 კილოვატი-საათი, ე. ი. 10-ჯერ უფრო მეტი ომის წინა ღროსთან შედარებით.

ოქტომბრის ოქვოლუციის შემდეგ ჩვენს წინაშე პრაქტიკულად დაისვა საკითხი აგრარულ-ინდუსტრიალური ქვეყნის ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად გარდაქმნის შესახებ. ამ მიმართულებით ჩვენივე საკუთარი ძალებით ბევრი რამ გავაკეთეთ. 1926—27 სამეურნეო წელს ძირითადი კაპიტალი 410% -ით გადიდდა და ამავე წელს მთელ, ცენტრიანი მრეწველობის ძირითად კაპიტალს 35 მილ. მანეთი შეადგენდა. 27—28 სამეურნეო წელს, მიუხედავად პურის დამზადების დარღვი მიღებული კრიზისისა, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში საგრძნობ მიღწევებს აქვს ადგილი. ასე, მაგალითად, მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 20% -ით, შრომის ნაყოფიერება — 13% -ით, ხოლო შრომის ხელფასი კი 11% . საქონლის თვითლირებულება შემ-

¹⁾ M. Рубинштейн. „Капиталистическая рационализация.“

ცირდა საშუალოდ 5,3%. სახელმწიფო შემოსავალი, გასულ წელიან შედარებით, გაიზარდა 100 მილიონი მანეთით.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ ოოგორია 28/29 სამეურნეო წლის პერსპექტივა. მძიმე ინდუსტრიის პროდუქციის გადიდება ნავარაუდევია 21, 8%-ით, ხოლო მსუბუქი ინდუსტრიისა კი 17%-ით. წარმოებაში ჩაბმულ მუშების საერთო რაოდენობა აყვანილ უნდა იქნას 2.076.000 კაცამდე. ამრიგად მრეწველობაში ჩაბმული იქნება 93.000 ახალი სამუშაო ძალა, ოომელიც მოგვცემს 4,7%-ით ზრდას. მძიმე ინდუსტრიის დარგში საქონლის თვითლირებულება უნდა შემცირდეს 6,5%-ით, ხოლო მსუბუქი ინდუსტრიის პროდუქციის თვითლირებულების შემცირება ნავარაცუდევია 5,6%-ით.

სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღებით უზრუნველყოფის საქმეს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა.

ამიერკავკასიის მასშტაბით ამჟამად ჩენ მოგვეპოვება 1000 ტრაქტორი, 8500 ახალი ტიპის გუთანი, 420 რთული ამჟრეფი მანქანა, 152 რთული სალეჭი.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმე, პურის დამზადების კამპანიის ჩაშლასთან დაკავშირებით, მეტად აქტუალური საკითხია; აშიტომ საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობის შექმნის საქმეს სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული.

უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში კოლექტიურ მეურნეობას შეუძლია მოგვცეს 40—50 მილიონი ფუთი პური, ხოლო საბჭოთა მეურნეობას კი უახლოეს 4—5 წელში—100 მილიონი ფუთი პური. საერთოდ, მომავალი წლისათვის პურის მოსავლის ზრდა ნავარაუდევია 300—400 მილ. ფუთით.

ასეთია, მოკლედ, გასული სამეურნეო წლის სინამდვილე და მომავლის პერსპექტივა, ანუ კულტურული რევოლუციის ეკონომიკური საფუძვლები.

ოქტომბრის რევოლუციამ შესცვალა ძველი საზოგადოების ეკონომიკური საფუძველი, მან მოსპო კლასობრივი ბატონობის კაპიტალისტური ფორმა და შექმნა ახალ სამეურნეო ურთიერთობაზე აშენებული საზოგადოება, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სრულქმნილი სოციალისტური საზოგადოება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმდინარე პერიოდის სოციალური ცხოვრებისათვის საინტერესოა კულტურული რევოლუციის საკითხები.

ეს საკითხები მთელი თავისი სიმწვავით ისმება დღეს და მათი გადაწყვეტა, რასაკვირველია, არ არის ერთი ან ორი წლის საკითხი.

კულტურული რევოლუციის მნიშვნელოვან საკითხს შეადგენს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საკითხის მოგვარება.

ამ მხრივ საინტერესოა ჩვენი უკულტურობის მაჩვენებელი ზოგიერთი დამახასიათებელი ციფრები, რომელიც გამოაქვეყნა ამხ. ბოგლანოვმა თავის წერილში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ:

„1920—23 წ.წ. ყოველ 1000 კაცზე დაწყებით სკოლაში მოღიოდა მოსწავლე: ამერიკის შეერთებულ შტატებში—206, ინგლისში—187, ბელგიაში—152, გერმანიაში—149, იაპონიაში—148, ბულგარეთში—118, საფრანგეთში—107.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან: რ.ს.ფ.ს. რ-ში—75, უკრაინაში—102, ბელორუსიაში—113, ა.კ.ს.ფ.ს. რ-ში—119, უზბეგისტანში—41, თურქეთში—53 და მთელ კავშირში კი—83“.

ამ ცნობების მიხედვით, ამიერკავკასიის რესპუბლიკები პირველ ადგილს იჭირს მთელს საბჭოთა კავშირში.

ინტერესს მოკლებული არ არის აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, თუ მოსახლეობის თითოეულ სულზე რამდენ მანეთს ხარჯავს განათლების დარგში ესა თუ ის სახელმწიფო. „ინგლისში 1922 წ. განათლების დარგში მოსახლეობის თითოეულ სულზე დახარჯა სახელმწიფო და ადგილობრივი პიუჯეტიდან 16 გ. და 46 კ. ამავე წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ყველა სახის სასკოლო გაგანათლებისათვის—95 გ. 55 კ. 1925 წელს ახალმა ზელანდიაშ გაილო 20 გ. და 80 კ. შვეციაშ—14 გ. და 15 კ. და ა. შ. საბჭოთა კავშირში 26/27 წელს ყველა ხარჯი განათლების საქმეზე შეადგენს—4 გ. 79 კ. ¹⁾.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საქმის მოგვარებას ქვეყნის კულტურულად განვითარების დარგში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამ საკითხის მოგვარების ეკონომიური აუცილებლობის შესახებ ამხ. სტრუმილინი სწერს:

„ამ რეფორმის გატარებისათვის 10 წლის განმავლობაში საკირო იქნება 160 მილ. მანეთი. ეს თანხა, რასაკვირველია, დიდია. მაგრამ ეფექტი, რომელიც მოყვება ამ თანხის დახარჯვას ქვეყნის ცოცხალი სამუშაო ძალის კაპიტალური შეფასების აწევის დარგში, უნდა შევაფასოთ 69 მილიარდად მაინც, ე. ი. 43-ჯერ უფრო მეტად.“ ²⁾

¹⁾ Вопросы всеобщего обучения, стр. 149—50 стат. тов. Им. Богданова.

²⁾ Струмилин. „Хозяйственное значение народного образования“.

როგორც ვხედავთ, შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე, რომელიც უნდა მოჰყენეს საყოველთაო სწავლების გატარებას, სახელმწიფო მიიღებს 27,6-ჯერ უფრო მეტს, რასაც ის დახარჯავს სასკოლო განათლებაზე.

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი, რომელიც ახასიათებს ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლების მდგომარეობას.

საქართველოში სახალხო განათლების საქმეზე მოსახლეობის თვითეულ სულზე იხარჯება 3 მ. 46 კ. (აზერბაიჯანში 3—89). გარდა აზერბაიჯანისა, ამ რაოდენობის თანხა არ იხარჯება, პროცენტული შეფასება რომ მოვახდინოთ, საბჭოთა კავშირის არცერთ რესპუბლიკაში.

„საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ასეთი განსხვავება აისხება აზერბაიჯანში სკოლების რიცხვის სიმცირით, ხოლო საქართველოში მე-II საფეხურის სკოლების სიმრავლით“¹⁾.

თუ გამოვარკევთ, რამდენი გვიჯდება თითოეული მოწაფე ჩვენში, 27/28 სასწავლო წლის ცნობების მიხედვით ასეთ სურათს მივიღებთ:

აზერბაიჯანში		სომხეთში		საქართველოში		ა. კ. ს. ფ. ს. რ.	
სკოლები		სკოლები		სკოლები		სკოლები	
I საფეხ.	II საფეხ.	I საფეხ.	II საფეხ.	I საფეხ.	II საფეხ.	I საფეხ.	II საფეხ.
47-66	97-96	21-44	56-78	12-15	59-67	23-33	65-17

საქართველოში შედარებით უფრო ნაკლები-ხარჯები პირველი საყენეურის სკოლების მოწაფეებზე აისხება პირველი საუკეთესო შრომის სკოლების მასწავლებელთა ხელფასის სიმცირით.²⁾ ამერიკის შეერთებულ შტატებში თითოეულ მოწაფეზე 120 მ. 07 კ. იხარჯება.

შედარებით უფრო უმნიშვნელოა ის ხარჯები, რომელსაც სახელმწიფო ეწევა ერთი სტუდენტის შენახვაზე.

„რ. ს. ფ. ს. რ-ში ერთი სტუდენტის მოშზადება ყველა იმ ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც კი საჭიროა სასწავლო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ჯდება 345 მანეთი, გერმანიაში კი

1) Местное хозяйство и местные финансы ЗСФСР.

2) ibid.

ურთი სტუდენტის შენახვაზე 725 მანეთი იხარჯება“ ¹⁾. ყველა ეს ციფრი მაჩვენებელია ოოგორც მიხწევების, ისე იმ ნაკლის, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია კულტურულ ფრონტზე. ამ ნაკლის, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, დანაკლისის გამოსწორება შესაძლო იქნება ქვეყნის სამეურნეო განვითარების დონის აწევასთან ერთად.

კულტურული ოევოლუციის გადაუდებელ ამოცანას შეადგენს სახალხო მასწავლებლის მატერიალურად უზრუნველყოფის საკითხი.

„სახალხო მასწავლებელი ჩვენ ისეთ სინალლეზე უნდა დავაყენოთ, რომელზედაც ის არასოდეს არ იჯგა, არ სდგას და არ შეუძლია რომ იჯგეს ბურუჟიულ საზოგადოებაში“, სწერდა ამხ. ლენინი ²⁾.

ამ მიმართულებით ჩვენ საქმაო მიღწევები გვაქვს, მაგრამ მდგომარეობა მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. ომის წინა დროსთან შედარებით ხელფასი აღწევს: პროცესორთა – 16%, პირველი საფეხურის სკოლების მასწავლებელთა – 45%, და სოციალური იუზრდის შე-II საფეხურის სკოლების მასწავლებელთა კი – 30%.

ყველაზე უფრო საჭირობოროტო საკითხი, რომელიც სოციალისტური ოევოლუციის მეორე დღესვე დაისვა ჩვენი ქვეყნის წინაშე პრაქტიკულად, არის წერაკითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციის საკითხი.

თუ ჩვენ ავიღებთ ციფრებს მთელი კავშირის შესახებ, მეტად არასასურველ სურათს მივიღებთ: 445 წერაკითხების მცოდნე მოდის 1000 კაცზე მხოლოდ მაშინ, თუ შევაერთებთ ციფრებს ქალაქისა და სოფლის შესახებ. 1926 წელს ქალაქში ყოველ 1000 კაცზე იყო წერაკითხვის მცოდნე – 690 კაცი, სოფელში – 391. აქედან ყოველი 1000 კაციდან ქალაქში – მამაკაცი 758, სოფელში – 527 და ყოველი 1000 ქალიდან ქალაქში – 626 და სოფელში 274.

ეს ციფრები აშკარა მაჩვენებელია, თუ ქალაქი რამდენად წინუსწრებს სოფელს და რამდენად ჩამორჩებიან მამაკაცებს ქალები.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, როგორც ეს ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, საყოველთაო სავალდებულო სწავლების საქმის მოგვარებას, რომ წერაკითხვის უცოდინართა ახალი კადრი ყოველწლიურად არ იქმნებოდეს.

1) ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენებიდან საბჭოების ყრილობაზე.

2) ლენინი, თხზულებათა მე-XVIII ტომი, ნაწილი 2, გვ. 107.

კულტურული ზრდის მაჩვენებელია აგრეთვე ჩვენი მიღწევები გამომცემლობის დარგში. ამ უკანასკნელ ხანებში სოფლისათვის საპირო ლიტერატურის გამოცემის საქმეს შესაფერისი ყურადღება ეჭ-ცევა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პერიოდულ გამოცემათა მოწესრიგების საქმე. კერძოდ საქართველოში გაზითი „ახალი სოფელი“ ჩვენს სოფლებში გამოწერილია 55000 ცალის რაოდენობით. ეს საკ-მაოდ დიდი მიხწევაა.

ამ მიხწევამ ჩვენ არ უნდა წაგვახალისოს. თუ ერთის მხრივ, პერიოდულ გამოცემის დარგში მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადაღვმული ჩვენს ქვეყანაში, სამაგიეროდ მოკიცებული ლიტერატურის გამოცემის საქმე, რასაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

ერთ-ერთი საკმაოდ დიდი ნაკლი, რომელიც მომავალში აფ-ცილებლად უნდა გამოსწორდეს, ნაციონალურ უმცირესობათა სკო-ლების ქსელით უზრუნველყოფის საქმეა.

როგორც ციფრები გვიჩვენებს, პირველი საფეხურის სკოლებ-ში სწავლება სწარმოებს (საკავშირო რესპუბლიკებში) 62 სხვადა-სხვა ენაზე, მეორე საფეხურის სკოლებში მხოლოდ 25 ენაზე, 7-წლედ-ში – 29 ენაზე, ცხრაწლედში – 15 ენაზე, ტექნიკუმებში – 29; სალიკვი-დაციო პუნქტებში 63, მაღალი ტიბის სკოლებში – 17, კლუბებში – 33, ქოხ-სამკითხველოებში კი 53 ენაზე.

ეს ციფრები აშკარა მაჩვენებელია, რომ ნაციონალური უმცი-რესობანი არ არიან უზრუნველყოფილი თავიანთ ენაზე საშუალო გა-ნათლების მიღების დარგში.

ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხებთან დაკავშირე-ბით ოქტომბრის რევოლუციის 11 წლის თავზე პრაქტიკულად ის-მება წითელი სპეციალისტების ახალი კადრის მომზადების აუცილებ-ლობის საკითხი. ეს აუცილებლობა ქვეყნის სამეურნეო განვითარე-ბასთან ერთად წამოაყენა მაღაროს ამბებმა.

. სპეციალისტების ახალი კადრის მომზადებასთან ერთად მეტად აქტუალური საკითხია სათანადო კვალიფიკაციის მქონე მუშათა კადრის მომზადება.

დღევანდელ გერმანიაში ტარდება სავალდებულო კანონი წარ-მოებაში ჩაბმულ სამუშაო ძალის გადამზადების შესახებ.

ჯერ კიდევ 1918 წელს ერთი გერმანელი სწერდა: „გერმანია სათანადო კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალით უზრუნველყოფის მხრივ ყველა ქვეყანაზე წინ იდგა და შესაფერის შედეგებსაც მიაღ-

წია. დლევანდელ პირობებში ჩვენს მტრებს აუცილებლად სურთ, რომ ჩვენ გაგვასწრონ—ამის დაშვება არ შეიძლება“¹⁾.

ინჟინერ-ტექნიკოსების კასელის ყრილობამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პროფესიონალური განათლება სახელმწიფოს უახლოეს სავალდებულო ამოცანად უნდა ვადაიქცეს.

თუ ტექნიკურად საკმაოდ განვითარებული გერმანიისათვის პროფესიონალური განათლება აქტუალურ საკითხად ითვლება,— გასაგებია, თუ რაოდენი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენი ქვეყნისათვის. ჩვენს ქვეყანაში ამ საკითხს შესაფერისი ყურადღებით მოებყრო საკავშირო კომპარტიის ცეკას აპრილის პლენური. მან გამოაიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელიც აკისრებს სახალხო განათლების კომისარიატს შესაფერისი ყურადღებით მოექცეს პროფესიონალური განათლების საქმეს.

კრიზისი, რომელმაც 27/28 სამეურნეო წელს თავი იჩინა პურის დამზადების დარგში, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობის გაჯანსალების აუცილებლობას აყენებს. სწორედ ამ მიმართებით უნდა გააფართოოს ჩვენმა სკოლებმა თავისი მუშაობა. სკოლების პროგრამებში მეტი ადგილი უნდა დაეთმოს საბჭოთა, კოლექტიურ მეურნეობისა და კომპერაციის საკითხებს. ეს ამოცანა, რომელსაც მამდინარე მომენტი აყენებს ჩვენი სკოლების წინაშე, უალრესად პრაქტიკული ამოცანა, რომლის ვადაჭრაში სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ.

კულტურული რევოლუციის საკითხების რიგს ეკუთვნის ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის საკითხი. ყველაზე უფრო კონსერვატორული-ბუნების მქონე არის ყოფა-ცხოვრების ზოგიერთი საკითხი, რომელთა ახალ საფუძველებზე გარდაქმნა მიმდინარე მომენტის გადაუდებელ ამოცანას შეაღვენს.

თუ ჩვენ ავიღებთ ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ აწესრიგებს მუშა თავის თვიურ ბიუჯეტს, შემდეგს დავინახავთ: მაგარ სასმელებზე მუშა ხარჯავდა 3,0%, რომელიც გაიზარდა 3,7%—დე, თუთუნზე—1,5, დღეს კი 1, 6%, კულტურულ-საგანმანათლებლო ხარჯები უდრიდა 2,7%, რაც შემცირდა 1,7%—მდე. ეს ციფრები გვიხატავს მოსკოვის მუშების ყოფა-ცხოვრებას. ასეთსავე სურათს აქვს ადგილი ლენინგრადში და სხვა სამრეწველო რაიონებში. „სამაგონის“ გამოხდა მავნებელია ორი თვალსაზრისით. ის ძლიერ უარყოფითად მოქ-

1) Г. М. Крижановский. Социалистическая реконструкция и культурное строительство.

მედობს აღამიანის ორგანიზმზე და ასუსტებს შრომის ნაყოფიერებას, ხოლო, მეორეს მხრივ, მავნებელია სამეურნეო თვალსაზრისთაც. მხოლოდ 1923 წელს, სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამოაჩარიშებით, „სამაგონის“ გამოხდაზე დაუხარჯავთ 808.000 ფუთი პური.

ბრძოლა ლოთობასთან და მაგარი სასმელების წინააღმდეგ არა მარტო რუსეთის, არამედ ნაწილობრივად ჩვენი ქვეყნის საჭირობო ტო საკითხსაც წარმოადგენს. ჩვენ არ გამოვუზებით ამ დარკში მდგომარეობის ციფრებით დასურათებას.

ყოფა-ცხოვრების საკითხის განუყრელ ნაწილს შეადგენს საბინაო საკითხი.

მუშებისა და მშრომელი მოსახლეობის შესაფერისი ბინით უზრუნველყოფა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. მეფის დროინდელი მდგომარეობის გამომხატველი ციფრი 1:6 დაყვანილია 1:2, მაგრამ უსეც არ არის სასურველი მდგომარეობა.

ამ საკითხის მოსაგვარებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად იხარჯებოდა გარკვეული თანხა. კერძოდ 27-28 საბიუჯეტო წელს ამ საკითხის მოსაგვარებლად დაიხარჯა 455 მილიონი მანეთი. ამას უნდა მივუმატოთ აგრეთვე 50 მილიონი მანეთი, რომელიც გაიღო ცაკის საიტილეო სესიამ.

როგორც ვხედავთ, უქტომბრის რევოლუციის 11 წლის თავზე ჩვენი ცხოვრების პრაქტიკული სინამდვილე მთელ რიგ საჭირობო-რობობის საკითხებს აყენებს. ამ საკითხების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ შესაფერისი ეკონომიკი საფუძველი და მშრომელთა ფართო მასების სოციალისტურ მშენებლობაში დაინტერესება გვექნება. ამ ორი ამოცანის გადაწყვეტისათვის ბრძოლა არის და იქნება ბრძოლა სოციალისტური საზოგადოების. შესაქმნელად.

შ. სიხარულიძე.

რევოლუციონური დღესასწაულების საკითხი სკოლებში.

თანამედროვე შრომის სკოლამ რევოლუციონურ დღესასწაულებს აღმზრდელობითი როლი მიაკუთვნა და ამიტომ მათ მოწყობა-ჩატარებას დიდ მნიშვნელობას აძლევს.

უკანასკნელ ხანებში რუსეთის პრესა რევოლუციონურ დღესასწაულების საკითხს ფართოდ გამოეხმაურა. ეს გასაგებიც არის, რად-

გან, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა, დღესასწაულების რიგიანად მოწყობას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია.

ყველა ჩვენგანს გაუტარებია ნეტარი ყმაწვილობა და სიაშოვნებით გვაგონდება დღესასწაულებით გამოწვეული სიხარული და ღრმოსტარება. ცხადია, რომ ქრისტიანული დღესასწაულის შინაარსი ბავშებს სრულიად არ გაეგებოდათ, რადგან საეკლესიო სარწმუნოება თავის მძიმე დოგმებით და მისტიურ-ზღაპრული სასწაულებით ბავშის გონებისათვეს დაუძლეველი იყო. მაგრამ გარეგანი ფორმით დღესასწაულები ისე სასამოვნოდ წყვილოდა, რომ ბავშებს იტაცებდა და და სიხარულს ალუძრავდა. ბავშს უყვარს სანახაობანი, გართობა, მრავალფეროვანება...

შრომის სკოლა მარტო ფორმით ვერ დაქმაყოფილდება. მისი მიზანია არა ზერელე, წყალწყალა ადამიანების აღზრდა, რომელთაკე ძველი სკოლის მეოხებით ჩახშული ჰქონდათ კრიტიკის და განსჯის უნარი, არამედ ისეთი მოქალაქის, რომელმაც იცის—რას, რატომ და როგორ აკეთებს და რა გამართლება აქვს მის საქმიანობას.. შრომის სკოლაში მომუშავე ზოგი პედაგოგები ფიქრობენ, რომ ძველი რელიგიური მიდრეკილების ალმოფხვრა შეიძლება მაშინ, თუ ჩვენ სრულიად გავჩუმდებით და რელიგიის საკითხებს გვერდს ავუკლიო. ეს დიდი შეცდომა! ჩვენი სკოლა ვერც ერთ საკითხს უხმოდვერ შეხვდება. ბავშის წინაშე ჩვენ უნდა გადავშალოთ კარგი და ავი, თეთრი და შავი, მაგრამ ისე კი, რომ ბავში ჩვენთვის იდეოლოგიურად გამართლებულ დებულებას იღებდეს. ამაშია პედაგოგის დიდი როლი! ბავშმა უნდა იცრდეს, თუ როგორი იყო და რაზე შენდებოდა ძველი რელიგია. მან უნდა გაიგოს, რა მიზანი ამოძრავებზა ეკლესიას და როგორ იყო ის დაინტერესებული ხალხის დაბრმავებაში. ეს იქნება ანტირელიგიური აღზრდა (და არა ურელიგიო!), რომელიც ჩვენმა სკოლამ მთელი სიგრძე-სიგანით წამოაყენა. რევოლუციონურ დღესასწაულებან ერთად ჯერჯერობით კიდევ საეკლესიო დღესასწაულებიც არსებობს. ამ ფაქტის გამოყენება-სკოლას შეუძლია რევოლუციონურ დღესასწაულების სასარგებლოდ. ყოველი საეკლესიო დღესასწაულის დროს უნდა ვცდილობდეთ მისი. ყალბი შინაარსის გახსნას და ბუნებისმეტყველების, ფიზიკის, ქიმიის, და საზოგადოებაობის მეცნიერების, საშუალებით მათი დოგმების დამსხვრევას. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ღმერთი აღამიანმა გააჩინა და არა წინაუკირო, რომ ჯოჯოხეთი, სამოთხე და „იმქვეყნიური“ ცხოვრება გამოგონილია იმ კლასის მიერ, რომელიც თავის საკეთილ-დღეოდ მონებს მოთმუნას და თვინიერებას აჩვევდა. ეკლესია ასწავ-

ლიდა, რომ ვინც მოითმენს და ამ ქვეყნად შიმშილს და სიტიტვლეს აიტანს, ის სამოთხეში დამკვიდრდება. ვინც მდიდარია, ის წაწყმდება. გაუთვითცნობიერებელი კლასები ითმენდენ, შიმშილობდენ, რომ სამოთხეში მოხვედრილიყენენ და სამუდამოდ გამაძღარი და ბედნიერი ყოფილიყვნენ.

როგორია პროლეტარული იდეოლოგია? ყოვლად მიუღებელია მოთმენა და თვინიერება! სასტიკი ბრძოლა და გამარჯვებამდე ომი მყვლეფელებს. ეს ქვეყანა მშრომელებისა! ვინც შრომობს, ის კმა. ყოფილი უნდა იყოს. დაჩაგრულმა კლასმა ბევრი ბრძოლა გადაიხადა და დედამიწის $\frac{1}{6}$ -ზე გამარჯვება მოიპოვა. პროლეტარიატმა უკუაგდო მატყუართა დღესასწაულები და ბრძოლებში გამარჯვების დღეები ზეიმად აღიარა. ცხადია, შრომის სკოლა, რომელიც მშრომელთა გამარჯვების პირმშო შეილია, საეკლესიო დღესასწაულებს უკუაგდებს და რევოლუციონურ დღესასწაულებს აღიარებს. ამრიგად, საეკლესიო დღესასწაულებს ჩვენ რევოლუციონური დღესასწაულები უნდა დავუპირდაპიროთ და ამ დღესასწაულების შინაარსის ჯეროვანი განმარტებით ბავშების შემეცნებაში რევ. დღესასწაულების სიყვარული უნდა ჩავჭრედოთ.

წლის განმავლობაში ჩვენ მრავალ დღესასწაულთან გვაქვს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანს თავისი შინაარსი აქვს გაფორმების მხრივ, სკოლა ვერ ახერხებს შაბლონს ასცდეს და ცალკე შემთხვევაში ახალ ყალიბში ჩამოასხას ყოველი მათგანი.

ყველა დღესასწაულის ერთნაირად ჩატარება ბავშებს თავს აბეზრებს, და ვერავითარ ეფექტს ვერ მიუიღებო.

ჩვენის ფიქრით, დღესასწაულები შეიძლება 4 ნაწილიდ დავუოთ:

I. გადახდილ ბრძოლებში მშრომელთა გამარჯვების დღეები: ოქტომბრის რევოლუცია, 25 თებერვალი და 1 მაისი.

II. სხვანის დღეები: 21 და 22 იანვარი, 26 კომუნარის დახვრეტის დღე, ლენინის დღე და სხვა.

III. ძალთა გადახდვის ანუ სააგიტაციო დღეები: 8 მარტი, ახალგაზრდობის კვირეული, წითელი არმიის დღე¹⁾ და სხვა.

IV. სხვადასხვა კამპანიები: თესვის, სესხის, არჩევნების და სხვა.

1) წითელი არმიის დღე 25 თებერვალს იმიტომ დავაცილეთ, რომ ამ ორი დღის შეერთებით ერთი რომელიმე მათგანი ყოველთვის უყურადღებოდ რჩება. წითელი არმიის დღე შეიძლება პირველ კათეგორიაშიაც მოვაქციოთ.

თავისი მნიშვნელობით ოთხივე კათეგორიის დღეები თანაბარია, მაგრამ დახარისხება გამოწვეულია ყოველი მათგანის მოსაწყობად საჭირო თავისებურობით.

ოქტომბრის რევოლუციის დღეები არა თუ ჩვენი კავშირის განთავისუფლების დღეა, არამედ მსოფლიო ორევოლუციის სიმბოლოა. განა ყველა დაჩაგრული ერი საკუთარ „ოქტომბერზე“ არ ოცნებობს? „ოქტომბერმა“ კაცობრიობის მოწინავე და სალად მოაზროვნე ნაწილისათვის გარკვეული ერა შეჰქმნა და მათ ჩვენ სხვა დღესასწაულებს ვერ გავუთანასწორებთ.

1 მაისი საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის დღეა. თუმცა ჩვენი მუშათა კლასი მყვლეფელებისაგან თავისუფალია, მაგრამ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მშრომელები ჯერ კიდევ მონობაში გმინავენ. ჩვენ ვზეიმობთ რა საკუთარ გამარჯვებას, ძმურ ხელს ვუწოდებთ ჩაგრულებს. თავისი მნიშვნელობით 1 მაისი ღირსია, რომ „ოქტომბერს“ გვერდს უმშვინებდეს, როგორც ფართო ხალხური დღესასწაული და მშრომელთა მასების საზეიმო დღე.

25 თებერვალი საქართველოს მშრომელებისათვის დიდი პოლიტიკური აქტია და გამარჯვების დღეებში მას თავისი საპატიო აღგილი უნდა ექნეს.

თუ როგორ უნდა ჩავატაროთ ზემოაღნიშნული დღესასწაულები, ამაზე ქვევით. ჯერ შევეხებით მეორე, მესამე და მეოთხე კათეგორი. დღეებს. რევოლუციის დღესასწაულები საზოგადოდ ჩვენს პროგრამაში მასალად უნდა შევიდენ და მათი შესწავლა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით უნდა ხდებოდეს. ეს არ კმარა. ბავშის აზროვნებაში მათდა განსამტკიცებლად საჭიროა ემოციონალური შეგრძნებაც. მაგალითად:

მეორე კათეგორიის დღეები შეიძლება შემდეგნაირად აღვინოთ: გაიმართოს მოგონებათა დღეები ან სალამოები, საღაც ჩატარდება მხატვრული თხრობა, მხატვრული კიოხვა, მელოდეკლამაცია, გუნდური სამგლოვიარო სიმღერები. დაიღვება შესაფერი კინო-სურათი, პატარა სცენები და სხვა.

ა) მესამე კათეგორიის დღეები. ქალთა დღეს მოეწყოს: მიტინგი, საღაც სიტყვებით გამოვლენ მოწაფეები, მასწავლებლები, მოწვეული მშრომელი ქალები და გააშუქებენ ქალთა საკითხს ძველად და ეხლა. ქალთა თანასწორობის საკითხის გასაცნობად დისკუსია, კიოხვა-პასუხის საღამოები, რევოლუციონერ ქალთა შესახებ ბრძოლის ამბების თხრობა, რომელიმე ქარხანაში მშრომელ ქალებთან მისვლა და საჩუქრად საკუთარი ნახელავის მიტანა, მთელი

დღით ტექნიკურ მომუშავე ქალთა განთავისუფლება და მათი სამუშაოს ბავშვების მიერ შესრულება, ოჯახებში ქალთა განთავისუფლების შესახებ აგიტაციის გადატანა, მშობელი და ნათესავი ქალების სკოლაში მოწვევა და საღამოს გამართვა, სადაც დაიღმება პატარა სცენები ქალთა ცხოვრებიდან და სხვა.

ბ) წითელი არმიის დღე. რომელიმე ნაწილთან კავშირის გაბმა მათთან ერთად, ან მათვის კედლის გაზეთის სპეციალური ნომერის გამოშვება, არმიელების სკოლაში მიპატიუება და მათვის სკოლის ცხოვრების გაცნობა, რეკოლუციაში და სამოქალაქო ომებში. მონაწილე წითელარმიელებისგან გადახდილი ბრძოლების შესახებ ამბების გამოკითხვა. საჩუქარის გაკეთება და მიტანა. ვარჯიშობა და სამხედრო თამაშობის გამართვა, წლის განმავლობაში მიწერ-მოწერა და სხვა.

გ) ბავშთა კვირეული. ჩვენმა სკოლებმა დღემდე ვერ მოახერხეს, რომ ამ დღეებში ქალაქ გარეთ გასვლა ორგანიზაციულად მოაწყონ¹⁾ და იქ გამართონ მასიური თამაშობანი, ვარჯიში და შეჯიბრი. თუმცა ყოველწლივ ეწყობა სკოლების დანიშნულ პუნქტზე თავის მოყრა, მაგრამ მუდამ უხერხულად. ჯერ არის და არჩეული აღგალი გამოუდევარია დასკენების მხრივ (ბავშებს აწუხებს მხე და მტვერი), მეორე — შესაკრებ პუნქტზე მისვლის შეძლევ, დროზე მისულ ბავშებს უხდებათ ლოდინი, სანამ ყველა სკოლა მოიყრის თავს. ლოდინით დაღლილი ბავშები მიემგზავრებიან ქალაქ გარეთ უკვე ქანცგამოლეულნი და უხალისონ. ამ უწესრიგობას თვით სკოლებმა უნდა მოულონ ბოლო. ჩვენი ფიქრით, უკეთესი იქნება, თუ თვითეული სკოლა დამოუკიდებლად გაემგზავრება წინასწარ დაწესებული მარშრუტით და ქალაქ გარეთ შეუერთდება სხვა სკოლებს. ამას გარდა აუცილებელია აღნიშნულ დღეებში მოწაფეები გაეცნონ უცხოელ ბავშთა ცხოვრებას; გაიგონ, თუ რა პირობებში უხდებათ მცირეწლოვანებს ქარხანაში ნუშაობა, როგორ დევნიან უცხოეთში პიონერებს და კომედიერებებს, რა პირობებში იზრდებიან მუშის შვილები, როგორია გაფიცულა მუშების შვილების მღვიმარეობა. შეისწავლიან ახალგაზრდობის მძღოლის ისტორია, მოუსმინონ დავაუკაცებულ თაობას, თუ როგორ და რა პირობებში უხდებოდათ სწავლა, ქარხანაში მუშაობა, ბრძოლა და სხვა.

გვ.-IV კათეგორიის დღეები ანუ კამპანიები სკოლებმა უნდა ჩაატარონ წინასწარ დასახული გეგმით და მისცენ მას საზოგადოებ-

¹⁾ ლაპარაკია ტფილისის სკოლებზე.

რივ-სასარგებლო შრომის ხასიათი. კამპანიის ჩატარება სკოლის რაიონში უნდა ხდებოდეს. ბავშებს უნდა გადაჭიონდეთ სკოლაში შეძენილი ცოდნა და ცნობები ოჯახში, იწვევდენ მშობლებს სკოლაში და მართავდენ საუბრებს, მოხსენებებს და დილა-სალამოებს. ეს იმის მიხედვით, თუ რა სახის კამპანიაა ჩატარებული. ყოველგვარი კამპანია უნდა დაუკავშირდეს საპროგრამო მასალას, რომ მისი მნიშვნელობა კარგად იქნეს გაეცემო.

როგორც ვხედავთ, ზემოდასახელებულ დღეებს დიდი აღმზრდელობით მნიშვნელობა აქვს და მათ ჩატარებას დიდი ყურადღებით უნდა მოვექცეთ. ხშირად ვავივონებთ სკოლების წუხილს, რომ რევოლუციონური დღეები პრიგრამის გავლას ხელს უშლიან და სკოლის ნორმალურ ცხოვრებას არღვევენ. ჩვენი ფიქრით, პროგრამის გავლას ხელს ვერ შეუშლის, რამდენადაც ოფიციალი პროგრამით ეს დღეები გათვალისწინებულია. რაც შეეხება მათ მხატვრულ გაფორმებას და საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის ჩატარებას, ამას უნდა მიეცეს საკლუბო მუშაობის ხასიათი და გადატანილ იქნეს სალამოს საათებში.

ეხლა გადავიდეთ პირველი კათეგორიის დღესასწაულების მოწყობაზე. მასიური ხასიათის რევ. დღესასწაულების ჩატარებას მასების იდეოლოგიური შემჭიდროების მნიშვნელობა აქვს.

კაცობრიობის კულტურის ისტორიაში არ შეიძლება დავასახელოთ არცერთი ისეთი კულტურა, რომელსაც არ ჰქონდეს თავის საკუთარი დღესასწაულები. მმართველი კლასები დღესასწაულებს მუდამ ემოციონალური ზეგავლენის იარაღად ხმარობენ და მათი საშუალებით ხალხში გამოწვეულ ენტუზიაზმს თავის სასარგებლოდ იყენებენ. მუშაოთა კლასი კი, დღესასწაულებით იგნებს რა საკუთარ ბრძოლებს, სიყვარულით და პატივისცემით მოიხსენიებს საერთო საქმისათვის თავდადებულთ, უხარის განვლილი ბრძოლებიდან გამარჯვებული გამოსვლა, ემზადება ახალი ბრძოლებისთვის — კომუნიზმის დასამყარებლად — და ბრძოლის ენტუზიაზმით ანთებს ახალი თაობის სულს. მუშაოთა კლასი საკუთარ გამარჯვებას დღესასწაულობს!

მიუხედავად დღესასწაულების მიზნის სხვაობისა სხვადასხვა ეპოქაში, ყველგან და ყოველთვის დღესასწაულების გაფორმება მუდამ ხელოვნების საშუალებით ხდებოდა. ამას ვერც რევოლუციონური დღესასწაულები ცდება. საუბედუროდ, ჩვენ სკოლებში ხელოვნებას ჯერ კიდევ ვერ აქვს სათანადო ადგილი მოპოებული. ხატვას, პლასტიკას, მუსიკას, სიმღერას სკოლები უცქერიან ზერელედ და მა-

თი ჯეროვანად დაყენებისათვის ჯერ ლაპარაკის მეტი არაფერი გა-
კეთებულია. ზოგჯერ ეს საგნები იწყება და თავდება ხალტურით, რაც
ბავშებს სამუდამოდ აძულებს ხელოვნებას. ნამდვილად კი ხელოვნე-
ბა უნდა აკეთილშობილებდეს და აფაქიზებდეს გრძნობებს, უმულავნებ-
დეს ესთეტიურ გემოვნებას და აყვარებდეს და ათვისებინებდეს მმარ-
თველი კლასის იდეოლოგიას. ჩვენი ხელოვნება პროლეტარული იდე-
ოლოგიის იარაღია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ხელოვნების ჭურუ-
მნი (არა უველა, რასაკვირველია!) ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლეა
ბულან ბურუჟაზიული თვალთახედვისაგან.

ჩვენი ფიქრით, შრომის სკოლამ ამ მხრივაც უნდა გადადგას
დიდი ნაბიჯი და გაამაგროს ხელოვნების სათავეები.

ამ წერილის მიზანი არ არის შრომის სკოლებში ხელოვნების
საკითხის გაშუქება, მაგრამ, რამდენადაც რევოლ. დღესასწაულების
ჩატარება შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ხელოვნების გარეშე და
ხელოვნების გამოყენება კი ხელოვანის გარეშე, ამდენად ჩვენ აღვია-
რებთ, რომ: ადამიანი, რომელსაც თვით არ სწავს საქმე, რომელსაც
აკეთებს, ვერაფერს შექმნის! ხელოვნება კი ქმნადობის გარეშე წარ-
მოუდგენელია. ამიტომ არის, რომ რევოლ. დღესასწაულები ხშირად
ზერელე, ნაჩარევ, ზევიდან ნაკარნახევის იერს ატარებს და არა
წრფელ და სასიხარულო მოვლენის სახეს.

დღესასწაულის მოსაწყობად საჭიროა: კარგად მოფიქრებული
მხატვრული გაფორმების გეგმა და მონაწილეთა შემოქმედებითი ფაქ-
ნტაზის გამომულავნება. უკელაფერ ამას კი შესძლებს მაგარი, მტკი-
ცე და კლასიური იდეოლოგიით გამჭვალული ხელოვანი.

1 კათეგორიის დღესასწაულებისათვის მზადება ორი-სამი კვი-
რით ადრე უნდა იწყებოდეს. როგორც ჩემოთ ვთქვით, მუშაობის
მთავარი სიმძიმე (პროგრამული ნაწილის გარდა) საღამოს საათებში
უნდა გადავიტანოთ. დილა-საღამოების მოწყობაზე არაფერს ვიტყ-
ვით, რაღაც ამ მხრივ ჩვენ სკოლებს საქმაოდ დიდი გამოცდილება
აქვთ: პლაკატები და ლოზუნების შედგენა, უურნალის და გაზეთის
გამოშვება, სპეციალური ახალი პიესის და სცენების დაწერა, სცენის
მოწყობა და სხვა უოველწლიურად ახალ სახეს უნდა ატარებდეს. შე-
ვეხებით სხვა მხარეებს:

ა. დღესასწაულის წინა საღამო. აუკილებელია დღესასწაული
იწყებოდეს წინა საღამოთი. უკელა დამეთანხმება, რომ საღამოს, ხე-
ლოვნური განათების შუქზე, ქუჩებში დემონსტრაციების მოწყობა
მეტად ლამაზი და ეფექტუანი იქნება. საღამოს უამს მასიური სვლა
დოლით, სიმღერით, მუსიკით და დროშებით ბავშებში შექმნის სა-

ზეიმო განწყობილებას, მით უშეტეს, თუ ქალაქის ან სოფლის გარე-
მოცვა და განწყობილებაც საზეიმო იქნება. თვითული ორგანიზაცია
ოამოუკიდებლად გამოდის წინასწარ დასახული, მარშრუტით, რომ
სკოლაში ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ და ზედმეტ შეჯგუფებას ად-
გილი არ ექნეს.

კარგი იქნება აგრეთვე სკოლის დროს ჩირალდნების და სანათუ-
რების გამოყენება. სკოლა დამთავრდება სკოლაში მისვლით. იქ გა-
მართება ცეკვა, თამაში, სიმღერა, სცენები, ოხუნჯობა და ბოლოს
საერთო ვახშამი. ვახშამი სრულიად არ მოითხოვს დიდ მზადებას,
ყოველი ბავში შინიდან მოიტანს თუნდაც მცირე ულუფას. ყველას-
თვის გაიშლება სუფრა და შეუდგებიან დანაყრებას (ლაპარაკი მე-
ტია იმაზე, რომ სუვრაზე არც ერთი ჭიქა სასმელი არ უნდა იყოს,
გარდა წყლის). სკოლაში, სადაც არის მოწყობილი ცხელი საუზმე,
შეიძლება ამ საღამოს გაიმართოს საერთო ვახშამი საუზმის ხარჯზე.
სადაც ცხელი საუზმე არ არის, იქ შეიძლება ვახშამი მუშკორპეა
თვითლირებულების ფასებში მოაწყოს (ამას მეტი გამართლება ექ-
ნება, ვიდრე აღდგომის კვირაში წითელი კვერცხების და პასკების
დამზადებას).

ვახშმის შემდეგ ბავშები დაიშლებიან.

ბ. კარნავალი და დემონსტრაცია. ზევით დაგვავიწყდა გვეთ-
ქვა, რომ სკოლა უნდა იყოს მორთული სანათურებით, ლროშებით,
სურათებით, ნოხებით, მწევანით, პლაკატებით და ლოზუნებით. შენო-
ბის გარეგანი და შინაგანი მორთულობა დიდად უწყობს ხელს ადა-
მიანის განწყობილებას.

ბავშებსაც უნდა ეცვათ უბრალო, მაგრამ სუფთა, ლამაზი სა-
მოსი. პიონერები აუცილებლად ფორმაში უნდა იყვენ გამოწყო-
ბილი.

დარაზმული ბავშები გადიან სკოლიდან და მონაწილეობას
ილებენ დემონსტრაციაში. კიდევ უნდა განვიმეოროთ, რომ დემო-
ნსტრაციის დროს ერთს აღგილას დიდხანს ლოდინი ნერვიულ მდგო-
მარეობას ჰქმნის და განწყობილებას აფუჭებს.

ამიტომ ყოველგვარი ზომა უნდა იქნეს მიღებული, რომ დემო-
ნსტრაცია თრგანიზაციულად კარგად ჩატარდეს. ეს კი მაშინ მო-
ხდება, თუ ყოველი სკოლა დაუგვიანებლად მივა დანიშნულ ად-
გილზე.

დემონსტრაციის დროს კარნავალი მეტად კარგი საშუალებაა
ხალისის და აღფრთოვანების გამოსაწვევად. კარნავალის მოწყობა

არ არის ადვილი საქმე, რადგან ცუდი გემოვნებით მოწყობილი კარნავალი მიზანს სრულიად ვერ აღწევს.

კარნავალს მხატვრული სახე უნდა ექნეს. ხელოვნება, რომლის მიზანია დემონსტრაციის დროს მასებზე ემოციონალური ზეგავლენის მოხდენა, მოითხოვს სახეებს, კონკრეტ გამოსახულებას. ამისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა თუ წარსული ცხოვრების ტიპების თუ ისტორიული მოქმედებების ასახვა, არამედ ჩვენი აწმუნისიც თავით მიღწევებით და წარმატებით. პოლიტიკურ მომენტებს გარდა უნდა ავილოთ სკოლის წარსული ცხოვრება: ნაციონალური შულლი, ცემა-ტყეპა, „კლასის დამები“, ორდენებიანი და ჩინ-ტემლაკიანი დირექტორ-ინსპექტორები და შასწავლებლები, „ზუბრიაკი“—კრეტინი, საღვთო სჯულით და დაბადებით თავგამოჭედილი მოწაფეები, მასწავლებელი—მღვდელი, სახაზავებით და წკეპლებით მოწაფეების გამანსპიდლება, „კონდუიტი“ და მრავალი სხვა, რაც ჩვენი ახალი თაობისთვის სრულიად უცნობია. კარნავალის დროს რაც შეიძლება ნაკლებ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი სწრაფი გადასაზიდი საშუალებანი, რომელიც შთაბეჭდილების მიღებას ხელს უშლის. კარგია ქუჩებში მოეწყოს ლია სანახაობანი ინსცენირობით, ლაპარაკით, წარმოდგენებით. კარნავალისთვის უვარგისია რამდენჯერმე გადალეჭილი სურათების გამოტანა—მაყურებელს თავს აბეზრებს.

გ. საღამოს გასართობები. დემონსტრაცია დაიშლება და ბავშები წავლენ თავის სახლებში იმ გადაწყვეტილებით, რომ საღამოს თავს კვლავ მოიყრიან. საღამოს ბავშებისათვის უნდა ეწყობოდეს კინოები, თეატრები, ბალეტი, გუნდები, ორკესტრები, დეკლამაცია, მასიური სიმღერები, მხატვრული კითხვა, „პეტრუშკა“ და სხვა.

მართალია ქალაქში ასეთი სანახაობანი ეწყობა დახურულ ოეატრებში, მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენის აზრით, საჭიროა ქალაქებში მაინც სამხატვრო კომისიებმა მოახერხონ სანახაობათა ცის ქვეშ გამართვა.

ჩვენი თეატრები ვერ აქმაყოფილებენ მსურველების მეათასედსაც, რადგან მათი ტევაზობა მცირეა. ესეც არ იყოს, განწყობილებაც ამ დღეს ისეთია, რომ აღამიანს დახურულ შენობაში ყოფნა არ სურს. მას უნდა ყველაფერი ნახოს, განიცალოს, შეიგრძნოს. თეატრში ის სხვა დროსაც წავა. მას ქუჩა იზიდავს. ყველანი ქუჩებში გამოდიან და ქუჩა კი ცარიელია, ილიუმინაციის მეტს ვერაფერს ვხედავთ. ცადია, თუ ქუჩაში იქნება სანახაობანი, ყველა სიამოვნებით შექრდება. ამას გარდა, განაპირო უბნები მონაწილეობის გარეშე რჩება, ყველაფერი ცენტრში იყრის თავს, ცენტრალური ქუჩები მრა-

ვალი ათასეული ხალხით ისე იჭედება, რომ გავლა შეუძლებელია. გარე უბნებში, ოჯახზე მიმაგრებული მრავალი ხალხი ცენტრში ვერ მიღის და დღესასწაულის გარეშე რჩება. დღესასწაული კი ყველამ უნდა შერგონოს. მით უმეტეს, მუშათა უბნებში ხშირად გესმის, რომ ძეველადაც ცენტრი იყო ბორბონებული და ეხლაც ცენტრია პატივ-ცემულიო. მართლაც, ამ დღეს თუ ცენტრიდან გარე უბნებში მოხვდებით, გაგაკვირვებთ ყოველდღიური, შეურყეველი ელფერი, თითქო მათთვის არ იყოს დღესასწაული, თითქო ისინი არ არიან ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებნი. საჭიროა დღესასწაული გადატანილ იქნეს გარე უბნებშიც ილიუმინაციით, სანახაობით, ტრიბუნებით და მფრინავი მიტინგებით, ხმამალლა მოლაპარაკე რაღიო-აპარატებით, რომ ყველამ იგრძნოს არაჩვეულებრივი მდგომარეობა. ვინაიდან 1 კათეგორიის დღესასწაულები ორ დღეს გრძელდება, უნდა ვითქიქროთ მეორე დღეზედაც ვფიქრობთ, ამ დღეს დღესასწაული შეიძლება გაზავიტანოთ ქალაქ გარედ გაშლილ მოედნებზე, ბაღებში და გაიმართოს შეჯიბრი: სროლაში, სირბილში, ხტუნვაში, ბურთის თამაშში, ველოგადარბენაში, დოლში, ჯირითში, ჭიდაობაში და სხვა. შეჯიბრის დროს მონაწილეობას იღებს ყველა სკოლა, მაგრამ ერთი უეჭველი პირობით, ყოველგვარი შეჯიბრი მოითხოვს მტკიცე ორგანიზაციულ ფორმებს და შეჯიბრის დროს უნდა იყოს შერჩეული ერთნაირი ძალები ასაკისა და ფიზიკური ჯანმრთელობის მიხედვით. აუცილებელია ავტოთვე მაყურებლებისა და მონაწილეების გამიჯვნა, რომ არეულობას და უსიამოვნო შეჯგუფებას ადგილი არ ექნეს. ამ დღისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასიური გუნდი, მასიური მხატვრული კითხვა, მოგონებების თხრობა და საერთო სადილი. სალამო დასვენებას უნდა დაეთმოს, რომ მეორე დღეს სკოლებში ნორმალურ მუშაობას ხელი არ შეეშალოს.

ამ წერილით დღესასწაულების ჩატარების ყველა სახის ამოწურვა ძნელია. ასეთი პრეტენზიები ჩვენ არც გვქონია, მაგრამ ჩვენს დაკვირვებას მყითხველს იმ განზრავებით ვუზიარებთ, რომ მომწიფებული საკითხის გადასაკრელად სხვა ამხანაგებიც გამოგვეხმაურონ.

ეხლა ორიოდე სიტყვა „დღესასწაულზე“. ჩვენის ლრმა რწმენით, სიტყვა „დღესასწაული“, რომელიც წარმოიშვა სიტყვა „სასწაული-საგან“ და აქვს უალრესად რელიგიური ხასიათი, ჩვენთვის სრულიად გამოუდეგარია. პროლეტარული „დღესასწაულები“ ბრძოლის შედეგებია. ჩვენი დღესასწაულის დამახასიათებელი სწორედ ისაა, რომ მასში სრულიად წაშლილია რელიგიის ყოველგვარი ცრუმორწმუნებრივი ფანტაზიის ჩანასახი. რევოლუციონური დღესასწაულები შენ-

დება რეალურ, ისტორიულ ბრძოლებზე და ამ ბრძოლებიდან გამარჯვებული პროლეტარიატის განწყობილებაზე. რა მოსატანია აქ სიტყვა: „დღესასწაული“ თავისი გამოფიტული და წყალწყალა შინაარსით? ჩვენ სხვა სიტყვა უნდა ვეძიოთ. ახალი ყოფა, ახალი ცხოვრება თავის აზრის გამოსახატავად ახალ ღევესიკონს, ახალ სიტყვას თხოულობს. ჩვენ არ ვიცით, რა სიტყვით შეიცვლება „დღესასწაული“, მაგრამ მისი დატოვება ყოვლად დაუშვებელია. უთუოდ სატერმინოლოგიო კომისია ამ სიტყვას ყურადღებას მიაქცევს და შეცვლის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია საკითხის დასმისთვის შემოვიტანოთ შემდეგი წინადადება: 1 კათეგორიის დღეებს ვუწოდოთ „დღეზეიმი“, მეორე კათეგორიის დღეებს — „ხსოვნის დღე“ და მესამე კათეგორიისას კი — უბრალოდ „დღე“, რომელსაც ემატება სიტყვა: „ქალთა“, „ახალგაზრდობის“, „წითელი არმიის“ და სხვა.

არც „დღესასწაული“ და არც „უქმი“ (რომელიც წარმომდგარი იყო უქმად ყოფნიდან და რომელიც ჩვენ ყოფას სრულიად არ შეეფერება) არ შეიძლება ჩვენ ხმარებაში დავტოვოთ.

6. პ.

სოფლის კინოფიქაცია.

ხელოვნებიდან, ჩემის აზრით, ყველაზე ღირსშესანიშნავი რუსეთისათვის კინოა. ლენინი.

1927 წელს საქართველოს მოსახლეობის თითოეულ წევრს რომ ერთხელ მაინც ენახა კინო სეანსი, საჭირო იყო ექვსი წელი. ასეთი არასასიამოვნო სურათის მიზეზი იყო კინოების რიცხვის სიმცირე, მით უმეტეს მოძრავი კინოების, რომელიც უფრო იოლად სწდება ე. წ. მიკარგულ ადგილებს. სახკინმრეწვის (ცნობების თანახმად, გასულ წელს საქართველოში (ავტონომიური ერთეულების ჩათვლით) სულ მუშაობდა 12 მოძრავი კინო (აქ არ შედის წ. არმ. ნაწილები). როგორც ვხედავთ, ეს რიცხვი მეტად მცირეა. მოძრავი კინოების ასეთი სიმცირით ჩვენი სოფლის კინოფიქაცია შორს ვერ წავიდოდა, რომ ხელმძღვანელ ორგანოებს (ს. კ. პ. (ბ) მე-XV ყრილობა და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას თებერვლის პლენუმი) თავის დროზე არ მიექციათ ამისათვის სათანადო ყურადღება და ეს რიცხვი საგრძნობად არ გაზრდილიყო. დღეს მარტი პოლიტგანათლების სახით საქართველოში (ავტონომიურ. რესპ. არ შედის) სამუშაოდ არის გასული 16

მოძრავი კინო (გასულ შელს იყო მხოლოდ 6); აქედან 9— მაზრპო-
ლიტგანებთან და 7 კი 3. გ. მ. მართველობასთან, ე. წ. კინო-ბრი-
გადა. როგორც ვხედავთ, შედარებით მოქლე ხნის განმავლობაში
კარგა დილი მიღწევები გვაქვს.

როგორ მუშაობს კინო სოფლად.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ჩვენ მუშაობას ჯერჯერობით
მრავალი დეფექტი და ნაკლი ახასიათებს. პირველი ნაკლი, რომე-
ლიც მეტად საგრძნობი შეიქნა, არის ქართული ენის მცოდნე მექა-
ნიკოსების სიმცირე. მეორე არა ნაკლები დამაბრკოლებელი მიზეზია
კინო-სურათების ქირის სიძვირე (4—5 და 6 მანეთი დღეში) და კი-
ნო-მუშაობის მოუწესრიგებლობა. მესამე მიზეზია ადგილობრივი (თე-
მებში) პარტიული და საბჭოთა ორგანოების კინოსადმი შედარებითი
უყურადღებობა. ამ ორი უკანასკნელი დაბრკოლების დაძლევა დიდ
სიძნელეს არ წარმოადგენს, თუ სათანადო უყრადღებით მოექცევა
სახეინმრეწვი სოფლად მოძრავ კინოს და კინო-სურათე-
ბის ქირას მინიმუმამდე დაიყვანს, თუ ადგილობრივი პარტიული და საბ-
ჭოთა ორგანოები სათანადო ზომებს მიიღებნ, რომ ჩასულ კინოს
შესაფერი დახმარება გაუწიონ (მაგალითად, თემიდან თემში გადასა-
ტან საშუალებათა უფასოდ მიცემა, კინოს პოპულარიზაციისათვის
აგიტაცია-პროპაგანდაში მასების მიზიდვა და სურათის ახსნა-განმარ-
ტებაში დახმარების აღმოჩენა). რაც შეეხება პირველ საკითხს, მისი
მოგვარება შეიძლება მხოლოდ მექანიკოსთა კადრის მომზადებით,
რაც აუცილებელია ჩვენს სინამდვილეში. ეს საკითხი მით უფრო არის
საინტერესო, რომ მოძრავი კინო აუცილებლად თვითანაზღაურების
პრინციპზე უნდა იყოს აგებული, რისთვისაც მექანიკოს-ლექტორის
მოვალეობის შეთავსებას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს. რუსეთის მა-
ვალითი ამ დებულებას სავსებით ადასტურებს. ამრიგად, ჩვენი
ქვეყნის კინოფიქაციამ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოაყენა
კინო-მექანიკოს-ლექტორთა მომზადების საკითხი. ამ საკითხის დრო-
ზე გადაჭრაზეა, ნაწილობრივ, დამოკიდებული კინოფიქაციის საკი-
თხის შეუჩერებლივ წინსვლა.

მოსახლეობის ინტერესი კინოსადმი.

კინოს ჩასელა ახალი მოვლენაა მოსახლეობისათვის. ძნელია იმ
უნტუზიაზმის აღწერა, რომელსაც იწვევს კინოს გაჩენა. ვინც კი
გაიგებს, რომ კინო-სურათი იქნება ნაჩენები, ყველა,—განურჩევლად

წლოვანებისა და სქესისა,— ესწრება სეანსს. მექვენაში (ლეჩეუმის მაზრა) ერთ ოჯახს უბედურება სრულიად შემთხვევით ასცდა. დიდი და პატარა, ქალი და კაცი სურათის სანახავად წასულა, ოჯახის მეთვალყურეობა მიუნდვიათ 3—4 წლის მძინარე ბავშისათვის, ბავშს გაღვიძებია და რაღგან ვერავინ დაუნახავს სახლში, ქუჩაში გამოსულა. რომ შემთხვევით გამვლელთ არ ეპატრონათ მისთვის, კლდეში ან რიონში გადავარდნა მას არ ასცდებოდა. სოფელ ლარში (რაჭა) მოსახლეობა სიხარულით ნადიმს მართავს, რის შემდეგაც „საპატიონდ“ აპატიმრებს კინომექანიკოსს, დინამოს სახელურს „პარავენ“, რომ მის წასვლას ხელი შეუშალონ და მეორეჯერ აჩვენოს სურათი. სოფელ ღნორისში (ლეჩეუმის მაზრა) მცხოვრებლებმა 8—10 კილომეტრი გაიარეს და მაინც ნახეს კინო-სურათი. აუდიტორიიდან ხშირად გაიგონებთ (უწერაში)— „გაგვანათლეთ, გაგინათლდათ მამის სული“ (მამის სული განათლდება თუ არა, ეს საინტერესო არ არის, მაგრამ ყველასათვის გასაგებია, თუ რა სთქვა ამით გლეხმა). ლაპირებ წასვლას თუ არა, შეხედულება ეცვლებათ, უმაღური თვალით გიყურებს ყველა. გამომშვიდობებისას უკანასკნელი სიტყვებია: „როდის ჩამოხვალთ“? „ნუ დაგვივიწყებთ“ „ხშირად მოდით“. მოსახლეობის ინტერესი კინოსადმი, თუ შეიძლება ასეთ ითქვას; აუწერელია.

ფრონტი გარღვეულია.

ამ მცირე ხნის განმავლობაში ბევრ ისეთ სოფელს ეწვია კინო, რომ მათთვის პირველი იყო კინოს ნახვა. რაჭა-ლეჩეუმი და სვანეთი ნახევრად დაპყრობილია კინოს მიერ. შეკითხვაზე „რას იტყვით კინოს მუშაობის შესახებ?“—სვანეთის აღმასკომის თავმჯდომარე აწებ. ნავერიანი სწერს: „უშგულიდან დაწყებული, თქვენი მექანიკოსი გადადის თემიდან-თემში დასავლეთის მიმართულებით და კინო-სეან-სებს უფასოდ აჩვენებს, მოსახლეობა ძლიერ (ხაზი ჩემია. პ. ხ.) გახარებულია და ხალისით იკრიბება. მექანიკოსმა, სხვათა შორის, ბეჩოში შეაკეთა ჩენი დანამოც. სამი დღის განმავლობაში მექანიკოსი მოათვებს სვანეთის ყველა თემის და უმთავრესი სოფლების შემოვლას“.

ასეთივე გდეომარეობაა სხვა მაზრებშიც. ადგილობრივ კინოებთან ერთად „ახალი სოფლის“ სახელობის ბრიგადის მოძრავმა კინოებმაც გაარღვიეს ფრონტი და განაგრძობენ მოძრაობას ორგორც დასავლეთის მიმართულებით, აგრეთვე სხვა მიმართულებითაც, როგორც მოითხოვს მათი სტრატეგია. საჭიროა ახალი ძალების მიშვე-

ლება, რომ მიღწევებს მიღწევები მიემატოს. აღნიშნული მიღწევები, მიუხდავად იმისა, რომ ის დიდმიშვნელოვანია, მაინც არ არის საკმარისი, საჭიროა მისი გაფართოვება და განმტკიცება.

არსებული კინო-სურათების ჩვენებით ვაღწევთ თუ არა მიზანს?

თავისთავად ცხადია, ეს კინო-სურათები აღწევს თავის მიზანს. მაგრამ კიდევ ბევრი რამ გვაკლია. ჩვენი სურათის იდეოლოგიური მძლეობის დახასიათებას აქ არ შევუდგებით, მაგრამ ერთი რამ აშ-კარაა: კინო-სურათების ჩვენება კულტურულ რევოლუციას დიდათ უწყობს ხელს, ხოლო რაც შეეხება სპეციალურ აკრონომიულ, კომპე-რატიულ, სანიტარულ და სხვა პროპაგანდას, ეს ჯერჯერობით ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. ამის მიზეზი ისაა, რომ 1) ასეთი კულტ-ფილმები საქ. საქინმრეწვეს ძლიერ ცოტა შოებოვება და 2) სათანადო ორგანოები: მიწსახკომი, ჯანსახკომი, კომპერა-ცია და სხვანი არ უწევენ შესაფერის დახმარებას ხსენებული ფილ-მების შეძების საქმეში. რუსეთში ეს საკითხები ნაწილობრივ მოგვა-რებულია. საჭიროა აქაც სასწრაფოდ მოგვარდეს. კულტ-ფილმები რუსული წარწერით მრავალია, მხოლოდ საჭიროა შეძენა და ქართუ-ლი წარწერის გაკეთება, ამისათვის კი აუცილებელია ზემოხსენებულ-მა ორგანოებმა ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ. კულტ-ფილმები სწორედ დღეს არის საჭირო, სოფლის მეურნეობის კო-ლექტივიზაცია და კულტურული რევოლუცია გადაჭრით მოი-თხოვს ამას.

სკოლა და კინო.

როგორც პირადი დაკვირვება, აგრეთვე მექანიკოს-ლექტორე-ბის ცნობები ნათლად ადასტურებენ, რომ სკოლა განსაკუთრებულ ინტერესს, იჩენს კინოსადმი. „მასწავლებლობა ჩემი მარჯვენა ხელია, ის მიწევს დახმარებას სურათის ახსნა-განმარტებაში, ბილეთების გა-ყიდვის მოწესრიგებაში და სხვა“, — სწერს მექანიკოს-ლექტორი. ხში-რია შემთხვევა, როდესაც სკოლა საკუთრად აწყობს კინო-სეანსებს (ონი, ამბოლაური) და შემდეგ ნახულს იყენებს, როგორც მასალას. ონის ცხრაწლედმა თემაც დასწერა კინო-სურათის „საში სიცო-ცხლის“ მიხედვით. სკოლის ინტერესი კინოსადმი უდავოა, მხოლოდ საკითხი იბადება, — რამდენად უსრულდებათ მათ ეს სურვილი. სკო-ლა საგსებით მოუწყობელია ტექნიკურად, რომ დღისით მოწყობა კინო-სურათი და ჩვენი კინო-აპარატი არ არის ისე მოწყობილი, რომ სეანსის გაშვებასთან ერთად აწარმოონ მისი ახსნა-განმარტება (ჩვენს

სინამდვილეში სურათის ახსნა შეიძლება ან სურათის გაშვების წინ, ანდა სურათის გაშვების შემდეგ) და, რაც უმთავრესია, არა გვაქვს სკოლისათვის მოხდენილი ფილმები (საბავშო ფილმებზე ხომ ლაპა-რაკიც ზედმეტია). 1928 წელს ღროვა ამ გარემოებას ღრმად ჩაუკვირდენ სათანადო ორგანოები და სკოლებს საჭირო ფილმები მიაწოდონ. რაც შეეხება აპარატურას, არც ისე ცუდად არის საქმე; ჯერჯერობით არსებული მოძრავი კინოს გამოყენება შეიძლება, მხოლოდ სკოლებისათვის ჯერჯერობით თითოეულ მაზრაში თითო სპეციალური აპარატი მაინც უნდა შევიძინოთ. სკოლა და მოწაფეობა საუცხოვო ბაზაა აგიტაცია-პროპაგანდისათვის. მათ შორის მუშაობა იმას ნიშნავს, რომ მათ მშობლებშიაც სწარმოებს მუშაობა, რაღანაც უდავოა, რომ მოწაფე სკოლაში რასაც ახალს ნახავს, აუცილებლად მშობლებს უზიარებს, — ასეთია მოწაფის ფსიქოლოგია. მექანიკოსების სათანადო დირექტივები აქვთ მიცემული სკოლის მიმართ. მასწავლებლობაც განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს ამ საქმეს და მოახერხოს ჩასული კინოს გამოყენება.

არსებული კინო-აპარატურის ხარისხი და როგორ იყენებენ კინოს მაზრპოლიტგანები.

1927 წლამდე შეძენილი აპარატების უზრავლესობა „გოზის“ სისტემისაა, შედარებით მდარე ხარისხისაა. მხოლოდ ახლადშეძენილი აპარატები „პატე რუსი“ და „პატე ნორდ-“ ის სისტემისაა და ხარისხით გაცილებით უმჯობესია, ვიდრე „გოზი“.

„პატე რუსი“ ამჟამად ბაზარზე იშოვება და შედარებით იაფიც ლირს (815 მან.).

არის შემთხვევა, როდესაც მაზრაში (ახალქალაქი) კინომ საკუთხით გაიტეხა სახელი, მიზეზი კი ის არის, რომ ვერ შესძლეს მუშაობის სათანადო ღონებზე დაყენება. ხსენებული მაზრპოლიტგანის ხელმძღვანელი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. ის იქამდე მივიღა, რომ ამტკიცებს კიდეც, მოსახლეობას არ აინტერესებს კინო და არ ესწრება კინო-სეანსებსო. მოსახლეობას შორის ინტერესი კინოსაღმი უზომოა, მაგრამ ნამდვილად კი თვითონ ხელმძღვანელია მიზეზი მოსახლეობაში ასეთი ატმოსფერის შექმნისა. მან ისე დაიყენა თავისი საქმე, რომ სახეინმრეწვის გასაქირავებელ განყოფილებაში ვერ შედის, რაღან თუ შევიდა, 250 მანეთი უნდა გადაიხადოს დავალიანების დასაფარავად, ისე შას არ ენდობიან სურათს. ყველა ამის შემდეგ ამ გმირმა გადასწყვიტა კინო გადაეცა პ. გ. მ.

და იქ უნდა შეაფაროს თავი. კინო დლესაც დგას. საინტერესოა, დიღხანს გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა? ამ ფაქტს ლრმად უნდა ჩაუფიქრდენ მაზრპოლიტგანები და კინოს ხელმძღვანელები კინო-აპარატს და კინო-ლენტს მოვლა უნდა, ის სახელმწიფო ქონებაა. დაუშვებელია კინო-სურათისადმი უდიერად მოპყრობა, ეს სახელმწი-ფო ქონების უდიერად მოპყრობის ერთი ნიმუშთაგანია. ხშირად მა-ზრიდან დაბრუნებული სურათი ისეა დაზიანებული, რომ ის ხმარე-ბიდან გამოდის (ახალკიხე, დუშეთი), რაც დაუშვებელია. უნდა ვე-რიდოთ ასეთი ამბის განმეორებას.

კინო მშრომელი მასისათვის.

მოძრავი კინო სოფლად, პირველად ყოვლისა, უნდა ემსახუროს მოჯამაგირეს, ულარიბეს და საშუალო გლეხობას. მოჯამაგირეს რომ გაუადვილდეს კინო-სეანსზე დასწრება, საჭიროა ის სრულიად უფა-სოდ იქნეს დაშვებული. აგრეთვე საჭიროა ასეთივე პირობებში სუ-რათის ჩვენება სამხედრო ნაწილებისათვის (როგორც რეგულარულ, აგრეთვე ტერ წერტებისათვისაც). კინოს მიზანი არ უნდა იყოს მო-გება. ზემოხსენებულ ფენებს უნდა გავუადვილოთ სურათზე დასწრე-ბა. ბილეთების ფასიც სწორედ მასზე არის შეფარდებული (5 კაპ. 25 კაპეიკამდე). ჩვენი მიზანი უნდა იყოს აგრეთვე ამ ფასების არა სტაბილიზაცია, არამედ თანადათანობით დაკლება,—ლოზუნგი „კინო მშრომელი მასისათვის“ არ უნდა დაივიწყონ კინოს ხელმძღვა-ნელება.

საჭიროა ძალების გაერთიანება და გეგმიანი მუშაობა.

სოფლის კინოფიქაცია უგეგმოდ ვითარდება. ყველა ამ საკითხით დაინტერესებული ორგანოები დამოუკიდებლად განაგრძობენ მუშაო-ბას. საჭიროა გაერთიანება, შეთანხმებული მუშაობა, გეგმიანობა. პოლიტგანათლების მთავარსამართველოსთან ჩამოყალიბებული კინო-სექცია, სხვა დანარჩენი დაინტერესებული ორგანოების ერთვული დახმარებით, იმედია, შესძლებს ამ საკითხის მოვარებას.

3. ხობუა.

რა უდა გააკეთოს ქოხ-სამყითხველოს გამგება და რა უნდა ჰყავდეს ლარიბი და მოჯამაგირე—წერაკითხვის უცოდინარი.

ქოხ-სამყითხველოს კარგ გამგეს სოფლად არ უნდა ჰყავდეს არცერთი ლარიბი და მოჯამაგირე—წერაკითხვის უცოდინარი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს მთავარი ყურადღება ექცევა საბჭოთ ხელისუფლების მიერ. ლიკ-სკოლების ორგანიზაციისათვის გადადებულია თანხა საკმაო რაოდენობით; ქოხ-სამკ. გამგემ განსაკუთრებული ენერგია იმაზე უნდა დახარჯოს, რომ წერაკითხვა შეისწავლონ დარიბებმა და მოჯამაგირეებმა.

რა უნდა გაკეთდეს აქ?

პირველ ყოვლისა, წინასწარ აღრიცხული უნდა ჰყავდეს ქოხ-სამყითხველოს გამგეს მის რაიონში მყოფი წერაკითხვის უცოდინარი ლარიბები და მოჯამაგირენი.

მიწა-ტყის კავშირთან ერთად მან უნდა მოაგვაროს საკითხი მათი ლიკ-პუნქტში ჩარიცხვის შესახებ. უმეტეს შემთხვევაში სოფლად მოჯამაგირები გაფანტული არიან, ანდა, დროს უქონლობის გამო, ვერ ახერხებენ სისტემატიურად სიარულს ლიკპუნქტში. ასეთ შემთხვევაში უნდა მოეწყოს ინდივიდუალური-ჯგუფობრივი სწავლება, რაშიც გამოყენებული უნდა იქნენ, ინდივიდუალურად მიმაგრებისაცვის, ადგილობრივი ძალები: „წერკუმსი-“ს, ქოხ-სამყითხველოს აქტივი, კომკავშირი და სხვა. ინდივიდუალურ-ჯგუფობრივი მეცადინეობის წარმატებისთვის, სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფისათვის ზომები უნდა მიიღოს (დახმარების აღმოჩენა) „წერკუმს“-მა, გლეხკომმა და სხვა ნებაყოფლობითმა ორგანიზაციებმა. წერაკითხვის უცოდინართა სწავლების პერიოდი ქოხ სამყითხველომ უნდა გამოიყენოს მოჯამაგირეებთან, ლარიბ და საშუალო გლეხებთან პირდაპირი და მუდმივი კავშირის გასაძლიერებლად.

თემის ქოხ სამყითხველოსთან არსებულ მოჯამაგირეთა კუთხეში ხშირად უნდა წარმოებდეს საუბრების ჩატარება და მეთოდური საკითხების გარჩევა (მოჯამაგირეთა შორის წერაკითხვის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლა).

სოფლის ქოხ-სამყითხველოს და წითელ კუთხეების საშუალებით ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული წერაკითხვის ცოდნის მნიშვნელობა.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ წერაკათხვის ლიკვიდაცია ლარიბებსა და მოჯამაგირეთა შორის ქოხ-სამკითხველოსათვის ძირითად მუშაობას წარმოადგენს.

ი. ძძიგური.

ტფილისის პოლიტგანის ინსტრუქტორი.

როგორი უნდა იყოს ქოხ-სამკითხველოს გუშაობა გლეხ-ქალთა შორის.

ქოხ-სამკითხველო ოემის ფარგლებში ხელმძღვანელობს პითელ კულტურულ-პოლიტიკური მუშაობას. მის მიზანს შეადგენს სოფლის მოსახლეობის პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლება, მაგრამ ზოგიერთი ქოხ-სამკითხველო უმეტეს შემთხვევაში ჯერ კიდევ მამაკაცთ ემსახურება. ქალთა შორის მუშაობის შინაარსი და მეთოდი ვერ არის გაგებული, როგორც ეს საჭიროა და ამის გამო გლეხი ქალი ძალიან იშვიათად მიღის ქოხ-სამკითხველოში.

სპეციალურად გლეხ-ქალთა შორის მუშაობას აწარმოებენ ადგილობრივ ქალთა სადელეგატო პუნქტი, ქალთა განყოფილება, კომუნიკაციები და სხვა. მიუხედავად ამისა, ქოხ სამკითხველო თავის მხრივ უნდა აწყობდეს თავის მუშაობას ისე, რომ ემსახურებოდეს სოფლად როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებსაც. რომ ქოხ-სამკითხველო გლეხ-ქალისათვის საყვარელი ადგილი შეიქნეს, საჭიროა ვიცოდეთ, რაგორ ჩავაბათ ქალები სამკ. მუშაობაში. საჭიროა, რომ ქოხ-სამკითხველომ გამოარკვიოს, არსებულ მომენტში რა აინტერესებთ თემში მცხოვრებ ქალებს. ქოხ-სამკითხველოს კალენდარულ სამუშაო გეგმაში შეტანილ უნდა იქნეს ქალთა შორის მუშაობის მომენტები. ხშირად შეხვდებით ზოგიერთ ქოხ-სამკითხველოს სამუშაო გეგმაში: ჩაბმულ იქნენ ქალები ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში და სხვა. მაგრამ როცა წინასწარ არ არის გათვალისწინებული გლეხ-ქალთა შორის მუშაობის განსაკუთრებული პირობები, სწორი მეთოდი არ არის აღებული ხელმძღვანელობაში, ამის გამო ძნელი ხდება ქალების ჩაბმა ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში. არადამაინტერესებელ მუშაობას, როდესაც გლეხი-ქალი არ მიღის ქოხ-სამკითხველოში, შედეგად ის მოჰყვება, რომ მომავალ სამუშაო გეგმაში ქალთა შორის მუშაობის შეტანას არ მიაქცევენ სათანადო ყურადღებას, რაც არასასურჩევ-ლად უნდა იქნეს კნობილი.

როგორ უნდა დავიწყოთ მუშაობა?

საჭიროა, რომ ქოხ-სამკითხველომ გაამართლოს თავისი ამოცანა ქალთა შორის მუშაობაში; მან უნდა აამაღლოს გლეხ-ქალთა კულტურული დონე, შეცვალოს ძველი უკულტურო ყოფა-ცხოვრება ახლით, ჩააბას სოფლად საზოგადოებრივ მუშაობაში და სხვა. პირველ ყოვლისა, ქოხ-სამკითხველოში, იქ, სადაც ეს საჭიროა, გამოყოფილი უნდა იქნეს სპეციალური „დღე“ გლეხ-ქალთათვის. ახალი დღის ორგანიზაციული მოწყობა დიდ გარდატეხას მოახდენს მუშაობის განვითარებაში. ამ დღეს უნდა ტარდებოდეს საუბრები სპეციალურად ქალთა საკითხთან დაკავშირებით. გლეხ-ქალმა იცის, რომ ეს „დღე“ მას ეკუთვნის და თუ ამ დღის მიზან-შინაარსი და მუშაობის მეთოდი კარგად იქნება შესწავლილი, ეს გააადვილებს გლეხ-ქალის ჩაბმას ქოხ-სამკითხველოში. გამოყოფილ დღეს გლეხ-ქალთათვის საინტერესო საკითხები უნდა გაშუქდეს, მაგ.: ექიმმა უნდა გააცნოს ბავშების ავადმყოფობა, მისცეს დარიგება, როგორ უნდა მოუარონ ავადმყოფ ბავშეს. საჭიროა ქორწინების ახალი კანონისა და ქალის უფლებების შესახებ საუბრის ჩატარება და სხვა, ქოხ-სამკითხველოსთან უნდა მოეწყოს ქალთა წრე, სადაც შეისწავლიან შინაური საქონლის და ფრინველების წესიერ მოვლას. ქოხ-სამკითხველოსთან არსებობს სასოფლო-სამუშაოებრივ წრე; სწორედ აქ იქნება შესაძლებელი თანდათანობით გახდეს აღნიშნული წრის წევრად გლეხ-ქალების უფრო აქტიური ნაწილი.

გლეხ-ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში უმჯობესი იქნება მასწავლებელი ქალი გამოვიყენოთ. ქალთა შორის ქოხ-სამკითხველოს მუშაობამ ერთგვარი შედეგი რომ მოგვცეს, მასში უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს ქალთა ორგანიზატორმა. ქალთა განყოფილების მუშაკი სოფლად ყოველთვის ახლო დგას გლეხ-ქალთან, დაწვრილებით იცის გლეხ-ქალის ჭირ-ვარამი და ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ მან თვით მიიღოს მონაწილეობა ქოხ სამკითხველოს ქალთა შორის მუშაობაში.

სწორედ ქალთა შორის ასეთი მუშაობის წარმოებით მიეჩვევა გლეხი-ქალი სამკითხველოს, რომელიც გადაიქცევა მის თვალში მასთან ახლო მდგომ, მისთვის საინტერესო და სასარგებლო დაწესებულებად.

ი. ძიძიგური.

ტფილისის პოლიტგანის ინსტრუქტორი.

კაპინეტის გახსნისათვის.

ყველასათვის ცხადია, თუ რა სატანჯველია მეტყველების ნაკლი, მაგალითად ენაბლუობა (ischnoponia), ენაჩლუნგობა (traolofes) და გამოურკვეველი მეტყველება (afasia).

ენაბლუობას უწოდებენ მეტყველების ისეთ შერყევას, როდესაც ნორმალური ლაპარაკის დროს აღამიანი უცებ კრთება.

მეტყველების ნაკლის მეორე შემთხვევაა ენაჩლუნგობა, როდესაც სიტყვას აკლებენ ბერის, ან მარცვალს, ანდა საჭირო ბერის მაგივრად ხმარობენ სხვას, ე. ი. ადამიანი მოკლებულია ბერის დიფერენციაციას, მაგ. ცხენის მაგიურ ამბობს — თხენი, სურა — შურა, კარი — არი, რუქა — უქა — ლუქა.

მესამე ნაკლი მეტყველებისა არის აფაზია. აფაზია ორგვარია: მოტორული და სენსორული. პირველ შემთხვევაში აზრის შემცნება სწორია, მხოლოდ გამოთქმას არა აქვს ალაგი, მეტყველება გამოურკვეველია, ის ბავშის ტიტინს მოგვაგონებს. დიდი კამათაა ამ დეფექტის გასწორების გარშემო. ზოგს სრულებით არ სჭერა ამგვარი ნაკლის გამოსწორება, მაგრამ არა ერთმა მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ მოტორული აფაზიის გამოსწორება ჟესაძლოა, მხოლოდ ენერგიასა და დროს მოითხოვს, როგორც ლოგოპათისაგან, ისე ლოგოპედისაგან¹⁾.

მეცნიერებას, რომელიც გვასწავლის, თუ რა საშუალებით შეიძლება ენაბლუთა, ენაჩლუნგთა და აფაზიკების გამოსწორება, ლოგოპედია ეწოდება.

მეტყველების ზემოაღნიშნული დეფექტები კაცობრიობისათვის შორეული დროიდანვეა ცნობილი.

მთელი რიგი ცნობები მოეპოება ამ საკითხის გარშემო ჰეროლტეს, ჰიპოკრატს და არისტოტელს.

ისტორიკოსი პლუტარხი გადმოგვცემს ალკიფიალის, ბერძნთა სარდლის შესახებ, რომ იგი „რ“-ს მაგივრად „ლ“ ამბობდა. ენაბლუიყო დემოსთენი, ძველი საბერძნეთის ორატორი. მან გაითავისუფლა თავი ამ სატანჯველისაგან დიდი ცდის და შრომის მეოხებით, რის შემდეგ მისი სახელი, როგორც საუკეთესო ორატორის, უკვდავი გახდა.

¹⁾ ლოგოპათი: ენაბლუ, ენაჩლუნგი და აფაზიკი. ლოგოპედი — მეტყველების დეფექტის გამომსწორებელი.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი ხანა, როდესაც ლოგოპედიის საკითხი არ მდგარიყოს მწვავედ. საშუალო საუკუნეებშიც-კი, რომელიც მეცნიერების დაქვეითების ხანად ითვლება, ცდილობდენ ამ საკითხის გამორჩევას. თუმცა უნდა ითქვას, რომ მაშინ ამ დარღვი ბევრი არა გაკეთებულა რა, რადგან ბრძოლას მეტყველების დეფექტებთან კლასიკური მედიცინის მიბაძით აწარმოებდენ, ე. ი. ქირურგიული და ფარმაცევტიული ზომებით.

მე-18 საუკუნეში ფრანგი პეტ ი დიდი მოწინააღმდეგე იყო ლოგოპათების ქირურგიული გზით მკურნალობისა, რადგან არა ერთი ადამიანი იმსხვერპლა ამგვარმა მკურნალობამ. მე-19 საუკუნეში ლოგოპათების მკურნალობა დაკანონებულ იქნა. იმ ხანებში ენაბლუობის საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ეს იყო ის ხანა, როდესაც ამერიკელი ექიმის ცოლმა ლიმ გოარჩინა 18 წლის ენაბლუ ქალი. 1925 წელს ლიმ ნიუ-იორკში დააარსა ენაბლუთა ინსტიტუტი და ორი წლის განმავლობაში განკურნა 150 ავადმყოფი. ამ ამბავმა დიდი სენსაცია მოახდინა მთელ ევროპაში. ლიმ ენაბლუთა მკურნალობის საიდუმლოება გადასცა ძმ. მალბუშებს. ეს ახალი მეთოდი მათ გადაიტანეს ევროპაში და მათგან იგი (მკურნალობის მეთოდი) შეიძინა პოლანდის მთავრობამ.

რაც შეეხება რუსეთს, იქ მხოლოდ ათი წელია, რაც დიდი მუშაობა სწარმოებს მეტყველების გასწორების დარღვი. 1922 წელს მოსკოვში მეორე უნივერსიტეტთან დაარსდა ლოგოპედიის კათედრა, რომელსაც სათავეში უდგას პროფესორი რაუ. წელს უკვე მეორე წყებამ დაამთავრა დეფექტოლოგის კურსი, გარდა ამისა, როგორც მოსკოვში, ისე ლენინგრადში დაარსდა მრავალი დამხმარე სასწავლებელი. ამ სასწავლებლებში უყრიან თავს სუსტ მოწაფეებს. მათ შორის უმჩავლესობას ლოგოპათები წარმოადგენნ. მოწაფეები გამოსწორების შემდეგ გადაჰყავთ ნორმალურ სასწავლებლებში. იქვე დააარსეს მეტყველების გასაჯანსალებელი კოლეჯტივები. უკანასკნელნი იმყოფებიან მოსკოვის ჯანმრთელობის განყოფილების გამგებლობაში. ამ კოლეჯტივებში მოთავსებულია მრავალი ახალგაზრდა (16—24 წლ.). მეთოდი მუშაობისა, ერთი მხრით, ფსიქოტერაპიულია, მეორე მხრივ—ბგერისა, სიტყვისა და ფრაზის გაგრძელებითი დაკავშირებული წარმოთქმა, ე. ი. როგორც რითმი, ისე ტემპი უნდა იყოს დაკული. ფსიქოტერაპიის დანიშნულება შემდეგია: ლოგოპედი ცდილობს ჩაუნერგოს ლოგოპათს რწმენა, რომ მას შეუძლია ნაკლის გამოსწორება. ამ მეთოდს უწოდებენ კოლექტიურ ფსიქოლოგიურ მეთოდს: „ჯანსალი ფსიხიკით ჯანსალი მეტყველება“. რაოდენობა

ლოგოპათების, უკანასკნელი სტატისტიკით, 17% უდრის. აი ამი-
ტომ მრავალი ლოგოპათი ოჩება სასწავლებლის კედლებს გარეთ.
ევროპაში არ არის ისეთი პატარა ქალაქიც-კი, სადაც არ არსე-
ბობდეს ლოგოპედების კურსები. გარდა ამისა, ლოგოპედია ითვლება
სავალდებულო საგნად ყოველივე ფაქულტეტზე, როგორც უმაღლეს
სასწავლებლებში, ავრეთვე ტექნიკუმებში; რაც შეეხება ლიტერატუ-
რას, ევროპა ძლიერ მდიდარია ლოგოპედიის ლიტერატურით. ლიტე-
რატურა რუსულ ენაზე ჯერჯერობით მცირეა, რადგან რუსეთში
ლოგოპედიას მხოლოდ რევოლუციის შემდევ მიექცა ყურალება.

საქართველოში ამ მხრივ, სამწუხაოოდ, არაფერია გაკეთებული.
(არა თუ საქართველოში, არამედ ამიერკავკასიის სხვა რესპუბლი-
კებშიც). საჭიროა თუ არა საქართველოში ამგვარი მუშაობა? და-
ა-ათვალიერეთ სასწავლებლები და დარწმუნდებით, რომ საჭიროა,
რადგან ვერ ნახავთ ვერცერთს სასწავლებელს, სადაც 12—15 პროც.
ლოგოპათები არ შეადგნდენ. მეტყველების დეფექტთა შორის ჩვენ-
ში ენაბლუობა მეტად გახშირებულია, აი ამიტომაც მინდა მასზე
შევჩერდე.

როგორც ზემოთ აღნიშნე, ენაბლუობა წარმოადგენს არანორ-
მალურ, უთანასწორო, უკავშირო მეტყველებას, ამ მოვლენის დამა-
ხასიათებელია მეტყველების ამა თუ იმ აპარატის კუნთების შეკრუნ-
ჩხვა. კუნთების შეკრუნჩხვის დროს მეტყველების მექანიზმი კროება.
ენის და ტუჩების კუნთების შეკრუნჩხვა ავადმყოფისათვის ხშირია,
ამ დროს ის ვერ წარმოსთქვამს ბგერას, სიტყვებს აჭიანურებს: ბ...
ბ... ბრმა, კ... კ... კოვზი,—ამბობს ის: რბილი სახის კუნთების შე-
კრუნჩხვა იშვიათია. კუნთების შეკრუნჩხვის სხვადასხვა მიზეზები
იწვევს: შიში, გაუბედაობა და ეჭვი... ენაბლუები განსაკურებით
კროებიან სიტყვებზე, რომლებიც იწყები თანხმოვან ბგერებზე: ს,
პ, ბ, ტ, კ, დ, ტრ, პტ და სხვა. ენაბლუ ხშირად გაურბის
იმ სიტყვის თქმას, რომლის გამოთქმაც უჭირს. მაგალითად,
ბებიას მაგივრად ამბობს დედაქმის დედა. ეს იმიტომ, რომ
ბ-ს გამოთქმა არ ეხება. ენაბლუობა ფსიქონერვული მოვ-
ლენაა. ფსიქონერვოზობა არის ისეთი ანორმალური ფუნქცია
როგანოებისა, როდესაც ფსიქიურ გავლენას აქვს ალაგი და არა ანა-
ტომიურ პათოლოგიას. მეტყველების ნაკლი შთამომავლობით კი არ
არის, ის უფრო სოციალური სენია. ნორჩი არსება ტოლ-ამხანაგისა-
გან ითვისებს ამ სენს მიბაძეით და საშუალებრი აკლდება საზო-
გან ითვისებას.

გუცმანი ამბობს, რომ მიბაძვით ენაბლუობა 55% შეადგენს. ამ აზრისა არიან ბეტერევი და ნეტკაჩევიც.

ჯანსაღი აზროვნება, შემყული ინტელექტი შორდება კულტურის ასპარეზს და რაღაც გამოუჩევეველი ტანჯვით მოცული ესალმები, მეგობარს, კოლექტივს და აგრეთვე საზოგადოებას. მაშასაღამებეს ნაკლი არ არის ინდივიდუალური, არამედ სოციალური. მაშ. რით აიხსნება ასეთი გულგრილობა აშ საკითხისადმი, რატომ არავითარზომებს არ იღებენ ამ დეფექტის წინააღმდეგ მშობლები, პედაგოგები. და ექიმები? საჭიროა, რომ ევროპისა და რუსეთის მიბაძვით დავაარსოთ სკოლები, კოლექტივები და სხვადასხვა დაწესებულება მეტყველების გასაჯანსაღებლად. საჭიროა განათლების და ჯანმრთელობის კომისარიატის თაოსნობა და დახმარება. აი ამ ორმა დაწესებულებამ უნდა ჩაუყაროს საფუძველი მეტყველების გაჯანსაღების საქმეს და მით აამაღლოს კულტურა, დაიხსნას ავადმყოფი არამც თუ განსაცდელისაგან, არამედ მორალური ტეკილებისა და ტანჯვისაგან, დაუბრუნოს ისინი საზოგადოებას, როგორც მომქმედი წევრნი, მისცეს მათაც საშუალება იცხოვონ და საზოგადოებრივ ასპარეზზე, იმოქმედონ საზოგადოების სასარგებლოდ.

ანასტასია კაიშაურია.

ქართული ენის და ლიტერატურის გასწავლებელთა პიროვნეული კონფერენციის მასალებიდან.

ა/წ. ზაფხულზე ტეკილისში ჩატარებული შრომის სკოლის მეორე საფეხურის ქართული ენისა და სიტყვიერების მასწავლებელთა კონფერენცია. მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ჩვენი სკოლის ცხოვრებისა და, კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის დაყენების საქმეში. განათლების ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენელნი, სკოლის მუშაკები-პრაქტიკოსები და მეცნიერების წარმომადგენელნი ამ კონფერენციაზე ერთსულოვნად შეხვდენ ერთ-მანეთს პასუხსაგები მუშაობის ნიადაგზე. სკოლაში ლიტერატურისა და ენის დაყენების პრობლემა, ქართული ენის ნორმების შემუშავების საჭიროება, ლიტერატურისა და ენის პროგრამების განხილვა დამუშავება, ენის კულტურის ამაღლებასთან დაკავშირებულ მეთოდურ და საორგანიზაციო საკითხების გარეევა — აი ის ძირითადი საკითხები, რომლებზედაც კონფერენციამ თავისი სიტყვა სთქვა. მუშაობის მიმართულება სწორად არის აღებული; მორიგი ამოცანები, რომ-

ლებიც აუცილებელ პირობას წარმოადგენენ ქართული ენისა და ლი-ტერატურის დაყენების გაუმჯობესებისათვის, გარკვეულად არის დას-მული. საჭიროა კონფერენციის ერთსულოვანი და ღრმად შეგნებულ პასუხისმგებლობაზე დაყარებული მუშაობის გადატანა მასწავლებელ-თა მასებში იმ პირობით, რომ ეს მუშაობა სისტემატიურად, მოწესრი-გებულად და გეგმიანად მიმდინარეობდეს, და კიდევ იმ პირობის და-ცვით, რომ საშუალო და უმაღლესი სკოლის მუშაკებს შორის კონფე-რენციაზე განხორციელებული საქმიანი კავშირი გალრმავდეს და გან-მტკიცდეს. ნაყოფიერი მუშაობის ცეცხლი უნდა დაინთოს საბჭოთა საქართველოს ყოველს კუნძულში ახალი ცხოვრების ასაშენებლად, ახა-ლო სკოლის შესაქმნელად და, კერძოდ, ქართული ენის კულტურის ღონის ასამაღლებლად! ასეთი დავალება მისცა კონფერენციამ თა-ვის დელეგატებს და მთელს მასწავლებლობას. ამ დავალების შესა-სრულებლად მზად უნდა ვიყოთ.

გ. გ

ლიტერატურა და გურაბლიური ენა მე-II საუკუ- რის შრომის სკოლაში.

გ. გოგუაძის მოხსენების თეშისები¹⁾.

ხაზგასმით უნდა იქნას აღიარებული, რომ ლიტერატურის მცოდ-ნეობა და მშობლიური ენა ვერ დგას იმ დონეზე, რომელიც მათ მარ-თებულად უნდა ეჭიროთ შეორე საფეხურის სკოლაში: იმის მიუხედა-ვად, რომ სწავლება მშობლიურს ენაზე წარმოებს და. კერძოდ, ლი-ტერატურას და ენას საქმაო დრო აქვთ დათმობილი, მოსწავლე ახალ-გაზრდობას ლიტერატურის მცოდნეობაში სუსტი მომზადება აქვს, მისი ლიტერატურული მსოფლმხედველობა მეტად ვიწროა; ენის შე-სახებაც იგივე უნდა ითქვას: ახალგაზრდობა მოკლებულია ენის მეც-ნიერული საფუძვლების ელემენტარ ცოდნას, არ გააჩნია ზეპირი და წერითი ენის კულტურა.

ეს გარემოება ყურადღების დამახვილებას და სათანადო ღონის-ძიებათა გამოყენებას მოითხოვს.

1. ჩეენი მთლიანი პედაგოგიური პროცესი — მისი მიმართულე-ბა, შინაარსი და მეთოდები — სოციალიზმის მშენებლობისა და კულ-ტურული რევოლუციის ამოცანებით განისაზღვრება; პედაგოგიური პროცესის წინაშე ახალი აღამიანის აღწრდის გადაუდებელი ამოცა-

¹⁾ მიღებული კონფერენციის მიერ.

ნაა დასმული. ახალი ადამიანი — მოწესრიგებული შეგნებით და ემოციებით, ადამიანი — კოლექტივისტი, ძლიერი შემოქმედებითი ნებისყოფით, სოციალიზმის და კომუნიზმის მშენებელი და დამცველი — ასეთი ადამიანის აღზრდის თვალსაზრისით უნდა შეფასდეს და მოწესრიგდეს მთლიანი პედაგოგიური პროცესი და ყოველი მისი ცალკე ელემენტი. ლიტერატურის დაყენებაც იმავე ძირითად ამოცანასთან უნდა იქნას შეფარდებული და ახალი ადამიანის მომზადების მიზნებს ემსახურებოდეს.

2. რევოლუციის შემდგომ წლებში მხატვრული ლიტერატურის სწავლებას მე-II საფეხურის სკოლაში თვალსაჩინო ნაკლი დასჩემდა: ლიტერატურამ დაკარგა თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა და ობიექტიურად მან საზოგადოებათმცოდნეობის დამატების სახე მიიღო. გასაგებია, რომ ამის შემდეგ ლიტერატურა ველარ ემსახურება მის წინაშე დასმული პირდაპირი ამოცანების გადაწყვეტას, ვერ სარგებლობს თავისი სპეციფიურობით, თავისთავადი მნიშვნელობით, თავისი საკუთარი მასალით, შინაარსით, მიღვმით და მეთოდებით ახალი ადამიანის შექმნის საქმეში თავის როლის შესასრულებლად. სხვათა შორის, მხატვრული ლიტერატურის დარღლილვის მიზეზად უნდა ჩავთვალოთ: 1) რევოლუციის შემდეგ საზოგადოებათმცოდნეობის ინტერესის ბუნებრივი გაძლიერება ჩვენს სკოლებში და ამ ინტერესის განალების ცდა საზოგადოებათმცოდნეობასთან დაკავშირებულს. სხვადასხვა დარგებშიც, 2) ლიტერატურული მოვლენების გარჩევა-გაგებისათვის სავალდებულო ისტორიულ-მატერიალისტური თვალსაზრისის უმართებულო და ცალმხრივი გაგება-გამოყენება და 3) მხატვრული სახეების სწორი მარქსისტული ანალიზის სიძნელე ლიტერატურის მასწავლებელთა მოზრდილი ნაწილისათვის.

3. ლიტერატურისმცოდნეობა საზოგადოებათმცოდნეობის განუყრელი ელემენტია. საზოგადოებათმცოდნეობა არ არის დაინტერესებული მარტო საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებით, წარმოების წესებით და საწარმოო ურთიერთობით, სოციალ-პოლიტიკური წყობილებით, სხვადასხვა სახის იდეოლოგიის გამოკვლევით და სხვ., არაშედ იმითაც არის და კიდეც უნდა იყოს დაინტერესებული, თუ როგორია სოციალური ადამიანის განცდები მოცემულს სოციალ-ეკონომიურს საფუძველზე, საზოგადოებრივი ცხოვრების რა მოვლენები, რატომ და როგორ ასახულა ადამიანის შევნებაში, როგორ გადატეხილა მის განცდებსა და გრძნობებში და, მხატვრულ სახეებში ჩამოყალიბებული, როგორ გავლენას ახდენს იმ სოციალურ გარემოზე, რომლის ნაყოფსა და ზედნაშენს თვითონ წარმოადგენს. რამდე-

ნადაც მხატვრული ლიტერატურა სოციალური ადამიანის განცდათა კომპლექსს წარმოადგენს და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს მხატვრულ სახეებში შლის, იმდენად ის საზოგადოებათმცოდნეობაში იქნება აღილს, როგორც მისი ელემენტი.

4. მხატვრულ-ლიტერატურული მოვლენების განცდა-გაგება ის-ტორიულ ფონზე დაყრდნობით არის შესაძლებელი: ნათელი უნდა იყოს სოციალური არე, მისი ეკონომიური, სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ვითარებით, რომ გასაგები გახდეს მხატვრული ლიტერატურა, როგორც ზედნაშენი. რამდენადაც სოციალურ არეს საზოგადოებათმცოდნეობა იკვლევს და აშუქებს, იმდენად უკანასკნელი ლიტერატურისმცოდნეობის საყრდენს წარმოადგენს; ამიტომ ლიტერატურის კავშირი საზოგადოებათმცოდნეობასთან აუცილებელია, მაგრამ შემდეგი პირობის დაცვით: რაკი საზოგადოებათმცოდნეობაშ სოციალური არე მოხაზა და ლიტერატურული მოვლენის ფონი მოქლედ და ზოგადათ გააშუქა, ამის შემდეგ ლიტერატურისმცოდნეობაშ თავის მუშაობას ლიტერატურულ ფაქტებზე, მხატვრული სახეების ანალიზზე ამყარებს, აქ უნდა იყოს გადმოტანილი მისი ყურადღების ცენტრი. არა ლიტერატურის გამო წმინდა საზოგადოებათმცოდნეობითი საკითხების ანალიზი და გალრმავება, როგორც ეს დღეს არის გავრცელებული, არამედ, საზოგადოებათმცოდნეობითი ფაქტის გამო — ლიტერატურული მოვლენების გალრმავებული ანალიზი მასი მიმართულების, შინაარსის და ფორმის გასაგებად. ასეთი მუშაობის თვალსაზრისითაც ლიტერატურის მასწავლებლისათვის სავალდებულოა იმდენი მომზადება საზოგადოებათმცოდნეობიდან, რომ მას შეეძლოს ლიტერატურული მოვლენის გაგებისათვის საჭირო სოციალური ფონის მოცემა. ყოველს შემთხვევაში, საზოგადოებათმცოდნეობის და ლიტერატურის მასწავლებელთა შეთანხმებული მუშაობა აუცილებელია: პირველი — სოციალური ფონის ანალიზს ახდენს და მხატვრული ლიტერატურის გაგებას ნიადაგს უმზადებს, შეორე — მხატვრულ-ლიტერატურული მოვლენების განცდით და ანალიზით, სხვათა შორის, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების მხატვრულ სახეებში აღქმა-გაგებას ეხმარება:

5. მეორე საფეხურის სკოლაში მხატვრულ ლიტერატურაზე მუშაობის შინაშე, უმთავრესად, შემდეგი ამოცანები დგას:

ა) ახალგაზრდობაში -- ახალი ადამიანის აღზრდის მიზნებთან შეფარდებული ემოციების გამოწვევა-ორგანიზაცია, მუშათა კლასის იდეალებით გატაცება, ინტერნაციონალური გრძნობების გამოწვევა და

გაძლიერება, კოლექტიური შრომის და ცხოვრების გრძნობების გა-
მტკიცება, სილამზისა და მშენებელების გრძნობის შემუშავება და სხვ.;

ბ) მდიდარი, ყოველმხრივად წესიერი, მკეთრი, სხარტი, მხატვ-
რული, ლამაზი ზეპირი და წერითი ენის შემუშავება;

გ) მხატვრულ სახეთა კომპლექსში საზოგადოებრივი ცხოვრების
მოვლენათა გარჩევა-გაგების უნარის შემუშავება და ამ ქოვლენების
მხატვრულ სახეებშივე ათვისება.

6. მხატვრული ლიტერატურის ემოციონალურ მხარეს განსაკუთ-
რებით დიდი მნიშვნელობა აქვს მეორე საფეხურის სკოლაში, სადაც
12-16 წლის ახალგაზრდობა უმრავლესობას შეადგენს, ე. ი. იმ ასა-
კის ახალგაზრდობა, რომელიც ფართოდ და მრავალფეროვანად გა-
მომულავნებული ემოციონალობით ხასიათდება; ამ ასაკში ახალგაზრ-
დობა უმთავრესად „გრძობით აზროვნობს“. ეს გარემოება თუ სხვა-
დასხვა დისკიპლინის მასწავლებლებს უყენებს გარკვეულს მოთხოვ-
ნილებას შუშაობაში ემოციონალური მომენტების ფართოდ შემოტანის
შესახებ, პირველ რიგში და უფრო ფართოდ ეს მოთხოვნა ლიტერა-
ტურის მასწავლებლის წინაშე უნდა იქნას დასმული.

7. ლიტერატურული მოვლენების გარჩევა-გაშუქება დიალექტუ-
რი და ისტორიული მატერიალიზმის მეთოდით ხდება როგორც ში-
ნაარსის, ისე ფორმის მხრივ — მხატვრულ-ლიტერატურული ნიმუში,
როგორც მასში ასახულ იდეების, ისე კომპოზიციის, სტილის, ენის
მხრივ — განხილული უნდა იქნას მის სოციალურ არეზე, სოციალ-ეკო-
ნომიური საფუძვლის თავისებურობის თვალსაზრისით. კლასობრივ სა-
ზოგადოებაში მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედება საბოლოოდ
ამა თუ იმ კლასის იდეოლოგიის მხატვრულ ასახვას წარმოადგენს;
ხელოვანი-მწერალი კლასობრივ საზოგადოებაში, აშკარად თუ ფა-
რულად, შეგნებულად თუ შეუგნებლად, უეცველად კლასობრივ ნია-
დაგზე დგას და თავის კლასის იდეოლოგიას, მის იფეალებს, განც-
დებს და გულისნადებს მხატვრულ სახეთა კომპლექსში იძლევა: ხე-
ლოვანი - მწერალი — თავის კლასის „საყიდრია“. ამიტომ ლიტერა-
ტურული მოვლენების მარქსისტულმა, კლასობრივმა ანალიზმა —
მხატვრულ სახეებში კლასობრივი მომენტი უნდა ამხილოს, სხვადა-
სხვა ლიტერატურულ მიმართულებაში და ცალკე ნიმუშებში კლასობ-
რივი ბრძოლის იდეოლოგიური გამოძახილი უნდა გამოამულავნოს,
ლიტერატურული ნიმუშის შინაარსსა და ფორმაში მარქსისტული
სოციოლოგია უნდა გამოჩნდეს (სადაც ეს მეტად ძნელი არ იქნება).

8. მხატვრულ ლიტერატურის შესწავლის მარქსისტულ მეთო-
დოლოგიაზე დაყრდნობას საფუძვლად პლეხანოვის ხუთწევრიანი

ფორმულა უნდა დაედოს. მხატვრულ-ლიტერატურული მოვლენის გა-
საგებად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული:

ა) საწარმოო ძალთა ვითარება, ბ) საწარმოო ძალთა ვითარე-
ბათ განსაზღვრული საწარმოო ურთიერთობანი, გ) მოცემულ სო-
ციალ-ეკონომიურ საცუდველზე ჩამოყალბებული სოციალ-პოლიტიკუ-
რი წყობილება, დ) ნაწილობრივად ეკონომიკით, ნაწილობრივად მასზე
აღმოცენებული სოციალ-ეკონომიური წყობილებით საზოგადოებრივი
აღამიანის განსაზღვრული ფსიქიკა და ე) ამ ფსიქიკის გამომსახველი
სხვადასხვა იდეოლოგია (ამ შემთხვევაში—მხატვრული ლიტერატურა).

9. მეორე საფეხურის სკოლაში მარქსისტული მეთოდოლოგიის
გამოყენებამ უნდა მოგვცეს: ა. ლიტერატურული გმირების სოცია-
ლური ბუნების მხელა, რომ მოსწავლემ ესა თუ ის გმირი სოციალუ-
რი გარემოს ნაწარმოებად დააფასოს და მასში ესა თუ ის კლასი
გასჭვრიტოს; ბ. მხატვრული ნაწარმოების, როგორც მწერლის გან-
ცდათა მთლიანი სისტემის გაგება და ამ სისტემაში კლასობრივი ფსი-
ქოლოგიის ანარეკლის ნათელყოფა; გ. ლიტერატურული ნაწარმოების
ფორმის — კომპოზიციის, სტილის, ენის — გაგება სოციოლოგიურის
თვალსაზრისით. (თუ რომელიმე ნაწარმოები ამ ნიშნებს არ იძლევა
აშეარად და მოწაფეთათვის გასაგებად, ძალდატანებას და, ამ გზით,
მარქსიზმის გავულგარებას აღგილი არ უნდა დაუზრჩეს).

10. მარქსისტული მეთოდოლოგია მიზანი არაა—საშუალებაა,
რომლითაც მხატვრული ნაწარმოების მთლიანი ბუნება სწორად და
სრულად უნდა იქნას გაგებული; ორჩეული ლიტერატურული ფაქტი
ცენტრალურ მომენტს უნდა წარმოადგენდეს, რომელზედაც წარმოებს
კვლევა და ანალიზი—თვითონ ნაწარმოები, დედანი უნდა წარმოად-
გენდეს ანალიზისა და კვლევის ობიექტს და არა სხვადასხვა სახის
სუროვატი, როგორიცაა შემოკლებული შინაარსი, სხვადასხვა „გარ-
ჩევა“ დამხმარე წიგნებსა და საეჭვო ლირსების „კრიტიკულ ეტიუ-
დებში“; თვითონ ნაწარმოების მხატვრულ სახეებში უნდა იქნას გა-
დაშლილი საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა და აღამიანის
განცდათა მრავალფეროვანობა, უნდა გამომჟღავნდეს მწერლის ოს-
ტატობა, რომ ლითაც ის მოვლენებს, იდეებს, განცდებს და გრძნო-
ბებს მხატვრულ ახერგში ამეტყველებს.

11. ლიტერატურაზე მუშაობის დროს მოსწავლეებს სხვადასხვა
მიმართულებისა და სხვადასხვა იდეოლოგიის მწერლებსა და მხატვა-
რულ ნიმუშებთან აქვთ საქმე; ხშირად მოცემულია ძირითადასტრი-
ნააღმდეგ საზოგადოებრივი, იდეალები, ინტერესები, შეხედულებანი,
მისწრაფებანი; სახითათოს, რომ იდეოლოგიურად სრულიად უკხომ

და მიუღებელმა, მაგრამ მხატვრულობის მხრივ მეტად ძლიერმა მწერალმა არ დაიკყროს ახალგაზრდობა და მის შეხედულებებში, ემოციებში და ქცევაში ისეთი ელემენტები არ შეიტანოს, რაც აღზრდის ჩვენს მიზნებს არ შეეფერება და სოციალიზმის მშენებლისა და მებრძოლის აღზრდას ხელს არ უწყობს; ლიტერატურულ ნიმუშებზე მუშაობა — თავისებურს ბრძოლას უნდა წარმოადგენდეს; ამ ბრძოლაში მოსწავლეები, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, იპყრობენ სოციალისტური და კომუნისტური აღზრდის თვალსაზრისით გამოსადეგ მხატვრულს ლირებულებას, იუნდაც ეს ბურუუაზიული ძწერლის შემოქმედებაში იყოს მოცემული, და, პირიქით, უკუაქცევენ უცხოს და მიუღებელს. ამისათვის არის საჭირო ლიტერატურული მოვლენის კლასობრივი ბუნების მხელის უნარი — მარქსისტული მეთოდით შეიარაღება: სწორი გაგებისათვის, რომ დაიმორჩილონ და არა ემორჩილონ. პროლეტარიატის რევოლუციონური ბრძოლის, სოციალიზმის შენების, კულტურული რევოლუციის და ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანების თვალსაზრისით უნდა შეფასდეს ძველი და ახალი — მშბლიური და უცხო — ლიტერატურის ნიმუშები; ამ თვალსაზრისით უნდა მოხდეს მხატვრულ-ლიტერატურულ ლირებულებათა შერჩევა და მათი გამოყენება ახალი ადამიანის მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად.

12. ქართული ენის კულტურის ღონე სკოლაში დაბალია: გაეროვნებული სკოლები, პირველი საფეხურიდან უმაღლესამდე, ქართულს ენაზე მუშაობს; მაგრამ წესიერი, დახვეწილი, ნათელი, სხარტი და ლამაზი მეტყველება, ზეპირი და წერილობითი, სკოლაში ჯერკიდევ არ გვაქვს; მეტყველების რაციონალიზაცია შინაარსის და ფორმის მხრივ მორიგ ამოცანად უნდა იქნას მიჩნეული.

13. ენის სათანადოთ დაყენებას აბრკოლებს: ა. ქართული ენის ჟველასათვის სავალდებულო ნორმების უქონლობა, რაც სხვადასხვა მიმართულებას და შეხედულებას გასავალს აძლევს და ისედაც მოუწესრიგებელს ენაში მეტს უწესობას და არევ-დარევას ქმნის; ბ. ქართული ენის მასწავლებელთა ხშირად არასაკმაო მომზადება ქართულს ენაში, ასე რომ მასწავლებლობის მოზრდილ ნაწილს არ შეუძლია ენის შემუშავებაში ხელმძღვანელობის გაწევა; იშვიათი გამონაკლისი არ არის, რომ თვით ქართული ენის მასწავლებლის ზეპირი და წერილით ენა წარმოადგენს უწესრიგობისა და ყოველმხრივ ვი სისუსტის ნიმუშს; გ. ენის წესიერება ძლიერ სუსტად და, ხშირად, სრულიად არაა დაცული პერიოდულ გამოცემებში, სახელმძღვანელო და საკითხავ წიგნებში, აფიშებში, მოწოდებებში, განცხადებებში, პლა-

კატებსა და ლოზუნგებში, საქმიან მიწერ-მოწერაში, რომლებიც უწესო ენობრივ გარემოცვას ქმნიან და დიდ როლს თამაშობენ ენის დამახინ-ჯებაში. აღნიშნულ გარემოებათა შესახებ მართებული დასკვნა უნდა იქნას გამოტანილი და პრაქტიკული ლონისძიებანი გამოყენებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

14. შემცდარად უნდა იქნას ალიარებული შეხეოულება; თით-ქოს შესაძლებელი და დასაშვები იყოს ერთხელ და სამუდამოდ სა- ყოველთაო ლიტერატურული ენის დამკვიფრება და მასზე შეჩერება; ლიტერატურული ენა არაა უცვლელი და საყოველთაო; ის დინამიუ- რია საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიურობასთან ერთად; ლიტე- რატურაში მშრომელი ფენების მოსვლით რა ამ ფენების გავლენით ენა იცვლება, მდიდრდება, იცსება, ახალ სიტყვიერ ფორმებს იძენს; სასიცოცხლოს და სალს გზა ფართოდ უნდა გაეხსნას, მაგრამ იმავე დროს ენის სისუფთავისა და წესიერების საღარაჯობები მუდამ ფხიზ- ლად დგომა და დაუნდობელი ბრძოლაა საჭირო.

15. რევოლუციის წლებში სკოლიდან სამართლიანად გაიდევნა საზეპირო, მშრალი, პრაქტიკულ ღირებულებას მოკლებული ლოგიური გრამატიკა—გრამატიკა გრამატიკისათვის, როგორც საშუალო საუკუ- ნებიდან ჩვენამდე მოსული ანაქრონიზმი, მაგრამ მასწავლებელთა რი- გებში მეორე უკიდურესობამ იჩინა თავი: პრაქტიკული გრამატიკისა და ენაზე მუშაობის მნიშვნელობა საეჭვილ იქნა მიჩნეული და ძველს გრამა- ტიკას საღი აზრიც კინალამ თან გადაჰყვა. უკანასკნელ წლებში მდგომარეობა გამოსწორდა: სკოლაში პრაქტიკული გრამატიკა იქნა შემოღებული; ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება გვმართებს; სკოლაში ფორმალი გრამატიკა უნდა შევიდეს: ცოცხალი ენის ანა- ლიზი და შესწავლა, ენის ფაქტების დაკვირვება და, ინდუქტიურის გზით, ენის ბუნებისა და ნორმების ნათელყოფა. ჩათა მოსწავლე ამ ნორმებს დაებატრონოს და თავის აზროვნება- მეტყველების გაუმ- ჯობესება-განვითარების პრაქტიკული, ფორმალი გრამატიკა და ამ მიმართულებით მიღიოდეს ენაზე მუშაობა. დაკვირვებისა და ანალიზისათვის ალებული უნდა იქნას არა მარტო ლიტერატურული ნიმუშების ენა, არა მედ მოსახლეობისა და მოსწავლეების ცოცხალი ზეპირი და წერითი ენა.

16. წესიერი ენის შემუშავებაზე ზრუნვა მარტო ქართული ენის მასწავლებლის მოვალეობა არ არის—ეს ყველა მასწავლებლის და ყველა კულტურული ძალის ზრუნვის საგანს შეადგენს, ვისაც სა- თანადო მომზადება გააჩნია. ქართული ენის მასწავლებელთა გადა-

მზადება — მისი ენობრივი კვალიფიკაციის ამაღლება — მორიგ ამოცანად უნდა ჩაითვალოს.

17. ქართული ენის გარშემო სამეცნიერო მუშაობას სახელმწიფო უნივერსიტეტი აწარმოებს. მისი მიხწევები ამ მხრივ უკვე მნიშვნელოვანია. მაღალი კვალიფიკაციით აღჭურვილი ქართული ენის ახალი მასწავლებლობა უნივერსიტეტებმა უნდა მოგვცეს. ამ მიმართულებით მას ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკუთხებელი. უნივერსიტეტი საშუალო სკოლიდან მანამ ვერ მიიღებს ქართულს ენაში ძლიერს ახალგაზრდობას, სანამ თვითონ არ შეავსებს მასწავლებელთა რიგებს სათანადო ცოდნით და მუშაობის უნარით შეიარაღებული ახალი პედაგოგიური ძალებით.

კამათი ამს. 8. გოგუაძის მოხსენების გამო¹⁾.

ყურაშვილი. ლიტერატურისა და საჩ.-მეცნიერების კავშირს ვერავინ გაექცევა, რადგან ლიტერატურა საზოგადოებრივი ცხოვრების ანარექლია. ლიტერატურის მხატვრულ მხარეზე საკმაოდ არ არის თქმული მოხსენებაში, მიუხედავათ იმისა, რომ მომხსეხებელი ამაზე მიგვითითებდა. მართალია, ენა შებილწულია, მაგრამ ამ ბრალდებას ჩვენ მარტო ენის მასწავლებელს ვერ მოვახვევთ. ყველამ იცის, რომ ჩვენი ენა ძალის ენად იყო მონათლული (თვითმშეყრობელობის დროს), დღეს კი დიდი ყურადღება ექცევა მშობლიურ ენას, მაგრამ საჭიროა კიდევ მეტი ყურადღება. არის შემთხვევა, როდესაც თვით მასწავლებელი ამახინჯებს ენას და, რა თქმა უნდა, ეს ცუდ გავლენას ხედებს მოწაფეზე. კარგია არსებობდეს ყველასათვის სავალდებულო ენა, რაც გაუადვილებს მასწავლებლობას მუშაობას. ცხადია, სხვა საგნების მასწავლებელთა ენას დიდი მნიშვნელობა აქვს.

სეხნიაშვილი (თელავის მაზრა). ოთხწლედში ქართული ენის სუსტი დაყენება არის საშუალო სკოლაში ქართული ენის სავალალო მდგომარეობის მთავარი მიზეზი, ყურადღება უნდა მიექცეს სახელმძღვანელოებს და მეთოდს ოთხწლედში. ერთ-ერთი მიზეზი პროვინციაში ქართული ენის არაჯეროვანი დაყენებისა სახელმძღვანელოების დაგვიანებით მიღებაა (მაგ. დეკემბერში). მეორე და უმთავრესი მიზეზია თვით ენის მასწავლებელთა სისუსტე ენაში, ამისათვის კი საჭიროა გადასამზადებელი კურსების მოწყობა.

8. კელენჯერიძე (ქუთაისი). ორატორი არ ამყარებს იმედებს ქართული ენის მცოდნეთა კონგრესზე, რადგან მასალა დაუმუშავე-

¹⁾ ანგარიში შედგენილია კონფერენციის სამდივნოს მიერ, ამს. ეკ. ბერიძის, ს. ვაჩნაძის და ი. თოლდუას შემადგენლობით.

ბელია. საჭიროა სპეციალისტების წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. ნაკლები იმედი აქვს აგრეთვე პედაგოგიური სასწავლებლების, რაღაც იქ ქართული ენა სუსტად არის დაყენებული. მომხსენებელმა არაფერი გვითხრა, როდის მოელება ბოლო მასწავლებელთა მოუმზადებლობას. სხვა საგნების მასწავლებელთა მონაწილეობა ქართული ენის სწავლებაში ყანულზეა დაწერილი. ორატორი აღნიშნავს ჩვენი კლასიკოსების გამოცემაში ენის მხრივ ნაკლს (კორექტურულ შეცდომებს), არ უარყოფს უცხო ლიტერატურის მინშვნელობას, მაგრამ შიშს გამოსთვამს—მან არ ჩაყლაპოს ჩვენ ლიტერატურაო. ორატორის აზრით, სოციოლოგიურ-მარქსისტული მიდგომა ყველა ნაწარმოებისადმი არ შეიძლება.

ზანდუკელი. ირკვევა ორი ხაზი—ენის და ლიტერატურის დაყენება. მათი გამოყოფა მეთოდური თვალსახრისით საჭიროა. ლიტერატურის შესწავლისათვის ორატორს საჭიროდ მიაჩნია ორი მეთოდის—სოციოლოგიურის და ფორმალურის—შეგუება. თუმცა, მისი აზრით, ფორმა სოციოლოგიის გარეშე არ იგულისხმება: ორატორი მოითხოვს მხატვრული ნაწარმოების შესწავლის დაწყებას თვით ნაწარმოებიდან. მოწაფის მიერ შინაარსის გადმოცემის წინააღმდეგია. წინააღმდეგია აგრეთვე ნაწარმოების შეკვეცისა. მოითხოვს ცალკე ნაწარმოებთა სერიების გამოცემას.

ლაპარტუავა (სენაკი). საზ.- მეცნიერება ნაკლებად აძლევს ცნობებს საქართველოს სინამდვილიდან და სწორედ ეს არის ლიტერატურის საზ.-მეც. შეკრის მიზეზი. პროგრამების თემატიკურობა ხელს უშლის პოეტის შემოქმედების მთლიანად შესწავლას. მიზანშეწონილად მიაჩნია ნაწარმოების მთლიანად შესწავლა. ამ შესწავლას უნდა უსწრებდეს სოციალური პირობების გარკვევა. სასურველია ყველა ნაწარმოები კლასში იკითხებოდეს, მაგრამ ზოგიერთი მოზრდილი ნაწარმოების წაკითხვა კლასში არ მოხერხდება, ამიტომ სახელმძღვანელო დირექტივებისა და კლასში შემუშავებული კითხვების მიხედვით ასეთი ნაწარმოებით შესაძლებელია მოწაფეებმა შინ წაიკითხონ, მხოლოდ ნაწარმოების კითხვა კლასში უნდა დაიწყოს.

საჭიროა ერთი სავალდებულო მართლწერის ჩამოყალიბება, რაც უნდა მოაგვაროს მომავალმა კონგრესმა.

ხუროძე (ტფილისი). აღნიშნავს კონფერენციის. ისტორიულ მნიშვნელობას. მხოლოდ საჭირო იყო, მისი აზრით, სათანადო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება, რომ დელეგატები მომზადებული ჩამოსულიყვენ. იზიარებს მომხსენებლის დებულებას

ენის სავალალო მდგომარეობის შესახებ და ხსნას მომზადებულ მას-წავლებლებში ხედავს.

ამ ხნის განმავლობაში არცერთ კონფერენციაზე არ დასმულა-ქართული ენის საკითხი, რაც დიდ მინუსად უნდა ჩაეთვალოს ხელ-მძღვანელ ორგანოს.

ორატორი ლაპარაკობს ტფ. გან. ვანყოფილების მიერ დაარ-სებულ ქართულ ენის კაბინეტის მუშაობაზე. მუშაობა ორი წლის-განმავლობაში წარმოებს, მოსალოდნელი შედეგი ამ მუშაობისა მა-ინც ნაკლებად ჩანს. ამის მიზეზია საკითხის სიძნელე და, ნაწილობ-რივ, მასწავლებელთა გულგრილობა. ნაწარმოების გარჩევა ლიტერა-ტურული მოვლენების გაშუქებით უნდა იწყებოდეს, ვინაიდან ყოვე-ლი ნაწარმოები ხელოვნურია. ხელოვნებას არ უნდა დაეკარგოს თა-ვისი სახე და ლირსებები. ჯერ ფორმა, მხატვრული სახეები, და შემ-დეგ ლოლიკა. ჯერ ლიტერატურა, შემდეგ საზოგადოებათმცოდ-ნება.

ნაწარმოების ნაწილიც შეიძლება მივაწოდოთ, მაგრამ უკანა-სკნელი უნდა იყო მთლიანი აზრის შემცველი.

გრიგოლ შანიძე (ტფილისი). მისი აზრით, პირველ რიგში ენას უნდა მიექცეს ყურადღება და შემდეგ ლიტერატურას. კონგრე-სის საჭიროებას ისიც აღიარებს.

არნოლდ ჩიქობაგა (ტფილისი). არ შეიძლება ყველა ნაწარ-მოებრს გაშუქება კლასობრივი თვალსაზრისით. მარქსისტული ანა-ლიზისათვის საჭიროა გარკვეული ობიექტური საზომი. დეტერმინიზმ-სა და მარქსიზმს შორის ტოლობის ნიშნის დასმა შეუძლებელია. დეტერმინიზმი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მარქსიზმი. ნაწარმო-ების მთლიანი შინაარსი უფრო ფართო, ვიდრე მისი კლასობრივი შინაარსი. ორატორი იზიარებს მომხსენებლის დებულებას ენის სუს-ტი დაყენების შესახებ და ამის მთავარ მაზეზად ასახელებს სკოლა-ში ჰუცანიტარული სექტორის სუსტად წარმოდგენას. სხვა საგნის მას-წავლებლის დახმარება ენის საკითხში მანამდე, სანამ უნივერსიტე-ტის პედაგოგიური ფაკულტეტის ყველა დარგზე არ იქნება შემოღე-ბული ქართული ენის სავალდებულო სწავლება, ცალიერი სიტყვა იქნება.

სიმონია (რაჭის მაზრა). უპასუხებს კელენჯერიძეს. და ალ-ნიშნავს, რომ ასეთი პესიმისტური აზრი ქართული ენის პერსპექ-ტივებზე არაფრით არ არის გამართლებული. უეპელია, პედაგოგიუ-რი სასწავლებლები წინ მიდიან და კონფერენციასაც, რა თქმა უნდა, თავისი დიდი დადებითი შედეგები ექნება.

თოფურია — (ტფილისი). მომხსენებლის მიერ აღნიშნული იყო ქართული ენის იმდენად აბუჩად აკდეპა, რომ ყველას, ვისაც კი გა-კვეთილები აკლდება, დანაკლის ქართული ენის ხარჯზე უნაზღაუ-რებენ; ამ მოვლენაში ბრალი განათლების კომისარიატს მიუძღვის. ქართული ენის უკოდინარობის მიზეზებად ორატორი ასახელებს: ლიტერატურა მიჩნეულია დამხმარე დისკიპლინად — საზ.-მეცნიერებისათვის; ენას არა აქვს დათმობილი ცალკე დრო და მასზე და-კვირვება განისაზღვრება მხოლოდ ორთოგრაფიის მიზნებით; ლიტე-რატურული ნაწარმოების — თანამედროვესი — არაქართული ენით წე-რა; ლიტერატურული ნაწარმოები აჭრელებულია დიალექტიზე-ბით; განცხადებები და პლაკატები საჯარო ადგილებზე დაწერი-ლია ყოველგვარი წესის გარეშე. სხვა მასწავლებელი ანგრევენ ქარ-თული ენის მასწავლებლის მშენებლობას; ჩვენი სკოლები ლარი-ბია ლიტერატურით; არ არის შესაფერისი სახელმძღვანელოები; ოთ-ხი საათი ქართული ენისათვის არ კმარა; სპეციალურ პედაგოგიურ გამოცემებში ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი ენის. სწავლების საკითხებს. რომელი ენა შევასწავლოთ: აკაკის, ნინოშვილის, ყაზბე-გის თუ სხვ.. რა თქმა უნდა, როგორც მწერლის, ისე მისი გმირე-ბის ენაც. მასწავლებელმა უნდა იცოდეს ქართული ენის ნორმები. სასტიკი ყურადღება ენას უურნალ-გაზეობში. საჭიროა მასწავლე-ბელთა გადამზადება — უნდა ისწავლებოდეს ძველი ენაც ახალთან შე-სადარებლად.

ბრეგაძე (თელავის მაზრა). აღნიშნავს მასწავლებელთა სუსტ მომზადებას მარქსიზმის საკითხებში. მარქსიზმი ესთეტიზმის წინა-აღმდეგი არ არის; საზოგადოებათმეცნიერების ელემენტების შექრას ლიტერატურაში ხსნის იმით, რომ ისტორიული ელემენტები უკუ-გდებულია საზ.-მეცნიერების მიერ. მოითხოვს ენის დაკვირვების წარ-მოებას ოთხწლედიდანვე. აღნიშნავს კულტურული თქმისათვის დია-ლექტების მნიშვნელობას.

თარჯიშია. მოითხოვს გარკვეულ საზღვარს საზოგადოებათ შეცნიერებასა და ლიტერატურას შორის. ჩვენ უნდა ვიხედებოდეთ გარემოში და გამოვლილეთ პრაქტიკიდან. ხშირია შემთხვევა, რომ მასწავლებელნი ნაკლები ყურადღებით ეკიდებიან ენის სიწმინდის დაცვას, ზოგჯერ არც იციან ენა სათანადოდ, ამიტომ ჯერ ჩვენ უნდა ვისწავლოთ, და შემდეგ სხვას ვასწავლოთ.

სიხარულიძე (ტფილისი). საქართველოს სინამდვილეში არა აქვს ადგილი ლიტერატურის დაჩაგვრას საზ.-მეცნიერების მიერ. ნა-წარმოების ნაწილიც შეიძლება მიწოდებულ იქნეს. ჰუმანიტურული სექ-

ტორის მუშაობის გაფართოვება არ არის საჭირო. თემატიურობას გვერდს ვერ ავუხვევთ. სახელმძღვანელოების ხარისხი გაუმჯობესებული უნდა იქნეს.

ინ. ფერაძე (აჭარისტანი). ხშირია შემთხვევა, რომ მეთოდი სკოლაში სრულიად არ არსებობს. თუ არსებობს — სხვადასხვა. პირველ საფეხურზე მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონე დაბალია, რის შედეგიც არის ახალგზრდობის სისუსტე. ამის გამოსწორება შეადგენს კონფერენციის მთავარ ამოცანას. საჭიროა ოთხწლელის გადასამზადებელ კურსებზე დაისვას საკითხთა: რა აღვილი უკავია კომპლექსში ქართულ ენას. საჭიროა მეთოდოლოგიური და მეთოდური საკითხების გაშუქება უურნალში. ინსტრუქტორის ვაძლიერება აუცილებელია.

ილია სიხარულიძე (ტფილისი). ენის კულტურის აწევის ამოცანებს ჩვენში და საბ. რუსეთშიც დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. ორატორს მოჰყავს ლენინის და ენგელსის სიტყვები, რომლითაც მელავნდება ენის დიალი მნიშვნელობა. მაგრამ ჩვენს სინამდვილეში ენა მოიკოჭლებს, რის დამადასტურებელიც არის ჩვენი გაზეთები, საიდანაც მას მოჰყავს მთელი რიგი მაგალითებისა. გაჩეთის ენის გაწმენდა დიდ სამსახურს გაუწევს ენას. იმ საკითხის შესახებ, თუ რა უნდა უსწრებდეს ლიტერატურის შესწავლისას — მხატვრული ნაწარმოები, თუ სოციოლოგიური მომენტი, სიხარულიძე გარკვეულად პირველ გზას უჭირს მხარს.

მარიამ ოჩახელაშვილი. ენის რიგიანად დაყენებას ყურადღებით ევპყრობით; ამ მხრივ უკვე გვაქვს წარმატება, მიღწევები. მართალია, გაბატონებულია ის აზრი, რომ, ვინც სხვაგან არ ვარგა, ის მასწავლებლად გამოდგება, მაგრამ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ამ უარყოფით მოვლენას და განვამტკიცოთ აზრი მასწავლებლის პროფესიის მნიშვნელობის შესახებ. ლიტერატურის ურთიერთობა საზოგადოებათმეცნიებასთან დღევანდელ სკოლაში ნორმალური არ არის: ენას არ ექცევა სათანადო ყურადღება. ნორმალური ურთიერთობა გულისხმობს კორელიაციას; საზოგადოებრივ ურთიერთობაში ჩვენ ვარჩევთ ორ მხარეს: ფუძეს და ზედნაშენს; საზ. მეცნიერება იძლევა ფუძეს, ლიტერატურის მასწავლებელი კი ზედნაშენს. ასეთ პირობებში ქართული ენის მასწავლებელს ცოტა დრო დასჭირდება საზ. მეცნიერებითი ელემენტებისათვის.

ოთხწლელში. ქართული ენის ნორმალური დაყენებისათვის ყურადღება მიექცევა ქართულ ენას კონფერენციებზე. ორატორი იმედიანად შესცემულის ახლო მომავალს; მისი აზრით, ენის განვითარებითი

ბას ხელს უწყობს სკოლაც და ახალი ეკონომიკური ვითარებაც: ონ-დუსტრიალიზაცია, ელექტროფიკაცია და სხვ... ამავე დროს აჩვარი-ში უნდა გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ ჩვენში წარმატებით მიმ-დინარეობს სატერმინოლოგიო კომიტეტის მუშაობა. რაც შეეხება-ენის დამახიჯებას გაზიერებში, საჭირო იყო მასწავლებელთა ხმა პრე-საში და, რა თქმა უნდა, ყველა ზომა იქნება მიღებული ამ ნაკლის-თა-ვიდან ასაცდენად, თუნდაც რედაქციებში სტილისტების დანიშვნით.

მარგველაშვილი (შორაპანი). საჭირო იყო კონფერენციაზე მოწვეული ყოფილიყვნენ საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელ-ნი. ლაბორატორული მუშაობის წესიერად დაყენებისათვის მოითხოვს კლასიკოსების გამოცემას. აღნიშნავს მარქსისტული კრიტიკის უქონ-ლობას. გაეროვნებული სკოლიდან გამოსული მასწავლებელი უმეტეს შემთხვევაში ვერ ერკვევა ლიტერატურის რთულ საკითხებში, რად-გან აკლია მსოფლმხედველობის სიფართოვე. ამის მიზეზია უცხო ენის უცოდინარობა. ჩვენს პირობებში სავალდებულოა რუსული ენის იმ-დენად ცოდნა, რომ ახალგაზრდას შეეძლოს მსოფლიო ლიტერატუ-რის გაცნობა, ჩვენი სკოლა კი ამას არ იძლევა.

გ. გოგუაძის საბოლოო სიტყვა. მოხსენებაში წამოყენებულ მოსაზრებათა წინააღმდეგ არსებითად არაფერი თქმულა. მაშასადამე, კონფერენცია იზიარებს ამ მოსაზრებებს. დელეგატ მასწავლებლებმა და ენათმეცნიერების წარმომალენილებმა თავის გამოსვლებით ხელი შეუწყეს მოხსენებაში წამოყენებული საკითხების გარშემო კონფე-რენციის ყურადღების კიდევ უფრო დამახვილებას. ქართული ენისა-და ლიტერატურის დაყენების მტკიცნეული საკითხები და მდგომა-რეობის გაუმჯობესების გადაუდებელი ამოცანები ქმნის კონფერენ-ციის იშვიათ ერთსულოვნობას. ეს გაუმჯობესებისაკენ სწრაფად და-ძრის საწინდარია.

რამდენიმე განმარტება მაინც საჭიროდ მიმაჩნია, რადგან მოსა-ლოდნელია ზოგი ამხანგის სიტყვამ გაუგებრობა და გაურკვევლობა დასტოვოს. ერთი საყველური გავიგონე — მოხსენებას დეკლარატიული ხასიათი ჰქონდაო. აღბათ, ამის მთქმელი ჩემს მოხსენებაში პრაქ-ტიკულ-მეთოდური საკითხების გაშუქებას ელოდებოდა. ეს ამოცანა მე არ დამისახავს. ჩემი მიზანი იყო ხაზი გამესვა ძირითადი ნაკლი-სათვის, რაც ლიტერატურისა და ენის სწავლებას ახლავს, და მარ-ქსისტული მეთოდოლოგიის რამდენიმე პრინციპული საკითხი გამე-შუქებინა. ფიქრობ, მოყლევადიან კონფერენციის საკითხების სწო-რედ ასე დასმა შეეფერება — ძირითადი საკითხების დასმა და მათზე გარკვეული სახელმძღვანელო შეხედულების შემუშავება. ბევრი

ვთქვით, რომ ლიტერატურა საზოგადოებათმეცნიერებას შეეწირა და თავისი სახე და მნიშვნელობა დაკარგაო. ამ უკიდურესობას თავი უნდა დავახწიოთ. მაგრამ სიფრთხილე გვმართებს,— მეორე უკიდურესობაში არ გადავიჩეხოთ და ლიტერატურა საზოგადოებათმცოდნეობის გარეშე არ დავაყენოთ, მისგან დამოუკიდებლად არ წარმოვიდგინოთ: ეს იმის მომასწავებელი იქნებოლა, რომ ლიტერატურაზე, როგორც საზოგადოებრივ მოვლენაზე, სწორს შეხედულებას დავკარგავთ და მის დიალექტურ-მატერიალისტურ გაგების საფუძველს მოვშორდებით, ე. ი. დიდს შეცდომას ჩავიდენთ. არ მითქვამს და არ ვამბობ— ყველა ლიტერატურული ნაწარმოები, ყველა მისი ელემენტი უეჭველად, შეგიძლია— არ შეგიძლია, მარქსისტულად გააშუქეთო. მარქსისტული მეთოდოლოგია სავალდებულოა; დიალექტურ-მატერიალისტური მეთოდი უნივერსალური მეთოდია; მაგრამ მისი დაპატრონება და მომარჯვება ისე, რომ ყოველივე და ყველაფერი ახსნა,— არც ისე აღვილი საქმეა. ამიტომ იყო აღნიშნული: ყოველ კონკრეტ შემთხვევაში, სადაც ძნელი და მოსწავლეთათვის გაუგებარია ლიტერატურულ მოვლენათა დეტერმინისტული ხასიათის მარქსისტული გაშუქება და მისი კლასიურობის მხელა, იქ გაჩუმება სჯობს და არავითარ შემთხვევაში მარქსიზმის გაუუღებარებას აღვილი არ უნდა ექნეს. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მოცუმული ლიტერატურული მოვლენა მიზეზობრივობის გარეშე იღეს და დიალექტიურ-მატერიალისტური მეთოდით გამოკვლევის ობიექტს არ წარმოადგენდეს. აქ ითქვა, რომ დეტერმინიზმსა და მარქსიზმს შორის ტოლობის ნიშანა არ დაიშვებათ, რომ პირველი მეორეზე უფრო ფართოა. არ ვიკი რომელ დეტერმინიზმზეა ლაპარაკი— დეტერმინიზმზე იდეალისტური თვალსაზრისით, თუ დეტერმინიზმზე დიალექტიურ-მატერიალისტური თვალსაზრისით. პირველ თვალსაზრისს მარქსიზმთან არაფერი საერთო არ აქვს, ასე რომ, არა თუ ტოლობის ნიშანზე, მათ შორის არავითარ სიახლოებებზე ლაპარაკი არ შეიძლება, გარდა იმისა, რომ მარქსიზმი ულმობელად ამხელს იდეალისტური მსოფლმხედველობის და მისი დეტერმინიზმის სიყალებს და რეაქციონურ ხასიათს. თუ ლაპარაკია დეტერმინიზმზე დიალექტიურ-მატერიალისტური თვალსაზრისით, მაშინ დეტერმინიზმსა და მარქსიზმის დაპირისპირება ან მათ შორის შეფარდებითი ურთიერთობის ძიება არაა საჭირო, რაღაც დეტერმინიზმი დიალექტიური მატერიალიზმის ერთ-ერთი პრინციპთავანია და მარქსიზმისა და დიალექტიური მატერიალიზმის ურთიერთობა კიდევ საკმაოდ ცნობილი.

გაუგებრობად მიმაჩნია ერთი ამხანაგის განცხადება, თითქოს ლიტერატურისადმი მარქსისტული მიღვომა უარყოფდეს მხატვრულობას, უარყოფდეს და ვერ ხსნიდეს ესთეტიკურ მომენტს. როგორც მოხსენებაში იყო აღნიშნული, მხატვრულ ლიტერატურაში ჩვენ სწორედ მხატვრულ სახეთა კომპლექსით ვართ დაინტერესებული, ნაწარმოების მხატვრულობა და ესთეტიკური მხარე მეტად მნიშვნელოვან მომენტად გვაქვს მიჩნეული. ასე რომ მარქსიზმი არ არღვევს და არ უარყოფს ესთეტიკას, მხოლოდ ხსნის მას და ამხელს მის სოციალურ-კლასობრივ რაობას.

ასეთი მეთოდური კითხვაც დაისვა — როგორ სჯობს: ჯერ სოციალური ფონი დახასიათდეს და შემდეგ გადავიდეთ ლიტერატურულ ნაწარმოებზე, თუ ნაწარმოებიდან დავიწყოთ და მით გავაშუქოთ სოციალური ფონი. ვფიქრობ, ერთი რომელიმე მიღვომის წესად მიღება სწორი არ იქნება; ეს დამოკიდებულია ნაწარმოებზე: თუ მისი კითხვა და გაგება შეუძლებელია წინასწარი შესავალისა და სოციალური ფონის მოხაზის გარეშე, მაშინ პირველი გზა უნდა ვარჩიოთ: სოციალური ფონიდან მხატვრულ ნაწარმოებზე (ჩვენი პროგრამის თემატიკურობას ეს გზა უფრო უდგება), და პირიქით. მართალია, ენის მდგომარეობის გამოსწორება მარტო მეორე საფეხურის სკოლის მუშაობით არ შეიძლება, საფუძვლიდან უნდა დავიწყოთ: ოთხწლედში უნდა ჩაეყაროს მართლმეტყველებას და მართლწერის საიმეჯო საძირკველი. ენის კულტურაზე მუშაობა იქაც უნდა გახდეს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად. ენის დაკვირვება, წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით, ოთხწლედშიც უნდა შევიტანოთ. ყველა საფეხურის პედაგოგიურ სასწავლებლებს გარკვეული მოთხოვნა უნდა წავუყენოთ — უზრუნველყონა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სათანადო მომზადება. სრულიად არ გაგვაჩნია მეთოდური ლიტერატურა ენისა და ლიტერატურის სწავლის შესახებ, ის უნდა შევქმნათ. ზოგადი პრინციპები არ გვეყოფა, ბუშეობის ტექნიკის დაპყრობა მორიგ ამოცანად დგას ჩვენს წინაშე.

სწორი იყო შენიშვნები, რომ კონფერენციას წინ არ უსწრებდა ქათანადო მოსამზადებელი მუშაობა. საამისო დრო არ იყო. ეს ჩვენი ნაკლია. მაგრამ საკითხები მომწიფებულია; ყველა მასწავლებელი გრძნობს ამ საკითხის სიმწვავეს, მათი გადაწყვეტის აუცილებლობას; გამოცდილებით იცის, თუ რა ლონისძიებაა საჭირო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ეს არის. ეს ცხადჰყო აქ გამართულმა კამათმა. ყველა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კონფერენცია მასწავლებლობას მუშაობის სწორ გზას დაუსახავს და ენერგიული კოლექტიური მუშაობით ყველა სინერგე და დაბრკოლებას გადავლახავთ.

რეზოლუცია: I. ჩართული ენის დაცვების შესახებ.

გ. გოგუაძის მოხსენების გამო.

I. შრ. სკოლის მეორე საფეხურის ქართულ ენის და სიტყვიერების მასწავლებელთა სრულიად საქართველოს პირველი კონფერენცია აღნიშნავს, რომ ყველა საფეხურის შრომის სკოლაში ქართული ენის სწავლება ვერ არის სასურველად დაყენებული, ხოლო ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების ცოდნის დონე დაბალია.

ეს გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

1. სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურისათვის გადადებული დრო (4 საათი კვ.) არ შეიძლება საკმაოდ ჩაითვალოს.

2. სკოლას არ მოეპოვება შესაფერი სახელმძღვანელო (გრამატიკა) და სამუშაო წიგნი.

3. ქართული ენის მასწავლებელთა უმეტესობის საგრამატიკო მომზადების დონე არ არის დამაკმაყოფილებელი.

4. მართლწერისა და მართლმეტყველების წარმატებით შეთვისებას საგრამატიკო აბრკოლებს სხვა საგნების მასწავლებელთა სუსტი მომზადება ქართულში.

5. მკვიდრად დადგენილი სალიტერატურო ნორმების უქონლობის გამო მოწაფეთა მართლწერასა და მართლმეტყველებაზე უარყოფით გავლენას ახდენს ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ შეუწყნარებელი ენა სახელმძღვანელოებისა, უურნალ-გაზეთებისა და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებათა მიწერ-მოწერისა.

II. ითვალისწინებს რა ყოველსავე ამას, კონფერენცია აუცილებლად სთვლის:

1. ქართული ენის სწავლებას ყველა საფეხურის შრომის სკოლაში სათანადო ადგილი მიეცეს; კერძოდ, გადიდებული საათების რიცხვი წერითისა თუ ზეპირი მუშაობისათვის (ენასა და ლიტერატურაში).

2. ამთავითვე მიღებულ იქნეს ზომები, რომ შრომის სკოლებს მიეწოდოს სათანადო სახელმძღვანელოები როგორც მასწავლებელთა, ისე მოწაფეთათვის.

3. საპედაგოგო პრესაში დაარსდეს ცალკე განყოფილება მეთოდიკურ და სამეცნიერო ხასიათის წერილებისათვის ქართული ენის.

შესახებ; ამას გარდა იმავე ორგანოებში დაეთმოს ადგილი საგრამატიკო საკითხების შესახებ შეკითხვა-პასუხს.

4. მოეწყოს ქართული ენის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები.

5. მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ქართული ენის მასწავლებელთა მომზადების საქმეს ყველა ტიპის პედაგოგიურ სასწავლებელში.

კერძოდ, ალიძრას შუამდგომლობა განათლების კომისარიატი-სა და უმაღლეს სასწავლებელთა გამგეობის წინაშე, რომ ქართული ენა სავალდებულო საგნად იქნეს მიჩნეული იმ მსმენელთათვის, რომელთაც მოუწევთ ქართულ სკოლებში მასწავლებლობა (სულ ერთია, რა საგნისაც არ უნდა იყოს).

6. ალიძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რომ მიღებული იქნეს შესაფერი ზომები ქართული ენის სისწორის დასაცავად (უდავო ფორმების ფარგლებში) უურნალ-გაზეთებში, საზელმდვანელოებში, სახელმწიფო დაწესებულებათა ყოველგვარი ხასიათის მიწერ-მოწერაში, განცხადება-აფიშებში და სხვ.

7. ამას გარდა კონფერენცია საგანგებოდ აღნიშნავს: ვინაიდან დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში მოიპოვება მრავალი სადავო საკითხი, აუცილებელ საჭიროებად იქნეს მიჩნეული სალიტერატურო ნორმების დასადგენად დაარსდეს სპეციალისტთა და ენის მცოდნეთა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალება აზლავე შეუდღეს წინასწარ სამზადისს საორთოგრაფიო საკითხების მოსაწესრიგებლად სალიტერატურო ქართულში. ამ კომისიამ აღნუსხოს, ყოველმხრივ შეიწავლოს და გამოარკვიოს სადავო საკითხები ახალი სალიტერატურო ქართულისა იმ გარაუდით, რომ 1929 წლის იანვრისათვის შესაძლებელი იყოს სათანადო პროექტის წარმოდგენა დაბეჭდილი სახით. ეს პროექტი ფართოდ იქნეს გავრცელებული, რომ ყველას, ვინც კი დაინტერესებულია ქართული სამწერლობო ენის ბედით, საშუალება ექნეს თავისი აზრი გამოსთქვას პროექტის ამა თუ იმ მუხლის ავ-კარგიანობის შესახებ. პროექტის დაბეჭდვის შემდეგ ხუთი თვეის განმავლობაში (ვარაუდით 1929 წლ. მაისი-ივნისში) მოწვეულ იქნეს კონგრესის საორთოგრაფიო საკითხების მოსაგეარებლად და ენის ნორმების დასდგენად.

III. რაც შეეხება ქართული გრამატიკის პროგრამას, საჭიროდ იქნეს ცნობილი:

1. დარჩეს კონცენტრული ხასიათი სწავლებისა.

2. მასალა დალაგდეს გარკვეული თანამიმდევრობით, რომელსაც მოითხოვს სათანადო მოვლენათა შეტნაკვლები სირთულე.

3. სინტაქსის რთული საკითხების სწავლება გადატანილ იქნეს მერვესა და მეცხრე ჯგუფში.

ამავე ჯგუფების პროგრამაში შეტანილ იქნეს ძველისა და საშუალო ქართულის სალიტერატურო მასალათა გასარკვევად საჭირო ელემენტები ქართული ენის ისტორიიდან.

4. პროგრამის დეტალური დამუშავება მიენდოს საგანგებო კო. მისიას შემდეგი შემადგენლობით: პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. აკ. შანიძე, ს. გორგაძე, მ. კელენჯერიძე, არნ. ჩიქობავა, ვარ. თოფურია, ილ. სიხარულიძე, მ. ხუბუა - გ. გოგუაძის თავმჯდომარეობით¹⁾.

5. პროგრამას წარემდევაროს, განმარტების სახით, ძირითადი საფუძვლები იმ თვალსაზრისისა, რომელიც აუცილებელია ქართული ენის დამუშავებისათვის თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნათა მიზედვით.

რეზოლუცია II. ლიტერატურისა და ენის დაუკავშირის საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

გ. გოგუაძის მოხსენების გამო.

1. ითვალისწინებს ო ქართული ენის და ლიტერატურის სწავლების დაბალ დონეს, ქართული ენის მასწავლებელთა კონფერენციას საჭიროდ მიაჩინა აღნიშნული საგნის მასწავლებელთა ყრილობის მოწვევა წელიწადში რამდენჯერმე თუ არა, ერთხელ მაინც. ასეთი კონფერენციები ავტონომიური რესუბლიკების და მაზრების მასშტაბითაც უნდა იმართებოდეს. სასურველია კონფერენციებს თან ახლდეს სათანადო გამოიფენები.

2. რომ მომავალი კონფერენციების მუშაობა თავისი შედეგებით უჭრო ნაყოფიერი იყოს, კონფერენციას საჭიროდ მიაჩინა წინასწარი მოსამართებელი მუშაობის ჩატარება ხელმძღვანელი ორგანიზაციების მიერ და გასარჩევი საკითხების აღილებზე წინასწარდაგზავნა.

3. ვინაიდან ქართული ენის მასწავლებელთა წინაშე ახალი მიზნები დაისახა, ამის გამო კონფერენცია საჭიროდ სცნობს, რომ

1) კომისიის მიზრ შემუშავებული ენის დაკვირვების პროგრამები გან. სახ. კომისარიატის მიერ დამტკიცებულია და სკოლებს მიეცათ სახემძღვანელოდ.

განათლების სახალხო კომისარიატმა იზრუნოს ზაფხულში კურსების მოწყობის შესახებ ქართული ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

4. ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ ქართული ენის სა-თანადო სიმაღლეზე დაყენებისა და მისი წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა საგნების მასწავლებელთა მიერ ენის სათა-ნადო ცოდნას, კონფერენციის სასურველად მიაჩნია სხვა საგნების კონფერენცია-კურსებზეც ენის სწავლების საკითხი დღის წესრიგში იყოს დასმული.

5. მომავალ კონფერენციებზე აუცილებლად დაისვას მოხსენე-ნებები ადგილებიდან, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს. სა-თანადო მაზრებსა და ავტონომიურ ერთეულებს.

6. კონფერენცია აღნიშნავს, რომ ქართულ ენაზე არ მოიპო-ვება სათანადო მეთოდური ლიტერატურა ენის და ლიტერატურის სწავლების შესახებ, ამიტომ საჭიროდ აღიარებს ასეთი ლიტერატუ-რის შექმნის აუცილებლობას.

7. არსებულ პედაგოგიურ კურნალებში მეტი ადგილი დაეთმოს ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საკითხებს.

8. გამოსული სახელმძღვანელოები ენის სისწორის მასალის, სტილის, დალაგების და შინაარსის მხრივ მეტ ყურადღებას საჭი-როებს.

9. მიღებულ იქნეს ზომები, რომ პროგრამის მოთხოვნა ძთლი-ანად იქნას დაკმაყოფილებული სათანადო სახელმძღვანელოების ან მოძრავი ბიბლიოთეკების გაძლიერებით.

10. განათლების სახალხო კომისარიატის მეთოდურ ორგანო-ებში გაძლიერებულ იქნეს მუშაობა, რომ ადგილებზე მეტი ხელმძღვა-ნელობა ეწერდეს ენისა და ლიტერატურის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში.

11. კონფერენციაზე გამოირკვა, რომ ადგილებზე საბიბლიო-თეკო ნაწილი ლარიბია. ამიტომ მას სავალდებულოდ მიაჩნია ამ ნაქ-ლის აღმოფხვრა იაფი წიგნების გამოცემით; ლიტერატურული გა-ნათლების საფუძვლის გასაფართოებლად მიღებული უნდა იქნას ზომები უცხო მწერლობის ნიმუშების გადასათარგმნად და გამო-საცემად.

12. სკოლის გარეშე კითხვის მოსაწესრიგებლად, კონფერენ-ციის საჭიროდ მიაჩნია არსებული საბავშო კურნალების ხარისხობ-რივი გაუმჯობესება და საერთოდ საბავშო ლიტერატურის გამოცემის გაძლიერება.

13. გაძლიერებულ იქნას მეთოდური და საბავშო ლიტერატურის რეცენზია საერთო პრესაში და კერძოდ პედაგოგიურ ჟურნალებში.

13. აღილებზე მეთოდიუროებთან დაარსდეს ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციები.

15. მხარეთმცოდნეობის საზოგადოებათა და პედაგოგიური წრების სამუშაო პროგრამებში სათანადო აღილი დაეთმოს ხალხური შემოქმედების ნიმუშების და ფოლკლორის შეგროვებას და ამ მუშაობაში ფართოდ იქნეს გამოყენებული მოწაფეთა ძალები.

16. სასურველად იქნეს მიჩნეული კონფერენციის მუშაობის შედეგების გამოცემა ბიულეტენის სახით.

კაგათი კონფერენციაზე ჭარბგენილი 7-შლედის პროგრამების პროექტის შესახებ¹⁾.

მარგველაშვილი აღნიშნავს პროგრამის სიდიდეს, ლექსების სიკარბეს და საჭიროდ სცნობს მასალების შემცირებას. „გველის მჭამელი“ ამოლებული უდა იქნეს.

სახელმძღვანელოები ქრესტომატიების სახით მიუდგომელია სიძვირისა და სხვა მიზეზების გამო.

ლაპარტყაფა. მოლაპარაკეს საათებში გამოუაწვარიშებია, თუ რამდენი დრო დაჭირდება პროგრამების გავლას და ამტკიცებს, რომ მისი გავლა ვერ მოესწრება; სასწავლო წელში არსებულ დროს გარდა და საჭირო იქნება 65 საათი. საჭიროდ სცნობს პროგრამების განტვირთვას საერთოდ და ლექსების შემცირებით—განსაკუთრებით.

შავგულიძე. პროგრამა მეტად დატვირთულია. ვალდებულების საკითხი გარკვეული უნდა იყოს, თორემ საშიშოა, რომ არევდარევა, ალრევა მოხდეს მასალების გავლაში: ვინ რას ჩაუმატებს და რას მოაკლებს,—არ ვიცით. თემები ზოგადი ხასიათისა და ამიტომ უნდა გამრავლდეს. მისი აზრით, პროგრამებიდან გამოტოვებულ უნდა იქნეს „ქამუშაძის გაჭირვება“, „ბერუა ქრისტესიაშვილი“, „ქართლის გასაჭირი“, „ჯორ-ზაქარა“ და სხ.

¹⁾ კონფერენციის მითითებათა საფუძვლებზე გადამუშავებული პროგრამები უკვე გამოცემულია.

გრამატიკის საკითხს სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ. პოეტი-
კა—VII ჯგუფში.

ს. გორგაძე. პოეტიკიდან რიტმისა და მეტრის საკითხი გადატ.
უნდა იქნეს VII ჯგ-ში. „სურამის ციხე“ უნდა გადავიტანოთ V ჯგუფ-
ში. ეს საჭიროა ქრონოლოგიური მოსაზრებითაც („კაკო ყაჩალი“-ს წინ
უნდა იქნეს გავლილი). „ხევის ბერი გოჩა“, „სტუმარ-მასპინძელი“ და
„ალუდა ქეთელაური“, როგორც კაპიტალიზმთან (თემა) შეუსაბამო,
ამოღებულ უნდა იქნეს. კლდიაშვილზე—ძალიან პატივისაცემი მწე-
რალია,— მაგრამ მაინც მაინც კბილს ნუ მოვაკვეთინებთ ბავშებს;
„სოლომონ მორბელაძე“ და „დარისპანის გასაჭირი“ უნდა ამოვი-
ლოთ. VII ჯგ.— „აჩრდილი“ და „მგზავრის წერილები“ უნდა ამოვი-
ლოთ. „ჩემო კალამო“ ამ ჯგუფს არ შეესაბამება, როგორც ინდივი-
დუალი, რომანტიული განცდა ავტორისა და ამიტომ მას ადგილი არ
უნდა ქონდეს თემაში „საკაცობრიო ჰანგები“. „ქართლის გასაჭირი“
და „ბახტრიონი“—ამოსალებია.

VIII ჯგ-ში ჩამატებულ იქნეს ზლაპრები და გამოცანები (ხალ-
შური); ამოღებულ იქნეს „ვარდ-ბულბულიანი“.

ზანდუკალი. პროგრამები ჩიხში გვამწყვდევენ (შვიდწლედი).
9-წლედში უფრო კარგადა საქმე. თემები ისეა დანაწილებული და
დალაგებული, რომ უფრო მეტი სიძლიერით, ვიდრე ძველ პროგრა-
მებში, გადავყარდებით სოციოლოგიზმში.

ცოტაა VI ჯგუფის მასალებისათვის 2 თემა, თემები შედარე-
ბით მრავალრიცხვოვანი უნდა იყოს, რომ ნაკლებ აღრევას ექნეს
ადგილი.

„სურამის ციხე“-ს გვერდით „დედა მაია“ ყოვლად შეუძლე-
ბელია.

თემების დაჯგუფებაში არ არის კონკრეტიზაცია. ყველაფერი
მოქცეულია ერთ ქვაბში. ხალხური ნიმუშების (მოცემულების) წინა-
აღმდეგია.

რ. ნიკალაძე. შვიდწლედში პირველ რიგში ენის კულტურას უნ-
და მიექცეს ყურადღება, შემდეგ ლიტერატურას. ლიტერატურულ
ენას უპირისპირებს კულტურულს და უკანასკნელს აძლევს უპირატე-
სობას. საჭიროა თემების მეტი სიმრავლე, რომ მეტი კონკრეტულო-
ბა იყოს. V ჯგუფში მეტი დრო ენას უნდა დაეთმოს, ლიტერატუ-
რას —^{1/3}. პროგრამების მასალა მეტად დიდია.

თოფურია. პროგრამები უნდა იყოს გარკვეული, სხარტი და
ჩამოყალიბებული.

ენა სხვაა, ლიტერატურა სხვა. გაუგებარია ზღვარის დადება
კულტურულ და ლიტერატურულ ენათა შორის.

პროგრამა რთულია; თანდათანობა სირთულე-სიმარტივის მიხედვით არ არის დაცული.

ძველი გრამატიკა (ხუნდაძე, ნიკოლაიშვილი) მიუღებელია, რადგან ბევრ რამეს (აღმატებითი ხარისხი — „უუმშვერერესი“) ხალხის ხმარებაში არა აქვს ადგილი. საჭიროა დაკვირვება ლიტერატურულ მასალებზე და ხალხის ენაზე; ინდუქცია და არა დედუქცია; აპოსტერიორი და არა აპრიორი.

ორთოგრაფია გრამატიკის ზედნაშენია და არა ცალკე მეცნიერება.

ორთოგრაფია შეთანხმების საკითხია და გრამატიკა კი — არა.

სასვენი ნიშნების სწავლებაში ინტონაციით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

შემდეგ მოლაპარაკე ანაწილებს საგრამატიკო მასალას და აუცილებელ საჭიროებად აღიარებს მის გაშლას მთელ შრ. სკოლაში მე-V ჯგუფიდან მე-IX ჯგუფამდე.

სინტაქსი უნდა მოიხსნას შვიდწლედიდან და გადატანილ იქნეს. ცხრაწლედში.

სეხნიაშვილი. წარმოდგენილი პროგრამა მძიმე ტვირთია, მისი გავლა ყოვლად შეუძლებელია. მისალებია შენიშვნები ზოგიერთი მასალის ამოღების შესახებ. მოითხოვს განტვირთვას: ნაწილი 4-წლედში უნდა იქნეს გადატანილი და ნაწილი — ცხრაწლედში.

მოითხოვს შეტანილ იქნეს „ჯანყი გურიაში“ და „სოფლის სურათები“.

სახელმძღვანელოში აუცილებლად მთელი პროგრამული მასალა უადა იყოს მოთავსებული.

ხურძე. წარმოდგენილი პროექტი გადასამუშავებელია, რაც აქ არ მოხერხდება, ამისთვის საჭიროა კომისიის არჩევა. ლიტერატურის შესწავლის მეთოდი მარტესისტული უნდა იყოს. კლასობრივი პრინციპი თითქოს არ არის გათვალისწინებული პროგრამებით. შვიდწლედში საჭიროა მუშაობა მწერლის შემოქმედებაზე.

ქრესტონატია დარჩეს, მხოლოდ გაიაფდეს.

ი. სიხარულიძე. იცავს შვიდწლედში სინტაქსს, მხოლოდ პრაქტიკული მიზნებით:

ფორმალი გრამატიკის შემოღების მომხრეა. გრამატიკის საკითხებში ლოლიკურ მომენტებსაც უნდა მიექცეს ყურადღება.

კელენჯერიძე. ბუნების აღწერა ძველ პროგრამებში უხვადიყო, წარმოდგენილ პროექტში ძალიან ნაკლებად არის გათვალისწინებული, რაც ნაკლად უნდა იქნეს მიჩნეული. საქართველოს ბუნებას.

მარტო მთა ვერ სწურავს. საჭიროა ბარის ბუნებაც. თემატიზაციის და სისტემატიზაციის შეთავსება მოუხერხებელია; თემატიზაციის ხარჯზე უნდა მოვკიდოთ ხელი სისტემატიზაციას.

გრამატიკა სალიტ. მასალებთან უნდა იყოს.

შემდეგ მოლაპარაკე ეხება ლოლიკურ და ფორმალ გრამატიკას. და მიუთითებს უკანასკნელის ბევრ ნაკლებ.

კალანდაძე. პროგრამები არ არის დოგმა, როგორათაც ზოგიერთებს მიაჩინათ. ლიტ. და საზ.-მეცნ. კავშირის საკითხში პროგრამებში სოციალიზმისაკენ გადახრა მოჩანს. „სურათი“ და აიგანძენ ამოლებული უნდა იქნეს თემიდან „თანამედროვე სოფელი“. როულია VII ჯგ. პროგრამა. აქ მოცემულია ინდივიდუალიზმი და კოსმიურობა. გახტანგ ორბელიანი უნდა შეეტანათ პროგრამაში. სიმბოლიზმი უნდა იყოს მოცემული.

ხუბუა. მორფოლოგის შესწავლა გულისხმობს სინტაქსურ ელემენტებზე მუშაობასაც. ამიტომ ადგილი უნდა ექნეს შეიღწლელში სინტაქსაც. საჭიროა მეტი სისტემატიზაცია, გარკვეულობა და თანამიმდევრობა. „წინადადება“-ს მაგივრად ვიხსაროთ „ფრაზა“.

პოეტიკის ელემენტები საჭიროა 7-წლედშიაც.

გრამატიკა წარმოდგენილი პროექტის სახით არ უნდა დარჩეს.

გ. ჭუმბურიძე—საბოლოო სიტყვა.

კონფერენციის შენიშვნები უკველად სამართლიანია, ზოგი მასალა მართლა შეუსაბამოა თემასთან. თემატიურობა დარჩება. გადაჯგუფება შობდება. საკითხი მარტო ენა თუ ლიტერატურაც — უნდა გადაიჭროს თანაბარი მნიშვნელობით.

შეიღწლედში უმთავრესად თემატიურობა, და ცხრაწლედში მასთან ერთად მწერლის ვინაობა და შემოქმედება—ასეთია პროგრამების მიზნები.

განტვირთვის და თემების სხვანაირად დალაგების მომხრე ვართ. თუ საჭიროა, გამოიყოს ცალკე თემებიც.

რეზოლუცია 7-წლედის ლიტერატურის პროგრამების შესახებ.

გ. ჭუმბურიძის მოხსენების გამო

1. თემატიურობის პრიციპი დარჩეს ძალაში.
2. ვინაიდან ზოგიერთი სემა გაუგებრობას და ერთგვარ გაურკვევლობასაც კი იწვევს, გადაისინჯოს თემები თითოეულ ჯგუფში და სათანადოდ შესწორდეს.

3. თვით თემები, წარმოდგენილ მასალასთან დაკავშირებით, დანაწილდეს საჭიროებისამებრ, რომ ერთბუნებოვანი მასალა გამოიყოს მათ (თემების) ირგვლივ; ასეთი დანაწილება გაადვილებს მუშაობას და მეტ გარკვეულობას მიანიჭებს მასწავლებელსაც მუშაობის პროცესში.

4. თემატიურობა მისალებია როგორც აღრიცხვის გასაადვილებლად, აგრეთვე იდეის ნათელსაყოფადაც.

5. მე-V ჯგ.—ძალაში დარჩეს ორივე მთავარი თემა—„ქალაქი“, „სოფელი“, — შეიცვალოს მხოლოდ ქვეთემები და მათი თანამიმდევრობა; ხსენებულ ჯგუფში თემებს შემდეგი სახე მიეცეს:

I თემა—„ქალაქი“—ქალაქის შრომა და ყოფა-ცხოვრება;

1 ქვეთემა—„ქალაქი რეკოლუციამდე“.

2 ქვეთემა—„თანამედროვე ქალაქი“.

შენიშვნა: ქვეთემების ასეთი გადაჯგუფება იმით დასაბუთდა, რომ საერთოდ თემა „ქალაქი“ მე-V ჯგ. მოწაფეთათვის უცნობი არ არის; თანამედროვე ქალაქს იგინი საქმაოდ იცნობებ; ამიტომ, ხსენებული თემა რომ მოსაბეჭრებელი არ გახდეს, უფრო მიზანშეწონილი იქნება დავიცვათ თანდათანობა, ე. ი. დავიწყოთ ძველიდან და გადავიდეთ თანამედროვე ქალაქზე.

ასეთივე თანდათანობა უნდა იქნას დაცული შემდეგი თემის („სოფელი“) ირგვლივაც, რაც შემდეგ სახეს მიიღებს:

II თემა—„სოფელი“.

1. ქვეთემა—„სოფელი რეკოლუციამდე“ (ქვეთემა იყოფა ორ საკითხად).

ა. ბატონყმური სოფელი.

ბ. სოფელი ბატონყმობის შემდეგ.

2 ქვეთემა—„თანამედროვე სოფელი, მისი ყოფა-ცხოვრება“.

3 ქვეთემა—„სოფლის ბუნების სურათები“.

ხსენებული ჯგუფის პროგრამიდან, განტვირთვის მიზნით, ამოლებულ იქნა შემდეგი ნიმუშები:

1. მიქელა
2. შერისხვა } დ. კლდიაშვილისა.

3. 9 იანვარი—ურუშაძისა.

4. ქაჯი (ნათარგმნი გაფრინდაშვილის მიერ).

5. სესიას ფიქრები. } რ. ერისთავისა.

6. ბერუას ჩაფიქრება } რ. ერისთავისა.

7. ივანე—გ. ქუჩიშვილისა.

8. ზაფხული სოფელში—კ. ლორთქიფანიძისა.
9. ნათავადარის ჩივილი (ხალხური).
10. ფესვები
11. ქუჩი
12. ხმელი წიფელი } ვაჟა-ფშაველასი.

13. განთიადი—გ. ორბელიანისა.
14. სამზითვო—რ. ერისთავისა.

ჩაემატა:

1. იმერული ნანინა—აკ. წერეთლისა.
2. ღილა ომის წინ (ნაწყვეტი „თონიკე ერისთავი-“ღან) აკაკისა.
3. სამეგრელოს ბუნება—ლექსი იასამანისა.

მე-VI ჯგ. თემებმა, გადახალისების შემდეგ, მიიღო შემდეგი სახე:

I თემა—„კაპიტალიზმის შემოჭრა და ნატურალური მეურნეობის რღვევა“.

II „ „ „სოციალური ურთიერთობა კაპიტალიზმის დროს“.

III „ „ „კლასთა შორის ბრძოლა და რევოლუცია“.

ამავე ჯგუფის პროგრამიდან, განტვირთვის მიზნით, ამოღებული იქნა:

1. დედამიანა—ს. მაგლობლიშვილისა.
2. ფირალი დავლაძე—ალ. ლალიონისა.
3. სოლომონ მორბელაძე—დ. კლდიაშვილისა.
4. დარისპანის გასაჭირი „ „ „
5. ოქროს ვერძი—გ. რუხაძისა.
6. შემთხვევა—ლალიონისა.
7. საპირველმაისო ჰიმნი—ს. ეულისა.
8. მერე რილათი იცხოვროს?—შ. არაგვისპირელისა.

ჩაემატა სამი ნაწარმოები:

1. გაყრა—გ. ერისთავისა.
2. გლეხის ალსარება—აკ. წერეთლისა.
3. მუშა—ილ. ჭავჭავაძისა.

მე-VII ჯგ. თემებმა შემდეგი სახე მიიღო:

- I — „სოციალური ურთიერთობა და ეროვნული ჩაგვრა კაპიტალიზმის ხანაში“.
- II — „კლასთა ბრძოლის გამწვავება და რევოლუცია“.
- III — „საერთო-საკაცობრიო საკითხები ჩვენს მწერლობაში“.

IV — „მთა და ადამიანის პიროვნება ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“.

ხსენებული ჯგუფის პროგრამიდან იმავე (განტვირთვის) მიზნით
ამოღებულ იქნა:

1. გაყრა—გ. ერისთავისა.
2. ქართლის გასაჭირი—დ. გურამიშვილისა..
3. ბედი უბედურთა—ნ. ლომოურისა.
4. ქრისტიანი ლეკები—ნ. ლომოურისა.
5. ჯორ-ზაქარა—ს. მგალობლიშვილისა.
6. ზლვა—ჭ. ლომთათიძისა.
7. სახრჩობელას წინაშე—ჭ. ლომთათიძისა.
8. ბახტრიონი—ვაჟასი.
9. შევარდნის სიმღერა—მ. გორგისა.
10. ზლვის ნიავი—ირეთელისა.
11. აჩრდილი—ილ. ჭავჭავაძისა.
12. ჩემო კალამო—ილ. ჭავჭავაძისა.
13. გველის მჭამელი—ვაჟა-ფშაველასი.

შენიშვნა: უკანასკნელი ნაწარმოები კომისიის სასურველად
შეიძინა მე-IX ჯგუფისთვის.

მე-VII ჯვ. პროგრამას დაემატა სამი ნიმუში:

1. ელეგია—ილ. ჭავჭავაძისა.
2. მუსიკას—ირ. ევდოშვილისა.
3. სული ობოლი—ნ. ბარათაშვილისა.

ვ. ხურობის მოხსენება „წერილი სამუშაო შეიდწლედსა და
ცხრაწლედში¹⁾.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები; 1. როგორ ესმის მომხსე-
ნებელს შეცდომების არიდება. 2. რამდენად მიზანშეწონილია მუშა-
ობის შეფასება. 3. გვეყოფა თუ არა დრო, რომ კვირაში ერთხელ
მოვაწყოთ წერა. 4. როგორ უნდა გაისაწიროთ ლოტიკური შეცდო-
მები. 5. გრამატიკაში როგორ უნდა გასწორდეს სადაც ფორმები.
6. სამგვარი შეცდომა თუ არის ერთ სტრიქონზე, როგორ აღნიშ-
ნავს (ხაზები) მომხსენებელი. 7. რა ადგილი ეთმობა მოწაფეთა თა-
ვისუფალ შემოქმედებას. 8. რას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება—
საკლასო თუ საშინაო წერით სამუშაოს. 9. წითელი თუ ის მელა-
ნი, რომლითაც არის დაწერილი. 10. დასაშეებრა თუ არა. წერა სხვა

¹⁾ ამ მოხსენების თეზისები მოწოდებული იქნება შემდეგ ნომერში

საგნებში, როცა ის არ სწორდება. 11. ცუდი დამწერლობის პატ-
რონშა მასწალებელმა როგორი ნიშუში უნდა მისცეს მოწაფეს?

კასუხი:

1. რაც თავისთავად იგულისხმებოდა, ის მოხსენებაში არ მით-
ქვამს; ცხადია, შეცდომების არიდებაზე დიდი მუშაობა უნდა იქნეს
გაწეული წერის წინ.

2. შეფასება საჭიროდ მიმაჩნია, მხოლოდ რეცენზიის სახით.

3. შეცდომების გასწორებაც წერითი სამუშაოს სახედ უნდა
ჩაითვალოს, და მაშინ დრო გვეყოფა.

4. ძირს უნდა გაისვას ხაზი, და ბავშვებმა უნდა ეძიონ და გა-
მოარყეიონ შეცდობა.

5. საუაო ფორმები გაუსწორებლად უნდა დარჩეს.

6. სამგვარი საშუალებით უნდა აღინიშნოს.

7. მოწაფეთა თავისუფალ შემოქმედებას დიდი ყურადღება უნ-
და მიექცეს.

8. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საკლასო მუშაობას.

9. 4-წლებში იმავე მელნით უნდა გასწორდეს, რომ მოწაფეებ-
მა დაშვებული შეკლომა არ შეამჩნიონ. შეიღწლებაში კი შეიძლება
განსაკუთრებული მელნითაც.

10. დასაშვებია წერა, მხოლოდ უნდა სწორდებოდეს.

11. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაისწოროს თავისი
დამწერლობა.

კამათი:

ვაჩნაძე. აქ წარმოდენილ სახეებზე არაფერს ვიტყვი, რადგა-
ნაც, ჩემი აზრით, დლევანდელ პირობებში ამას მნიშვნელობა არა
აქვს. აქ დასახელებული მიზეზები არ არის საკმარისი. ამის დასამ-
ტკიცებლად ორატორს მოჰყავს აღვილები რუს. პედაგოგიური ლი-
ტერატურიდან, სადაც ნაჩვენებია ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ის,
რომ მოწაფეებს ყველა საგანში უხდებათ წერა, წერენ ბევრს ნაჩქა-
რევად და უთავბოლოდ. გარდა ამისა, დლევანდელი ჩვენი ბეჭდვი-
თი სიტყვის ენა მოიკოჭლებს, რაც ცუდ გავლენას ახდენს მოწა-
ფეობაზე.

6. ძირებური. მოიახოვს ქართული ენის გაკვეთილების რაოდენო-
ბის გადიდებას (კვირაში 0 საათი). სანამ ეს არ მოხდება, ქართული
ენის კარგად დაყვნების შესახებ ლაპარაკი ზედმეტია. მოითხოვს დე-
ლნების შემოლებას კალიგრაფიის გასწორებისათვის. გასწორება გან-
სხვავებული მელნით ნამუშავრის შემდეგ ახალ სტრიქონზე, შიგ ნა-
მუშავარში — არავითარი ხაზი და ნიშანი.

თოდუა. ყოფს შეცდომებს ორ ჯგუფად: ინდივიდუალური და ტიპიური-დამახასიათებელი. ინდივიდუალური იქვე უნდა გასწორდეს (ახ. სტრიქონზე) მასწავლებლის სწორი ნიმუშით და დამწერლობით და ტიპიური შეცდომები დაფაზე. შეცდომების გასწორების საკითხი მეორეხარისხოვანია. მასწავლებლის მთელი ენერგია უნდა იყოს მიმართული, რომ ბავშვი შეცდომა არ დაუშვას.

კალანდარაშვილი. მომხრეა, რომ სხვა საგნის მასწავლებლებმაც აწარმოონ წერა, მაგრამ უნდა ასწორებდენ და პასუხისმგებელნიც უნდა იყონ.

მიქაბაძე. ნაწარმოების მოკლე შინაარსის დაწერინება სახითათოა, რაღაც შეიძლება ბავშვი მთავარი დატოვოს და არასაყურადღებო ფაქტები მოიხსენიოს. საჭიროა დამწერლობას თავიდანვე (4 წლედიდან) მიექცეს ყურადღება.

გოგუაძე. არ ეთანხმება თოფურიას, რომელსაც სინტაქსი ცხრა-წლედში გადააქვს. ჩვენ პრაქტიკულად გვჭირდება სინტაქსური ფორმები შვიდწლედში, თორემ თუ სინტაქსურ ფორმებს არ გავაცნობთ, როგორ მოვთხოვთ მათ სწორ შესირყვება-შეთანხმებას.

ლაპარტყავა მოითხოვს, რომ სხვა საგნის მასწავლებლებს აეკრძალოთ წერითი სამუშაოების წარმოება; გასწორების შესახებ არცერთ გამოთქმულ აზრს არ იზიარებს; სამუშაოების რიცხვი უნდა შემცირდეს; მხედველობაში მივიღოთ მოწაფეთა სიმრავლე ჯგუფებში.

გაჩეჩილაძე წერითი სამუშაოების მთავარ მომენტს შეცდომების არიდებაში ხედავს; წერითი ენის სათანადოდ დასაყენებლად თოხწლედი უნდა მივიღოთ საფუძვლად. ამიტომ ორატორი საჭიროდ სთვლის, კონფერენციაზე მოწვეულ ყოფილიყვნენ თოხწლედის გამოცდილი მასწავლებლები; კალიგრაფიას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

სეხნიაშვილი ცუდი დამწერლობის მიზეზად სთვლის უხაზორვეზე ლებში წერას; სამუშაო მასალა შაბლონურ თემებში არის მოცემული.

წიფურია საკლასო და საშინაო შრომებს შორის პირველ აღვილს საშინაოს უთმობს, რაღაც აქ მოწაფეს იმდენი ლრო აქვს, რამდენიც მას სჭირდება, და ამიტომ შრომა მოწაფის გონების ნამდვილი პროცესშია; სხვა საგნებში წერა დასაშვებია, მაგრამ მასწავლებელმა ენა კარგიდ უნდა იცოდეს; მომხსენებელმა ვერ მოგვცა ერთი გარევეული სისტემა წერითი სამუშაოების სახეებისა და აგრეთვე გასწორებისაც.

გოგუაძე წერის უკეთ დაყენების მიზნით მოითხოვს მეტ ყურადღებას წესიერ ზეპირმეტყველებისადმი; აუცილებლად საჭიროა წინასწარი ბრძოლა შეცდომებთან; ამის შესახებ გარევეულად არის გამოთქმული აზრი განათლების კომისარიატის ცირკულარში, რომლისადმიც მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინათ როგორც მომხსენებელს, ისე მოკამათეებსაც; საკლასო და საშინაო სამუშაოებს თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეთ, ოლონდ საშინაო სამუშაოები ისეთი ხასიათის უნდა იყოს, რომ შეცდომების არიდება შეიძლებოდეს; თემები უნდა ამჟღავნებდენ მოწაფის და სკოლის ცხოვრებას; მოთხრობების გავრძელების პრაქტიკულ მნიშვნელობას უარჯოფს; წერითი სამუშაოების რიცხვის შესახებ ორატორი იმ აზრისაა, რომ უნდა იწერებოდეს ხშირად, მხოლოდ ცოტ-ცოტა.

საბოლოო სიტყვა მომხსენებლის—გ. ხუროძის: მოხსენების მიზნად მეორე საფეხურის წერითი სამუშაოები მქონდა მხედველობაში; ოთხწლედი მიზნის გარეშე დარჩა; შეცდომების არიდებაზე მოხსენებაში არაფერი ვთქვი, რადგან ეს ახალი საკითხი არ არის, იგი თავისთვალ იგულისხმება; შინაარსის გადმოცემა, როგორც წერითი სამუშაოს ერთ-ერთი სახე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ოლონდ მას ნუ მიეცემა ტრაფარეტული სახე; მოთხრობის გაგრძელებაც ერთ-ერთი საინტერესო სახეთაგანია, რადგან იგი საფუძველია მისი შემდეგი შემოქმედებითი მუშაობის; წერა ხშირად, შეიძლება სხვა საგნებშიც, მხოლოდ მოწესრიგებულად; სიტყვის მიწოდება შეცდომით დაუშვებელია; წერითი ვარჯიშობის დროს გარემოს არ უნდა გავურბოდეთ, მაგრამ გამოსავალი წერტილი ლიტერატურა უნდა იყოს; გასწორების წესში მომხსენებელი არ ეთანხმება არც ძიძიგურს და არც ლაპარტყავას; ამ უკანასკნელმა ჩვენი წესი უარპყო, თავისი კი არ მოგვცა; მომხსენებელი ზოგიერთი მოკამათის საპასუხოდ აცხადებს, რომ იგი თავის მოხსენებაში ხელმძღვანელობდა თავისი პირადი და განათლ. განყოფილების სკოლების პრაქტიკით, და არა ჰქონია პრეტენზია ახალი სიტყვის თქმისა.

ჩართული ენის კაბინეტი ტფილისში.

მოხსენება¹⁾.

მესამე წელია, რაც, სხვა საგნობრივ კაბინეტებთან ერთად, ტფილისის ქალაქის განათლების განყოფილების ქართული ენის კაბინეტი მუშაობს.

¹⁾ ქართული ლიტერატურისა და ენის მასწავლებელთა კონფერენციაზე 1928 წლის ივნისში.

საგნობრივი კაბინეტის მიზანია მასწავლებლობა ჩააბას მუშაობაში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

საზაფხულო მოსამზადებელი კურსების პრაქტიკაში ნათელობის შემდეგი: თუ მასწავლებლობა მთელი წლის განმავლობაში არ ეწევა მუშაობას თავისი სპეციალობის გასავითარებლად, მისთვის საზაფხულო მოკლევადიანი კურსები ცოტაა. გარდა ამისა, საზაფხულო გადასამზადებელი კურსები, მიზანსაც რომ აღწევდეს, ყველა მასწავლებლისათვის მიუწოდომელია. საგნობრივი კაბინეტები მთელი წლის განმავლობაში მუშაობენ და, რაც მთავარია, ყველა მასწავლებელი მუშაობს იქ თავისი სპეციალობის მიხედვით.

ქართული ენის კაბინეტის მუშაობა ორ მთავარ მიზანს ისახავს: მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და დიალექტიურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის შემუშავებას ენისა და ლიტერატურის ფაქტების შეფასებაში. ჩვენს სინამდვილეში დღის შეუძლებელია სხვა თვალსაზრისით მიუდგეს მასწავლებელი თავისი საგნის სწავლებას. და ეს უნდა ხდებოდეს არა ცირკულიარულად და განკარგულებით, არამედ ამ მსოფლმხედველობის ძირითად საფუძვლებში გარკვევით, შეგნების და რწმენის გამომუშავების გზით, რომ ჩვენი მუშაობა ნაყოფიერი იყოს. ამ ორი მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა ქართულ კაბინეტში.

კაბინეტში არის სამი სემინარი: 1. ლიტერატურის შეკოდნეობის მარქსისტულ-მეთოდური, 2. ფორმალი გრამატიკისა და 3. ქართული ენის სემინარი არაქართული სკოლების მასწავლებელთათვის. ქართული ენისა და ლიტერატურის ყოველი მასწავლებელი ვალდებულია იმუშაოს ამ სემინარებში. თვითოულ სემინარს ჰყავს მასწავლებელი ან ხელმძღვანელი. კაბინეტის ბიურო, რომელიც შესდგება მასწავლებელთაგან ამორჩეულ აქტიური პირებისა, კაბინეტის ხელმძღვანელისა და კაბინეტთან მიმაგრებულ ქალაქის სკოლების ინსტრუქტორისაგან, წლის დასაწყისშივე იმუშავებს საწარმოო გეგმას თითოეული სემინარისათვის. საწარმოო გეგმა მუშავდება ტრიმესტრულ სამუშაო—კალენდარულ პროგრამად. პროგრამაში აღნიშნული საკითხები ნაწილდება დასამუშავებლად რგოლებად მასწავლებელთა შორის ¹⁾.

1) ისეთი საკითხი, რომელიც ვიწრო სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და მასწავლებელთა ძალლონეს აღმატება, გარედან მოწვეული სპეციალისტის მიერ შუქლება.

დასამუშავებელი საკითხების შინაარსი ზოგადად შემდეგნაირია. ენისა და ლიტერატურის ბუნების ცხადყოფა დიალექტიურ-მატერიალისტური თვალსაზრისით; ენისა და ლიტერატურის სწავლებაში მარქსისტული დიალექტიური მეთოდის მიმარჯვება, სწავლების ამ გზით დაყენებისათვის სათანადო მეთოდური და კრიტიკული ლიტერატურის გაცნობა-შესწავლა; სხვადასხვა თვალსაზრისის გაცნობა ენისა და ლიტერატურის ფაქტების შეფასებაში: იდეალისტურისა, ისტორიულ ბიოგრაფიულის, გეოგრაფიულისა და სხვათა; ენის მოვლენების მარქსისტული თვალსაზრისით გაშუქება, ლოლიკური და ფორმალი გრამატიკის საკითხები; ფორმალი გრამატიკის კურსის შეთვისება და სხვ..

ცალკე სემინარში მუშავდება ქართული ენის სწავლების საკითხები არაქართულ სკოლებში (როგორც უცხო ენის).

სემინარები იმუშავებენ ენის და ლიტერატურის პროგრამებს. კაბინეტში დაამუშავა გასულ წელს ენის დაკავშირების სამუშაო წიგნი „ენის დაკვირვება“ ოთხწლედისათვის, პროგრამა ამავე საფეხური-სათვის გრამატიკაში, წერითი სამუშაოების სახეები და სხვ. კაბინეტშა მოაწყო გამოფენა მიმღინარე წლის გასულს. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ენისა და ლიტერატურის სწავლების პროდუქცია ნათელ სურათს იძლეოდა ქალაქის სკოლებში ამ საგნის მიღწევა-დეფექტებზე. კაბინეტი ახდენს გამოკვლევას ადგილებზე, სკოლებში, თუ როგორ მიმღინარეობს ენისა და ლიტერატურის სწავლება. არსებობს კაბინეტში პრაქტიკულები, საღაც ირკვევა საგნის სწავლების პრაქტიკული საკითხები. არსებობს სარეკვენზიო კომისიები, რომელიც არჩევენ ბაზარზე გამოსულ სახელმძღვანელოებს, მეთოდურ-ლიტერატურული ხასიათის წიგნებს და სხვას. კლასგარეშე კითხვის კომისია იმუშავებს პროგრამას კლასგარეშე კითხვის საქმის მოსაწესრიგებლად; მუშავდება სასტანდარტო განაკვეთი ლაბორატორიული და საკლასო წესით მუშაობისათვის.

კაბინეტს აქვს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად ივ-სება სათანადო მეთოდურ-კრიტიკული, მხატვრული ლიტერატურით და უურნალებით, მასწავლებლობა წიგნებით საჩერებლობს როგორც საწავლო წლის განმავლობაში, ისე საზაფხულო არღადეგებზე.

რა შედეგები მიეიღოთ? ენისა და ლიტერატურის სწავლება მკვდარი წერტილიდან დაძრა, დიალექტიურ-მატერიალისტური თვალსაზრისით ამ საგნის სწავლებამ ფეხი აიდგა*). მართალია, მარ-

*) მასალის ანალიზი ხდება როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრით აღნი-შნული თვალსაზრისით.

ქსისტული მეთოდის გავულგარებას შეიძლება ბევრგან ჰქონდეს ადგილი, მაგრამ უამისობა პირველ ხანებში არ ხერხდება. სანამ მასწავლებლობა საფუძვლიანად შეითვისებდეს, შეიგნებდეს მარქსისტული მიდგომის გზებს, მანამდე გაურკვევლობას და შეცდომებს გვერდს ვერ ავუხვევთ.

ფორმალი და ლოლიკური გრამატიკის ვანსხვავება ნათელი ხდება მასწავლებლობისათვის. ენის გრამატიკის ფორმალი თვალსაზრისით სწავლებაც ფეხადგმულია ქალაქის სკოლებში, თუმცალა აქაც იგივე ითქმის, რაც ზემოთ ვთქვით. მეტყველების კულტურას უკვე სერიოზული ყურადღება ექცევა, წარმოებს მასწავლებელთა მიერ მოწაფეთა ზეპირი და წერითი მეტყველების დეფექტების საფუძლიანად შესწავლა-აღრიცხვა, მეტყველების სტილის გამართვა და სხვა.

რას ვაპირებთ მომავალში?

კაბინეტში მომავალ სასწავლო წლებში იწარმოებს მუშაობა დაწყებული მიმართულებით, დაწყებული საქმის განვითარება გალარმავებისათვის.

ენისა და ლიტერატურის ფაქტების მარქსისტული თვალსაზრისით გაშუქებაში გაშაბლონების და გავულგარების თვიდან ასაცილებლად მოხდება საკითხების კონკრეტიზაცია, ამ მსოფლმხედველობის უფრო საფუძვლიანად გაცნობა-შესწავლა. ყველა მასწავლებლისათვის საჭირო იქნება აღიარებული დიალექტიურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის ძირითადი საკითხების ცოდნა, არა როგორც სავალდებულო, გინდ „მოდის“ საკითხი, არამედ როგორც ერთადერთი სალი და სწორი თვალსაზრისი მოვლენების და ფაქტების შეფასება-ში. შეთვისებული სალად და სწორად უნდა იქნეს გამოყენებული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში.

არ უნდა დარჩეს არცერთი მასწავლებელი საგნობრი კაბინეტის მუშაობის გარეშე: ვისაც გვაკლია სათანადო ცოდნა-გამოცდილება, აქ უნდა ვეცადოთ მის შეძენას, ვინც მომზადებულები ვართ, სხვებს უნდა დავეხმაროთ და ავამუშაოთ თანამშრომლობის ნია-დაგზე.

ოთხწლედში ქართული ენისა (გრამატიკის) და ლიტერატურის სწავლების საქმე უნდა მოგვარდეს. ამ საქმისათვის პირველი საფეხურის მასწავლებლებმა ქართული ენის კაბინეტში უნდა იმუშაონ, რომ ენამ და ლიტერატურამ კომპლექსური მეთოდით სწავლებაში ჰქონის თვისი დრო, ადგილი, თავისი „მე“ და არ იქნეს ის მიჩრებალული. ოთხწლედშივე უნდა იწყებოდეს. როგორც ენის, ისე

ლიტერატურის სწავლება საღ ნიადაგზე, ჩამოყალიბებული ენისა და ლიტერატურის პროგრამების მიხედვით, ისე, როგორც მეორე საფეხურის სკოლებშია, ვინაიდან „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისათვის ყოველი საქმე დაკარგულია“. ოთხწლედი-სათვის ენობრივი და ლიტერატურული მასალების მიწოდება-შერჩევა დღეს თითოეული სახელმძღვანელოს ავტორის თუ მაწავლებლის პირადი გემონების საკითხია.

ეს შემდგომ ასე არ უნდა იყოს, თუ გვინდა პირველი სა-ფეხური მართლა საფეხური იყოს შემდეგი საფეხურისათვის.

ილ. სიხარულიძე.

ქართული ენის კაბინეტის ხელმძღვანელი

ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ.

1. მეთოდოლოგიური საკითხები.

ლიტერატურის მეთოდოლოგია შრავალნაირ მიღვომას იცნობს ლიტერატურის შესასწავლად. ესა თუ ის მიმართულება, თავისი გან-საზღვრული მსოფლიხედველობისა და გაბატონებული იდეების მიხე-დვით, ამ მეთოდებს შორის მხოლოდ იმას იყენებს და ემყარება ლი-ტერატურულ მოვლენათა გარკვევის დროს, რომელიც უფრო შეეფე-რება მის განსაზღვრულ მიზნებს.

ამ მეთოდებში ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ორ მთავარ მიმართულებას—სუბიექტურს და სოციოლოგიურს. პირველის მიღვევრები ხელოვნებას საერთოდ და ლიტერატურას კერძოდ უმ-თავრესად გართობა-თავშესაქცევ საგნად სთვლიან. იმათ, უკანასკნე-ლიდ ძილებული ფირმულის მიხედვით, მიზნობრივად განმარტეს იგი, როგორც „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ასეთი შეხედულება ხე-ლოვნებაზე გაბატონდა იმ კლასთა შორის, რომელიც გართობა-სია-მოვნებაში ატარებდენ თავის დროს. პოეზია რომ გართობა-„სალა-ლობოდ“ არ არის შექმნილი, ამას ხალხური შემოქმედების ფსიქო-ლოგიური საფუძვლებიც ნათლად მოწმობს. გავიხსენოთ თუგრნდ არ-სებობისათვის ბრძოლა, როგორც ძირითადი მამოძრავებელი ძალა ხალხური შემოქმედებისათვის, საღაც სულ ორიოდე სიტყვით არის გამოთქმული მზის მნიშვნელობა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხში, ან გუთნის დანიშნულება და მისი სასიცოცხლო მნიშვნელობა და სხვა მრავალი. ეს გარემოება ცხადჰყოფს იმ შეხედულების შეუსაბამობას და სიყალბეს, რომელსაც ეწოდება „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

ლიტერატურული ნაწარმოების სოციალური ბუნება გამომელავნდა მხოლოდ იმ მიღომით, რომელმაც მასში რეალური ცხოვრების მრავალნაირი სახე და სურათი აღმოაჩინა, და როცა ასეთი ნაწარმომოები გაგებულ იქნა, როგორც სისტემა აზროვნებისა მხატვრულ სახეთა საშუალებით. ამრიგად, მხატვრული ლიტერატურა, როგორც არსებულ ურთიერთდამოკიდებულებებზე შექმნილი კატეგორია, თვალწინ გვიშლის, თავის გმირთა უტყუარი დახასიათებით, სოციალური ცხოვრების ამა თუ იმ სურათს, ავტორის სულიერ შემოქმედებაში აღბეჭდილ და თავისებურად გარდატეხილს.

ეს არის ის ქვაკუთხედი და მთავარი დებულება, რომელზედაც აგებულ უნდა იქნეს მთელი მსჯელობის დანარჩენი შენობაც ლიტერატურის შესწავლის მეთოდების ირგვლივ, რაც შეიძლება გამოითვალის ასე: ლიტერატურა არის ფუნქცია სოციალური ცხოვრებისა ისე, როგორც თვით ავტორი-შემოქმედი არის არსებული პირობებისა და საერთო გარემოს შედეგი, ე. ი. ავტორსა და ნაწარმოებს ჰქონის ის სოციალური ცხოვრება და გარემო, რომელთაც აქვთ მათზე უშუალო გავლენა. დროისა და ადგილის სივრცე-მანძილი აქ უმნიშვნელოა. ამ კატეგორიათა შორის,—ერთსადაიმავე ადგილზე და ერთსადაიმავე დროს,—შეიძლება განვითარდეს სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით და მსოფლმხედველობის მიხედვით რამოდენიმე, ერთიმეორის მოწინააღმდეგე ტიპი. ასეთია საზოგადოებრივი კლასების დიფერენციაცია და მათ შორის არსებული დაუცხრომელი ბრძოლა ერთ-ერთი მოწინააღმდეგის საბოლოო დამარცხება-გამარჯვებამდე მხატვრული შემოქმედება ანგარიშს უწევს არსებულ ბრძოლას ერთსა და იმავე კლასის შიგნითაც, საზოგადოებრივი ჯგუფების სხვადასხვა იდეოლოგიას და ალსახავს მათ თავისი მხატვრული სიტყვის საშუალებით.

ამნაირად, მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოები უნდა შესწავლილ იქნეს იმ თვალსაზრისით, რომ ის არის წმინდა კლასიური, წარმოებით დამოკიდებულებათა ზედნაშენი; მაგრამ, ამავე დროს, საზოგადოებრივი ადამიანის ფსიქიკა განისაზღვრება, ერთის მხრივ, უშუალო ეკონომიური დამოკიდებულებით და, მეორეს მხრივ, მთელი სოციალურ-პოლიტიკური წყობილებით. ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ზოგიერთი მწერლის შემოქმედების გაგება, მაგალითად, ბარათაშვილის ან ილია ჭავჭავაძისა, რომელთა შორის პირველის ნელ პესიმისტურ განწყობილებას ასაზრდოებდა ნაწილობრივ ამძველიური ცხოვრების უშინაარსობა, უმთავრესად კი საკუთარი ხვედრი და ქართლის ბეჭი, ხოლო ი. ჭავჭავაძის თავისუფლებათა იდე-

ას — რუსეთის სამოციანი წლების იდეები. მთლიანად კი მათ მდგო-
მარებას და გარემოებასთან წარმოებით დამოკიდებულებას — რო-
გორც თავად-ფეოდალებისას — განსაკუთრებით უკანასკნელისას, სულ
სხვა პერსპექტივები უნდა გადაეშალა ჩეგნოვის იმასთან შედარე-
ბით, რაც მათ მოგვცეს თავისი მხატვრული შემოქმედებით; ისინი
უნდა ყოფილიყვნენ ფეოდალური ბურჟუაზიის იდეოლოგიის გამტა-
რებლები ქართულს მწერლობაში.

ლიტერატურისაღმი ასეთი მიღვომა იწვევს მეორე საკითხს,
საკითხს ავტორთა ბიოგრაფიის შესახებ. მხატვრული ნაწარმოების
ამნაირი გაგებით მკვლევარისათვის რამდენიმედ ეკარგება მნიშვნე-
ლობა ავტორის პიროვნებას. ნაწარმოების ყოველმხრივ შესასწავლად
და დასაფასებლად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გასარჩევ
ტექსტს და არა მწერლის პიროვნებას, არა მის ბიოგრაფიას, რომე-
ლიც, პირიქით, თვით უნდა იქნეს შესწავლილი და ახსნა-განმარტე-
ბული იმ მოვლენათა კომპლექსის მიხედვით, რომელმაც მოახდინა
ზეგავლენა და შეჯერებაში.

აუცილებელია აგრეთვე ანგარიში გაეწიოს იმ გარემოებასაც,
რომ ხშირად თვით მწერალიც განიცდის ევოლუციას თავისი განვი-
თარების საფეხურებზე.

2. როგორი იყო დღემდე ლიტერატურის მდგომარეობა რუ- სეთისა და ჩემის სკოლებში?

ყველასათვის ცხადია, რომ ოქტომბერმა სკოლას დაუყენა ახა-
ლი ამოცანები და დაუსახა ახალი მიზნები. ეს არის აღზრდა ახა-
ლი ადამიანისა, სოციალისტური ცხოვრების მომწყობისა და მისი
განმტკიცების დაცველის. ცხადია ისიც, რომ ამასთან დაკავშირე-
ბით პირველი აღგილი სკოლაში დაიჭირა საზოგადოებათმეცნიერებამ,
როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების საკითხთა
შემსწავლელმა საგანმა. ლიტერატურა კი, როგორც ასეთი, უკანა
რიგში იქნა დაყენებული. „სკოლაში მოხდა ჯობის გადახრაო“, — ამ-
ბობს ნ. კ. კრუპსკაია, — და განაგრძობს: „ლიტერატურა გადაიქცა
საზოგადოებათმეცნიერების სხვადასხვა ნაწილის ილიუსტრაციად.
მისი თავისებური მიზნები და მეთოდები სრულიად დაიჩრდილა, წა-
იშალა. ასეთი მიღვომა ლიტერატურის შესასწავლად შემცდარი იყო.
ლიტერატურამ დაკარგა ემოციონალური ძალა და უნარი, რომელიც
ასე აუცილებელია მოზარდი თაობისათვის თვით საზოგადოებათ-

მეცნიერების გასაგებად და რომელიც ხდის ლიტერატურას ახალ-
გაზრდობის აღზრდის უებარ საშუალებად და იარაღად¹⁾.

„ამასთანავე, — განაგრძობს კრუპსკაია იქვე, — ლიტერატურა უნ-
და ისწავლებოდეს საზოგადოებათმეცნიერების ფონზე, მის საფუძველზე.
ლიტერატურის მასწავლებელი კი უნდა იყოს საზოგადოებათმეცნიე-
რი, რომელიც მარქსისტულად ერკვევა საზოგადოებრივ ცხოვრება-
ში, მაგრამ ლიტერატურის მასწავლებლად არ ვარგა ისეთი საზო-
გადოებათმეცნიერი, რომელსაც ლიტერატურა არ შეუსწავლია სპე-
ციალურად და არ იცნობს სხვადასხვა ეპოქის მხატვრულ შემოქმე-
დებას, მათ თავისებურებას, ადამიანთა განცდებს და ვერ ითვისებს
სიტყვის საშუალებით გაღმოცემულ ცოცხალ მხატვრულ სახეებს. აქ
საჭიროა სპეციალური ცოდნა. კარგი ეკონომისტი შეიძლება სრუ-
ლიად უვარებისი იყოს, როგორც ლიტერატურის მასწავლებელი. ამ-
გვარად, საზოგადოებათმეცნიერების ცოდნა აუცილებელი პირობაა
ლიტერატურის მასწავლებლისათვის, მაგრამ ეს კიდევ არ არის სა-
ქმარისიო²⁾.

ლიტერატურის დანიშნულების ასეთმა გავებამ, მისთვის დამ-
ხმარე როლის მითვისებამ და საზოგადოებათმეცნიერებისათვის და-
მორჩილებამ უკან დასწია და ჩამოაქვეითა ენისა და ლიტერატუ-
რის ცოდნის დონე როგორც რესერტის სკოლებში, ისე ჩვენში. ამას
ადასტურებს იგივე კონფერენცია რუსეთისათვის, ხოლო ჩვენთვის
სკოლების მრავალგზით დათვალიერება და ის შედეგები, რომელიც
მეღაენდება საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლადამთავრე-
ბულ ახალგაზრდობის სიტყვიერსა და წერილობითს ცოდნა საქმია-
ნობაში: მათ არც ლაპარაკი იციან ხეირიანად და არც წერა ეხერ-
ხებათ შესაფერისად.

ლიტერატურული ენა ერთი საშუალებათაგანია, — ამბობს კრუპ-
სკაია, — რომელსაც მიჰყავს მოწაფე ცოდნისაკენ. ამ ცოდნის მისაღე-
ბად უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება ერთ გარემოებას, რომე-
ლიც ახლა უარყოფილია და მივიწყებული. ეს არის წაკითხულის და-
მასხოვრება, დაკვირვებაში ვარჯიშობა, დაკვირვებათა სისტემის გა-
მომუშავება და ცოცხლად და მხატვრულად გამოთქმა მოწაფის მიერ
საკუთარი განცდებისა. მას უნდა ვასწავლოთ მხატვრული სახეებით
აზროვნება. ამის გარეშე ვერასოდეს ვერ შევქმნით ნამდვილს, ხალ-
ხის მასებთან დაახლოვებულს ლიტერატურას³⁾.

1) იხ. უზრნალში „На путях к новой школе“, 28 № 3. წერილი: „Кон-
ференция преподавателей русского языка и литературы“.

2) იქვე, გვ. 88.

3) იქვე, გვ. 89.

ასეთსავე აზრს გამოსთქვამს ან. ვ. ლუნაჩარსკი ამავე კონფერენციაზე. ის ამბობს: საჭიროა გამოირკვეს არა მარტო ადგილი ლიტერატურისა საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში, არა-მედ უნდა გამოვამჟარაოთ ლიტერატურული ნაწარმოების მთელი სირთულე, საჭიროა გეძებოთ ლიტერატურულ ნაწარმოებში მისი მასიური და საზოგადოებრივი იმპულსი, უნდა ნათელვყოთ მისი აშკარა და ფარული მიზნები, რომ გადავსწყვიტოთ: — წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის ნაწარმოები რაიმე მხატვრულ ძალას, როგორიც არის ტოლსტოის „ომი და ზავი“, ან პუშკინის ნაწარმოებნი, თუ იგი უკვე მიცვალებულია, რომელიც ჯერ კიდევ არ დაუსაფლავებიათ.

ლიტერატურული ენის დაძლევით და შეოვისებით, — განაგრძობს ლუნაჩარსკი, — ჩვენ გადავდგამთ იმ პირველ ნაბიჯს, რომელიც აუცილებელია ჩვენი დროის ხელოვნებისა და ლიტერატურის შესაქმნელად. პარტიამ იცის და დარწმუნებულია იმაში, რომ პროლეტარიატმა უნდა შექმნას თავისი ლიტერატურა, რომელიც ჩამოაყალიბებს თავის იდეოლოგიურ პრობლემებს მხატვრულ-ტიპიურ სახეებში. ეს მხატვრულ-ტიპიური სახეები კი მთელი ხალხის ორგანიზაციის უდიდესი საშუალებაა. ამიტომ ლიტერატურის სწავლების შივვანა სასწავლებლებში იმ დონემდე, რომელიც აგვისნის მხოლოდ მის კლასიურ სახეს და დასაბამს და განმარტავს მარტო ეპოქის ეკონომიკას, სრულიად მიზანშეუწონები იქნებოდა და ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრიდა ლიტერატურის ემოციონალურ-ესთეტიურ მნიშვნელობას.

მართალია, სკოლამ უნდა გაურკვიოს მოწაფეს, თუ რატომ არის ლიტერატურა მიზეზობრივად დაკავშირებული საზოგადოებრივ განვითარებასთან და ისიც, თუ როგორ გარდატყდება და აისახება კლასობრივი ინტერესები ლიტერატურაში, მაგრამ მარტო ამით დაკმაყოფილება იქნებოდა უკიდურესი ცალმხრივობა და დამახინჯება ლიტერატურის დანიშნულებისა.

3. პროგრამული საკითხი და სწავლების მარქსისტული მეთოდი.

პროგრამულ საკითხებზე დიდხანს შეჩერება საჭირო არ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მათ, მიზანშეწონილობისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით, რამდენჯერმე განიცადეს ცვლილება. აღვნიშნავ მხოლოდ იმ მთავარ შეუსაბამო მომენტს, როცა 1925-26 წელს ენისა და ლიტერატურის პროგრამებში რუსეთში და ჩვენშიც უდგებოდენ ლიტერატურას და აფასებდენ მას, როგორც საზოგადოებათ-მეცნიერების დამხმარე საგანს. ამის გამო ლიტერატურაც საზოგადოებათმეცნიერების დამხმარე საგანს. ამის გამო ლიტერატურაც საზოგადოებათმეცნიერების ლერზე იყო აგებული და ისწავლებოდა როგორც

მისი საილუსტრაციო მასალა წმინდა ილუსტრატიული მეთოდით. ამის მიხედვით პროგრამებიც ისეთი მასალით იყო დატვირთული, რომელიც ხშირად მარტო საზ.-მეცნიერების საჭიროებას ემსახურებოდა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე გამოირკვა შედარებით სწორი გზა ლიტერატურისა და შემდეგი წლის ჩვენს პროგრამებშიც სათანადო ცვლილებები იქნა შეტანილი..

დღეს ეს პროგრამები ერთხელ კიდევ გადამუშავდა და მიმდინარე სასწავლო წლისათვის სკოლებს უკვე აქვთ სახელმძღვანელოდ ამ ახალს პრინციპებზე აგებული ენისა და ლიტერატურის ისეთი პროგრამები, რომლებიც, ვფიქრობთ, სრულიად დააკავშირებენ სკოლის პრაქტიკულ-მეთოდურ მოთხოვნილებებს. მართალია, ჩვენს პროგრამებს აქვთ უახლოესი კავშირი საზ.-მეცნიერებასთან. რაც, გარეგნულად, მათ თემატიკურობაში გამოიხატება, ხოლო არსებითად მის შინაარსისა და დამუშავების სოციოლოგიურ-მარქსისტული მეთოდით მუდავნდება.

ლიტერატურული მასალის დასამუშავებლად, თანახმად ლიტერატურის დანიშნულებისა და მისი სასკოლო მნიშვნელობის თანამედროვე გაებისა, გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მეთოდი, რომელიც უაღრესი სისწორით გამოარკვევს მის აზრსა და შინაარსს. მაგრამ, როგორც აღნიშნავს ლუნაჩარსკი თვის სიტყვაში ზემოთ დასახელებულ კონფერენციაზე, „ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული მარქსისტული მეცნიერება ლიტერატურაზე“. არის მხოლოდ პლეხანოვის მიერ მოცემული ლიტერატურისმცოდნეობის ზოგადი პრინციპები. პლეხანოვის მიმღევარმა ლიტერატურის ისტორიისებმა ჯერ მხოლო ცოტა რამ მოგვცეს ლიტერატურის ისტორიისა და მისი მეთოდოლოგიისათვის. მხოლოდ ახლახან გამოჩნდა ზოგიერთი ნაშრომი, რომელიც ცდილობს ააგოს მეთოდური მოსაზრებანი მომავალი მარქსისტული ლიტერატურის ისტორიისთვის“. ამიტომ ლუნაჩარსკი უჩიევს კონფერენციას ლმობიერად მოეკიდოს კერძო მეცნიერებათა იმ ორიგინალურ შეხედულებებს, რომლებიც გამოდეგებიან სამუშაო ჰიპოთეზად და ხელს შეუწყობენ მარქსისტული მეცნიერების განვითარებას ლიტერატურის შესახებ.

ყოველს შემთხვევაში ლიტერატურული ნაწარმოების გარჩევის დროს პირველ აღგილს იჭერს თვით ტექსტის ანალიზი და შესწავლა, მაგრამ ამას წინ უნდა უსწრებდეს სოციალ-ეკონომიკური, ბიოგრაფიული და ლიტერატურული კომენტარიები. ამნაირად, დედუქტიური წესი წაემძღვარება ტექსტის ანალიზს, სადაც მოწაფეებს წინა-სწარ მიეცემათ ცნობები სოციალური გარემოს შესახებ, მწერლის

ბიოგრაფიის ირგვლივ და მისი შემოქმედების საერთო დახასიათება ეპოქის გაცნობასთან ერთად.

ჩვენი პროგრამებიც სწორედ ასეთს პრინციპებზეა აგებული: მასალის თემატიურ-ეპოქალური დალაგება თავისთვად შეიცავს და გულისხმობს ამა თუ იმ გარეშოსა და ეპოქის ზოგად დახასიათებას.

გ. ჭუმბურიძე.

ქართული გრამატიკის სწავლების საკითხი ჩვენს სკოლებში.

ქართული ენის გრამატიკის სწავლება ჩვენს შრომის სკოლებში ჯერაც ვერ არის მოგვარებული. აშიტომაც იყო, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა პირველ ყრილობაზე (ტფილისში, 1928 წლის ივნისში) გრამატიკის სწავლების საკითხი სხვა საკითხთა შორის დიდ ყურადღებას იქცევდა.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ბევრი ჩვენთაგანის ცნობიერება-ში ენისა და ლიტერატურის სწავლება იგივეობას წარმოადგენს, ენა და ლიტერატურა არ არის გამიჯნული ერთმანეთისაგან. რასაკვირველია, ენის შესწავლა ხელს უწყობს ლიტერატურის შეთვისებას და პირაქით, მაგრამ ენის სწავლება არ ნიშნავს ლიტერატურის სწავლებას და ლიტერატურის სწავლება—ენისას. ჩვენ თავს ქართული ენის მასწავლებლად ვთვლით, ნამდვილად კი ლიტერატურის მასწავლებელი ვართ; ენის კი—ნაკლებად; ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო.

ამიერიდან ენისა და ლიტერატურის სწავლება განსხვავებულად უნდა წარმოვიდგინოთ. აქ რამდენიმე სიტყვა ენის კულტურაზე.

უნდა ალინიშნოს ენის კულტურის უაღრესი მნიშვნელობა საერთოდ და განსაკუთრებით დღეს, სოციალისტური აღმშენებლობის ხანაში. ენა საზოგადოებრივი ურთიერთობის უძლიერესი იარაღია.

ენა წარმოშვა აშ ურთიერთობის მწვავე მოთხოვნილებამ. ის იჭედება და ვითარდება ამგვარ ურთიერთობაში და საფუძველია აზროვნების: ენა აზროვნების იარაღია. განვითარებული ენა—განვითარებულ აზროვნებას მოასწავებს.

სკოლის ცხოვრებაში ენა უაღრესი მნიშვნელობის ფაქტორია. ის საფუძველია, „წარმოების იარაღია“, სწავლა-განათლების, ყოველი სასკოლო საგნის შეთვისების და ამავე დროს თავისებური იარაღიც.

ავილოთ რაიმე უბრალო საწარმოო იარალი, ვთქვათ, ხერხი. სანამ ეს ხერხი სრულიად მზად არ არის, მანამ ის არ შეგვიძლია ვიხმაროთ. ამ ხმარებაში ის თანდათან ფუჭდება, ჩლუნგდება და ბოლოს უვარებისი ხდება. ენა, როგორც წარმოების იარალი, სულ სხვა-გვარია: ენია სრულიად განვითარებას, ჩამოყალიბებას ადამიანი არ უცდის: ბავში ერთ სიტყვას შექმნის, დაისწავლის თუ არა, მაშინვე ხმარობს მას „წარმოებაში“—ცხოვრებაში, ის წარმოების საშუალე-ბაც არის და აზროვნების განვითარების აუცილებელი პირობაც: ორპირიანი იარალია, მით „კიდეც ვჭრით და კიდეც ვკერავთ“, რო-გორც იტყვიან,—ორ საქმეს ვაკეთებთ. ის ამგვარ ურთიერთობაში, ხმარებაში ვითარდება, მახვილდება და კი არ ჩლუნგდება, როგორც სხვა „უსულო“ იარალი წარმოებაში.

ენის ამგვარი ბუნება ყოველი საგნის მასწავლებელს ავალებს განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრას მას, რადგანაც ის იარალია ამა თუ იმ საგნის შეთვისებისა და თუ ამ იარალს არ ვანვითარებთ, საგნის შეთვისება, პროდუქციაც ვერ იქნება სასურველი საერ-თოდ, ენის კულტურას რომ თავი დავანებოთ. მაგრამ ენის კულტურის საქმე ჩვენს სკოლებში მარტო ქართული ენის მას-წავლებელთ ევალება თითქოს, მარტო ქართული ენის მასწავლებელი კი საქმეს ვერ გააკეთებს, რადგანაც ეს იარალი—ენა—ხელში აქვთ ყველა საგნის მასწავლებელთ და თუ ყველა სათანაცო ყურადღებას არ მივაჭცევთ მას, შეიძლება ქართული ენის მასწავლებლის მიერ გალესილი ეს იარალი—სხვამ ქვას დაჰკრას, დააჩლუნგოს. უნდა მი-ვაჭციოთ ყურადღება არა მარტო იმას, რას გადმოგვცემს მოწაფე, არამედ იმასაც—როგორ გადმოგვცემს.

ახლა გადავიდეთ თვით ამ ენის სწავლების საკითხზე.

ქველი სკოლის ნგრევას თან გადაყევა ქველი, ლოლიკური გრა-მატიკა. ამ გრამატიკის განყენებულმა, მშრალმა, სქოლასტიკურმა ბუნებამ სამართლიანი პროტესტი გამოიწვია განახლებულ სკოლაში. უამრავი წესის განყენებულად, მშრალად დაზეპირება მოწაფეს სა-შინლად ტვირთავდა. ეს დაზეპირება არ ატარებდა კვლევა-ძიებითი შრომის ნიშანწყალს. მოწაფეს აზეპირებინებდენ „გრამატიკულ“ წე-სებს კატეხიზმოსებურად შედგენილი სახელმძღვანელოების საშუალე-ბით, ცოცხალს, სასაუბრო და გასავლელ მასალას ვერ უკავშირდე-ბოდა ეს წესები და ნორმები და რჩებოდა განყენებულად ბავშის ცნობიერებაში და თუ რამეს მაინც ვითვისებდით ამგვარ სწავლება-ში, ეს ჩვენს, მაშინდელი სკოლის პირობებში წარმოებულ, უმაგალი-თო შრომასა და ენერგიას მიეწერება.

ქველს სკოლაში გრამატიკის ამგვარად დაყენებამ შესაფერი რე-
აქცია გამოიწვია. გრამატიკა ჯერ სულ ამოიშალა ახალი სკოლის
მუშაობაში, შემდეგ კი შემოღებულ იქნა რუსეთში ეგრეთწოდებული
ფორმალი გრამატიკა, გრამატიკა, რომელიც შეასწავლის მოწაფეს
ენის ფორმებს, სიტყვაში და „შესიტყვებაში“, წინადადებაში, ეძიებს
არა იმას, რა შინაარსს გამოხატავს ის, არამედ როგორ გამო-
ხატავს, რა ფორმათა საშუალებით, ნიშნებით.

ჩვენში ამ მიმართულებით ჯერ ცოტაა გაკეთებული, მაგრამ ეს
საქმე უკვე დაწყებულია.

ტფილისის ქალაქის განათლების განყოფილების ქართული ენი-
სა და ლიტერატურის კაბინეტი ორი წელიწადია, რაც აწარმოებს
ფორმალი გრამატიკის დანერგვას ქალაქის სკოლებში და ძნელი,
ლოლიკური გრამატიკის დასამარებას. ამ მიმართულებით ცოტა რამ
მაინც გაკეთდა, რაც არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ქართული ენის
ფორმალი გრამატიკა და მისი სწავლების გზები და ხერხებიც ჯერ
კიდევ საკვლევ-საძიებელია, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში და-
ხმარებას გვიწევენ ჩვენი უნივერსიტეტის წარმეტებული ამას გარ-
და ჩვენში, მასწავლებლებში, ჯერ კიდევ მტკიცედ ჩარჩენილია ძვე-
ლი, ლოლიკური გრამატიკის ტრადიციები, რის ამოფხვრაზედაც აგ-
რეთვე მუშაობს ტფილისის ენისა და ლიტერატურის კაბინეტი. სამ-
წუხაროლ, ამ მუშაობისა პროვინციამ არა იცის რა, მოკლე ანგარი-
შის სახით კაბინეტის მუშაობას ფართო მასწავლებლობა შემოლდ
ქართული ენის პირველ კონფერენციაზე გაეცნო. ამ კონფერენცია-
ზევე გადაჭრით დაისვა საკითხი ძველი, ლოლიკური გრამატიკის გან-
დენისათვის სკოლებიდან და მის ნაცელად ახალი, ფორმალი გრამა-
ტიკის შემოსალებად (იხ. ამ კონფერენციის რეზოლუციები).

ბევრი მასწავლებლისათვის, რომელიც საქმის ვითარებას არ
იცნობდა, გაურკვეველი დარჩა, თუ რას ერჩიან ლოლიკურ გრამატი-
კას და რა უპირატესობას აკუთვნებენ ფორმალს?

ამის საფუძვლიანად გარკვევისათვის კონფერენციას დრო აღარ
აღმოაჩნდა. აუარებელი საკითხი, ლიტერატურასა და ენასთან დაკავ-
შირებით წამოჭრილი, ხუთი დღის განმავლობაში შესაძლებელი შე-
იქნა შემოლდ ზოგადად გადაჭრილიყო.

არც ამ წერილში მიგვაჩნია შესაძლებლად ამ საკითხის სრული
გაშუქება.

აქ გვინდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა საკითხის დაყენება-
ბისათვის.

შეელი სასკოლო გრამატიკა ურევდა ერთმანეთში ენის ლოლი-
კურსა და გრამატიკულ მხარეს. გრამატიკას თავისი მიზნები აქვს,
ის არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის, იკვლევს და იძიებს-
სიტყვათა და შესიტყვებათა ფორმებს და არა შინაარსს, ეს უკანა-
სკნელი მისი საქმე არ არის ისე, როგორც გეომეტრიის საქმე არ-
არის შეისწავლოს გეომეტრიული სხეულების ფიზიკური ბუნება. გეო-
მეტრია, ჩვენ ვიცით, შეგვასწავლის სხეულთა ფორმებს და არა მათ-
შინაარსს. ექვედან ცხადია, რომ გრამატიკის სწავლების დროს უნ-
და ექცევად ყურადღება სიტყვებისა და შესიტყვების დაკვირვების.
დროს მხოლოდ ფორმებს, სიტყვებისა და შესიტყვების შინაარსის.
შესწავლა კი სხვა ხაზით უნდა ხდებოდეს და არა გრამატიკის გაკვე-
თილებზე.

ამით ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, რასაკვირველია, რომ ხელი-
ავილოთ მეტყველების ლოლიკურსა და ფიქოლოგიურ მხარეზე. პი-
რიქით, მეტყველების ამ მხარეს დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს.
სკოლაში, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს გრამატიკის გაკვეთილებზე
და გრამატიკის სწავლებად არ უნდა საღდებოდეს.

ფორმალი გრამატიკა იგივე მეცნიერული გრამატიკაა. მხოლოდ
მეცნიერული გრამატიკა აქამდე უნივერსიტეტს ვერ შორდებოდა, სკო-
ლამდე ვერ ატანდა, სკოლაში კი ე. წ. „ლოლიკური“, არამეცნიერუ-
ლი, გრამატიკა ისწავლებოდა. წარმოებდა გრამატიკის „შინამრე-
წველური“, უალრესად გართულებული და არამეცნიერული გადაცემა
ე. წ. „კითხვების მეთოდით“ (იხ. შემდეგი წერილი).

ამიტომაც იყო, რომ ა. პეშკოვსკიმ დაწერა წიგნი „Научная
и школьная грамматика“, რომელშიაც მშვენივრად დამტკიცა, თუ
რა უფსკრული არსებობს სასკოლო, ლოლიკურ გრამატიკასა და მე-
ცნიერულს შორის.

რა ძირითადი განსხვავებაა ლოლიკურსა და ფორმალ გრამატი-
კაში? ლოლიკური გრამატიკისათვის ენის შესწავლაში მთავარია, თუ
რას გამოხატავს სიტყვა, შესიტყვება; ფორმალი გრამატიკა კი ეძი-
ებს არა იმას, რას გამოხატავს სიტყვა, ან შესიტყვება, არამერ რო-
გორ გამოხატავს, რა ფორმებით. საილუსტრაციოდ ავილოთ შემდე-
გი მაგალითი. ვთქვათ, მოწაფეს სკოლაში გეომეტრიას ვასწავლით,
გვინდა შევათვისებინოთ კუბი; ხელში გვიჭირავს კუბი, ნიგვზის ხი-
საგან გაკეთებული. რას ვასწავლით გეომეტრიის გაკვეთილზე მოწაფე-
ებს, ამ სხეულის ფორმას, თუ შინაარსს? რასაკვირველია, ფორმას, მაპა-
სუხებს ყოველი თქვენთაგანი; აბა, ვის მოუვა აზრად გეომეტრიის
გაკვეთილზე მოწაფეებს ესაუბროს იმის შესახებ, რომ კუბი ჩიგვზის

ბის არის,. ეს ხე მკერივი, მაგარია და სხვა, და ფორმა ამ კუბისა კი არ გააცნოს!...

აი, სწორედ, რაც გეომეტრიისა, ფიზიკისა, ქიმიისა და სხვა მეცნიერებისათვის უდავოა, ის გრამატიკისათვის სადაცოდაა ქცეული. გრამატიკა თუ სიტყვათა და შესიტყვებათა ფორმალ ბუნებას სწავლობს, რა შუაშია აქ ლოლიკა?

ავილოთ, მაგალითად, სიტყვა „ქათამი“. როგორ იხილავს ამას ლოლიკური გრამატიკა?—ქათამი არის „არსებითი სახელი“, რადგანაც ის აღნიშნავს საგანს. ეს საგანი სულიერია, საზოგადო და სხვა.

ასე „ასწავლის“ ყოველ ენას ლოლიკური გრამატიკა: ქართულს, რუსულს, გერმანულს და სხვა. მერე რა არის აქ თავისებური რომელიმე ამ ენისათვის ამგვარ სწავლებაში? განა ქათამი ყოველგან ქათამი არ არის, ყველა ერში ის სულიერი საგანი არ არის? მერე რა შუაშია აქ რუსული, ქართული თუ სხვა ენა? თუ ეს არის ენის სწავლება, გამოდის, რომ არავითარი განსხვავება არ ყოფილა ამ ენათა შორის, მაგრამ ეს ასე არ არის. აი, სწორედ აქ შეველის საჭმეს ფორმალი გრამატიკა. მას აინტერესებს ამ შემთხვევაში არა ის, რა შინაარსს შეიცავს სიტყვა ქათამი, არამედ ის, თუ ამ შინაარსს როგორ გადმოგვცემს ესა თუ ის ენა. და ფორმალი გრამატიკა გვიჩვენებს: რუსი ამ საგანს „კურიცა“-ს უწოდებს, ქართველი—„ქათამს“ და სხვა ერი კიდევ—სხვას. ფორმალი გრამატიკა იხილავს ამ სიტყვებს და აღნიშნავს: კურიცა— სახელია, ბრუნება დი სიტყვაა, დედრობითი სქესის, მისი ფუძე „კურიც“ არის, „ა“—ბოლოსართია, სახელობითი ბრუნვის ფუძე ან ტი. ქართული სახელი „ქათამი“ სქესს არ აღნიშნავს. მას სქესის აღმნიშვნელი ნიშანი არა აქვს, ის თანხმოვან ფუძე დი ან ი სახელია (ქათამ-), ი ბოლოსართია,—სახელობითი ბრუნვის ნიშანი. ეს სახელი ზოგიერთ ბრუნვაში მხოლოდით რიცხვში და მრავლობითში ყველგან ფუძისეულ ხმოვანს ა-ს კარგავს (ქათმის, ქათმები) და სხვა და სხვა.

ფორმალი გრამატიკა ყოველი ენის თავისებურებიდან გამომდინარეობს. ლოლიკური გრამატიკა კი ყოველ ენას ერთი საზომით, ფრთი ტრაფარეტით უდგება. მისი განმარტებით „თვისების გამომხატველი სახელი“ ყოველ ენაში ზედსართავი სახელია, რიცხვის--რიცხვითი და სხვა. მაგრამ ეს ასე როდია: მაგალითად: სიტყვები სიწითლე, გულწრფელობა, სივე—ყველა ეს „თვისების“ გამომხატველი სახელებია, მაგრამ ძველივე გრამატიკის მიხედვით ეს „არსებითი სახელებია“ და არა „ზედსართავი“. ფორმალი გრამატიკა კი სულ

სხვა საზომით უდგება სიტყვების კლასიფიკაციას — სიტყვის ფორმის თვალსაზრისით.

მაგალითად, სიტყვები: კაცი, ერთი, მტკვარი, ჩემი, ყველა, თი-თო და სხვა ფორმალი გრამატიკისათვის მხოლოდ სახელია და მეტი არაფერი, რაღანაც ამ სიტყვებს ბრუნვის კატეგორია გააჩნია, ბრუნებადი სიტყვებია და, რაც თავიზათვია, ერთნაირი რაც იბრუნვის ყველა, ყველას ერთნაირი ბრუნვის ფორმანტები აქვს, სახელდობრ: სახელ. ბრ. კაც-ი, მტკვარ-ი, ჩემ-ი, ერთ-ი მოთხრ.— კაცმა, მტკვარ-მა, ჩემ-მა, ერთ-მა მიც.— კაც-ს, მტკვარ-ს, ჩემ-ს, ერთ-ს, თეთრ-ს, ბევრ-ს.

და ასე შემდეგ.

ამ სახელებში ძველი გრამატიკით — ზოგი არსებითია, ზოგი ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელი, მაგრამ განსხვავება ფორმის. მხრით არაფერია, ყველა ერთნაირათ იბრუნვის. ძველი გრამატიკა ჯერ ლოლიკურად მიუდვებოდა ყოველ სიტყვას, ე. ი. გამოირკვევდა, რომ ეს არსებითი სახელია, საგნის სახელი, ზოგადი, საკუთარი, სულიერი, უსულო, კრებითი, განკუნებული და სხვა და სხვა, რაც არ შეიცავს ფორმის მხრით არაფერს. ამის შემდეგ გადავიდოდა ზედსართავზე, რიცხვითზე, ნაცვალსახელზე, მოყვებოდა შინაარ სის მხრით გარჩევას, რაც ზედმეტიც იყო გრამატიკის მიზნებისათვის, მიუწვდომელიც ბავშის ასაკისთვის.

ამას გარდა, რუსულ და ფრანგულ ენების მიხედვით ქართულადაც ცალ-ცალკე შეისწავლებოდა არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და სხვა სახელების ბრუნება, მაშინ, როცა არავითარი საჭაროება ამას არ მოითხოვს: ქართულად თუ კი არსებითი სახელის ბრუნება ვიცით, რაღა საჭიროა ცალკე ზედსართავის, რიცხვითი, ნაცვალსახელის, მიღების ბრუნების შესწავლა, როცა ყველას იგივე ფორმები აქვს, როგორც არსებითი სახელების ბრუნებას.

სულ სხვა რუსული ენა. იქ ზედსართავს სხვა ბრუნება აქვს, არსებითს სხვა. ამას გარდა, არსებით საგნებში საჭიროა ვიცოდეთ საკუთარი და ზოგადი სახელები, რაღანაც მართლწერისათვის საჭიროა, რომელი დიდი ასოთი და რომელი პატარათი დაიწეროს; რუსულად საკუთარი სახელები დიდი ასოთი იწერება: გეორგი, კურა, თიფლის... ქართულად კი ეს რა საჭიროა: ტფილისი, მტკვარი, გიორგი და სხვა ბრუნვის მხრით ერთგვარი ფორმანტების შემცველი: სახელობით ბრუნვაში ი, მოთხრობითში მა, ან მ, მიცემითში ს და ასე შემდეგ.

რუსულში ზედსართავი სახელი არსებობს, როგორც ცალკე გრამატიკული კატეგორია, რაც განსხვავდება არსებითი სახელისაგან ბრუნვის ფორმანტებით, მას თავისებური სქესიც აქვს, რომელიც უთანხმდება არსებით სახელს და სხვა (старый дом, старая книга, старое дерево და სხვ).

ავილოთ ახლა ზმნის განმარტება. ლოლიკური გრამატიკის მიხედვით: „ზმნა არის სიტყვა, რომელიც გამოხატავს მოქმედებას, ან მდგომარეობას“. მაგრამ ასეთი განმარტების მიხედვით ზმნა გამოდის არა მარტო რჩის, ძინავს, წევს, დგას, არამედ სირბილიც, ძილი, წოლა, დგომა, ვინაიდან ეს სიტყვებიც „მოქმედებას, ან მდგომარეობას“ აღნიშნავს. ფორმალი გრამატიკის გაგებით კი ეს ასე არ არის: პირველი ოთხი სიტყვა ზმნა არის, ე. ი. პირის ფორმების მატარებელი ნაცვლად სიტყვა („ზმნა არის სიტყვა, რომელსაც პირის ფორმები აქვს“), ხოლო მეორე ოთხი კი სახელია: მათ ბრუნვის ფორმები აქვს (სახელის სიტყვა, რომელსაც ბრუნვის ფორმა აქვს, რომელიც იბრუნვის). სირბილი, ძილი, წოლა ისეიივე სახელებია ფორმის მხრით, როგორც კაცი, ჩემი, ერთი, ყველა და სხვა.

ამნაირად, ძველი, ლოლიკური გრამატიკის ცხრა ნაწილის (არსებითი სახელი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნისართი და სხვა) ფორმალი გრამატიკა სიტყვებს ფორმის მიხედვით ორ ნაწილად ჰყოფს: ფორმისანებად და ოფორმოებად. ფორმიანი ეწოდება სიტყვას, რომელიც შეიძლება დავშალოთ ფუძედ, ბოლოსართად, ძირად, თავსართად (მაგალითად, ავილოთ სიტყვა ნასწავლი. ამ სიტყვის ფუძეა ნასწავლა—ბოლოსართი ი (ნასწავლ-ი), თავსართი ნა (ნა-სწავლი), ძირი—სწავლ (ნა-სწავლ-ი); სწავლობს: სწავლ—ძირი, ობ—სუფიქსი, ს--ფლექსია (ლაბოლოება), პირის მაჩვენებელი (სწავლ-ობ-ს).

ფორმიანი სიტყვები ქართულში ორ ნაწილად იყოფა: ბრუნებად: (სახელები) და ულვლილებად (ზმნები) სიტყვებად.

ხოლო ის სიტყვები, რომელნიც არ დაიშლებიან ფუძედ, ძირად, თავსართ-ბოლოსართად, მაგალითად: რომ, თუ, ჯეგ, ხვალ, რატომ და მისთანები უფორმოებად იწოდებიან: ასეთი სიტყვები არც იბრუნვიან, არც იულვლებიან (რუსულ ენაში ფორმიანი სიტყვების კატეგორიაში ზედსართავიც შედის, რომელსაც სქესის ნიშნებიც აქვს და თავისებური ბრუნებაც).

ამნაირად, ფორმალი გრამატიკის თვალსაზრისით, სიტყვების ანალიზი ფორმის მხრით და კატეგორიებად დაყოფა გამარტივებულია:

სიტყვა შეისწავლება მხოლოდ მისი ფორმისა და ფორმანტების მხრით და არა შინაარსის მიხედვით.

არა ნაკლები ცვლილება შეაქვს ფორმალ გრამატიკას სინტაქსის შესწავლაშიც, რასაც აქ მხოლოდ გაკვრით შევეხებით, ვინაიდან ამ წერილის მიზანია ზოგადად მოვხაზოთ ფორმალი გრამატიკის განსხვავება ლოლიკურისაგან.

სინტაქსი ფორმალი გრამატიკის თვალსაზრისით იკვლევს არა იმას, რას გამოხატავს ფრაზა, წინადადება, შესიტყვება, არამედ იმას, თუ რა ურთიერთობაშია ფორმის მხრით შესიტყვებაში შემავალი სიტყვები, როგორ არის შეხამებული, შეფარდებული სიტყვა სიტყვასთან.

მისი საგანია შესიტყვების ბუნების ცხადყოფა, შესიტყვების ფორმალი ანალიზი. გაკვრით აღვნიშნოთ შესიტყვების სახეები.

შესიტყვების სახეებია: 1) შეთანხმება (სახელისა სახელთან ბრუნვაში: თეთრ-ი ცხენ-ი, თეთრმა ცხენ-მა, თეთრ-ს ცხენ-ს..., ზმნისა სახელთან რიცხვში:

მოწაფე წერს, მოწაფები წერენ; 2) მართვა (სახელისა სახელის მიერ ბრუნვაში: კაცის ქუდი, ხის სახლი...).

სახელები: კაცის, ხის მართულია სახელის მიერ ბრუნვაში (ნაოსაობითში); ზმნისა—სახელის მიერ-პირში: მოწაფე წერს, მე ვწერ, შენ სწერ... სახელი: მოწაფე, მე, შენ აჩენს ზმნაში პირის ფორმანტს, ანუ მართავს პირში; სახელისა—ზმნის მიერ ბრუნვაში: მოწაფე წერს, მოწაფემ დაწერა; წერს წერილს, დაწერა წერილი. აქ სახელების (მოწაფე, წერილი) ბრუნვის ცვალებადობა ფრაზაში დამოკიდებულია ზმნისაგან; ზმნის (გარდამავალთა) დროის ცვლა იწვევს სახელების ბრუნვის ცვლას, ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში); 3) მირთვა (გლეხმა ადრე გაიღვიძა, მოწაფე, კარგად წერს. ამ ფრაზებში ადრე, კარგად მირთული სიტყვაა, ისინი (ადრე, კარგად, ლამაზად, ჟე...) არც მართავენ სხვა სიტყვებს ფრაზაში, არც ითანხმებენ, არც თითონ იმართვიან და არც ეთანხმებიან, ისინი მიერთვიან მხოლოდ ზმნას აზრის შესავსებად). აი, სიტყვათა ამგვარ ურთიერთობას განიხილავს ფორმალი სინტაქსი ფრაზაში, გაკვრით, ზოგადად რომ აღვნიშნოთ. საფუძვლიანად ფორმალი სინტაქსის ბუნების გაშლა მოითხოვს კერძო, სპეციალურ წერილებს სპეციალისტთაგან, რასაც, ალბად, ჩვენი უურნალის შემდეგ, მორიგ ნომრებში ვიხილავთ.

მიმღინარე სასწავლო წელში მეორე საუკუნის სკოლებს ფორმალი თვალსაზრისით შედგენილი გრამატიკის პროგრამა უკვე აქვთ; პროგრამა გადამუშავდა და დაიბეჭდა ლიტერატურის პროგრამას—

თან ერთად. ამ პროვინციის მიხედვით, უნდა ვიგულისხმოთ, სახელ-მძღვანელოებიც გაჩნდება, როგორც მასწავლებელთათვის, ისე მო-წაფეთათვის სამუშაო წიგნების სახით, ისე, როგორც რუსეთშია.

ამრიგად გრამატიკის სწავლება ჩვენს შრომის სკოლებში საღნიაღზე დადგება, ის ახალ, ძლიერ ნაკადად შეიჭრება შრომის სკოლის კედლებში თვითმოქმედებისა, ბავშისათვის მისაწვდომ კვლე-ვა-ძიები სა, ღამოუკიდებელი ღაკვირვება-საქმიანობის სახით, რაც ასე ახასიათებს ენის შესწავლას ფორმა თა თვალსაზრი-სით. ამიტომაც ღაერქვა მას ენის ღაკვირვება. ფორმალი გრამატი-კა არის ენის კვლევა-ძიება ისეთ კონკრეტ მასალაზე, როგორიც არის სასაუბრო და ცოცხალი სალიტერატურო ენა. ეს ენის ღაკვირ-ვება ხელს შეუწყობს, ერთის მხრით, ენის კულტურას, მეორის მხრით კი შრომის სკოლის პრინციპის—თვითმოქმედების, კვლევა-ძიების გან-მტკიცებას. ენის ღაკვირვებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სახალისო და საინტერესო სამუშაოს მოწაფეთათვის, მათი გონიერი ენობრივი ცოდნით გამდიდრებისა და ცნობიერების გაწვრთნისათვის. ენაზე მუშაობის ეს გზა უსათუოდ სათანადოდ უნდა იქნეს გამოყე-ნებული მოზარდი თაობისათვის.

ამისათვის კი საჭიროა თვით მასწავლებლობამ გამოვიჩინოთ სათანადო ინტერესი ენის ფორმალი ბუნების შესწავლაში, ფორმალი გრამატიკის სწავლებას არ უნდა შევხედოთ როგორც მხოლოდ ცირ-კულარულად დავალებულ საქმეს, არამედ თვით უნდა დავოწმუნდეთ მის უპირატესობაში. საჭიროა ამ საქმეში გამოვიყენოთ ის ახალი, ქართული ენის შესახები ლიტერატურა, რომელიც მოგვეპოება, უმთავ-რესად ჩვენს ენათმეცნიერთა ნაშრომებში. ამას გარდა, პრინციპული საყითხების გარკვევისათვის დიდ დახმარებას გაგვიწევს მდიდარი რუსული ლიტერატურა ამ დარგში, რომელიც ჩვენშიაც ბლომად მო-იპოვება სახელმძღვანელოებისა თუ მეთოდური ნაშრომის სახით.

ილ. სიხარულიძე.

„კითხვების“ მეთოდით გრამატიკის სწავ-ლებისათვის.

ჩვეულებრივს სახელმძღვანელოებში სიტყვათა გრამატიკული კა-ტეგორიები კითხვებით გამოინახება. კითხვების მეშვეობით გრამატი-კულ ნორმათა ძიება კი, როგორც ეს ქვევით არის ნაჩვენები, მრა-ვალს უხერხულობას ბადებს. რუს ენათმეცნიერთ კარგა ხანია ამის-თვის საგანგებოდ აქვთ ყურადღება მიქცეული და ონუსხული ყვე-

ლი ის ნაკლი, რაც თან ახლავს ამ მეთოდით სწავლებას. ღ. კუ დ-რიავსკი თავის *Введение в языкоznание-ში* (ფურდევე, 1912, გვ. 114) და ა. პეშკოვსკი *Вопрос о „вопросах“ წერილში* (Сборник статей, Ленингр., 1925, გვ. 43-59), განსაკუთრებით უკანასკნელი, ამხედრებულნი არიან კითხვების წინააღმდეგ და უარყოფენ მას, როგორც უვარგის საშუალებას.

ამ წერილს საფუძვლად დაედვა ერთის მხრით ზემოხსენებულ ავტორთაგან საკმაო ღოზით ნასესხები მოსაზრებები და მეორის მხრით კითხვების ის საწინააღმდეგო დაკვირვება, რომელიც ჩვენ მოვახდინეთ ტფილისი ყოფ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, საღაც გრა-მატიკულ კატეგორიათა რკვევა კითხვებით სრულიად უგულებელ-ყოფილი იყო და ადგილი დათმობილი ჰქონდა მხოლოდ ფორმანტების გამოყოფასა და მათ ფუნქციათა აღნიშვნას... აქ წარმოდგენილი როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ხასიათის მსჯელობა შემო-წმებულია და, გვგონია, ამდენად სანდოდ უნდა ჩაითვალოს ყოველი წამოყენებული დებულება. მაგრამ ეს მკითხველს ენდობა... ჩვენ კი ჯერ განვიხილოთ, თუ

როგორ ისწავლება კითხვებით გრამატიკა?

საპასუხოდ ავილოთ განსვენებული სილ. ხუნდაძის ქართული გრამატიკა. ხსენებული სახელმძღვანელო ძალიან გავრცელებული იყო; მას დიდი ამაგი მიუძღვის ქართული ენის წინაშე; მით არა ერთმა და ორმა თაობამ გაიკვლია გრამატიკულ უდაბნოში გზა; მითვე გა-იმსჭვალენ ჩვენი ძველი დამსახურებული პედაგოგები და ახლებმაც საკმაოდ მიიღეს გრამატიკული ცოდნა და ჩვევა. ამიტომ ბუნებრი-ვია მისი განხილვით ჩვენი მუშაობის დაწყება. ვნახოთ, თუ რა ფუნ-ქციით არიან აღჭურვილნი ჩვენი კითხვები¹⁾.

I. „ბრუნვები კითხვებით გამოიცნობა—ვკითხულობთ წიგნში (გვ. 4) — მაგალითათ: ბავშის წივნი მთელია, ბავშს წიგნი უყვარს, ბავშმა წიგნი კარგათ ისწავლა; —

¹⁾ საილუსტრაციოდ განსვენებული სილ. ხუნდაძის ქართული გრამატიკა იმიტომ, კი არ ავიღეთ, რომ მის დამსახურებას არ ვაფასებდეთ ან მას აქ არსე-ბრათად ვაკრიტიკებდეთ, არამედ იმიტომ, რომ ამგვარივე ხასიათის სხვა სახელ-მძღვანელოთა შორის ყველაზე უფრო გაერცელებული ის იყო, რამდენად მით ნა-სწავლთა და აგრეთვე მის მიმდევართა რიცხვი ჩვენში ბლომად მოიპოვება. თვით გრამატიკაში გამონახული არაგრამატიკული კატეგორიები და შეცომანი, რა თქმა უნდა, სილ. ხუნდაძეს კი არ მიეწერება, არამედ საერთოდ გრამატიკის წინანდელ გაეგბას. ამიტომ აქ ჩამოთვლილი „შეცოდებანი“ ყველა ენის გრამა-ტიკისათვის საზიაროა და არა ქართულის კუთვნილება...

ვისი წიგნია მთელი? — ბაგშის;
 ვის უყვარს წიგნი? — ბაგშე;
 ვინ ისწავლა წიგნი კარგათ? — ბაგშმა.

კითხვა ვინ დვთისა და ადამიანის შესახებ იხმარება, დანარჩენი საგნების შესახებ კი იხმარება კითხვა რა? (გვ. 4-5. კურსივი ავტორისა).

ამონაწერით ორი გარკვეული დებულების წამოყენება შეიძლება:

- არსობითი სახელების კითხვებია ვინ და რა, და
- ბრუნვების გამოცნობა კრთხვებით-ლა შეიძლება.

დავაკვირდეთ აღნიშნულ კითხვათა ბრუნვებას:

სახელ.	ვინ	რა
მოთხრ.	ვინ	რამ
მიცემ.	ვის	რას
მიმართულ. (ვნებითი)	რად	რად
ნათესაობითი	ვისი	რის
მოქმედ.	ვისით	რით

(შენიშვნა I: წოდებითი ფორმა ბრუნვად ვერ მიიჩნევა, ამიტომ იგი მოხსნილია;

შენიშვნა II: ბრუნვები აქ ისეა დალაგებული, როგორც ახლად გამოსულს სახელმძღვანელოებშია შეტანილი. განვაგრძოთ ამოწერა.

II. „ზედსართავი სახელების კითხვებია: როგორი? სადაური? როდინდელი?“ (გვ. 12).

III. „...წენარათ, ტკბილათ, ხმაზალლა მოქმედების თვისებას გვიჩვენებს (როგორ ზის? როგორ გალობს? და სხვ.); ამისთანა სიტყვა ყოველთვის ზმნას ახლავს, ზმნას დაერთოს — და ამრტომ ზმნისართი ეწოდება“ (გვ. 14); მაშასადამე, ზმნისართის ერთერთ კითხვად როგორ გვევლინება.

IV. გადავიდეთ დროებზე.

- აწყო დროის კითხვებია: რას ვშვრები? რას უნდა ვშვრებოდე?
- ნამყო დროის „ რას ვშვრებოდი? რა ვქენი?
რა მიქნია? რა უნდა მექნა?
რა უნდა მექნას? რას ვიზამდი? (გვ. 16).

3. „მყოფადი დროის კითხვებია: რას ვიზამ? რას ვიზამდე? რა უნდა ვქნა? (გვ. 18).

V. წინადადების ნაწილებიდან ყურადლებას იქცევს დამატება და განსაზღვრება.

1. „დამატების კითხვებია: რა? რის? რას? რით? რათ? ვინ? ვისი? ვის? ვისით?“ (გვ. 26).

2. „განსაზღვრების კითხვებია: როგორი? რომელი? რამდენი? მერამდენე? სადაური? როდინდელი? ვისი? რის? (გვ. 27)...

და სხვა ასეთები, რომელთაც ყოველი ჩვენგანი კარგად იცნობს. კითხვებით კატეგორიების გარჩევას არც პატივც. ი. ნიკოლაიშვილის „ქართული ენის გრამატიკა“ (ტფილისი, 1927) გაურბის. სამაგიეროდ ი. სიხარულისისა და პ. მეტ რეველის „ძმობა“—ში მათ ვერ იხილავთ, როგორც გრამატიკულ ნორმათა მეძებართ...

ასეთია მდგომარეობა. ჩვენი მიზანია გამოვარებით: მართლა მიუღებული და უარსაყოფია კითხვები თუ არა? და თუ—რატომ?

1. დავიწყოთ მორფოლოგით. A. ზევით ამოვწერეთ: ბრუნვები კითხვებით გამოიცნობათ. დავაკვირდეთ ნათქვამის სისწორეს. დავუშვათ, გვაქვს წინადადებები:

1. a. კაცი დგას, b. კაცმა გააკეთა სახლი. დავუსვათ კითხვები: ვინ დგას? პასუხია: კაცი.—რომელი ბრუნვაა?—სახელობითი. რატომ?—იმიტომ რომ ესმის კითხვა ვინ?

ვინ გააკეთა სახლი?—კაცმა. რომელი ბრუნვაა?—მოთხრობითი. რატომ?—იმიტომ რომ ესმის კითხვა ვინ?

შეპირისპირებით ორკვევა, რომელი კითხვა (ვინ?) ორსავე შემთხვევაში ერთიდაიგივეა და პასუხი კი სხვადასხვაგვარი (სახელობ. და მოთხ.). გვშველის თუ არა აქ კითხვა? რა თქმა უნდა, არა. სხვა ვზას უნდა დავალეთ ამ ორი ბრუნვის გასარჩევად, წინააღმდეგ შემთხვევაში კითხვა უძლურად გამოიმზირება, იგი ვერაფერს გვაძლევს ამ ბრუნვათა გამოსაცნობად.

— ეს ერთი ნაკლი.

2. ვკითხულობთ წინადადებებს: a. ყმაწვილი იქცა კაცად, b. მოზვერი იქცა ხარად. ესმის კითხვები:

რად იქცა ყმაწვილი?—კაცად.
ზ. კლიმიაშვილი „საქართველოს გეოგრაფია“ შ. სიხარულიძე 115

ოციციალური ნაწილი.

ათწლედის 1928/29 წლის სასწავლო გეგმები 119
დაუსწრებელი კურსები პედაგოგიური თვითგანვითარებისთვის
პირველი და მეორე განაკვეთი

პასუხისმგებელი რედაქტორი მარიამ ორახელაშვილი
პასუხისმგებელი მდიგარი რ. ნიკოლაძე.

ხელისმომზღვრთა საყურადღებოდ.

ამ ნომრით იწყება უურნალის ახალი საგამომცემლო წელი, მე-VI, 1928 წლის ოქტომბრიდან 1929 წლის ოქტომბრამდე. წინანდელი 4 ფორმის გარდა (64 გვ.) გამოვა ყოველთვიურად კიდევ 1-2 ფორმა დამატების სახით, ორგორუ „დაუსწრებელი უურსების“ მასალა. ამის გამო უურნალი ამ წლიდან ელირება წელიწადში 5 მანეთი, წინანდელი 4 მან. ნაცვლად. ერთ წელზე ნაკლები ვადით უურნალის გამოწერა არ შეიძლე. არ შეიძლე აგრეთვე „დაუსწრებელი კურსების“ მასალის ცალკე გამოწერა.

- ხელისმოწერის პირობები შემდეგია:
1. გამოწერისას არა ნაკლებ 2 მანეთისა.
 2. შემდეგი გადასახადი (1 მან.) არა უგვიანეს იახვრისა.
 3. შემდეგი (1 მან.) – მარტში.
 4. 1 მან. არა უგვიანეს მაისისა.
- უურნალის წესიერი მიღებისათვის ვთხოვთ ერთიდამავე სკოლის მასწავლებლებს ერთად გამოიწერონ უურნალი.
- წარსული წლების დარჩენილი ვალი უნდა ახალი გამოწერის წინ იყოს განალდებული.

სარედაქციო კოლეგია.

გ ა ნ ვ ხ ა დ ე ბ ა.

გამოვიდა ქართულსა და ოუსულ ენებზე 7 წლიანი შრომის
სკოლის პროგრამები. ფასი 1 მ. 20 კ.

შეძენა შეიძლება განათლების სახალხო კომისარიატში, მეორე
საფეხურის სკოლის ინსპექციაში (ოთახი № 4).

შეიძლება გაწერა ფასდადებითაც.

დაუსწრებელი კურსები

პედაგოგიური თვითგანვითარებისათვის

No 1

1928 წ.

„დაუსწრებელი კურსების“ პირველ გამოშვებაში შედის მასწავლებელთა პედაგოგიური მომზადების პროგრამა-მინიმუმის პირველი და მეორე დავალების გაშლა (პროგრამა-მინიმუმი მოთავსებულია „ახ. სკ.“ 1928 წ. № 7-8, გვ. 20).

1. შესავალი. პროლეტარული რევოლუცია და სახალხო განათლება.

2. სახალხო განათლების საბჭოთა სისტემა და საყოველთაო სწავლების პრობლემა.

3. საბჭოთა შრომის სკოლის მიზნები და ამოცანები.

პროლეტარიატის რევოლუცია და სახალხო განა- თლება.

1. პროლეტარიატის დიქტატურა, დემოკრატია და სახალხო
განათლება.

ვ. ი. ლენინი, როგორც ულრმესი კომუნისტური აზრების გან-
საკუთრებით ბრწყინვალე გამომხატველი, რევოლუციას ყოველთვის
სთვლიდა დამთავრებული და ერთადერთი ნამდვილი დემოკრატიის
შესავალად; ამავე დროს ამ დემოკრატიის დასასრულს და მის შემ-
დეგს განვითარებას, თანახმად მარქსისა და ენგელსის თეორიისა,
იგი ხედავდა სრულ უსახელმწიფოებრივობაში, ე. ი. მთელი იმ მა-
სის დამთავრებულ თვითმართველობაში, რომელიც უკვე აღარ საჭი-
როებს არავითარ მთავრობას და არავითარ ჩინოვნიკურ აპარატს.
ამ უსახელმწიფოებრივო კომუნიზმისაკენ მიმყან გზად ლენინს მია-
ჩნდა დემოკრატია, მაგრამ საბჭოთა დემოკრატია; —არა დასავლეთ
ევროპის ტიპის დემოკრატია, რომელიც არსებითად წარმოადგენს
დახელოვნებულ მოტიუებას, არამედ ისეთი დემოკრატია, რომლის-
თვისაც, თანახმად თვით ამ ბერძნული სიტყვის მნიშვნელობისა, ერ-
თად-ერთი ხელისუფლება არის ხელისუფლება მთელი მოსახლეობისა.
ძალიან ხშირად ისინი, ვინც კომუნიზმის იდეებს ღრმად და ბოლომ-
დე არ ჩატიქრებიან, პროლეტარიატის დიქტატურის და დამთავრე-
ბული დემოკრატიის ცნებათა შორის რაღაც წინააღმდეგობას ხედა-
ვენ და ნამდვილად კი ეს წინააღმდეგობა მოჩვენებითია, იმიტომ
რომ ეს არის მეორე სტადია საზოგადოების განვითარებისა, სტა-
დია, რევოლუციის შემდეგი განვითარებისათვის საჭირო და აუცი-
ლებელი.

დემოკრატიის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს
საკითხთან — სახალხო განათლების საკითხთან.

ვლადიმერ ილიას ძე სთვლიდა, რომ მთელი მშრომელი მასაუნ-
და მართავდეს სახელმწიფოს და ორმ ბოლოს, თავისივე თავის მარ-
თვა-გამგეობის პროცესში, იგი სრულიად უკუაგდებს ყოველივე სა-
ხელმწიფოს, მაგრამ იმავე დროს ლენინი ფიქრობდა, რომ ამას შეს.

ძლებს მხოლოდ კულტურული, მხოლოდ განათლებული მასა. ალბათ, ყველას ახსოვს ამ. ლენინის ცნობილი ფრაზა, რომელშიც მოკლედ იყო გამოთქმული ეს აზრი. ეს ფრაზა მოყვანილი იყო ერთხელ „Правда“-ში, საბჭოების გადარჩევების გამო მოთავსებულ ერთ წერილში და შემდეგ შეიცავდა: „ჩვენ უნდა ჩავითრიოთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მთელი მშრომელი მოსახლეობა. ვერავითარი პოლიტიკური უმცირესობა და ვერავითარი პარტია ვერ განახორციელებს ვერაოდეს კომუნიზმს. კომუნიზმი შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ ათეული მილიონი ხელებით, მხოლოდ მას შეძლევ, როცა ეს მილიონები დაისწავლიან და შესძლებენ თვით გააკეთონ ყველაფერი“. აი ფორმულა, რომელიც მოგვცა ლენინმა. კომუნიზმი შეიძლება განხორციელებულ „ქნეს მხოლოდ მთელი მოსახლეობის მიერ, მისი დიდი უმრავლესობის მიერ მაინც, ათეული მილიონების მიერ. მანამ, სანამ ეს მილიონები არ დაისწავლიან თვით გააკეთონ ყველაფერი, ადგილი ექნება მხოლოდ კომუნიზმისათვის მოსამზადებელ წინასწარ მუშაობას და არა იმ რევოლუციის დამთავრებას, რომელიც ჩვენ დავიწყეთ.

აქედან ცხადია, რომ კომუნიზმის განსახორციელებლად ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი აქტი იქნება ის, რომ ათეულ მილიონ მშრომელთ შეგვასწავლოთ ყველაფერი გააკეთონ თვითონ,—ე. ი. სახალხო განათლების პრობლემა არის კომუნიზმის განხორციელებისათვის წინასწარ სათანადო პირობების შექმნის მთავარი პირობა. თუ ეს ასე არის, სანამ არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც ერთგვარი ფორმა ორგანიზაციული პროლეტარული უმცირესობის პოლიტიკური მეურვეობისა დანარჩენ მოსახლეობაზე, მანამ კომუნიზმი წარმოუდგენელია და პროლეტარიატის დიქტატურის მთავარ ამოცანას შეადგენს მთელი მოსახლეობის მომზადება იმისათვის, რომ მან განახორციელოს კომუნიზმი, ე. ი. ისე მოამზადოს მთელი მოსახლეობა, რომ უკანასკნელმა შესძლოს ყველაფრის კეთება თავისი ხელებით.

ძირითადი, კაპიტალური ამოცანა პროლეტარიატის დიქტატურისა არის—საჭირო განათლების მიცემა მშრომელი მოსახლეობისათვის (გლეხთა მშრომელი ფენების ჩათვლით), როდესაც იგი შესძლებს კომუნიზმის განხორციელებას და შემდეგ სრულ, დამთავრებულ უსახელმწიფოებრივო თვითმართველობას.

მე შემეძლო მომეუვანა ბევრი სხვა ციტატაც, რომელიც ამტკიცებენ ლენინის აზრთა ამგვარ თანამიმდევრობას.

ჩვენ მტკიცედ ვუსგამთ ჩახს პროლეტარიატის დიქტატურას და ვამპობთ: სანამ გლეხობა არ განათლდება, მანამ პროლეტარიატის დიქტატურა არის მშრომელთა მასების ორგანიზაციის ერთადერთი ფორმა. მშრომელთა მასების ორგანიზაცია ორმ სხვანაირი იყოს, იგი რომ მოწყობილი იყოს არა პროლეტარიატის დიქტატურის, არა-მედ ნაადრევი დემოკრატიის—დამფუძნებული კრების ტიპის—ფსევ-დო-დემოკრატიის—საფუძველზე, მაშინ გლეხობის უფიციობის და მოუწყობლობის გამო უფრო შორს ვიქებოდით კომუნისტური მიზნისა-გან, ვიდრე ახლა ვართ. მაგრამ ჩვენ ვებრძით მათ, ვინც პროლეტარიატის დიქტატურას, ე. ი. პოლიტიკურად მოუმწიფებელი გლეხობის მასის პოლიტიკური მეურვეობის ფორმას—ფეტიშად აქცევს.

რა ვნახეთ წინა წლებში და რა არის საჭირო ვიცოდეთ და გვახსოვდეს ახლა? წინად ჩვენი საზოგადოებრივობის ქვედა აპარატს არ ესმოდა, რომ დრო არის ჩავაბათ პროლეტარიატის დიქტატურის აპარატში, ე. ი. საბჭოთა სახელმწიფოებრივ აპარატში, შეძლებისდაგვარად დიდი რიცხვი უპარტიონ გლეხობისა. ხშირად გაიგონებდი, რომ არჩევნების დროს სასოფლო საბჭოებში და სამაზრო აღმასკომებში ძალადობით გაიყვანეს კომუნისტები. ვინც ამას ჩადიოდა, ისინი ასე მსჯელობდენ: აბა სხვანაირად როგორ, თუ ასე არ იქნა, ხომ წავივა ხელიდან დიქტატურაო. მაგრამ როცა გლეხობა პოლიტიკურად მომწიფდება, მოინდომებს იმ გზით სიარულს, რომელიც მას რევოლუციამ გაუხსნა და დაინახავს, რომ ეს გზა დაჭრილია ზევიდან დანიშნული პირებით, იგი დაკარგავს ნდობას და პატივისცემას პროლეტარიატის დიქტატურისადმი; დიქტატურისა იგი ჩათვლის არა გლეხობის ხელმძღვანელად, არამედ ისეთ ძალად, რომელიც გლეხობას არ აძლევს განვითარების საშუალებას. აი რატომ ამბობენ, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი აპარატის დემოკრატიული ბაზის თან-დათანობრივი განვითარება არის პროლეტარიატის დიქტატურის გან-მტკიცების ზომა. პროლეტარიატის დიქტატურა იმდენად უფრო მტკიცე იქნება, რაღენად უპარტიონ მშრომელთა მეტი რიცხვი იქნება ჩაბმული საბჭოთა ქვედა და კენტრალურ აპარატებში; უკანასკნელში უნდა მოექცენ ნიშიერი და მოწინავე პირები.

პროლეტარიატის დიქტატურა გავრძელდება განსაზღვრულ ხა-ნამდე, სანამ იგი საჭირო იქნება. შემდეგ კი უპარტიონ მშრომელთა ბაზის გაფართოების საშუალებით იგი გარდაიქმნება სხვა რამედ—სახელდობრ დამთავრებულ ჰეშმარიტ დემოკრატიად, როცა ლენინის სიტყვით „ყოველი მზარეული ქალი შესძლებს სახელმწიფოს მართვას“,

როცა ყოველი მოქალაქე სხვებთან ერთად მიმართულებას მისცემს თვის სოციალისტურ სამშობლოს.

ტყუილად არ ამბობდა ლენინი, რომ იქ, სადაც არ არის წერა-კითხვის ცოდნა, არ არის პოლიტიკური ცხოვრებაც; წერა-კითხვის უცოდინარი კაცი პოლიტიკის გარეშე დგას. გარემოში გარკვევა შეუძლია ბრძანაც, მაგრამ იგი ცუდათ გაერკვევა; წერა-კითხვის უცოდინარი კაციც შეიიჩება იყოს გვარიანი საბჭოთა მოქალაქე, მაგრამ იგი მაინც დასახიჩრებული იქნება.

ამიტომ ჩვენ აქ გვაქვს ისეთი პრობლემა, რომელსაც აყენებს ერთსადამიავე დროს საბჭოთა ხელისუფლებაც და გლეხობაც. საბჭოთა სახელმწიფოს მომავალი გარდაქმნისათვის ისეთ რამედ, რადაც უნდოდა ენახა იგი ლენინს და რადაც სურს კომუნისტურ პარტიას, ე. ი. ფართო, მსოფლიოში ერთადერთ დემოკრატიად, რომელსაც უშუალოდ სამუშაოში ჩაბმული ჰყავს მთელი მოსახლეობა,—ამ ვარდაქმნისათვის აუცილებელი პირობა და საფუძველი არის სოფლის განათლება და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ოქტომბრის რევოლუციამდე რუსულ საზოგადოებაში ასეთი პრობლემები ისმებოდა: ერთნი ამბობდენ, რომ გაბედულ მხნე უმცირესობას შეუძლია იმუშაოს ხალხისათვის, მოახდინოს რევოლუცია რაიმე ძალატანებითი გზით და შემდეგ მოუწოდოს ხალხს თვისუფალი შემოქმედებისათვის; სხვები კი ფიქრობდენ; რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წინ წაწევა, სანამ ხალხი არ მომწიფდება, მომწიფებაში გულისხმობენ საერთო კულტურულ დონეს, მასების საერთო განათლებას და ამტკიცებდენ, რომ რუსეთს არ შეუძლია გადაახტეს დასავლეთ ევროპას, რაკი განათლებით მასზე ბევრად დაბლა დგას.

რა თქმა უნდა, ჩვენ უარყყავით როგორც პირველი, აგრეთვე მეორე თეორიაც. ამის თქმა—ჯერ სახალხო განათლება და შემდეგ რევოლუციაო—ნიშნავს ნამდვილ ოპორტუნისტულ მსჯელობას. ჩვენ უარყყავით მეორე გზაც, იაკობინური, და ვთქვით, რომ ხალხს გარეშე შეუძლებელია ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ჩვენ სხვაგვარად დავსვით კითხვა. იმ ქვეყანაში, რომელსაც შეეხო კაპიტალიზმი, არსებობს პოლიტიკური ღონის ბუნებრივი გრადაცია. არსებობს გლეხობის მასა, რომლისგანაც კაპიტალიზმის განვითარება გამოყოფს პროლეტარიატს, უკანასკნელი პოლიტიკურად უფრო განვითარებულია. პროლეტრიატი გამოეყოფა ავანგარდი - მუშათა კომუნისტური პარტიის სახით. იგი შეიძლება საესებით იქნეს შეიარაღებული ევროპის კულტურით, რევოლუციონური ბრძოლისა და მშე-

ნებლობის მეთოდებით, ე. ი. მარქსიზმით. პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე მუშათა კლასი ვერ დაამთავრებს რევოლუციას, და მუშათა კლასის დაუხმარებლად გლეხობას არ შეუძლია რევოლუციის დამთავრება. კომუნისტური პარტია ორმ მუშათა კლასს მოსწყდეს, იგი დაემსგავსება სხეულისაგან მოკვეთილ თავს; გლეხობისაგან მოწყვეტილი მუშათა კლასი ვერ შეასრულებს თავის მისიას. რევოლუცია ხდება ავანგარდის მიერ, რომელსაც ეხმარებიან და მხარს უჭერენ მასები, ორმელნიც ხელმძღვანელობას ანდობენ და ავალებენ კომუნისტურ პარტიას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი მდგომარეობა ნორმალურად უნდა იქნეს ცნობილი. პირიქით, ასეთი მდგომარეობა ძალიან სუსტია, რადგან არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ პარტია ან მუშათა კლასი არ მოსწყდება მთავარ სხეულს, ორმელზედაც დაყრდნობილია.

ამიტომ ჩემს პირველ დებულებაში ნათქვამიდან ასეთი დასკვნა უნდა გამოვიყენოთ: ჩვენ დაინტერესებული ვართ მასში, რომ მოკლე ხანში მოვფინოთ ხალხში განათლება, რადგან რევოლუცია ნორმალურად მიმდინარეობს იქ, საჭაც მთელი ხალხის მასამ ერთად და ცალკე ყოველმა მოქალაქემ იცის, თუ რა უნდა გააკეთონ. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში გაბატონებული კლასები, არ აძლევენ მშრომელთ საშუალებას მიიღონ ეს ცოდნა, ამიტომ უკანასკნელნი, ე. ი. მშრომელები ამ ცოდნის მიღებას სხვა გზით აღწევენ — ავანგარდის გამოყოფის საშუალებით. ორცა რევოლუცია ხდება, საჭიროა. ავანგარდს მივუახლოვოთ უკან ჩამორჩენილი მასები. ამას კი მიყყავართ იმ დასკვნამდე, რომ სახალხო განათლება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რევოლუციის მტკიცე საძირკველზე დასაყენებლად.

2. სახალხო განათლება და ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

ჩვენ ამხანად ისეთ პერიოდში ვართ, როცა ყველაზე მწვავე პოლიტიკური ამოცანები — ამოკანები — საბჭოთა წყობილების ორგანიზაციისა — საერთოდ უკვე გადაჭრილი და გადაწყვეტილია. პოლიტიკური რევოლუცია ჩვენს ქვეყანაში დასრულდა. ძალა-უფლება უდავოდ ეკუთხის მუშას, რომელიც გლეხობას ეყრდნობა. ლენინი თავის უკანასკნელ წერილში კომპერაციის შესახებ ამბობს, რომ ასეთ პერიოდში ძალა-უფლებისათვის ბრძოლის საკითხები განზეა გადადებული და პირველ რიგში წამოყენებულია კულტურის საკითხები. ამ ცნობილ წერილში ლენინი ამბობს, რომ ჩვენი ხალხი (რომელმაც მოახდინა ასეთი გასაოცარი რევოლუცია და ჩაიგდო ძალა-უფლება

მსოფლიოს მექუსედ ნაწილზე, მთელი მისი უსაზღვრო სიმდიდრით) შესძლებდეს ჩარა და საკებით კულტურის შეთვისებას — მაშინ ჩვენ- თვის არ იქნებოდა ძნელი კომუნიზმის აშენება.

კომუნიზმის დამყარების მთავარ სიძნელეს ლენინი ხელავდა მთელი ჩვენი მოსახლეობის არასაკმაო კვალიფიკაციაში, განსაკუთრებით კი იმ მშრომელი მასების მოუწადებლობაში, რომელიც ძველი რეჟიმის უკიკობას თავს ვერ აღწევდა.

ბრძოლა კულტურისათვის — აი ამჟამად ჩვენს წინაშე წამოყენებული ლოზუნგი. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ არის კიდევ ლოზუნგი, თითქოს უფრო მნიშვნელოვანიც — მეურნეობის აუკავების ლოზუნგი. სოციალისტური რევოლუცია — ეს არ არის უბრალო ბრძოლა ძალა-უფლებისათვის. ძალა-უფლებას იღებს პროლეტარიატი იმისათვის, რომ მოახდინოს მეურნეობის რეორგანიზაცია, შექმნას ქაოტიური მეურნეობის მაგიერ გეგმიანი — სოციალისტური მეურნეობა.

ამიტომაც სრულიად არ იქნებოდა მართალი ის, ვინც იტყოდა, რომ სამეურნეო საკითხებს არ უნდა ეჭიროს ის ადგილი, რომელზედაც აყენებს მას ამჟამად საბჭოთა ხელისუფლება და რომ ამის მაგიერ საჭიროა ზრუნვა ისეთ მნიშვნელოვან რამეზე, როგორიც არის სახალხო განათლება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ბაზა (საფუძველი), რომელიც ჩვენ მივიღეთ მეტის მთავრობისაგან და აღვადგინეთ, უნდა გაფართოვდეს. გაფართოება კი მოითხოვს ძირითადი კაპიტალის დახარჯვას. ჩვენ რომ პირველშივე ვერ შეგვძლებოდა დიდი თანხების გაღება კაპიტალური მშენებლობისათვის—მაშინ ყველა ჩვენი დასაწყისი დაიღუპებოდა. თვით სახალხო განათლებაც, კიდევ რომ ხელოვნურად გადაგვედო მისთვის დიდი თანხები, მალე დარჩებოდა სრულიად უსაბროო; რესურსებს ზრდის მხოლოდ მეურნეობა.

ასევე არ იქნებოდა მართალი ისიც, ვინც იტყოდა: სახალხო განათლება მოიცდის, მოღი ახლავე გავალვივოთ ჩვენი კაპიტალური მშენებლობა.

ყველასათვის ცხადია, რომ ეს სწორი რა არის. ინდუსტრიალიზაცია გულისხმობს რაც შეიძლება მეტი ხალხის ჩაბმას მეურნეობის უმაღლეს ფორმაში, სამანქანო ტექნიკაში—უბრალო კვალიფიციური მუშიდან დაწყებული ინჟინერამდე, ეკონომისტამდე და სხვ.

ინტელიგენცია, რომელიც ჩვენა გვყავს, და კვალიფიციური-ოსტატები, მაღალი კვალიფიკაციის მუშები—იხოცებიან, გადიან ტირაჟიდინ. ინდუსტრია გაიზრდება—საჭირო გახდება შეცვლაც. ერთის მაგიერ საჭირო გახდება ორის, სამის დაყენება, მათ მოუხდებათ მუშაობა არა ისე, როგორც ძველად, არამედ უფრო გაუმჯობე-

სებულ მანქანებზე. გარდა ამისა, ჩვენ გვინდა მანქანებიც ჩვენვე გავაკეთოთ. არა მარტო ისეთი მანქანები, რომლებიც ამზადებენ ქსოვილებს, არამედ ისეთებიც, რომლებიც ააგებენ თვით მანქანებს.

ჩვენ უნდა ვებრძოლოთ „მშვიდობიანი“ გზით დასავლეთ ევროპის ინდუსტრიას, რომელიც შეეცდება ჩვენს წინ წასწრებას. ვინ ვის გაასწრებს? თუ ის უავისწრებს წინ და ჩვენ უკან ჩამოვრჩით, ძნელი სათქმელია, რომ ჩვენი აღმშენებლობის საჭმე და დასავლეთში რევოლუციის განვითარება წარმატებით წავა. ჩვენ უნდა წავუსწროთ მას წინ. ამისათვის კი განათლებაა საჭირო.

თუ ინდუსტრიის, ვაჭრობის და სხვ. წითელი მეთაურები ნაკლებად იქნებიან მომზადებული, ვიდრე ისინი, რომელთაც უშვებენ გერმანიის და ინგლისის უნივერსიტეტები, ჩვენ დავმარცხდებით.

ამავე დროს როგორ შეიძლება უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობის სწორად დაყენებაზე ლაპარაკი, თუ წინასწარ არ ვილაპარაკეთ ამ სასწავლებლების. კანდიდატებზე, რომელთაც უშვებენ მუშფაკება და მე-II საფეხურის სკოლები. დაბოლოს, როგორ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამაზე და არათერი ვთქვათ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე და I საფეხურის სკოლებზე. ყველაფერი ერთომეორებზეა გადაბმული. ჩვენი კომისარიატი ამზადებს თვით შრომას—კვალიფიციურ შრომას—ყოველგვარი ღირებულების მწარმოებელს. ჩვენი კომისარიატი ყველაზე მეტად საწარმოო, ყველაზე მეტად სამეურნეო და ეკონომიკური სახეობაზთაგანია და ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ეს გარემოება დავიწყებულ იქნეს თუნდაც ერთი წუთით. ამას ჩვენ იმიტომ არ ვამზობთ, რომ მშიერი ვართ და გვინდა წინ წავწიოთ ჩვენი უწყება. ამას ვამპობთ მხოლოდ ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობის სასარგებლოდ.

ხანდახან გხვდებით საკითხის ამგვარად დასმას: არის სახ. კომისარიატი სამეურნეო და არის კულტურული; არის ისეთი, რომელიც გვაწვდის ლუქმაპურს, ფეხსაცმელს, სახლის სახურავს,—არის ისეთებიც, რომლებიც გვაძლივენ კულტურას. მაგრამ ჩვენ არ ვლაპარაკობთ კულტურაზე უილოსოფიური აზრით; მართლაც და ასეთ კულტურაზე ზრუნვა შეგვიძლია შემდეგისათვის გადავდოთ. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ კულტურაზე, რომელიც შედის თვითი ინდუსტრიალიზაციის მოწყობაში. ახლანდელი ინდუსტრია მეცნიერულია, იგი წარმოუდგენელია მეცნიერების გარეშე. და რამდენი მანქანაც გინდა ჩამოვარანონ, თუ ჩვენ კვალიფიციური მემანქანე არ გვეყოლა, მანქანები უქმად იქნებიან გაჩერებული და ჩვენ ბრიყვებივით უნდა ვუაროთ მათ გარშემო.

უკვე არის შემთხვევები, როცა მიღებულია გამოწერილი რთული საბეჭდავი მანქანა, მაგრამ უქმად არის გაჩერებული, იმის გამო, რომ ჩვენ არა გვყავს შესაფერი მუშა და საჭიროა მისი გამოწერა გერმანიდან. ეს ბევრჯერ გამორდება, თუ ჩვენ სერიოზული ყურადღება არ მივაქციეთ ინდუსტრიისათვის საჭირო პირების მომზადებას.

3. ბურჟუაზიული, პროლეტარული და საკაცობრიო კულტურა.

ვლადიმერ ილიას ძემ ასეთი აზრი გამოსთქვა: კულტურა, პლიუს საბჭოთა ხელისუფლება და პლიუს ელექტროფიკაცია—ეს არის საკმაო ბაზა კომუნიზმის შესაქმნელადო. ლენინმა ისიც სთქვა, რომ კომუნიზმი უფრო ადვილი განსახორციელებელია დასაცლეთ ეფრობაში; იქ ძნელი ასამოძრავებელია პროლეტარიატი, იმიტომ რომ ბურჟუაზიული ხელისუფლება უფრო ძლიერი და უფრო მოქნილია, ვიდრე ჩვენი თვითმპყრობელობა, მაგრამ როცა დასაცლეთის პროლეტარიატი პოლიტიკურ რევოლუციას დაიწყებს, იგი უფრო ადვილად გადავა კომუნიზმზე, იმიტომ რომ კაპიტალიზმა უკვე მოამზადა იგი ჩმისთვის და, გარდა ამისა, იგი ჩვენზე უფრო კულტურულიაო.

რით არის დასაცლეთი უფრო კულტურული? კომუნისტური კულტურით? არა. ამ მხრივ, პირიქით, ჩვენ მივითხოვთ ეფრობის მოწინავე პარტიებისაგან, რომ ისინი გაბოლშევიკურდენ. ბურჟუაზიული კულტურით — ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით? მე პირადად ვფიქრობ, რომ დიდი და დაუმსახურებელი პატივისცემაა ბურჟუაზიზისათვის, როცა თანამედროვე კულტურას ვუწოდებთ ბურჟუაზიულს. ნამდვილად კი თანამედროვე კულტურა არის ის კულტურა, რომელიც იზრდებოდა საუკუნეებით და ათეული საუკუნეებით და იქ, სადაც მას წმინდა ბურჟუაზიული ბეჭედი აზის — იგი დამპალია და უსარგებლო. არ შეიძლება ვუწოდოთ ქიმიას, ბიოლოგიას, მათემატიკას ბურჟუაზიული ჭეცნიერება. ჩვენ გვინდა ობიექტური ცოდნა, რომლის მეოხებით ადამიანი ერკვევა გარემოში და იმორჩილებს ბუნებას. ამ კულტურას კი არ უნდა ვუწოდებდეთ ბურჟუაზიულს, თუმცა იგი არ არის არც პროლეტარული, იმიტომ რომ მის შექმნა არ არის შექმნილი.

ვლადიმერ ილიას ძე ენერგიულად მოითხოვდა, რომ ჩვენ მთლიანად შეგვეთვისებინა ეს კულტურა და ძალიან სწყინდა, როცა ლაპარაკეს დაიწყებდენ პროლეტარულ კულტურაზე. ეს არა იმიტომ, რომ არა სწამდა პროლეტარული კულტურა; იგი შიშობდა, რომ ასეთი

მსჯელობა არ დაგვეწყო: ბურუუაზია ორთქლმავალით მოგზაურობს, ჩვენთვის შეუფერებელია, ჩვენ უნდა გამოვიგონოთ ჩვენი—პროლეტარული—მანქანა და სანაშ მას გამოვიგონებდეთ, უარი უნდა ვთქვათ ორთქლზე. მართალია, ორთქლის შესახებ ასე არ უთქვამთ, მაგრამ წითელი არმიის შესახებ კი სთქვეს: ჩვენ არ გვინდა ბურუუაზიული ღისციალინა, ბურუუაზიული ორგანიზაციის ფორმა, ჩვენ გვეურს შევქმნათ შესანიშნავი პროლეტარული პარტიზანშინა, ე. ი. ბურუუაზიული ჯარის ფორმის მაგიერ ლაპარაკობდენ ჯარის მეტად დაბალ ფორმაზე. ვლადიმერ ილიას ძეს სწორედ ამის ეშინოდა. ეშინოდა იმდენად, რომ ვაშმაგებული შეგებრძოლებოდა ყველას, ვინც ასეთ აზრს გაცისთქვამდა. ძალიან საყურადღებო ამ მხრივ მისი სიტყუა კომუნისტიკულების შეორე ყრილობაზე, სიტყვა, რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს ყოველზა განათლების მუშაკმა.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვფიქრობდეთ, თითქოს კომუნიზმისათვის საკმარის იყოს თანამედროვე კულტურა, პლიუს საბჭოთა ხელისუფლება. არა, თანამედროვე კულტურა საბჭოთა ხელისუფლებასთან კონტაქტის დაჭრის შემდეგ ვერ დარჩება ძველებური. ის ობიექტური ელემენტები, რომელიც მასში არის, გაიზრდებიან, ხოლო ის თვისებები, რომლებიც წარმოადგენენ ბურუუაზიულ კულტურას და ბურუუაზიას შეტანილი აქვს კულტურაში სპეციალურად თავისი კლასობრივი მიზნებისათვის,—მას ჩიმოეცლება და დაეკარგება. ეს კიდევ ცოტაა. ჩვენ უნდა გავაკეთოთ მეცნიერების ის დასკვნები, რომელიც უნდა იქნეს გაკეთებული საზოგადოების ბუნებრივი განვითარების წესით და რომლებითაც ტაინტერესებულია პროლეტარიატიც. ლენინი ამბობდა: „ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ მარქსი დასწერდა თავის „კაპიტალს“, რომ მას შესწავლილი არა. პქონოდა მთელი ბურუუაზიული კულტურა, რომ იგი არ დაყრდნობოდა დარვინიზმს, ფიზიოლოგიას, არქეოლოგიას, ეტნოგრაფიას, ენათმეცნიერებას და სხვა ათას ღისციალინას, რომელიც მან შეისწავლა იმისათვის, რომ დაწერა თავისი უდიდესი შრომა? არა, ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. უვიცი ადამიანისათვის შეუძლებელი იყო „კაპიტალის“ დაწერა, მისი დაწერი უნდა ყოფილიყო მეცნიერი, მას უნდა სცოდნოდა, რაც მანამდე იყო გაკეთებული. წინათ კი ბევრი არის გაკეთებული, კულტურა მეტად ფართო და მდიდარია, მაგრამ მარქსი ამაზე არ შეჩერებულა: იმისაგან, რაც გაკეთებული იყო და რაც მან შეისწავლა, მარქსმა გააკეთა უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნები, რის გაკეთებაც ვერ შესძლეს ბურუუაზიულმა მეცნიერებმა: ნაწილმა ვერ შესძლო სიბერის გამო, იმიტომ, რომ მისი ტვინი

დასახიჩრებული იყო და ჭრიშარიტებას ვერა ხედავდა, ნაწილმა კი შეგნებულად არ გააკეთა. ბურუუაზიულმა მეცნიერებამ უარყო მარქ-სიზმი, თუმცა იგი პირდაპირი დასკვნაა არსებული მეცნიერებისა. პროლეტარიატმა, რომლისთვისაც საჭიროა ეს დასკვნები, მიიღო ისინი როგორც ფორმა მარქსისტული მსოფლმხედველობისა. ამას კი ჩვენთვის, პედაგოგებისათვის, უღილესი მნიშვნელობა აქვს.

რას წარმოადგენს სკოლა ყველა თავის საფეხურზე, დაწყებუ-ლი ლიკპუნქტიდან და საბავშო ბალებიდან? ბურუუაზიული კულ-ტურის თუ საქაცობრიო კულტურის ფორმას, წარმოადგენს თუ არა იგი პროლეტი. კულტურის ძირითადი დასაწყისის მსგავსს რაიმეს? ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ რევოლუციამდე რუსეთში არსებუ-ლი სკოლები და ევროპის ახლანდელი სკოლა — ბურუუაზიული სკო-ლაა, ზოგან კი უარესიც — ფეოდალურ-ბურუუაზიული, ფეოდალურ-საეკლესიო სკოლა (რადგან ვიცით, რომ სკოლა ეწყობა ისე, რომ მან აღზარდოს გაბატონებული კლასისათვის გამოსაღები თაობა). მაგრამ გაბატონებული კლასისათვის ხელსაყრელია, რომ მოსახლეო-ბამ იცოდეს ელემენტარული მათემატიკა, წერა-კითხვა და ანგარიში. მხოლოდ მეტად ჩამორჩენილ და ველურ ქვეყანას, როგორიც იყო რუსეთი, ეშინოდა უბრალო წერა-კითხვისაც, რადგან ფიქრობდა, რომ მუშა და გლეხი, შეიძენდენ თუ არა რაიმე ცოდნას, უთუოდ რევოლუციას მოახდენდენ. ამ თვალსაზრისის არა დგანან უფრო გაბედული ბურუუაზიული სახელმწიფოები, რომელთაც უფრო ესაჭი-როებათ განათლებული მოსახლეობა. ამ სახელმწიფოებში სკოლები იძლევა ობიექტურ ცოდნათა განსაზღვრულ რაოდენობას, მაგრამ თან უმატებს განსაზღვრული რაოდენობის ზხამსაც — სამღვთო სჯულის სა-ხით, ისტორიის თავისებურად სწავლებით და აღზრდის საერთო ხსიათით; მთელი სკოლის ცხოვრება ამ შხამით არის გაულენთილი. ერთი სიტყვით, როცა ბურუუაზია იძლევა რამდენიმე ცოდნას, ყო-ველთვის უმატებს მას საბრუნებელის დიდ რაოდენობას იმ მიზნით, რომ საერთო აღზრდა მისთვის სასურველი გამოვიდეს. რამდენადაც ქვეყანა უფრო განვითარებულია, როგორც, მაგ., ამერიკა, იმდენად ამას ნაკლებად აქვს ადგილი. იქ სიმძიმის ცენტრი გადატანილია პრაე-ტიკულ რეალისტურ ცოდნაზე, მაგრამ არც იქ ივიწყებენ, რომ მოს-წავლეს უნდა მიეცეს საბრუნებელის განსაზღვრული რაოდენობაც. ეს საბრუნებელი რომ არ მიუმატონ, მაშინ მუშა, რომელიც მიიღებს საერთო ტექნიკურ განათლებას, შეავსებს ამ ცოდნას ცხოვრებისა-გან შილებულ სოციალურ-პოლიტიკური განათლებით.

ჩვენ უგნურები ვიქწებოდით, რომ იმის გამო, რაკი სკოლას პროლეტარული თვალსაზრისით უუდგებით, ვადაგვეთვალიერებინა ელემენტარული მათემატიკა ან ელემენტარული ფიზიკა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ბურუუაზიულია. ეს ობიექტური ნაწილი ჩვენ პირდაპირ უნდა გადავიღოთ ძევლი სკოლისაგან და საკითხს მივუდგეთ მხოლოდ იმ მხრით, თუ რა მეთოდებით სჯობია მისი სწავლება. ჩვენ მაშინაც უგნურები ვიქწებოდით, რომ გვეთქვა: სკოლა წინათ იყო კლასობრივი, ახლა უნდა იყოს არაკლასობრივი, წინად ცოდნას ეძლეოდა ერთგვარი პოლიტიკურ-ფილოსოფიური ტენდენცია, ახლა არავითარი ტენდენცია არ უნდა გავატაროთ და მასწავლებელს ვათქმევინოთ აბსოლუტურად ობიექტური კეშმარიტება, რომელშიც ეჭვი არავის შეუვა. ჩვენი წვრილ-ბურუუაზიული პედაგოგები ხშირად ამას მოითხოვენ. ხანდახან გასაორგარი უვიცობით ამტკიცებენ, რომ სკოლა აპოლიტიკური უნდა იყოს, რომ ასეთი აპოლიტიკური იყო წინათ, ჩვენამდე.

ეს მტკინარი სისულეელეა. ყველამ, ვინც ფხიზლად და მიუდგომლად ფუურებს საზღვარ გარეთელ სკოლებს, იცის, რომ ეს სკოლები წმინდა კლასობრივი პოლიტიკური სკოლებია, რომ ისინი მოზარდითაობის გონების გაბატონებული კლასისათვის სასურველი მიმართულებით გასაწვრითნელი იარაღია.

4. კომუნისტურ აღზრდაზე.

რა არის მარქსისტული აღზრდა? ძეველ საზოგადოებაში იყო აღზრდის ორი ხერხი: ერთი — ავტორიტარულ-დისციპლინარული და მეორე — როცა ზოგიერთ ბურუუაზიულ სახელმწიფოებში ბურუუაზის ბავშებისათვის მცირდება დისციპლინა და ტარდება საკუთარი ბრჭყალებით თავდაცვის საჭიროების პრინციპი. კარიერიზმის პრინციპი ძეველ სკოლაში საკმაო აშკარად ტარდებოდა.

ჩვენ აქეთ არ მივისწრავით; ჩვენთვის ორივე პრინციპი მიუღებელია. ჩვენ არ გვინდა აღვზარდოთ ხალხი დისციპლინის ბორჯილებში, მაგრამ არც ისეთი „თავისუფალი“ ხალხის აღზრდა გვინდა, რომლებზედაც დოსტოევსკი ამბობდა: „დაიღუპოს მთელი ქვეყანა, მე კი ჩაის დავლევო“. ამ კატეგორიის თავისუფალ აღზრდაში ჩვენ ვხედავთ ბურუუაზიულ-ფეოდალური სკოლის პრინციპს, რამდენადაც მას სურს თავის ქვეშევრდომების ხელებზე დასტოვოს ფეოდალური აბედები. ადამიანი თუ დისციპლინაში ჰყავთ — იგი მონად იქცევა; ეს იმიტომ, რომ ბურუუაზიული საზოგადოება შიგნით ყალბია. ნამ-

დვილი, საზოგადოებრივ ინტერესებთან შეთანხმებული თვითდისცი-პლინა შესაძლებელია ნორმალურ საზოგადოებაში, ისეთ საზოგადოე-ბაში, სადაც არ არის ინტერესეთა წინააღმდეგობა საზოგადოებასა და ინდივიდუალობას შორის. ასეთი საზოგადოება არის კომუნის-ტური წყობილება, სადაც საზოგადოებასა და ინდივიდუალობას შო-რის არ არის წინააღმდეგობა, ასე რომ, როცა ასეთ საზოგადოებაში ხსნით დისციპლინის ბორკილებს—სულ ერთია, აღამიანი მაინც იმას აკეთებს, რასაც მისგან საზოგადოება მოითხოვს, რადგან სხვანაირი მისი ქცევა უაზრობა იქნებოდა.

მაგრამ ჩვენს პერიოდს, ე. ი. კომუნიზმისაკენ გარდამავალ პერიოდს, ეს თვისებები აქვს. ჩვენ ვერ უარვყოფთ, რომ ჩვენში არ-სებობს ექსპლოატაცია, არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს ახალი ეკონ. პოლიტიკა და დიდი უთანასწორობა, რომელსაც არ შეიძლება არ ექნეს ადგილი გარდამავალ ხანაში. არის დაჩაგრული და შეურაცხყოფვილი ხალხი, არიან ისეთებიც, რომლებიც ხალხის ზურგზე სხედან. მაგრამ ჩვენ ამას ყველაფერს ვვრძნობთ და ვცდი-ლობთ აღვზარდოთ ბავშები სოციალური თავისუფლების მიმართულე-ბით. არა ისეთ თავისუფლებაში, როცა აღამიანს ჩაგონებდენ ხოლ-მე: „მთელი ძალლონე დასჭიმე და თვითონ დაიცავი თავისი თავი— ასეთია ცხოვრებაო“, არამედ ისეთ თავისუფლებაში, როცა აღამიანს ეუბნებიან: „საზოგადოების ინტერესები აბსოლუტურად ეთანხმება შენს პირად ინტერესებს; შეიძლება შენ ისეთ დროს მოგიხდეს ცხოვ-რება, რომ საჭირო შეიქნეს საზოგადოებისათვის თავის შეწირვა, იმიტომ რომ არჩევანი იქნება მხოლოდ ბრძოლასა და სიბნელეს შო-რის, სხვა გამოსავალი კი არ არის“. მაგრამ როცა ჩვენ ამ გამოსა-ვალს ენახავთ, მაშინ წინააღმდეგობა საზოგადოების და პიროვნების ინტერესთა შორის აღარ იქნება. კონიერად უნდა იცხოვრო; ამით მოგებული იქნება საზოგადოებაც და კერძო პიროვნებაც. ამას ეყრ-დნობა კომუნიზმი და ეს არის მისი არსი.

აი რატომ შევძელით ჩვენ გაგვეტარებიან მაქსიმალური საზო-გადოებრიობის და მაქსიმალური თავისუფლების ატმოსფერაში—თა-ვისუფალი დისციპლინის და თვითორგანიზაციის პრინციპები.

ჩვენ გვეითხავთ: კი, მაგრამ, სად არის აღმზრდელიო? ჩვენ ვახდენთ მის გადამზადებას და მისი მთავარი თანამშრომელი ამ შემ-თხვევაში იქნება მოწაფე, ის ახალი მოწაფე, რომელიც ისწავლის მასწავლებლისაგან სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პროგრამის გა-ტარებას. უმთავრესია—თვით მასწავლებლის აღზრდა, პიონერის იდეალისადმი ნდობის ჩავონება. პიონერული მოძრაობა, რომელიც

იჭრება სკოლის ცხოვრებაში, დახმარებას გაუწევს ამ მიმართულებით და გამოდგება დასაყრდნობად იმისათვის, ვინც უნდა ავიდეს ჰარმონიული აღზრდის სიმაღლეზე.

ჩვენში ძალიან მოიკოჭლებს სკოლის ასაკამდე აღზრდა და არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ კომუნისტური აღზრდა სწორედ ამ ასაკიდან უნდა იწყებოდეს. სახალხო განათლების კომისარიატი დაუღალავად იმეორებს, რომ ჯერ-ჯერობით მივიწყებული სკოლის ასაკამდე აღზრდის საქმე უდიდეს კომუნისტურ ამოცანას წარმოადგენს. ჩვენ არ შეგვიძლია ჩავთვალოთ სკოლა ნორმალურად, თუკი ის-იყვანს 8 წლის ბავშს; 8 წლიდან შეიძლება გაკეთდეს აღმზრდელობითი მუშაობის მხოლო ერთი მესამედი, რადგან 2 მესამედი უნდა გაკეთებულიყო სკოლის ასაკამდე.

მე ნაწილობრივ მივუთით უკვე იმაზე, თუ რა ელემენტებს ხმარობენ საზღვარგარეთელი პედაგოგები, ახლა მინდა იმაზე მივუთითო, თუ რა საწინააღმდეგო გავლენას ვატარებთ ჩვენს სკოლებში. მე მინახავს ის მასწავლებლები, რომელნიც საზღვარგარეთიდან ჩვენთან ჩამოვიდნენ. უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენ თვითონ გვიკვირს ის, რაც მათგან გვესმის. ჩვენ ისე ვართ წელში გატეხილი ჩვენი სილატაკით, ელემენტარული ხელსაყრელი პირობების უქონლობით იმის ცხოვრებაში გასატარებლად, რაზედაც მე ვიღაპარაკე, — იმდენადა ვართ ამით წელში გატეხილი, რომ თავი უფრო მეტად ჩამორჩენილად მიგვაჩინა, ვიდრე ეს ნამდვილად არის. რომ დავათვალიეროთ ჩვენი საუკეთესო დაწესებულებანი, როგორც ამას შვრებიან ჩვენი სტუმრები, შევხვდებით შეუდარებლად უფრო მაღალი ტიპის სკოლებს, ვიდრე საზღვარგარეთ აქვთ. ერთმა მეტად ცნობილმა უცხოელმა პედაგოგმა მისთხრა აფორიზმი, რომელიც შემდეგს შეიცავს: „თქვენ გაქვთ სკოლები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მთელ მსოფლიოში ყველაზე ცუდად, მაგრმ არის ისეთი სკოლებიც, რომლებაც შეიძლება საუკეთესოდაც ჩავთვალოთ“. მე მას დაახლოვებით ასე ვუპასუხე: „ჩვენი ცუდი სკოლები იმიტომ არის ცუდი, რომ სახსარი არა გვაქვს კარგი სკოლები კი იმიტომ არიან კარგი, რომ აღებული გვაქვს სწორი პრინციპი. თქვენ კი გაქვთ ყველა საჭირო თანხა, მაგრამ თქვენი პრინციპი არ არის სწორი. თუ თქვენ გაქვთ დიუის სკოლები, სამაგიეროთ გაქვთ სხვა სკოლებიც. რომელთაც არ სურთ ასეთები იქნენ. ჩვენ კი ჯერჯერობით არა გვაქვს სახსარი“.

ამიტომაც არის, რომ ჩვენი გავლენა უცხოეთის პედაგოგიურ აზროვნებაზე ძლიერია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მასწავლებელი, განსაკუთრებით ქვედა საფეხურისა, არას გზით არ არის ბურუუა. მისი მდგომარეობა ირკვევა იმ ბაასიდან, რომელიც მასწავლებლობას ჰქონდა ამ. ზინოვიევთან მასწავლებელთა ყრილობაზე. მასწავლებლები შეეკითხენ ზინოვიევს: — „პროლეტარები ვარო ჩვენ, თუ არაო?“ ზინოვიევმა უპასუხა: „პროლეტარები ხართ, ერთი იმიტომ, რომ საკუთრება არა გაქვთ, და მეორეც იმიტომ, რომ თქვენი შრომის საფასური მუშის საშუალო საფასურზე ნაკლებიაო“. — მაშ გვიცანით პროლეტარებად და შეგვიშვით კომუნისტურ პარტიაშიო. — „თქვენ ხართ პროლეტარები, მაგრამ არა ხართ მრეწველობის მიერ დარაზმული ორგანიზაციულად. მრეწველობა პროლეტარიატს რაზმავს და ჰქმნის მის შინაგან პროლეტარულ არსს. თქვენისთანა დაშლილ დაურაზმავ პროლეტარებში კი არის ერთგვარი წვრილ-ბურუუაზიული ნარევი. პროლეტარმასწავლებელს შეუძლია კავშირი დაიჭიროს პროლეტარიატთან, მაგრამ მას მაინც აქვს ეს წვრილ-ბურუუაზიული ნარევი, რადგან იგი არსებითად წვრილი, მარტოხელი ხელოსანია“.

საუკეთესო, უფრო შეგნებული მასწავლებლობა, რომელმაც სძლია თავის არსებაში მეშჩანობას, — ბუნებრივად ჩვენსკენ მოისწრაფვის; მაგრამ არის კიდევ უფრო დიდი ნაწილი, რომელიც წვალობს, იტანჯება, იმიტომ რომ გაუღენილია მთელი რიგი ცრუმორწმუნებით, რომელსაც ასე ადვილად ვერ მოიშორებს. არის რელიგიური ცრუმორწმუნება, ინდივიდუალიზმი და სხვა ამგვარი სისულეელე. ამასთანავე ისინი ხედავენ, რომ ჩვენი პედაგოგიკა ცველა საკითხს დიდად აშექმნას, ამიტომ ისინი დღემდე ყოყმანობენ, რაც საბოლოოდ ჩვენს სასარგებლოდ უჟა დასრულდეს.

ა. ლუნაჩარსკი.

სახალხო განათლების სისტემა.

სახალხო განათლების სისტემა ჩამოყალიბდება.

1. სასწავლებელთა ტიპები. მეფის რუსეთში სახალხო განათლების სისტემა, სასწავლო დაწესებულებათა ტიპების მხრივ, ძალიან რთული და აწეწილი იყო. პირველდაწყებით სასწავლებელთა ტიპების რიცხვი მეტად დიდი იყო (30-მდე). უმთავრესი მათგანი: სოფლებისათვის — სამინისტრო, საერობო და სამრევლო სკოლები. მაღალი (სიხმა.) ტიპის სკოლები: ორკლასიანი სამინისტრო (5 და 6 წლის კურსით), ორკლასიანი სამრეწველო და უმაღლესი პირველდაწყებითი. სასწავლებელი (4 წლის კურსით, ოთხწლიანი პირველდა-

წყებითი სასწავლებლის შემდეგ). ქალაქებისათვის იყო: ქალაქის პირ-ველდაწყებითი, ქალაქის სამრევლო და საკულესიო-სამრევლო სკო-ლები. მაღალი ტიპის—უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი· გარდა ამისა კიდევ ბევრი სხვა ტიპის სკოლა იყო არარუსთათვის— „ინოროდცებისათვის“.

მოზრდილთა განათლებისათვის არსებობდა: საკვირაო სკოლები (სახ. განათ. სამინისტროს და მართლმადიდებელი სარწმუნოების უწ-ყებისა), მოზრდილთა კურსები და სახალხო უნივერსიტეტები.

ამ სკოლების კურსი განისაზღვრებოდა პროგრამებითა და სა-ხელმძღვანელოებით. სახალხო განათლების სამინისტროს პროგრამა სამაგალითო იყო და შეიცავდა მხოლოდ იმ ცოდნათა და ჩვევების მოცულობას, რომელიც სავალდებულო იყო მათვის, ვინც ასრუ-ლებდა სკოლას და სურდა მიეღო სათანადო მოწმობა, სავალდებულო იყო მხოლოდ საღვთო სჯულის მთელი კურსი, სინოდის მიერ და-მტკიცებული პროგრამით. სასწავლო სამუშაოს შინაარსი განისაზღვ-რებოდა სკოლებში დაშვებული სახელმძღვანელოებით. ზოგიერთი ქალაქები, ერობები და სხვა დაწესებულებანი, რომლებიც სკოლებს თავის ხარჯზე ინახავდენ, ხშირად თავის საკუთარ პროგრამებს ამუ-შავებდენ და სასკოლო მთავრობის მიერ მოწმონების შემდეგ ატარებ-დენ მათ სკოლებში. ყველა სკოლაში ასწავლიდენ: სალვოთო სჯულს, კითხვას, წერას და არითმეტიკას. ცნობებს ბუნებისმეტყველებიდან, გეოგრაფიიდან და ისტორიიდან მოწაფეებს აწვდიდენ განმარტები-თი კითხვის გაკვეთილებზე და ამ ცნობების კურსი განსაზღვრული იყო სასწავლო ქრესტომატიკის შინაარსით.

კიდევ უფრო რთული იყო საშუალო განათლების სისტემა. ქალ-თა და ვაჟთა საშუალო სასწავლებელთა სისტემები ერთიმეორესაგან შეაფილდ განსხვავდებოდენ. ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება დაშვებული იყო გამონაკლისის სახით ზოგიერ საკომერციო სასწავლებლებში. საშუალო სასწავლებელთა სისტემას კლასობრივი ხასიათი ჰქონდა; იგი ემსახურებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფს სხვადასხვა ტიპის სასწავლებლით და პირველდაწყებით სკოლების სისტემასთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა. მაღალი წრის მოხელეებს თავისი შვილებისათვის ჰქონდათ ლიკეი, ტავად-აზნაურობა, შეძლებული ბურუუაზია და ინტელიგენცია სარგებლობდენ გიმნაზიებით და რეა-ლური სასწავლებლებით; სამხედრო პირთა შვილებისათვის არსებობდა კადეტთა კორპუსები, სასულიერო პირთა ბაზებისათვის—სასუ-ლიერო სასწავლებლები, სემინარიები და ქალთა საეპარქიო სა-სწავლებლები. ვაჭრებიც ხსნიდენ თავის შვილებისათვის საშუალო

სკოლებს — საქომერციო სასწავლებლებს, ქალებისათვის მოწყობილი იყო ინსტიტუტები და შვიდკლასიანი გიმნაზიები (დედოფალ მარიამ ფედორეს ასულის უწყებისა), გარდა ამისა არსებობდა კერძო და სახაზინო გიმნაზიები (სახ. განათლების სამინისტროსი) და საქომერციო სასწავლებლები (ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი). ყველა ეს სასწავლებლები ინახებოდა სხვადასხვა წყაროდან მიღებული თანხებით და სხვადასხვა სამინისტროების გამგებლობის ქვეშ იყო. ვაჟთა სასწავლებლები, გარდა საქომერციო სასწავლებლისა, უმთავრესად ინახებოდა სახაზინო ხარჯზე; ქალთა სასწავლებლები კი — სასწავლო გადასახადით და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო საქველმოქმედო საზოგადოების თანხებით.

საშუალო სასწავლებელთა დამოკიდებულება უმაღლესთან სხვადასხვანაირი იყო: უშუალოდ უნივერსიტეტში შესვლის უფლება პქონდათ მხოლოდ იმათ, ვინც დაამთავრა ვაჟთა გიმნაზია ან ჩაბარა იქვე (ვაჟთა გიმნაზიებთან) გამოცდები სიმწიფის ატესტატზე. უმაღლეს ტექნიკურ და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში ყველა ტიპის ვაჟთა საშუალო სასწავლებლებიდან იღებდენ საკონკურსო გამოცდით. ქალთა უმაღლეს კურსებზე მოხვედრა დამოკიდებული იყო ატესტატების კონკურსზე. ისინი, გარდა სამედიცინო და პედაგოგიური ინსტიტუტებისა, სწავლის ქირით ინახებოდნენ.

2. განათლების უწყებები. ორგორც ზემოაღნიშნულიდანა ჩანს, 1917 წლის ოქონლუკიამდე სახალხო განათლების სისტემის დამახასიათებელი თვისება იყო — მთლიანობისა და საერთო მიზნის უქონლობა. სახალხო განათლება უმთავრესად სამი უწყების გამგებლობის ქვეშ იყო: სახალხო განათლების სამინისტროს, მართლმადიდებელი სარწმუნოების უწყების და დედოფალ მარიამ ფედორორეს ასულის უწყებისა, მავრამ თავისი სასწავლებლები პქონდა სხვა სამინისტროებსაც. გარდა ამისა, სკოლის მატერიალურ, ორგანიზაციულ და სასწავლო მხარეებზე გავლენა პქონდათ საქალაქო და საერთო თვითმართველობის ორგანოებსაც, ორმლებიც ინახავდენ პირველდაწყებითი სკოლების დიდ ნაწილს. უმთავრესი ნაწილი არსებული სასწავლებლებისა იმყოფებოდა განათლების სამინისტროს გამგებლობის ქვეშ, ომელიც საქმაო მონაწილეობას იღებდა საერთო და ქალაქის პირველდაწყებით სასწავლებელთა შენახვაშიც.

3. მართლმადიდებელი სარწმუნოების უწყების სკოლები. მართლმადიდებელი უწყების სკოლები სამი ტიპისა იყო: 1) წერა-კითხვის სკოლა, 2) საეკლესიო-სამრევლო და 3) საეკლესიო სამასწავლებლო. ეს სკოლები სინოდის გამგებლობაში იყო, ომელთანაც

არსებობდა განსაკუთრებული სასკოლო საბჭო. ყოველ ეპარქიაში, ყველა საეკლესიო სკოლის უფროსად ითვლებოდა ადგილობრივი ეპისკოპოსი. მასთან არსებობდა საეპარქიო-სამასწავლებლო საბჭო; საბჭოს ჰყავდა საეპარქიო მეთვალყურე—უმთავრესად საერო პირი, რომელსაც დამთავრებული უნდა ჰქონდა სასულიერო აკადემია. მაზრებში იყვნენ საეპარქიო-სასწავლო საბჭოს სამაზრო განყოფილებანი. და სამაზრო სარაიონო მეთვალყურეები; სარაიონო მეთვალყურეებად იყვნენ ადგილობრივი მღვდლები. ყოველ საეკლესიო სკოლას უშუალოდ ხელმძღვანელობდა — გამგრეს თანამდებობაზე — ადგილობრივი მრევლის მღვდელი. სამრევლო-საეკლესიო სკოლებში ასწავლიდენ სასულიერო სემინარიის და საეპარქიო სასწავლებლის ყოფილი მოწაფეები. წერა-კითხვის სკოლებში ასწავლიდენ უბრალო წერა-კითხვის მცოდნე პირები და, ნაწილობრივ, ორკლასიან სამრევლო სასწავლებელში კურსდამთავრებულნი. საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების შესანახ თანხებს ნაწილობრივ ადგილობრივი მოსახლეობა იძლეოდა, მაგრამ უმთავრესად ეს სკოლები ხაზინის ხარჯზე ინახებოდა. 1907 წლამდე ხაზინა საეკლესიო სკოლებზე ხარჯავდა ათჯერ მეტს, ვიღრე სამინისტროს პირველდაწყებით სკოლებზე (10 მილიონამდე). საეკლესიო სკოლების ზრდა შეჩერდა მთოლოდ 1908 წელს, როცა შემოღებულ იქმნა საყოველთაო სწავლების ქსელი. არსებული საეკლესიო სკოლები ამ ქსელში მოექცა.

4. ერობების და ქალაქების როლი. ერობები და ქალაქები ფარავდენ თავისი სკოლების ყველა ხარჯს, გარდა მასწავლებლის ჯანმავირისა - 360 მ. და სალვოთ სჯულის მასწავლებლის 30 მანეთისა. მათ განკარგულებაში იყო სამინისტროდან გაცემული სასკოლო თანხები, ადგილობრივი სასწავლო ხელისუფლების ნებართვით ისინი ხსნიდენ სკოლებს, იწვევდენ მასწავლებლებს. ერობები და ქალაქები აწვდიდენ სკოლებს სახელმძღვანელოებს და სასწავლო ნივთებს და ინახავდენ სასკოლო შენობებს. საყოველთაო სწავლების შემოღები-სათვის საჭირო დახმარების მიღების პირობად ერობებსა და ქალაქებს მოსთხოვეს სწავლის ქირის მოსპობა სკოლებში და ადგილობრივი მოსახლეობის გათავისუფლება ყოველგვარი სასკოლო ხარჯისაგან. ერობები აწყობდენ მასწავლებელთათვის მოკლევადიან კურსებს, აარსებდენ სხვადასხვა დამხმარე დაწესებულებას: მუზეუმს, ბიბლიოთეკებს, წიგნის საწყობებს და სხვ.

5. მასწავლებელთა მომზადება. მასწავლებელთა მოსამზადებლად არსებობდა სამასწავლებლო სემინარიები, ინსტიტუტები და სკოლები. დიდი უმრავლესობა სამასწავლებლო სკოლებისა ვაჟთა სახა-

ზინო სასწავლებელს წარმოადგენდა. უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლებს ამზადებდა სამასწავლებლო ინსტიტუტები. გარდა ამისა, ზოგ უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელთან და პროგიმნაზიასთან მოწყობილი იყო მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები. მასწავლებელთა მოსამზადებლად თავისი კურსები ჰქონდათ მოწყობილი აგრეთვე ერობებს და კერძო დაწესებულებებს. პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებლის თანამდებობის დაჭერის უფლება ჰქონდათ იმ პირებს, რომელთაც დაამთავრეს სასულიერო სემინარია, სამინისტრო გიმნაზიის 8 კლასი, საეპარქიო სასწავლებელი და მარიას გიმნაზიის 7 კლასი. მიუხედავად ამისა, მაინც მასწავლებლობის საგრძნობ ნაწილს, განსაკუთრებით განაპირა უბნებში, არავითარი პედაგოგიური მომზადება არა ჰქონდა და მასწავლებლის წოდება მეტად მცირე გამოცდით ჰქონდა მიღებული.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო განათლების სისტემა.

მ. პოკროცის თეზისები.

I

ს. ს. რ. კ. სახალხო განათლების სისტემას სამი ძირითადი ამოცანა აქვს:

1. სოციალისტური მშენებლობის საფუძველზე სახალხო მეურნეობის განვითარება, კერძოდ შრომის ნაყოფიერების აწევა როგორც ქალაქში, ისე სოფლიდ.
2. მასების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღზრდა კომუნისტურად.
3. ს. ს. რ. კ. ხალხთა ეროვნული კულტურის (როგორც საკაცობრიო კულტურის საფუძვლის) განვითარება.

სახალხო განათლების სისტემა უნდა იყოს ჩამოთვლილ ამოცანათა მიღწევა-შესრულების იარაღი.

II

ამ ამოცანათა მიხედვით, სახალხო განათლების სისტემის აგებას საფუძვლად უნდა დაედოს:

- ა) საერთო განათლების შეერთება შრომის ნაყოფიერებასთან და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობასთან.
- ბ) სახალხო მეურნეობისათვის სხვადასხვა პროფესიის და კვალიფიკაციის მუშების რეალური მოთხოვნილება — საჭიროება. ყოველ

კონკრეტ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქვეყნის განვითარების ძირითად ტენდენციებთან დაკავშირებული ცვლილება მუშა-ხელის მოთხოვნილებაში.

გ) სისტემის შეფარდება ადგილობრივ მშრომელ ფენათა ყოფა-ცხოვრებასთან და შრომის პირობებთან; შეფარდება აგრეთვე კუთხის სპეციალურ მოთხოვნილებებთან. მთლიანი სკოლა ნიშნავს იმ პრინციპების ერთიანობას, რომელზედაც იგი შენდება და არა ყველა სკოლის ერთგვარად აგებას, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ სწავლობს შიგ, ან სად არის იგი მოთავსებული.

დ) მაქსიმალურად მჭიდრო კავშირის დამყარება სოციალურ აღზრდასა და პროფესიონალურ განათლებას შორის.

ე) სახალხო განათლების პრაქტიკულ აღმშენებლობაში მშრომელთა ფართო მასების და თვით მოსწავლეების ჩაბმა, როგორც აუცილებელი პირობა ამ მშენებლობის წარმატებისა; განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ შემთხვევაში აქვთ პროფესიონალურ კავშირებს, კომ-კავშირს და ახალგაზრდა პიონერებს.

ვ) გარდამავალი ხანის პირობებში ჩვენ ისეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ სასკოლო განათლების ყოველი შემდეგი საფეხური მოსწავლეთა სულ ნაკლებ და ნაკლებ რიცხვს იტევს.

ეს კი აყენებს მოთხოვნას, რომ ყოველ საფეხურს მიეცეს დამთავრებული სახე მისაღებ ცოდნათა და პრაქტიკულ ჩვეფათა მხრით და იმავე დროს შენარჩუნებულ და დაცულ იქნეს საფეხურთა შორის თანამრმდევრობა.

III

ეს ამოცანები ქრონიკირდა არის დაყენებული ყველა სახის აღზრდა-განათლების წინაშე: სასკოლოს, სკოლის ასაკამდე, სკოლის გარეშე და თვითგანათლების. მაგრამ ორი უკანასკნელი სახის მიზართ საკითხი უფრო მარტივია იმდენად, რამდენადაც აქ საქმე გვაქვს სწავლის მოსურნე მოსწრდილ მოსახლეობასთან. ამ მასებთან მეტადინეობის წესი ცოტად თუ ბევრად განმტკიცებულია და ამიტომ სკოლის გარეშე მაცადინეობის სისტემა არ გამოიწვევს პრინციპიალურ დავას. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ სკოლის გარეშე განათლების სისტემა შექმნილია ჩვენს მიერ; ძველ რეჟიმს ამ დარგში, გარდა საბიბლიოთეკო საქმის ჩანასახისა, არაფერი დაუტოვებია; საგულისხმოა, რომ ამ დარგში ყველაზე მეტ დავას იწვევს სწორედ საბიბლიოთეკო საქმე.

თვითგანათლების დარგში თვითონ ჩვენს მიერ თითქმის არა-ფერია გაკეთებული. ეს საქმე ჯერჯერობით ვითარდება თავისით, სტიქიურად, რაც არ შეიძლება ნორმალურად იქნეს ცნობილი, ვინა-იდან წერა-კითხვის მცოდნე მოზრდილთათვის „დაუსწრებელ სწავ-ლებას“ დიდი მნიშვნელობა ექნება და შეუძლია საკრძნობი როლი ითამაშოს.

IV

დიდ დავას არ იწვევდა არც სკოლის ასაკამდე აღზ. რდის სისტემა; შეიძლება იშიტომ, რომ როგორც სისტემა, იგიც შე-ქმნილია ოქტომბრის რეფოლუციის მიერ; ამასთანავე იმ ასაკის თვი-სებათა მიხედვით, რომელსაც ეს სისტემა ემსახურება, პირველ თეზი-სში ჩამოთვლილი ამოცანები დაწესებულებას შეუძლია გადასწყვი-ტოს მხოლოდ ელემენტარულად. მიუხედავად ამისა, სკოლის ასაკა-მდე აღზრდის წინაშე დგას სამივე ამოცანა (მეორე ამოცანის ჩათვ-ლით); სახოგადოებრივ-პოლიტიკური აღზრდა უკვე აქედანვე უნდა იწყებოდეს.

V

ყველაზე მეტ დავას იწვევს სასკოლო განათლების სისტემა, ამი-ტომ შემდეგ თეზისებში ლაპარაკი მასზე იქნება. ეს დავა აიხსნება, უპირველეს ყოვლისა, თვით საგნის სირთულით, მეორეც იმით, რომ ეს სისტემა ჩვენ თავიზუანვე არ აგვიშენებია, იგი დამზადებული და-გვხვდა და ჩვენ მოგვიხდა მისი გადაკეთება.

VI

სასკოლო სისტემის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენ, როცა ძალა-უფლება ხელში ჩავიგდეთ, დაგვხვდა მტკიცედ დამუშავებული სასკოლო სისტემა და ამ ძველი სისტემის ძირითადი პრინციპები აქამდე არ არის ჩვენს მიერ საბო-ლოოდ აღმოთხვრილი. ძველმა დრომ გვიანდება სამი სხვადასხვა ბურჟუაზიული სკოლა:

1) საშუალო სკოლა, 2) პირველდაწყებითი საერობო და საქა-ლაქო სკოლა და 3) პროფესიონალური სკოლა.

საშუალო სკოლა მარქსისტული ტიპის სკოლის იდეალურ წინა-ოღმდეგობას წარმოადგენს. იგი იყო სკოლა შეძლებული მოქალაქე-ებისა, რომელნიც ცდილობდენ მოემზადებინათ თავისი შვილები სახე-ლმწიფო სამსახურისათვის და თავისუფალი პროფესიებისათვის : და ამგვარად „გამოეყვანათ ისინი ხალხში“.

ეს სკოლა სრულიად მოწყვეტილი იყო წარმოების სწავლებას, ვინაიდან იგი ამზადებდა არა მწარმოებელთ, არამედ მომხმარებელთ. მხოლოდ რევოლუციის წინ, სულ უკანასკნელ ხანებში, ბურუუაზიამ იგრძნო ისეთი სკოლის საჭიროება, რომელიც მოამზადებდა წარმოების ორგანიზატორებს და ამ მიზნით შეუდგა პროფესიონალური განათლების სისტემის შექმნას, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

საერობო სკოლის (და აგრეთვე საქართველოს და საქალაქო სკოლების) ამოცანა იყო მოემზადებინა მოსახლეობა მემამულის მეურნეობის და კაპიტალისტური მრეწველობის მიერ ექსპლოატაციისათვის. სხვა ყველაფერი, რაც ამ დანიშნულების საზღვარს ასცდებოდა, სატრიკად აკრძალული იყო და „დევნებოდა.

პროფესიონალური სკოლა ისახავდა თავის ამოცანად მრეწველობის და ვაჭრობის საკომანდო შემადგენლობის მომზადებას. ძალაურებურად იგი უფრო პრაქტიკულად იყო დაყენებული, ვიღრე საერთო განათლების ბურუუაზიული სკოლა, მაგრამ სწავლების ტექნიკა გადალებული ჰქონდა უკანასკნელისაგან. პროფესიონალურ სკოლას იგივე პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ამოცანები ჰქონდა დასახული, რაც საერთო განათლებისას; მოწაფეთა სოციალური შემადგენლობა ორივე სკოლაში ერთვარი იყო. პრინციპიალურად ახალი რამები, ბურუუაზიულ სკოლის ძირითად ტიპთან შედარებით, პროდეჭიონალურ სკოლაში არა ყოფილა.

უმაღლეს სასწავლებლებზე ჯერ აქ არას ვამბობთ.

VII

ბურუუაზიისაგან მემკვიდრეობით მიღებული სამი ტიპის სკოლისადმი ფართო პარტიული წრეების განწყობილება ერთნაირი არ არის.

პირველი მათგანი, ე. ი. ბურუუაზიულ თავაღ-აზნაურული საერთო განათლების სკოლა იდეოლოგიურად სრულიად დრომოჭმულია და პრინციპიალურად მომხრე და დამცველები მას არა ჰყავს.

პირველდაწყებით სკოლას, საერობოს და საქალაქოს, როგორც მთელისაგან მოწყვეტილ ჩვენს, — როგორც „შავი ხალხის“ — ბრძოლას სკოლას; — არავინ არ იცავს. მაგრამ მისი ნამდვილად (მარქსისტული თვალსაზრისით) საერთო განათლების სკოლად გარდაქმნის მნიშვნელობა, როგორც ჰყავს, ფართო პარტიულ წრეებს არ ესმის.

სამაგიეროდ ბურუუაზიულ პროფესიონალურ სკოლას ბევრი პრინციპიალური დამცველი ჰყავს. ბევრს ჰგონია, რომ ეს ის არის, რაც ჩვენ გვინდა, რომ საქმაოა მიეცეს მეორე საფეხურის სკოლებს. პროფესიონალური ხასიათი და პირველ თეზისში აღნიშნული პირველი ამოცანა მაინც გადაწყვეტილი იქნება. ამგვარი ტიპის არგუმენტაციის იძულებული ვართ უპირველეს ყოვლისა მოვაგონოთ, რომ წარმოებაში იმ მუშის მართვა-გამგებლობა, ორმელმაც რევოლუცია-მოახდინა — ისე ადვილი არ არის, ორგორც ძველი (რევოლუციის წინა დროის) მუშის. ახლანდელი მუშა არ დაემორჩილება ნახევრად-წერა-კითხვის მცოდნე ბალლს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ბატონის-შვილია; პირიქით, ეს ბატონური თვისებები ახლა მინუსად იქნება. მიჩნეული.

ახლა მუშების პოლიტიკური ხელმძღვანელობაც ძალიან ძნელია, თუ შენ თვითონ არ დგახარ დაზგასთან. გარდა ამისა, ჩვენი პროფესიონალური სკოლა რევოლუციამდე ყველაზე ცუდი სკოლა იყო ქვეყნად; თვით ბურუუაზია არ იყო იმით ქმაყოფილი და სულ ახალსა და ახალ სკოლის ტიპებსა ჰქმნიდა; ჩვეს კი სრულიად ვერ დავკმაყოფილდებით ბურუუაზის ამ ნახევარი მიღწევებით. მესამეც ისა, რომ ყველგან ქვეყნად სპეციალურ განათლებას წინ უძღვის საკმაოდ ფართო საერთო განათლება. საკითხი საერთო განათლების ხასიათის სკოლის შესახებ არ იხსნება მისი პროფესიონალიზაციის გამო, იგი მხოლოდ გადადებულია:

რამდენ ხანს და როგორ უნდა ჟასწავლოთ, სანამ პროფესიონალიზაციას შევუდგებოდეთ? პროფესიონალური სკოლა მონოპოლიურ ტიპად რომ მივიღოთ, — ამ კითხვაზე პასუხი მაინც უნდა გავსცეთ.

VIII

ყოველმხრივ შეტად რადიკალური პასუხი გასცა 1918 წელს. მთლიანმა შრომის სკოლამ კითხვაზე, თუ რამდენ ხანს და როგორ, უნდა ვასწავლოთ. წარმოებისაგან მოწყვეტილი, სიტყვიერების სკოლის მაგიერ მან კატეგორიულად დააყენა საწარმოო შრომის სკოლა, მაგრამ დასტოვა იგი საერთო განათლების სკოლად (მარქსისტული-გაგებით — პოლიტექნიკურად) და დაუთმო მას თითქმის იმდენივე დრო, რამდენსაც ბურუუაზიული სკოლა უთმობდა უავის საერთო განათლების სკოლას. (9 წელი 10-ს მაგიერ).

1918 წლის შრომის სკოლა დამარცხდა მთელ რიგ მიზეზთა გამო, რომელთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად უნდა ჩა-

ითვალოს (მე-II საფეხურის სკოლისათვის) მეშჩანების პასიური წინააღმდეგობა „ბოლშევიკური ახალი წესების“ მიმართ (იმ მეშჩანებისა, რომელთაგანაც სავსე იყო საშუალო სკოლა).

I საფეხურის სკოლების დამარცხების მიზეზი იყო ძალი უკიდურესი მატერიალური სიღარეკე, რაც საშუალებას არ იძლეოდა მოგვეწყო რაიმე საწარმოო პროცესი, გარდა კართოფილის გათლისა, იატაკების დაწმენდისა და სხვა ამგვარის. თუ ამას მივუმატებთ მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილის მიერ გაწეულ საბოტაქს და გამოცდილი ხელმძღვანელების უყოლობას როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე,—ჩვენ მივიღებთ საკმაოდ სრულ ახსნას, თუ რატომ არ განხორციელდა 1918 წელს შრომის სკოლა, როგორც მასიური მოვლენა. მაგრამ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მოხდა არა იმიტომ, რომ ეს სკოლა უნიადაგო გამოდგა, არამედ იმის გამო, რომ არ მოხერხდა მისი განხორციელება.

IX

1918 წელს შრომის სკოლის დამარცხების ეს კლასობრივი მიზეზი, როგორც საჭირო იყო, თავის დროზე იქნა გაგებული.

დამარცხება გაგებულ იქნა უმთავრესად როგორც ტექნიკური დამარცხება: „ის არ გავაკეთეთ, რაც საჭირო იყო“. ამის შედევი იყო გადახრა ბურჟუაზიული ტიპის ვიწრო პროფესიონალური სკოლისაკენ, რომელიც, წინააღმდეგ მარქსისტული შრომის სკოლისა, არ არის „უტოპია“ და ადვილად შეიძლება განხორციელებულ იქნეს. ამ გადახრის მკაფიო გამომსახველი იყო 1921 წლის იანვრის პარტიული თათბირი განათლების შესახებ, როცა მარქსისტული სკოლის პრინციპები შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ იმის მეობებით, რომ ლენინი ჩაერია საქმეში. ლენინი მხოლოდ დათმობაზე წავიდა პროფესიონალური სკოლის მომხრეების მიმართ საერთო განათლების ხანგრძლივობის საკითხში და მიიღო იმ საერთო განათლების დართულობით, რომელიც წინ უნდა უსწრებდეს სპეციალურ განათლებას, 9 წლის მაგიერ 7 წელიწადი, მაგრამ ამასთანავე შენიშვნა იქნა გაკეთებული, რომ დათმობა მხოლოდ დროებითია, გამოწვეულია ეკონომიკური დაქვეითებით. ამგვარად, ჩვენი სასკოლო აღმშენებლობის პერსპექტივაში ცხრაწლედი რჩება საერთო განათლების სკოლის ნორმალურ ტიპად 1921 წლის შემდეგაც. შენიშვნაში აღინიშნა აგრძელებულების სკოლის სპეციალური მასაზე, რომ პროფესიონალური სკოლამ, რომელიც იღებს საფუძვლად განსაზღვრულ სპეციალობას, შეძლებისდაგვარად მაინც უნდა შეინარჩუნოს პოლიტექნიკური ხასიათი.

X

ცხრაწლიანი საერთო განათლების სკოლა მიზანია, პრაქტიკულად კი 1921 წლის შემდეგ ჩვენ გვაქვს სასკოლო განათლების ასეთი სქემა:

1) საერთო (პოლიტიკური) განათლება—შვიდწლედი, ოფიციალური ნორმა ახლანდელი მომენტისათვის და ოთხწლედი, როგორც უახლოესი განსახორციელებელი ეტაპი სავადლებულო სწავლების სისტემაში.

2) პროფესიონალური განათლება—საქართველო-საფამრიკო, პროფესიონალური სკოლა, ტექნიკური (2—4 წელი შეიღწლედზე ან ოახწლედზე).

3) სპეციალური უმაღლესი განათლება—უმაღლესი სასწავლებელი (3—5 წ.).

ეს სქემა წარმოადგენს ჩ. ს. ფ. ს. რ. სკოლათა სისტემის ძირითად ღერძს, მაგრამ იგი არ იჩვევს ყველა სკოლას. სქემის გარეთ რჩება (დროებითი ხასიათის დაწესებულებათა ჩაუთვლელად):

1) პარტიული სკოლები ყველა საფეხურების (პოლიტიკური, საბჭო. პარტსკოლა I და II საფეხურისა და კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლები).

2) დღისა და საღამოს მუშთაკები, ოფიციალური უმაღლესი სასწავლებლისათვის მოზრდილ მუშაობა და გლეხთა მოსამზადებელი სკოლები.

3) საერთო განათლების ხასიათის საღამოს სკოლები მუშაოთა ახალგაზრდობისათვის და მოზრდილთათვის; პროფგანათლების საღამოს კურსები ახალგაზრდა და მოზრდილ მუშებსათვის.

სქემის ფარგლებიდან გადასულ მეორე საფეხურის სკოლის მეორე კონცენტრზე იხ. ქვემოთ მე-XII თეზისი. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის შესახებ იხ. თეზისი ქვემოთ.

XI

საერთო განათლებაში, ომელსაც შვიდწლედი იძლევა, უნდა ვიგულისხმოთ:

1) ტექნიკური წერა-კითხვის სწავლება (წერა-კითხვა, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით—თავის აზრის გარკვეულად და თავისუფლად ქალალდზე დალაგების ცოდნა, მათემატიკის დასაწყისი და სხვ.).

2) მოწაფეების მიერ გაცნობა ბუნების კანონისა და მოვლენისა იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მარქსისტული მსოფლიხედველობის შესათვისებლად.

3) მოწაფეთა კომუნისტური განათლება და აღზრდა, რაც ჰქმნის მათგან ს. ს. რ. კ. შეგნებულ მოქალაქეებს და რაც დამყარებულია როგორც საზოგადოებათმეცნიერების მარქსისტულად შესწავლაზე, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობაზე (უკანასკნელის ბავშთა მოძრაობასთან დაკავშირებით).

4) წარმოებითი წ.-კითხვის კოდნა (პრაქტიკულად გაცნობა ყველა მნიშვნელოვანი წარმოებისა, ძირითადი სამუშაო იარაღების ხმარების კოდნა, ნათელი წარმოდგენა მანქანების უმთავრეს ტიპებზე და სხვ.), ამასთანავე არ უნდა ვცდილობდეთ მოწაფეისაგან კვალიფიციური მუშის გამოყვანას, რაც შეადგენს პროფესიონალური განათლების ამოცანას.

ყველაფერი ეს მიღწეულ იქნება არა მარტო წიგნების კითხვით და რაიმე სპეციალური კურსის გავლით, არამედ მასწავლებლის ხელმძღვანელობით ბავშის მიერ გარემო სინამდვილის შესწავლით და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებით კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ქვეშ.

ამის მიხედვით სამრეწველო რაიონში მოთავსებული სკოლა—ბუნებრივად ეყრდნობა მის წინაშე მდებარე სინამდვილეს და ინდუსტრიალური განხრა უნდა მიიღოს. ქალაქში, მაგრამ არა ქარხნის რაიონში მოთავსებულ სკოლას აქვს სამსახურებრივი შრომის განხრა (საგანმანათლებლო მუშაობა, მუშაობა საბჭოთა დაწესებულებებში, საგაჭრო დაწესებულებაში და სხვ.). სოფელში სკოლას უნდა ექნეს სასოფლო-სამეურნეო განხრა, რომელიც ახლანდელი მომენტისათვის, დიდად მნიშვნელოვანია. ამიტომ მასწავლებლის აგრძნობიულად მომზადებას აშეამაღ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

XII

მე-II საფეხურის მეორე კონცენტრი ახლანდელ მის მდგომარეობაში წმინდა თეორიულ სკოლას წარმოადგენს, რომელიც არ ემსახურება მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ფართო ფენებს და არ ამზადებს მათ საქმიანობისათვის. მისთვის პროფესიონალური მიზნის მიცემა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, თუმცა ამისი გადაწყვეტა, საქმის დიდი სიძნელის გამო, შეიძლება მხოლოდ თანდათანობით. ამასთანავე, არავითარ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ექნეს შვიდწლების ყველა მოწაფის ავტომატიურ გადაყვანას რეორგანიზაციაში მეორე კონცენტრში: აუცილებელია მოწაფეების ფრთხილი და დაკვირვებული შერჩევა, ერთის მხრივ, იმ აზრით, რომ უზ-

რუნველუმფილ იქნეს მათი მეშვეობით მუშურ-გლეხური ძირითადი კადრი და, ბეორეს მხრივ, იმ აზრით, რომ პროფესიის არჩევის სრული საშუალება. რეორგანიზაციაქმნილ მე-2 კონცენტრში სწავლების ვადა არ განისაზღვრება უოუ-ოდ ორი წლით, — იგი დამოკიდებულია იმ პროფესიონალურ განხრაზე, რომელსაც შეფარდებული აქვს ეს კონცენტრი. ზოგიერთ ცალკე შემთხვევაში შესაძლებელია უკანასკნელი გარდაიქმნას ტექნიკურად. რეორგანიზაციაქმნილი მე-2 კონცენტრების განაწილება არ უნდა მისდევდეს მექანიკურად ახლანდელი მე-2 კონცენტრების განაწილებას: იგი (ეს განაწილება) დაკავშირებული უნდა იქნეს ამათუ იმ რაიონის საწარმოო მოთხოვნილებებთან.

XIII

პროფესიონალურმა განათლებამ უნდა მოამზადოს შეგნებულიდა პოლიტიკურად აღზრდილი კვალიტიციური მუშა შრომის ცალკე დარგში.

ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ის ასაკი, რომელშიც მოსწავლე ამთავრებს შვიდწლედს (14—15 წელი), არ აძლევს მას საშუალებას მიიღოს დასრულებული საზოგადოებრივი განათლება, რაღაც საზოგადოებრივ მოვლენებისადმი ინტერესთ და მათი გაგება ამ ასაკში მხოლოდ იღვიძებს.

ამგვარად კომუნისტური აღზრდის ხაზზე პროფესიონალური სკოლა უნდა იყოს საერთო განათლების სკოლის პირდაპირი განგრძობა, რაც უნდა დაეტყოს პროფესიონალური სკოლის სასწავლო გეგმებს (ისტორიისას; საზოგადოებათმეცნიერებისას და სხვ.). უკვე ამის გამო პროფესიონალური სკოლა არ უნდა ისახავდეს ვიწრო პროფესიონალურ ამოცანას — ასე რომ მოიქცეს, იგი შექმნის ხელოვნურად წერა-კითხვის უცოდინარობის რეციდივს შვიდწლედის მიმართ. საერთოდ, ჩვენი პროფესიონალური სკოლა არ უნდა დარჩეს პროფესიონალურ ჩვევათა სკოლად, როგორიც იყო ბურუუაზიული სკოლა. თვით პროფგანათლების სისტემაში პოლიტექნიკიზმის ელემენტები განუშორებელ შემადგენელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

XIV

კვალიტიციური მუშის მოსამზადებლად სრულიად არ გაშოდგება ძველი ბურუუაზიული სკოლის მეთოდები, რომელიც ამზადებდა „მრეწველობის უნტერ-ოფიცირებს“. პროფესიონალური განათლება მჭიდროდ უნდა იქნეს დაკავშირებული წარმოადგენდასთან, უბრალოდ რომ

უთქვათ, იგი აგებულ უნდა იქნეს წარმოებაშე. თეორიული კურსი (გარდა ზემომოხსენებული საზოგადოებათმეცნიერებისა) უშუალოდ უნდა იქნეს დაკავშირებული მასთან, რასაც მოსწავლე ითვისებს დაზღასთან და მინდოორში. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია, თუ სწავლა წარმოებს ნამდვილ საწარმოო დაწესებულებაში და არა ხელოვნურად შექმნილ სახელოსნოში, საცდელ სადგურზე და სხვ. ამიტომ მასიური პროფესიონალური სკოლის ნორმალური ტიპი არის ჩვენში საქართველო-საფაძლის მიმართ არის ჩვენში ერთადერთი ნიმუში სკოლისა, რომელიც პრაქტიკულად უახლოვდება მარქსის პრინციპებს. ყოველი მასიური სკოლის ორიენტაცია ამ ტიპისაკენ უნდა იყოს მიმართული. პროფესიონალის განსხვავება საქართველო-საფაძლის სკოლებისაგან იმაში მდგომარეობას, რომ 1) პროფესიონალურად უშაკებს უმთავრესად წვრილი მრეწველობისათვის, მაშინ როდესაც საქ. საფაზ. სკოლა ემსახურება მსხვილ მრეწველობას; 2) საქ.-ფაზ. სკოლის მოწაფეები არიან ამა თუ იმ წარმოების მუშები, პროფესიონალის შემადგენლობა კი შეკრებილია ისეთი ელემენტებისაგან, რომლებიც უშუალოდ არ მუშაობენ წარმოებაში.

საანგარანო-სავაჭრო სკოლა. შენდება საქ.-საფ. სკოლის პრინციპებზე და ამზადებს სავაჭრო, სამეურნეო და საბჭოთა დაწესებულებათათვის მუშაკთა საჭირო კადრს (შეანგარანებს, საქმის მწარმოებლებს, ნოქრებს. და სხვ.). ეს სკოლა კრებს თავის მოწაფეებს იმ მოზარდთაგან, რომლებიც ზემოხსენებულ დაწესებულებებში ეწევიან ტექნიკურ დაბალ სამსახურს (შიკრიკები, გამყიდველები და სხვ.).

მსხვილი სასოფლო მეურნეობა საჭიროებს სხვადასხვა დარგებისა და სპეციალობის კვალიფიციურ მუშებს. ეს მუშები უნდა მოამზადოს მსხვილ საბჭ. მეურნეობასთან და კოლექტიურ მეურნეობასთან მოწყობილა სასოფლო მეურნეობის მოწაფეთა სკოლამ, რომელიც თავის მშენებლობის ყველა პრინციპით საესებით შეესაბამება საქართველო-საფაძლის მოწაფეობის სკოლას.

არსებული სასოფლო-სამეურნეო პროფესიონალების ძირითად ნაკლულოვანებას ის შეადგენს, რომ ისინი არ არიან დაკავშირებულნი მსხვილ მეურნეობასთან არც თავის მუშაობით და არც თავისი შემადგენლობით, თუმცა მათ უნდა მოამზადონ მუშაკები სწორედ მსხვილი მეურნეობისაოვის. ამასთანავე სასოფლო-სამეურნეო პროფესიონალების დიდი ნაწილი არ არის საქმაოდ ჩამოყალიბებული განსაზღვრული კვალიფიკაციის მუშაკთა მოსამზადებლად.

ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო პროფესიონალების ნაწილი უნდა გადაკეთდეს სასოფლო-სამეურნეო მოწაფე ეთა სკოლად,

მეორე ნაწილი—სოფლის ახალგაზღვის სკოლად, მესამე ნაწილი უნდა შეეფარდოს სასოფლო მეურნეობის არტელის, აგროპუნქტების და სხვა აგროდაწესებულებათა ოსტატების მომზადებას.

პროფესიონალური განათლების სხვადასხვა ტიპების განაწილება და ყველა საფეხურის განვითარება უნდა შეესაბამებოდეს რაიონის ძირითად სამეურნეო მოთხოვნილებას და ეკონომიკური განვითარების ხარისხს; ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ ეკონომიკური განვითარების შემდეგი მიღწევები.

რაც შეეხება პროფესიონალურ სასწავლებელთა მოწაფეების შემადგენლობას, ეს სკოლები უნდა ემსახურებოდეს უმთავრესად მოსახლეობის მუშა-გლეხთა ელემენტებს, რამდენადაც: 1) ყველა სახისა და ტიპის პროფსკოლათა ქსელი ჯერჯერობით ჩვენში სუსტად არის განვითარებული და მათი რიცხვი სრულიად არ არის საკმაო; 2) ამ პირობებში კადრის შემადგენლობა უსათუოდ მომზადებულ უნდა იქნეს ისეთი ელემენტებისაგან, რომელიც ჩვენთან სოციალურად ახლო არიან. ეს მოთხოვნა მით უფრო მეაცრად უნდა გატარდეს, რაც უფრო მეტად საპასუხისმგებლოა მოსამზადებელ მუშაკთა კატეგორია. 3) მუშათა და გლეხთა უმუშევრობის პირობებში პროფგანა-თლება წარმოადგენს მასთან ბრძოლის ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

XV

მასიური პროფესიონალური სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის შეუსაფრთხოების წარმოადგენს ტექნიკური, იგი ამხადებს არა უბრალო კვალიფიციურ მუშაკებს, არამედ წარმოების საშუალო საკომანდო შემადგენლობას. მაგრამ, ჩვენს პირობებში, თავისთავად ცხადია, კარგი ტექნიკოსი უპირველეს ყოვლისა კარგი მუშა უნდა იყოს.

აქედან ცხადია, რომ ყველაფერი, რაც მასიური პროფესიონალური სკოლისათვის ითქვა წარმოებასთან დაკავშირებაზე, ეხება აგრეთვე ტექნიკურსაც.

ჩვენში წარმოების საშუალო საკომანდო შემადგენლობის მომზადება ჩამორჩა მაღალი საკომანდო შემადგენლობის მომზადებას უმაღლეს სასწავლებელში. ტექნიკურების ქსელის განვითარება სპეციალური განათლების უახლოესი ამოკანაა.

XVI

პროფესიონალური განათლების ყველა საფეხური სრულ მთლიან სისტემას უნდა წარმოადგენდეს, ისე რომ უმაღლესი ტიპებისათ-

ვის დასაყრდნობი იყოს მასიური სკოლა, უკანასკნელს კი უნდა შე-ეძლოს მიიღოს სათანადო მეცნიერული ჩეთოდური ხელმძღვანელობა მასზე მაღლა მდგომი სკოლებისაგან. მხოლოდ ასეთ დაწესებულებათა ქსელს შეუძლია ნამდვილად და გეგმიანად ემსახუროს რაონის სახალხო მეურნეობის საჭიროებას ადგილობრივ საეკონომიკო-საგეგმო ორგანოებთან მჭიდრო კავშირის მეშვეობით.

XVII

უმაღლესი სასწავლებლის მეცადინეობაც უნდა იყოს გამსჭვალული წარმოებასთან კავშირით. მაღალი კვალიფიკაციის მასიურ სპეციალისტა მომზადების გარდა, უმაღლესი სასწავლებელი უნდა წარმოადგენდეს მეცნიერულად მომზადებულ ფართო შასშტაბის სპეციალისტთა კონტინგენტის ბუდეს. არცერთ ქვეყანას არ შეუძლია იარსებოს, თუ არ ეყოლა ასეთი კონტინგენტი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს საერთო სამეურნეო, კულტურული და სხვ. ხელმძღვანელობა. კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზიას განსაკუთრებით მაგრად უჭირავს ხელში სწორედ ეს მეცნიერული განათლება, რომელიც აძლევს მას საშუალებას შეინარჩუნოს სახალხო მეურნეობაში საკომანდო ადგილები. უმაღლეს სასწავლებელთა სპეციალურ ამოცანას შეადგენს—საუკეთესო სტუდენტების გადარჩევა ამ კონტინგენტის შესახსებად, რისთვისაც შიგ მოწყობილ უნდა იქნეს სპეციალური სტუდენტები, ლაბორატორული მეცადინეობა, ექსკურსიები, ექსპედიციები და სხვ. ცხადია, რომ ეს მუშაობა უნდა ხდებოდეს წარმოებასთან მჭიდრო კავშირის დაჭრით, თვით წარმოებაზე მუშაობით და პროლეტარულ მასებთან ურთიერთობის ნიადაგზე. მომავალმა სპეციალისტებმა უნდა შესძლონ პროლეტარულ მასებთან მიდგომა არა მარტო ტექნიკის საფუძველზე, არამედ აგრეთვე როგორც საზოგადო მოლვაწეებმაც. უკანასკნელი გარემოება კი გულისხმობს უმაღლეს სასწავლებლებში პოლიტგანათლების და კომუნიზმის თეორიის სერიოზულად დაყენების საჭიროებას.

მ. პოკროვსკი.

როგორი უნდა იყოს საბჭოთა შრომის სტოლა.

სანამ საბჭოთა შრომის სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესწავლაზე გადავიდოდეთ, საჭიროა გავარკვიოთ და შევიგნოთ, რა არის პედაგოგიკა, როგორი ძირითადი მეთოდებით სარგებლობს ის, როგორც მეცნიერება, და რა ადგილი უჭირავს მას სხვა დისციპლინათა შორის:

პედაგოგიკა, ჩვეულებრივი განმარტებით, არის მეცნიერება ალზრდის შესახებ. მაგრამ რაღაც ალზრდის მიზანი და შინაარსი დამოკიდებულია ამა თუ იმ გაბატონებული კლასის ინტერესებზე, ამიტომ სხვადასხვა კლასებისათვის შექმლებელია არსებობდეს ალზრდის შინაარსის ერთნაირი გავება.

ალზრდის საკითხების გაგება-ახსნაში ორი შიმართულება უნდა გავარჩიოთ: იდეალისტური და მარქსისტული. ბურუუაზიული იდეალისტი-პედაგოგები ალზრდის პროცესს უყურებენ როგორც დამოუკიდებელ პროცესს, თავისებურს, სრულიად მოწყვეტილს და თავისუფალს ამა თუ იმ ეპოქის განვითარების პირობებისაგან. პედაგოგიკის ასეთ გაგებას ღრმა კლასობრივი აზრი აქვს, რადგან ბურუუაზისათვის მეტად ხელსაყრელია დაჩრდილოს და მიჩქმალოს თავისი ამ ქვეყნიური და მეტად კონკრეტული კლასობრივი ზრახვები იდეალისტური ფრაზებით — მარადიულ იდეებზე, შემოქმედებით სულზე, ზნეობრივობაზე და სხვ.

ამგვარად პედაგოგიკა, იდეალისტი პედაგოგების გაგებით, ემყარება უმთავრესად იდეალისტურ, წმინდა სუბიექტურ დასკვნებსა და დებულებებს. თუმცა ობიექტურად ყველა ხალხისა და ყველა დროის აღმზრდელობითი იდეები უშუალოდ იყენენ დამოკიდებული ჰეგემონი კლასის კლასობრივ მისწრაფებებზე, სუბიექტურად ალზრდა-განათლების კლასობრივ ხასიათს ბურუუაზიული პედაგოგები აბნელებდენ და ფარავდენ.

მიუხედავად იმისა, რომ ალზრდადა მისი მიზნები სუბიექტურად აქვს განმარტებული, ბურუუაზიული პედაგოგიკა რამოდენიმედ მაინც დასაფასებელია მით, რომ მან დაამუშავა დიდაქტიკური და მეთოდიკური საკითხები, ახსნა და გადასწყვიტა პედაგოგიური პროცესის ცალკე ელემენტები, და გაარმავა პედაგოგიური მუშაობის ტექნიკა. ზოგი პედაგოგიური პრობლემა სავსებით მეცნიერულ ნიადაგზეა დაყენებული და მათი გადაწყვეტის დროს ბურუუაზიული პედაგოგიკა სარგებლობს ყველა მეცნიერული მეთოდით. მაგრამ მართალია ვ. ბლონძი, როდესაც ამბობს, რომ „ბურუუაზიულმა პედაგოგიკამ მეცნიერული თვალსაზრისით კარგად დაამუშავა პედაგოგიკის ცალკე საკითხები, მაგრამ არა პედაგოგიკა მთლიანად, როგორც მეცნიერული დისციპლინა“.

ალზრდის საკითხების იდეალისტურად გაგების შინააღმდეგ, მარქსისტული მიმართულება პედაგოგიკას განსაზღვრავს, როგორც მეცნიერებას, რომელიც სწავლობს ალზრდა-განათლების ფაქტებს მათი განვითარების, დამოკიდებულების და ურთიერთგავლენის პროცესში;

ამასთანავე თვით აღზრდა სავსებით დამოკიდებულია კონკრეტულ ეკონომიურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფაქტორებზე; იგი არის სპეციალურად მოწყობილი, წინასწარ გათვალისწინებული გეგმით, ზანგრძლივი ზეგავლენა ბავშვე. ასეთი აღზრდა სახელმწიფოს მიერ ტარდება სხვადასხვა დაწესებულებათა მოწყობით (საბავშო პალები, ტექნიკუმები, სკოლები და სხვ.).

ამ სპეციალურად მოწყობილ დაწესებულებებში ბავშებს ეძლევა ისეთი ჩვევები და ცოდნა, რომელნიც არსებობისათვის ბრძოლაში მათვების აუცილებელია; აქ მუშავდება განსაზღვრული; გაბატონებული კლასისათვის საჭირო მსოფლმხედველობა და ახალ თაობას ეძლევა ისეთი მომზადება, რომელიც ეხმარება ამ კლასს შეინარჩუნოს ძალაუფლება და განახორციელოს თავისი მიზნები. აქედან შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ საზოგადოების სამეურნეო და ტექნიკურ განვითარებასთან ერთად, ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის გაძლიერება-შესუსტებასთან და კლასობრივ ბრძოლასთან ერთად წარმოებს ბრძოლა აღზრდის ფუნქციების ხელში ჩაგდებისათვის. ახალგაზრდა, მოზარდი და თანდათან გაძლიერებული კლასი, გარკვეული სოციალური იდეების მატიარებელი, აყენებს აღზრდის ახალ იდეებს თავისი თავის, როგორც ჰეგემონი კლასის, განსამტკიცებლად. რუსეთში რევოლუციამდე და თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში სკოლის საერთო მიზანს შეადგენს — სარწმუნოებრივი, ზნეობრივი და პატრიოტული აღზრდა. ამ მიზნების გარდა ბურჟუაზიულ ქვეყნებს დასახული აქვთ გონებრივი და ფიზიკური განვითარებაც, მაგრამ ეს საეთრო მიზნები სავსებით გაულენთილია კლასობრივი შინაარსით. რელიგიური, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური აღზრდის „დოზები“ აღზრდის ობიექტების სხვადასხვა ჯგუფს შორის არათანაბრად ნაწილდება. დაბალ პირველდაწყებით სკოლებში მოწაფეები მოკლებული არიან ნამდვილ გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას; მათ უმთავრესად კვებავენ რელიგიური კანონებით, მორალის წესებით და დამქავებული პატრიოტიზმით. სამაგივროდ საშუალო და უმაღლეს სკოლებში, რომელთა მოწაფეები მომავალში უნდა გახდენ სახელმწიფოს მოხელეები და მმართველები, — განსაზღვრულ ცოდნას, ფიზიკურსა და გონებრივ აღზრდას იღებენ, ხშირად პედოლოგიისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ყველა წესის თანახმად. აქ რელიგიურ და ზნეობრივ აღზრდას ბევრად ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული, ვადრე დაბალ სკოლებში, რაღვან საშუალო და უმაღლესი სკოლის მოწაფე უამისოდაც საქმაოდ ერთგულია თავისი კლასის; ღმერთით და ზნეობის მარადეული კანონებით მისი დაფრთხობა საჭირო არ არის,

რუსეთში (რევოლუციამდე) და თანამედროვე ბურუუაზიული ეკრანისა და ამერიკის სკოლებში არ არის მიზნების მტკიცე მთლიანობა. სკოლის მიზანიც იმდენია, რამდენიც საზოგადოებრივი და კლასობრივი ჯგუფია. ავილოდ რუსეთი რევოლუციამდე. იქ აღწრდის ფუნქციების ხელში ჩაგდებისათვის იბრძოდენ შემდეგი ჯგუფები: თავად-აზნაურობა და მსხვილი მოხელეობა იღვწოდენ და ატარებდენ თავისი შვილებისათვის კლასიკური გიმნაზიის იდეას, ძველი ენებით; მუშებისათვის სამინისტრო პირველდაწყებით სკოლას, რომლის ლოზუნგი იყო: „ლმერთი, მეფე და სამშობლო“. სამლელელოება არ ეწინააღმდეგებოდა კლასიკური გიმნაზიის არსებობის იდეას პრივილეგიური წოდების შვილებისათვის, მაგრამ სამინისტრო სკოლები მიაჩნდა ამბოხების ბუდეთ და ცდილობდა მოქეცია ისინი თავის გავლენის ქვეშ, რასაც თითქმის აღწევდა. საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, რომლებიც ექვემდებარებოდენ უწმინდეს სინოდს, ხელმძღვანელობდენ მღვდლები და დიაკვნები და მიზნად ჰქონდათ დასახული მოზარდი თაობის გონების დაბნელება (დაჩლუნგება). მოწინავე ბურუუაზია, საერობო და საქალაქო თვითმართველობის ორგანოების მეშვეობით, იბრძვის, რომ განახორციელოს თავისი ბავშვებისთვის რეალური აღწრდა (რეალური და საკომერციო სასწავლებლები) და გააფართოვოს პირველდაწყებითი სკოლის პროგრამები. ანარქიულად განწყობილი წვრილ-ბურუუაზიული ინტელიგენცია მოითხოვს სრულიად თავისუფალ აღწრდას. ამ ბრძოლას გარკვეული ეკონომიური და პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. ვაჭრულ-მრეწველური ბურუუაზია ვითარდება, ღონიერდება ეკონომიურად, იბრძვის სახელმწიფოში პოლიტიკური გავლენის მოპოვებისთვის და ამისათვის ცდილობს ხელში ჩაიგდოს აღწრდის ფუნქცია, რა მიზანსაც ერთგვარად კიდევაც აღწევს. მაგრამ თავად-აზნაურობა და სამლელელოება, როგორც ეკონომიურად ჯერ კიდევ ძლიერი წოდებები (ფეოდალურ-ეკონომიური წყობილება და ნატურალური მეურნეობა ჯერ კიდევ ძლიერი იყო) არ თმობენ თავის პოზიციებს განათლების დარგში. პოლიტიკური მიზნების ეს მრავალი სხვადასხვაობა შეიძლება გაყოფილ იქნეს ორ აღმზრდელობით სისტემად: ერთი სისტემაა გაბატონებული კლასისათვის, მეორე კი— დამოჩილებულისათვის.

იგივე არის ეკრანაშიც. მიუხედავად იშისა, რომ ყველა სახელმწიფოში შემოლებულია საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლა და მიღწეულია საშუალო და უმაღლესი განათლების ადვილად მიღება, გლეხებისა და მუშებისათვის მაინც მხოლოდ დაბალი განათლებაა მისაწვდომი.

ჰარმონიული. და თავისუფალი აღზრდის იდეას, მოქალაქეობრივს და შრომის პრინციპზე აგებულ აღზრდის იდეას, — ყველა ამ მიმართულებას ერთი მიზანი აქვს: შეასუსტოს, მიაფუჩებოს კლასობრივი წინააღმდეგობანი და გადაარჩინოს კაპიტალისტური ქვეყანა მოახლოებული დალუპვისაგან.

ამერიკაშიც ისეა დაყენებული საქმე, როგორც ეკროპაში. ცნობილი ამერიკელი პედაგოგი დ. დიუი სკოლის ამოცანების შესახებ ასეთ ფორმულას იძლევა: „ჩვენს პირობებში სკოლამ უნდა შეასუსტოს და წაშალოს განსხვავება (კურსივი ავტორისაა) სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფს შორის“; მეორე ადგილას იგი ამბობს: „დემოკრატიის იდეას შეადგენს კლასობრივი ინტერესების თავიდან აცილება და მათი შეცვლა საერთო დაინტერესებით „საზოგადოებრივ კუნძულების გაუმჯობესებაში და სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფს შორის კავშირის განვითარებაში“.

ჩვენი აღმზრდელობითი ამოცანები.

ჩვენ ვიცით, რომ კომუნისტური საზოგადოების შექმნა შეუძლებელია, თუ არ აღორძინდა მრეწველობა და მიწათმოქმედება, ამასთანავე ისინი უნდა ავალორძინოთ არა ძველებურად. ისინი უნდა ავალორძინოთ თანამედროვე, მეცნიერების უკანასკნელ სიტყვაზე აგებულ საფუძველზე. თქვენ იცით, რომ ასეთი საფუძველი არის ელექტრობა, რომ მხოლოდ მაშინ, როცა განხორციელდება მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია, მრეწველობისა და მიწათმოქმედების უველა დარგების ელექტროფიკაცია, როცა ეს ამოცანა შეთვისებული გექნებათ, მხოლოდ მაშინ შესძლებთ იმ კომუნისტური საზოგადოების შექმნას, რომლის შექმნას ვერ შესძლებს ძველი თაობა.

თქვენს წინაშე დგას მთელი ქვეყნის სამეურნეო აღორძინების ამოცანა, მიწათმოქმედების და მრეწველობის რეორგანიზაცია, აღდგენა თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე, რომელიც დამყარებულია თანამედროვე მეცნიერებაზე, ტექნიკაზე, ელექტრობაზე.

თქვენ კარგად გესმით, რომ ელექტროფიკაციისათვის წერაკითხვის უკოდინარი ხალხი არ გამოდგება და ამისათვის მარტო წერა-კითხვის ცოდნაც არ კმარა. აქ ამ კმარა მარტო იმის ცოდნა, თუ რა არის ელექტრობა, საჭიროა ისიც იკოდეთ, თუ როგორ გამოიყენოთ იგი ტექნიკურად მრეწველობისთვის, მიწათმოქმედებისთვის და მრეწველობისა და მიწათმოქმედების ცალკე დარგებისთვის. ეს უნდა შეისწავლოთ თვით თქვენ და შეასწავლოთ მთელ მშრომელ მოზარდ თაობას.

აი ამოცანა, რომელიც დგას ყოველი შეგნებული კომუნისტის წინაშე, ყოველი ახალგაზრდის წინაშე, რომელიც თავს კომუნისტად თვლის და კარგად ესმის, რომ კომკავშირში შესვლით მან მიიღო თავზე ვალდებულება დაეხმაროს პარტიას კომუნიზმის შენებაში, დაეხმაროს მთელ ახალ თაობას კომუნისტური საზოგადოების შექმნაში. მან უნდა შეიგნოს, რომ მხოლოდ თანამედროვე განათლების საფუძველზე შესძლებს ის ამის შექმნას, და თუ მას ეს განათლება არ ექნა, კომუნიზმი მხოლოდ სურვილად დარჩება.

წინა თაობის ამოცანას შეადგენდა ბურჟუაზიის დამხობა. მაშინ მთავარი ამოცანა იყო ბურჟუაზიის გაკრიტიკება, მასებში მისდამი სიძულვილის გაღვივება, კლასობრივი შეგნების განვითარება, საეჭ-თარი ძალების გაერთიანება—შემჭიდროების უნარის განვითარება.

ახალი თაობის წინაშე უფრო რთული ამოცანა დგას. არ კმარა ის, რომ თქვენ უნდა გაერთიანოთ თქვენი ძალები, რომ დაეხმაროთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას კაპიტალისტების თავდასხმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს თქვენ უნდა ჰქნათ. ეს თქვენ მშვენიერად გაიგეთ, ეს ყოველ კომუნისტს ნათლად აქვს წარმოდგენილი, ბაგრამ ეს არ არის საკმარისი.

თქვენ უნდა შექმნათ კომუნისტური საზოგადოება. ამ სამუშაოს პირველი ნახევარი ბევრი მხრივ უკვე გაკეთებულია. ძველი დამხობილია, როგორც საჭირო იყო მისი დამხობა, ის ნანგრევებად არის ქცეული, როგორც საჭირო იყო მისი ნანგრევებად ქცევა. ნიადაგი გაწმენდილია და ამ ნიადაგზე უნდა შექმნას კომუნისტურმა ახალმა თაობამ კომუნისტური საზოგადოება.

თქვენს წინაშე დგას მშენებლობის ამოცანა, და თქვენ შესძლებთ მის გადაჭრას მხოლოდ მას შემდეგ, როცა შეიძენთ მთელ თანამედროვე ცოდნას, როცა გეცოდინებათ, თუ როგორ გადააჭციოთ კომუნიზმი გამზადებული გაზეპირებული ფორმულებიდან, რეცეპტებიდან, მიწერილობა - პროგრამებიდან იმ ცოცხალ რამედ, რაც აერთიანებს თქვენს უშუალო მუშაობას, როცა კომუნიზმი შეიქნება თქვენი პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ.

აი ამოცანა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოთ განათლების, აღზრდის, მთელი ახალი თაობის ამაღლების საქმეში. მილიონ მშენებელთა შორის თქვენ უნდა იყოთ კომუნისტური საზოგადოების პირველი მშენებლები, ასეთი მშენებელი უნდა იყოს ყოველი ვაჟი, ყოველი ქალიშვილი (ლენინის სიტყვიდან ჩ. ა. კ. კ. მე-III ყრილობაზე 1920 წ.).

ჩვენი სკოლა პლასობრივი უნდა იქოს.

ახლა ყველა მიწა, ქარხანა და ფაბრიკა მუშებსა და გლეხებს აქვთ გადაცემული. მუშები ამ უამაღ მოწოდებული არიან არა მარტო დაზგასთან სადგომად და გუონის უკან გასაყოლად, არამედ იმის სთვისაც, რომ განაგონ მაჟულები და საწარმოო იარაღები—ფაბრიკები და ქარხნები. ამიტომ სრულიად ბუნებრივია მუშებში გალვიძებული ლტოლვა მეცნიერებისაკენ. მუშები მიისწრაფიან მეცნიერებისა და სკოლისაკენ და ახლა ჩვენი ამოცანაა მივცეთ მათ ეს მეცნიერება და სკოლა.

ზოგი გვისაყვედურებს, რომ ჩვენ სკოლას კლასობრივ სკოლაზ ვაქცევთ. მაგრამ იგი მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ყოველთვის ასეთი იყო. თუ ახლა უმაღლესი საფეხურის სკოლის მასწავლებელთა მხრივ ჩვენ ვხედავთ საბოტაჟს; ეს იმას ამტკიცებს, რომ ამ მასწავლებელთ სურთ ჩვენი სკოლის მონობოლიზმება, მათ სურთ აქციონ იგი კლასობრივი ბრძოლის იარაღად, გადააქციონ იგი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ მიმართულ იარაღად. ან კი რით არის გამოწვეული ეს ულეტა, რომელიც უკვე მეხუთე წელიწადია გრძელდება, თუ არა იმით, რომ მუშახალხის მტრების მიერ სკოლა თავისი მიზნებისათვის იყო გამოყენებული? ძველი ტიპის სკოლებში ბავშს აუცილებლად უნერგავენ ეროვნულ ცრუმორწმუნებას; ღვივდება სიძულვილი სხვა ეროვნების მუშებისადმი; ახალგაზრდა გონებას სულელური ცრუმორწმუნება აბნელებს. ბურუუზით კვეყნებში სკოლები გაუღენთილია სიცრუითა და ცილისწამებით ბურუუზით სასარგებლოდ. სხვა ეროვნების მიმართ სიძულვილის ვრძნობას ბურუუზია საუკეთესოდ იყენებს თავისი მიზნებისათვის სწორედ ომიანობის დროს, რომელიც აძლევს მას აურაცხელ მოგებას.

ავილოთ თუნდაც ჩვენი დრო. ჩვენ ახლა ათასობით გვყაფს მილიონერები, რომლებიც წარმოიშვენ მოის დროს, როგორც სოკოები კარგი წვიმის შემდეგ. მათ ომი უნდათ, რომ გამდიდრდენ, და ისინი სკოლასაც დაუფიქრებლად გამოიყენებდენ თავისი იმპერიალისტური მიზნებისათვის. მაგრამ ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი სკოლაც კლასობრივი იქნება, მაგრამ მას მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის მშრომელი ფენების ინტერესების დაცვა ექნება მიზნად.

საჭიროა მთელი ძალა, ენერგია და ცოდნა იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე იქნეს აგებული შენობა ჩვენი მომავალი შრომის სკოლისა, და მხოლოდ და მხოლოდ ის შესძლებს დაგვიცვას მომავალში ყოველგვარი მსოფლიო შეჯახებისა და ისეთი ხოცვა-ულეტისაგან, რომელიც უკვე მეტყო წელიწადი გრძელდება (ლენინი, ტ. XV, გვ. 417)¹⁾.

„ყველაზე უმთავრესი—ეს არის ჩვენს პოლიტიკასთან განათლების დამკიდებულების საკითხი. საგანმანათლებლო მუშაობის მთელ ხაზზე ჩვენ არ შეგვიძლია დავდგეთ ძველ თვალსაზრისებრივ განათლების აპოლიტიკურობის შესახებ და ვერ დავაყენებთ განმანათლებელ მუშაობას პოლიტიკის გარეშე.

ასეთი აზრი გაბატონებული იყო და არის ბურუუაზიულ საზოგადოებაში. სახელწოდება-კი—განათლების „აპოლიტიკურობა“, ან „არა პოლიტიკურობა“ არის ბურუუაზიის პირფერობა, ეს სხვა კი არაფერია, ეს მასების მოტყუებაა. ბურუუაზია, რომელიც ჯერ კიდევ ბატონობს ყველა ბურუუაზიულ ქვეყანაში, სწორედ ამ მასების მოტყუებას ეწევა.

ყველა ბურუუაზიულ სახელმწიფოში პოლიტიკურ აარატს განათლებასთან მეტისმეტად დიდი კავშირი აქვს, თუმცა ამის პირდაპირ აღვიარება ბურუუაზიულ საზოგადოებას არ შეუძლია. ამავე დროს კი ეს საზოგადოება მასებს წრთვნის ეკლესიის მეოხებით, კერძო საკუთრების მთელი ინსტიტუტის მეოხებით.

ჩვენი ძირითადი ამოცანა სხვათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ბურუუაზიულ სიმართლეს დავუპირისპიროთ ჩვენი სიმართლე და ვაიძულოთ იცნონ იგი“. (ლენინი, ტ. VХIII, ნ. II, გვერდი 178—179).

6. ლენინი.

სპოლის მიზნების საკითხები.

სრული სიმართლეა, რომ სახელმწიფო სკოლას ყოველთვის უყენებდა გარკვეულ მიზანს. მიზანს უყენებს სკოლას საბჭოთა ხელისუფლებაც. ამის უარყოფა სინამდვილის წინააღმდეგ დავა იქნებოდა. ისიც უეჭვოა და, აღბათ, არავითარ დავას არ გამოიწვევს, რომ ბურუუაზიული სახელმწიფო სახალხო განათლების სისტემის შექმნის დროს თავის კლასობრივ ინტერესებს იცავდა. შეიძლება შე-

1) რუსულ ენაზე.

გვაჩეროს მხოლოდ ერთმა სახელმწიფო — ამერიკამ, რომლის მიმართ, ამ მხრივ, შესაძლებელია დაგვებალოს ეჭვი. ამერიკის შესახებ ისეთი შეხედულების ვართ, თითქოს იქ სკოლა რაღაც ჭეშმარიტ არაკლასობრივ აღზრდას ანხორციელებდეს. მაგრამ ამერიკის თანამედროვე სკოლის ახლო გაცნობა დაგვარწმუნებს იმაში, რომ თუ ასე ვფიქრობთ — ვცდებით. ზანგებისთვის იქ განსაკუთრებული სკოლების არსებობაზეც რომ არაფერი ვთქვათ, ამერიკის სკოლა გაუღენთილია არქიბურჟუაზიული შოვინისტური სულით. ავილოთ მაგალათისთვის თუნდაც სახელმძღვანელოების ცენზურა, სკოლებზე მეთვალყურეობა. საკვირველი იქნებოდა, რომ ასე არ ყოფილიყო.

ბურუჟაზიული სახელმწიფო მიზნად უყენებს სკოლას — გამოადგეს. ბურუჟაზიას კლასობრივი ბატონობის იარაღად

რა მიზანი აქვს პროლეტარულ სახელმწიფოს? პასუხი თითქოს ამგვარი უნდა იყოს: იგი უნდა გამოდგეს პროლეტარიატის ბატონობის იარაღად. მაგრამ ეს არ არის სწორი, — ასეთი პასუხი გამოწვეულია იმით, რომ საკითხი სწორედ არ არის დაყენებული. „პროლეტარული სახელმწიფო“ ისეთი ტერმინია, რომელსაც ბოროტად ხმარობენ. პროლეტარიატმა ძალა-უფლება აიღო არა იმიტომ, რომ მუშათა კლასი პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩააყენოს, არამედ იმისათვის, რომ მოსპოს ყოველგვარი ბატონობა, მოსპოს ყოველგვარი სახელმწიფო (იხ. ლენინი „სახელმწიფო და რევოლუცია“). ამიტომაც ტერმინი „პროლეტარული სახელმწიფო“ არ არის სწორი ტერმინი, და გაუგებრობას ბადებს. ამიტომ საკითხი ასე არ უნდა იქნეს დაყენებული, საკითხი ამგვარად უნდა დაისვას: „რა მიზნებს უყენებს სკოლას მუშათა კლასი?“

ეს მიზანი მუშათა კლასის საერთო ხაზით მიემართება; მიზნად არის დასახული ისეთი თაობის აღზრდა, რომელსაც შეეძლება მუშა კლასის მიზნების განხორციელება. როგორი უნდა იყოს ამიტომ ეს თაობა? იგი საკსებით უნდა იქნეს გაუღენთილი კოლექტიური მიზნებით, მას ნათლად უნდა ესმოდეს, თუ რისთვის იძრძვის თანამედროვე მოწინავე კლასი, ესმოდეს, რომ მუშათა კლასის იდეალები საზოგადოებრივი განვითარების გზაზე და ამიტომ ეს იდეალები ჩეალურია და განსახორციელებელი. ახალი თაობა ნათლად უნდა ხელვდეს იმ გზას, რომელსაც ნიჭყავს მუშათა კლასის მიზნების განხორციელებისაკენ და უნდა იცოდეს ამ გზით სიარული.

ბურუჟაზიაც და მუშათა კლასიც სკოლას გარევეულ მიზნებს უყენებენ, მაგრამ ბურუჟაზია სკოლას უყურებს როგორც კლასობრივი ბატონობის საშუალებას, პროლეტარიატი კი სთვლის მას ისეთი თა-

ობის აღზრდის საშუალებად, რომელიც ბოლოს მოუღებს კლასობრივ ბატონობას. ბურუუზიული სახელმწიფოს მიზნები ჩაგრავს და ახ-შობს ბავშთა უმრავლესობის პიროვნებას, უბნელებს მათ გონებას, ისინი მიმართულია ახალი თაობის ინტერესების წინააღმდეგ; მუშა-თა კლასის მიზნები კი მიმართულია ბავშის პიროვნების გაფურჩქვნი-საკენ, მისი გონების გაფართოვებისაკენ, მისი შეგნების გალრმავე-ბისკენ და განცდებით გამდიდრებისკენ, ეს მიზნები სკოლაში ახალ-გაზრდა თაობის ინტერესების სასარგებლოდაა მიმართული. ამაში მდგომარეობს განსხვავება ბურუუზიისა და პროლეტარიატის მიზნებს. შორის.

ბევრ პედაგოგს, როდესაც სკოლისათვის მიზნის დასახვის წი-ნააღმდეგ ილაშქრებს, ხშირად მხედველობაში აქვს შემდეგი: ბავშე-ბი, ახალგაზრდობა არ უნდა გახდენ გარეშე და მათი ინტერესების საწინააღმდეგო მიზნების იარაღად. და ამას არც შეიძლება არ და-ვეთანხმოთ. მაგრამ მუშათა კლასის მიერ დასახული მიზნები არ არის გარეშე მიზნები, ის არ არის ახალგაზრდა თაობის ინტერესთა საწინააღმდეგო რამ. ამიტომ, მე ვფიქრობ, თავის საქმისა და ბავ-შების მოყვარული ყოველი პედაგოგი თანდათან დარწმუნდება, რომ მან უნდა იმუშაოს არა შიშის, არამედ სინიდისის ქვეშ, იმ მიზნე-ბის განხორციელებისათვის, რომელსაც უყენებს სკოლას მუშათა კლასი.

6. კრუპსკაია.

არ არის სპოლა პოლიტიკის გარეშე.

პედაგოგები ხშირად ამბობენ, რომ განათლების საქე პოლი-ტიკური საქმე არ არის. ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ განათლების საქ-მე იყო, არის და იქნება პოლიტიკური საქმე და ის პედაგოგი, რო-მელიც ამბობს, რომ ის აკეთებს არაპოლიტიკურ საქმეს, გვაგონებს მოლიერის გმირს, რომელიც ბოლოს გაკირვებით შეიტყობს, რომ: იგი თურმე პროზით ლაპარაკობს. ასეთი პედაგოგი არ ფიქრობს, როცა იგი ლათინურ ენას ასწავლის, რომ იგი კლასობრივი პოლი-ტიკის საქმეს აკეთებს. საჭიროა, რომ ეს ყველამ გაიგოს, ვინაიდან მხოლოდ კომუნისტური სკოლა იძლევა ნამდვილ არაკლასობ-რივ, საკაცობრიო აღზრდას და რამდენადაც იგი უფრო კომუნი-სტურია (ჩვენი გაგებით), უფრო პარტიულია, იმდენად იგი უფრო მბიერტურია, უფრო ადამიანურია.

ის, რაც პედაგოგებს ეჩვენებათ სწორი, იდეალურად ობიექტი-ური პედაგოგიკიდან პარტიულ ცალშხრივ მუშაობაზე გადასვლად, პოლიტიკურად განვითარებული პირისათვის არის სკოლის დაბრუნება წმინდა აღამიანობრივობასთან, რადგან აქ ადგილი აქვს ისეთ პოლიტიკას, რომელსაც მიზნად აქვს დასახული აღგავოს ყოველგვარი პოლიტიკა და დაუბრუნოს აღამიანი თავის თავს. ასეთია კომუნისტური პოლიტიკა.

უეჭველია, რომ ყოველი სკოლა აკეთებს პოლიტიკას, კლასობრივ პოლიტიკას. სწავლება ნიშნავს ბავშვისათვის იმ გამოცდილების. მიცემას, რომელიც მიღებული აქვს ამა თუ იმ საზოგადოებას. ეს გამოცდილება ყველა საზოგადოებას ერთნაირი არა აქვს. როგორ ასწავლიან ჩრდილო ამერიკაში წითელკანიანი ველურები თავის ბავშებს და როგორ ასწავლიან მათ ვევრლით მცხოვრები ფრანგები ან კანადელი ინგლისელები თავის შვილებს? სულ სხვა სარწმუნოება, სხვა წარმოდგენა აღამიანის ლირსებაზე, სხვა შეხეძულება თავის თავზე და მსოფლიოზე.

ყოველი თაობა ითვისებს იმას, რაც მის დროში ჰეშმარიტებად ითვლება. ჩვენ გვაქვს ბუნებასთან შეჯახებისაგან გამოტანილი უდავო გამოცდილება, მაგ., რომ ცეცხლი წვავს, რომ სიცივეში საჭი. როა რაიმე ქსოვილით ან ტყავით შემოსვა და სხვ. მაგრამ აღზრდა მდგომარეობს არა მარტო ამ გამოცდილების გადაცემაში, არამედ ამ თაობის ცხოვრების განმტკიცებაში, განმტკიცებაში ისე, როგორც ეს ხელსაყრელია ტომისათვის, ფაქტიურად კი ტომის გაბატონებული ჯგუფისათვის. მოიგონეთ, მაგალითად, 1918 წლის მასწავლებელთა ყრილობა, რომელმაც გამოსთვავა აზრი—საჭიროა საღი პატრიოტიზმის გატარება სკოლებში. ეს ნიშნავს: ბავშვი ისე აღიზარდოს, რომ მას თავისი უყვარდეს სხვისაზე მეტად და, სხვასთან შეტაკების დროს, მზად იყოს თავი გასწიროს და მოკვდეს თავისისათვის. მაშასაღამე, შენი ყველაფერი უნდა აქო, ბავშვის თვალში გამოაჩინო მშვენიერად, სხვისი კი მოაჩვენო ცუდად. ავადმყოფური პატრიოტიზმი პირდაპირ ამბობს: „შენ კარგ ენაზე ლაპარაკობ, სხვები კი „ნემცებია“ (მუნჯებია), მათი ენა ლაქლაქია“ და სხვ. ეგრეთ წოდებული საღი პატრიოტიზმი კი ამას არ იტყვის; იგი სცნობს; რომ გერმანელებს და სხვებს—უცხოელებს—აქვთ თავისი კულტურა, მაგრამ ბავშვს მაინც ეტყვის: „ეს შენთვის უცხოა, შენ გაზრდილი ხარ ამ ტირიფების ქვეშ, შეთვისებული ხარ ამ რუსეთის ველთან და უნდა განვითარდე შენი „მშობლიური“ ეროვნების ატმოსფეროში“.

ასეთი მიღვომა ახასიათებს ძველი საზოგადოების საერთო მიღვომას განათლების საკითხისადმი. ბებერი ველური, რომელიც არავითარი საქმისათვის ალარ ვარგა, თავის გამოცდილებას უნაშილებს მის გარშემო თავმოყრილ ბავშებს. რა ჭეშმარიტებისა და ცოდნის გადაცემა შეუძლია მას გარდა იმისა, რითაც თვით ცხოვობდა? ქვეყანას უნდა უყურო ასე, უნდა იწამლო ამგვარად, დაასაფლაო ამ წესით, ბავშის დაბადებისას დაიცვა ესა და ეს წესები და თუ ასე არ მოიქცეცი—უბედურება მოხდება. რას ასწავლის იგი? იგი ასწავლის ჩვეულებებს, თავისი ტომის ცხოვრების წესებს და ადათებს. და რამდენადაც ეს მართალია მოხუც მამაკაც—როკაპების და კუდიანი დედაბრების მიმართ, იმდენადვე მართალია ბურუჟაზიული კათედრის ყოველი პროფესორის მიმართ, რომელიც ასწავლის შეუგნებლად (და თუ გონიერია—სრულიად შეგნებულადაც) თავის მეცნიერებაში იმ ტენდენციებს, რომლებიც საჭირო და აუცილებელ პირობას წარმოადგენენ საზოგადოების სიძლიერისათვის, იმ საზოგადოების, რომელსაც თვითონ ეკუთვნის და ემსახურება.

მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ნახევარია, მეოთხედიც კი. საქმე ისაა, რომ განვითარების უმაღლეს საფეხურზე საზოგადოება კლასებად იყოფა და ყოველთვის ერთი, ან რამდენიმე კლასი დაგას უფრო მაღლა.

მაგალითად, ფეოდალები. როცა მიწისმფლობელმა დაინახა, რომ მისთვის უფრო ხელსაყრელია სამხედრო ტყუების მუშაობისათვის გამოყენება, ვიდრე მათი შეჭმა (შინაურ საქონელს. იგი უკვე ასე მოექცა), იგი დაინტერესდა იმით, რომ მონა დაემორჩილებინა. მისთვის ძალიან საჭირო გახდა, რომ გაეთავისუფლებინა თავი მონაზე მუდმივი ძალდატანების ხმარებისაგან, საჭირო გახდა, რომ მონა ქვევიდან შეჰქურებდეს მას, სთვლიდეს ბატონად, კეთილშობილად. ამას განმტკიცება ესაჭიროება. ამის გამო აზნაური-ფეოდალები ზრუნავენ ისეთი აღზრდის სისტემის შექმნაზე, რომლის მეოხებით მათ შვილებს ძვალ-რბილში გაუჯდება ასეთი შეხედულება და ისინი აიძულებენ მონებს მორჩილებით ატარონ თავისი უღელი. თუ შენ კეთილშობილი ხარ, შენში უნდა იყოს კეთილშობილი მისწრაფება: ნი, ე. ი. ყოველგვარ მცირე წყენაზე და შეურაცხყოფაზე ხმალს უნდა წაავლო ხელი, და თუ მონა ხარ,—შენ უნდა გასწავლონ ბატონის წინაშე ქედის მოხრა.

გაბატონებული კლასი არ იძლეოდა ისეთი სკოლების მოწყობის ნებას, რომელიც მისი ინტერესების წინააღმდეგ იქნებოდენ მიმართული. ასეთი სკოლა რევოლუციონური იქნებოდა და მას მაღლ

დახურავდენ. თუ გაბატონებული კლასი სკოლას არსებობის ნებას აძლევდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სკოლა მისთვის სასარგებლო იყო; და თუ იგი ეხმარებოდა ამ სკოლას, მაშასადამე, სკოლა მისთვის აუცილებლად საჭირო იყო. სკოლას რომ ხანდახან კლასთა ბრძოლა არ დასტყობოდა, იგი მხოლოდ მაღალი კლასის ტენდენციების გამტარებელი იქნებოდა. ავილოთ მეფის რუსეთი. იხსნება მოსკოვის უნივერსიტეტი. რისთვის? იმისათვის, რომ განავითაროს ერთგული ქვეშევრდომი გრძნობა და ჩინ-მენდლების პატივისცემა და მიაწოდოს თვითმპყრობელობას გამგონი, მორჩილი და გამოსაღევი მოხელეები. გამოჩნდენ პროფესორები. მაგრამ ისეთებს, რომლებიც გაბატონებული კლასის ინტერესებს არ შეეფერებოდენ, შეუბრალებლად სდევნიდენ უნივერსიტეტიდან. ამასთანავე ჩვენ ვხედავთ, რომ უნივერსიტეტში სტუდენტები აარსებენ წრეებს, ხელით ატარებენ ლიბერალურ პროფესორებს და მთავრობა განსაზღვრული ხალხიდან მათ გარეკას ვეღარ ახერხებს. ეს ნიშნავს, რომ მემამულეთა მთავრობასა და ბურუუაზიას შორის ბრძოლა დაიწყო.

ბურუუაზიამ წამოჰყო თავი და ამბობს: „ჩვენ გვინდა კარგი ექიმები, კარგი ინჟინერები, რომელნიც ხელს შეუწყობენ კაბიტალის განვითარებას. თქვენ ამახინჯებთ მეცნიერებას, ჩვენ კი, მოწინავე ხალხი—განათლებული მექარხნეები და განათლებული მემამულეები,—მოვითხოვთ: „მიეცით მეცნიერებას მეტი თავისუფლება“.

ჩალდება ჭრძოლა, და საზოგადოება თვითმპყრობელობის წინააღმდეგია. იგი ეძებს დახმარებას გლეხობაში და ახლად შექმნილ მუშათა კლასში, გამოჰყოფს თავისი წრიდან პროგრესიულ პუბლიცისტებს, გულწრფელ სოციალისტებს და ბეჭდას მათ ბროშურებს. მათი მეოხებით იგი ეძებს და კიდეც პოულობს დამხმარეს—პროლეტარიატსა და გლეხობას—იმისათვის, რომ ბურუუაზიულმა ლიბერალიზმა შესძლოს თვითმპყრობელობის ბრჭყალების წინააღმდეგ გამკლავება.

თავის მხრივ თვითმპყრობელობა ცდილობს განამტკიცოს გლეხობაში ეროვნების, თვითმპყრობელობის და მართლმადიდებლობის იდეები, უგზავნის მღვდლებს, ავსებს სოფელს შავრაზმული ლიტერატურით; ცდილობს დაანახვოს ყველას, რომ მისი მდგომარეობა მტკიცეა, რომ გლეხი მის მხარეზეა. მთავრობა და ბურუუაზია ურთიერთ ბრძოლაში დახმარებას მასებისაგან ეძებენ. და ამ ბრძოლის დროს სკოლას ერთი თავისაკენ იწევს, ჭეორე თავისკენ.

თვითმპყრობელობის უფრო ჭკვიანი მოხელეები ხედავენ დათმობის საჭიროებას და ამბობენ: „თუ მეცნიერება ძალიან შევბოჭეთ,

შეუძლებელი გახდება ჯარის მოწყობა, როგორც საჭიროა, ხეირია-ნად გზების გაყვანათ. სევასტოპოლის კამპანიის შემდეგ მოხელეებმა აშეარად დაინახეს, რომ თვითმპურობელობა ველარ იარსებებს, თუ არაფერი დასთმო. ამის გამო ისინიც სომობენ ზოგ რაიმეს.

პოლიტიკური ბრძოლა მუდმივ წარმოებდა სკოლის მეოხებით და თუ სკოლა არ გახდა მხოლოდ ზედა ფენების მისწრაფებათა გამტარებელი, ეს იმიტომ, რომ გამოვიდა საშუალო კლასი და მეტოქეობა გაუწია თვითმპურობელობას.

ამგვარად, სკოლა არის სახელმწიფოს მიერ თავის მიზნებისა-თვის მოწყობილი პოლიტიკური დაწესებულება, რომელიც სახელმწიფოს თავისი მიზნების შიხედვით აწყობს, ვინაიდან სახელმწიფო განსაზღვრული კლასის ბატონობაა. ამ ბატონობას ხელს უწყობს ეკლესია, პრესა და უპირველეს ყოვლისა კი სკოლა. მასწავლებელი უნდა იყოს ისეთი პირი, რომელიც საზოგადოებრივ გამოცდილებას ისე ასწავლის, რომ გაბატონებული კლასის ბატონობა უზრუნველყოფილი იქნეს.

თვითმპურობის დამხობის შემდეგ რომ მიგვენდო სკოლის შექმნა იმ მასწავლებელთათვის, რომელთაც ბურჟუაზიული აღზრდა აქვთ მიღებული, ისინი მოაწყობდენ ბურჟუაზიულ სკოლის და დარწმუნებული იქნებოდენ, რომ ეს არის არა პოლიტიკური, არამედ ნამდვილი სკოლა.

მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ არ არსებობს პოლიტიკის გარეშე მდგომი არავითარი სკოლა.

ა. ლუნაჩარსკი.

წაიკითხეთ და დაამუშავეთ ზემომოყვანილი მასალები და გვიპასუხეთ შემდეგ კითხვებზე.

1. რაში მდგომარეობს პროლეტარიატის დიქტატურის მთავარი ამოცანა?

2. რა მემკვიდრეობა მიიღო განათლების დარგში საბჭოთა ხელისუფლებამ თვითმპურობისაგან და ბურჟუაზიისაგან?

3. განათლების დარგში რა მიზნები და ამოცანები აქვს ბურჟუაზიას? და როგორია მუშათა კლასის მიზნები და ამოცანები ამავე დარგში?

4. როგორ ესმოდა ბურუუაზიას „სკოლა პოლიტიკის გარეშე“ და შეიძლება თუ არა საერთოდ აჩეცობდეს ასეთი სკოლა?
5. რა არის კლასობრივი სკოლა და არის თუ არა კლასობრივი ჩვენი სკოლა?
6. რას ავბობდა ლენინი აღზრდისა და განათლების შესახებ?
7. რაში გამოიხატება საბჭოთა პედაგოგიკის ძირითადი თვისებები: კავშირი ცხოვრებასთან და მასში მონაწილეობის მიღება, შრომითი დასაბამი აღზრდაში, კოლექტივისტური დასაბამი აღზრდაში, მარქსისტული მსოფლმხედველობის გამომუშავება?
8. საბჭოთა აღზრდა-განათლების ორგანიზაციის ძირითადი თვისებები?
9. რაში მდგომარეობს მარქსისტული განათლების ძირითადი აზრი?
10. რა არის მარქსისტული აღზრდა?
11. რა ტიპის სკოლები არის ს. ს. რ. კ. სისტემაში, რა მიზანი აქვთ დასახული და რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან?
12. დახატეთ სახალხო განათლების სისტემის სქემები რუსეთისა (რევოლუციამდე) და ს. ს. რ. კავშირისა?
13. რაში მდგომარეობს საყოველთაო სწავლების პრობლემა და რა მუშაობის ჩატარება შეგიძლიათ რაიონში მის განსახორციელებლად?